

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეთნოლოგია

გიორგი მამარდაშვილი

საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა ლეჩების მოსახლეობაში

ეთნოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის დოქტორი  
პროფესორი თინათინ ლუდუშაური

თბილისი 2010

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

ლებხუმის პკლევის ისტორიიდან	გვ 3
ლებხუმის ისტორიიდან	გვ 7
ლებხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან	გვ 25
ლებხუმის საზოგადოებრივი ყოფა	გვ 40
ლებხუმის სოციალური ისტორიიდან	გვ 40
ლებხუმის მოსახლეობა და მიგრაციული პროცესები	გვ. 76
დასახლების სტრუქტურა	გვ. 94
ურთიერთდახმარების ფორმები	გვ. 101
ლებხუმის საოჯახო ყოფა	გვ. 106
ოჯახის ფორმები	გვ. 106
საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები	გვ. 118
საქორწინო წეს-ჩვეულებები	გვ. 123
მიცვალებულის კულტი	გვ. 135
რწმენა-წარმოდგენები და საოჯახო რიტუალები	გვ. 144
დასკვნა	გვ. 167
გამოყენებული ლიტერატურა	გვ. 170

## ლეჩეუმის კვლევის ისტორიიდან

ლეჩეუმი საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. XIX საუკუნის ქართული მეცნიერების წარმომადგენლების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, ისტორიკოსთა ძიებებმა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიცვა, თუმცა ლეჩეუმით მაინცდამაინც არავინ დაინტერესებულა. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის შუაწლებამდე, ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ლეჩეუმის კვლევა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. დღესდღისობით მოიპოვება თითზე ჩამოსათვლელი გამოკვლევები, პუბლიკაციები და აღწერილობები, რომლებიც ზოგადად ეხებიან ლეჩეუმის ისტორიას და ეთნოგრაფიას. ამ მხრივ, შედარებით უხვია შრომები ლეჩეუმის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ლეჩეუმს ცალკე, მომცრო თავი აქვს დათმობილი, სადაც მიმოხილულია ლეჩეუმის გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები, მოკლედაა დახასიათებული ლეჩეუმელებისა და მათი მეურნეობის თავისებურებები. პირველი ქართველი გეოგრაფი იძლევა თავისებურ ინტერპრეტაციას ლეჩეუმის სახელწოდების შესახებ, მისი ადგილმდებარეობისა და ისტორიულ-გეოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვახუშტის განსაზღვრებით მოცემული ლეჩეუმის ადგილმდებარეობა თითქმის იდენტურია დღვენდელი ლეჩეუმის ადგილმდებარეობისა. ვახუშტისავე თქმით, თაკვერი, რომელსაც ბაგრატიონებამდე რაჭა ერქვა, შემდგომ ხანებში ლეჩეუმის აღმიშვნელად იქცა.

თაკვერისა და ლეჩეუმის ურთიერთმიმართება ქართველ ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვდასხვაობას იწვევს. ლეჩეუმის ისტორიულ გეოგრაფიაზე საკუთარი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს, ნ. მარს, ნ. ბერძენიშვილს, ლ. მუსხელიშვილს. შემდგომ ხანაში ამ მიმართულების კვლევები ჩატარეს დ. ლეთოდიანმა, თ. ბერაძემ, ჯ. შარაშენიძემ.

ლეჩეუმის ისტორიული გეოგრაფიის მაკლებარები ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს ეყრდნობიან, რომელთაგანაც უადრესი VI–VII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობებია – პროკოფი კესარიელი, იუსტინე და თეოდოსი განგრელი ეხებიან რა ლაზიკის სახელმწიფოსა და იქ მიმდინარე

პოლიტიკურ თუ სხვა სახის მოვლენებს, გვაწვდიან მნიშვნელოვან ცნობებს ლეჩეუმის შესახებ.

ლეჩეუმის ისტორიული გეოგრაფიის მკვლევართათვის დიდმნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობანიც.

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ლეჩეუმის ისტორიის შესახებაც შეიცავს მეტად ფასეულ ცნობებს.

ლეჩეუმის ისტორიის გაკვეულ ეტაპებს მიეძღვნა რამოდენიმე გამოკვლევა და პუბლიკაცია. აღსანიშნავია XIX საუკუნის დასასრულს რაფ. ერისთავის მიერ შესწავლილი ლეჩეუმელ გლეხთა ყოფის ნიუანსები, რომელიც მან გამოაქვეყნა ნაშრომში „ბატონყმობა საქართველოში“.

მნიშვნელოვანია ცნობები, რომელსაც მეფის რუსეთის დროინდელი მოსახლეობის აღწერა იძლევა. შეიძლება მათი ანალიზით გაკეთდეს რიგი დასკვნები ლეჩეუმის ეკონომიკისა და მეურნეობის ხასიათზე. სტატისტიკური აღწერილობის გარდა XIX საუკუნის რუსი მოგზაურები თუ ჩინოვნიკები ნაწილობრივ შეეხენ ლეჩეუმის საკითხს. მათგან აღსანიშნავია, რიონის ხეობის ლეჩეუმის შესახებ გ. რადეს, ხოლო სოფელი ლაილაშის შესახებ ი. მაისევის აღწერილობანი.

1910 წლისთვის ლეჩეუმში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც აღწერა ლეჩეუმის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტერი, მათი წარწერები და საეკლესიო სიძველენი. ეკლესია-მონასტრების აღწერილობა და მათი წარწერების გამოქვეყნება ლეჩეუმის ისტორიის მკვლევრებისთვის დიდმნიშვნელოვანი საქმე გახლდათ.

გ. ჩიგაიამ ლეჩეუმის საკითხები მოკლედ მიმოიხილა, ლეჩეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში.

ლეჩეუმის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. XVII-XIX საუკუნის უცხოელი მოგზაურებიც მაინცდამაინც არ ინტერესდებიან ამ კუთხით – გულდენშტედისა და ქან შარდენის აღწერილობებში ლეჩეუმის შესახებ რამოდენიმე ზოგადი ფრაზაა დაფიქსირებული.

ლეჩეუმის ისტორიულ გეოგრაფიას მიმოიხილავენ ის მეცნიერები, რომლებიც მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებითა და განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდით არიან დაინტერესებულნი. არის მოსაზრება რომ მაქსიმე დასაფლავებულია ცაგერის მახლობლად და ამ აზრს ვახუშტის ცნობაც

და ლეჩეუმში დღემდე შემონახული გადმოცემებიც მოწმობს. მაქსიმე აღმსარებლის საფლავს და შესაბამისად ლეჩეუმის ისტორიულ გეოგრაფიას თავის დროზე ნაშრომები მიუძღვნეს პრილიანტოვმა და მ. ჩიქოვანმა.

XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ლეჩეუმის ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მ. ალავიძემ. მის მიერ ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილები („ლეჩეუმის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის”, „გ. ინასარიძის ვინაობისთვის” და ა.შ.) მნიშვნელოვნად ამდიდრებს ლეჩეუმის თემატიკით დაინტერესებულთა კვლევის შესაძლებლობებს. მ. ალავიძის შრომებში აღწერილია ლეჩეუმური სახლ-კარი, შრომის იარაღები, საოჯახო წეს-ჩვეულებები. მ. ალავიძემ შეკრიბა ხალხური გადმოცემები და გამოსცა შესანიშნავი წიგნი „ლეჩეუმური ზეპირსიტყვაობა”. მ. ალავიძესვე ეკუთვნის კვლევები ლეჩეუმური ტოპონიმიკისა და ლექსიკის შესახებ.

ლეჩეუმური ხალხური წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა თუ სახალხო დღესასწაულების შესახებ საკმად მდიდარ ცნობებს გვაწვდის ფ. გარდაფხაძე-ქიქოძის ხალხურ დღეობათა აღწერა, სადაც ის აღგვიწერს სამოცამდე მნიშვნელოვან დღესასწაულსა და მის რიტუალურ მხარეს. ფ. გარდაფხაძესვე ეკუთვნის ნაშრომი ლეჩეუმში ტრადიციული მეურნეობის, მეთუნეობის შესახებ.

გასული საუკუნის მიწურულს ლეჩეუმის საკითხებით დაინტერესდნენ გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, ა. ტუღუში. 1985 წელს გამოიცა კრებული „ლეჩეუმი”, სადაც გამოქვეყნებული იქნა გამოკვლევები ლეჩეუმში არსებული მევნახეობის, შრომის კოლექტიური ფორმების, წყლისა და მიცვალებულის კულტების, დებვისა და ტრადიციული ჩატმულობის, ქვითხურობის შესახებ. 80-იანი წლების დასაწყისში ავტორთა ჯგუფმა გამოსცა ამავე სახელწოდების წიგნი, რომელშიც საფუძვლიანადაა შესწავლილი ლეჩეუმის საფორტიფიკაციო ქსელი, სამიმოსვლო გზები, საკულტო ნაგებობანი, რის საფუძველზე აღდგენილია ლეჩეუმის ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი და ნაჩვენებია მის შიგნით არსებული პატარ-პატარა შიდარეგიონალური გაერთიანებები.

ლეჩეუმურ გვართა შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდის რ. თოფჩიშვილი, ნაშრომში „ლეჩეუმური გვარ-სახელები”, სადაც ის მიმოხილავს ლეჩეუმში გავრცელებულ გვართა უმეტესობას, მათ წარმომავლობას და მათთან დაკავშირებულ გადმოცემებს.

ლეჩხუმის საზოგადოებრივი და საოჯახო კვლევა ჯერჯერობით არავის უწარმოებია. ამიტომაც, საქმაოდ რთულია ამ საკითხების შესახებ წყაროთა მოძიება. ზემოთდასახელებული კვლევები ოდნავ თუ ეხება საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფის საკითხებს. ამ მხრივ საქმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XVII–XVIII საუკუნის საეკლესიო საბუთები, რომლებიც გამოსცეს ს. კაპაბაძემ და ი. დოლიძემ. ამ საეკლესიო საბუთების მიხედვით შეიძლება აღდგენილ იქნას გვიანშუასაუკუნეობრივი სოციალური ფენები, მათი უფლება მოვალეობანი, მეურნეობის ეკონომიკური საფუძვლები, ოჯახის დასახლების ფორმა და ლეჩხუმის საზოგადო და საოჯახო ყოფის მრავალი სხვა ნიუანსი.

მასალის სიმწირის გამო ლეჩხუმის საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის შესწავლა საველე-ეთნოგრაფიული მასალის მოგროვებას მოითხოვს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება ლეჩხუმის საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის სურათის, მისი წარსულისა და აწმეოს მთლიანობაში გააზრება.

## ლეჩეუმის ისტორიიდან

ლეჩეუმის ტერიტორიაზე მოსახლეობა, სავარაუდოდ ჯერ კიდევ ქვის ხანაში წნდება (76, 259). სოფელ ტვიშთან აღმოჩენილი ნეოლითური ხანის კაჟის იარაღები ამის დასტური უნდა იყოს.

ბრინჯაოს ხანაში ლეჩეუმი უკვე ფართოდაა ათვისებული და ერთ-ერთი დაწინაურებული კუთხეა. ლეჩეუმის დაწინაურებას, ბრინჯაოს ეპოქიდან მოყოლებული, ანტიკური ხანის განმავლობაში გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. ძველი წ. აღ-ით XIV-XII საუკუნეებში აქ უკვე არსებობდა მეტალურგიის მძლავრი კერა. აღნიშნულ პერიოდსა და ძვ. წ. აღ-ით X-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება ლეჩეუმში მოპოვებული ბრინჯაოს განძები. ბრინჯაოს განძები ნაპოვნია სოფელ ლაილაშში, სურმუშში, ცაგერაში, ოყურეშში, ლუხვანოში, ხოჯში და ლეხეროში (64, 3). სამი განძია ნაპოვნი ლაილაშში, ორი სურმუშში, სხვაგან კი თითო-თითო. ლაილაშში ბრინჯაოს იარაღების ასეთი თავმოყრა გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ლაილაშში იყო მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრი, ან როგორც უკვე ფეოდალიზმის ხანაში, სატრანზიტო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. სურმუშიც ლაილაშის ახლო მდებარე სოფელია და შესაძლოა ეს ორი სოფელი ბრინჯაოს ხანაში ერთიან სამრეწველო თუ სოციალურ კომპლექსს ქმნიდა. ოყურეშისა და ლუხვანოს ბრინჯაოს განძები ერთგვაროვანია. ლეჩეუმის ბრინჯაოს მეტალურგია დასავლეთ საქართველოს განძების ჯგუფს უკავშირდება და მსგავსია ბიჭვინთის, ეგრეს, ჭოროხის, ქობულეთის, მელქუდურის, პილენკოვოს და ა.შ. ანალოგიური მსალისა. ლეჩეუმში ბრინჯაოს ადგილზე დამუშავებას მოწმობს ის, რომ სოფ. ოყურეშში, ოფიტარაში, ლაჭეპიტაში, თეთრ-ლელეზე (საძოვარი) არის სპილენძის გამოსავლები. ეს სპილენძის გამოსასვლელები აღარ გამოიყენება, თუმცა აქ და უმეტესწილად იმ სოფლებში სადაც განძებია ნაპოვნი, ბრინჯაოს ხანიდან შემორჩენილი სპილენძის ზოდები, თიხის ნამსხვრევები, წილები ლეჩეუმში ბრინჯაოს წარმოების მაღალგანვითარებულობაზე მიგვითოთებს (64; 23, 24). საგარაუდო, ბრინჯაოს მრეწველობა მთელი კუთხის განვითარებას განსაზღვრავდა. შესაძლოა, ამ პერიოდის მონაცემებით ლეჩეუმში უკვე დავინახოთ, შემდგომში დადასტურებული დაყოფა ცხენისწყლისა და რიონის ხეობის ლეჩეუმად – ოყურეში და მისი მიმდებარე ადგილები (ლაჭეპიტა, ოფიტარა, თეთრ-ლელე) ცხენისწყლის ხეობის ბრინჯაოს წარმოების ცენტრი

უნდა ეოფილიყო და წარმოების ამ საშუალების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების გამო ცხენისწყლის ხეობაში, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყალიბდება დამოუკიდებელი მიკრო-რეგიონი. რიონის ხეობაც, როგორც ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების დამაკავშირებელი ერთ-ერთი სამიმოსვლო გზა, ფლობდა საკმარის ეკონომიკურ შეძლებას. ლაილაშ-სურმუშის განძები არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს კუთხეებთან აქტიურ ურთიერთობაზე მიგვითოთებს – ამ სოფლების განძებში, ცხენის ბრინჯაოს ლაგამის ისეთი ნიმუშებია, რომლის მსგავსი საქართველოში არ მოიპოვება. ასეთი ტიპის ლაგმები ჩრდილოეთ კავკასიისთვისაა მასასიათებელი და მისი რიონის ხეობის ლენსუმში მოხვედრა ჩრდილოელებთან საგჭრო ურთიერობებით შეიძლება აიხსნას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ბრინჯაოს ნიმუშების თავმოყრა, სპილენძის გამოსავლებისგან საკმაოდ შორს, სოფელ ლუხვანოში. ლუხვანოზე, ადრეფეოდალური ხანიდან ცხენისწყლისა და რიონის ხეობის ლენსუმიდან, აგრეთვე ლაშეთიდან კოლხეთის დაბლობში მიმავალი უმოკლესი გზა გადიოდა. ამის გამო, ლუხვანოს ტერიტორია მოფენილია ციხესიმაგრეებით. სავარაუდოდ, ლუხვანომ, როგორც ტრანზიტული გზის მნიშვნელოვანმა პუნქტმა, განსაკუთრებული ეკონომიკური და სამხედრო ფუნქციები ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში შეიძინა.

ლენსუმის ბრინჯაოს განძებში უმთავრესი ადგილი ბრინჯაოს ცულს უჭირავს. საკმაოდაა ცხენის შესაკაზმი აღჭურვილობაც. განძებში არსებული სამოცი ცულიდან ოთხი ლოკალური ნიშნით გამოირჩევა და ადგილობრივი წარმოების უნდა იყოს (64, 26). თავად ფაქტი, რომ ამ განძებში საბრძოლო იარაღი უველაზე მეტად არის წარმოდგენილი, მეტყველებს, რომ ლენსუმში უკვე იწყება მეომართა კასტის ჩამოყალიბების პროცესი. სოციალური დიფერენციაცია თვალნათელია – ცხეთისა და უსახელოს ელინისტური სამაროვნები დარიბულია, ამავე დროის მდიდრული სამაროვნები კი სავსეა იარაღით (70, 99). იდენტური მდგომარეობაა საქართველოს სხვა კუთხეებშიც – ბჟ. წ. აღ ით V საუკუნის შუა წლებიდან სამაროვნებში იარაღი საერთოდ არ ჩანს, მდიდრულ სამარხებში კი იარაღი უხვად არის ჩატანებული (16, 81). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იარაღი და ძალაუფლება ეკონომიკურად და უფლებრივად დაწინაურებული წრის ხელში გადადის (16, 81).

უცხოურ წერილობით წყაროებში ლენსუმი პირველად VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში იხსენიება. ლენსუმი, იგივე სკვიმია VI საუკუნის ეგრისში

საქაოდ დაწინაურებული კუთხეა. იგი დასავლეთ საქართველოს ერთერთი სამთავროთაგანია (57, 126).

ნიშანდობლივია, რომ ამ კუთხის შესახებ პირველი ცნობა დასავლეთ საქართველოში იმჟამად მიმდინარე ომს უკავშირდება. სპარსეთ-ბიზანტიის ომში, რომლის ასპარეზიც ეგრისის ბარის რაიონებია, სკვიმნია ანუ ლეჩეუმი ბიზანტიელთა მოკავშირე ეგრისისთვის ომის ზურგის ფუნქციას ასრულებს – სპარსელები მოკავშირეთა საბოლოოდ დასამარცხებლად მთებისკენ მიმავალ გზებზე განლაგებულ ციხე-სიმაგრეებს იკავებენ, რითაც სკვიმნიაში/ლეჩეუმში და სვანიაში/სვანეთში მიმავალ გზებს კეტავენ (57, 197).

ლეჩეუმის ადრეულმა დაწინაურებამ თავისებური ასახვა ჰპოგა შუასაუკუნეების საწყის პერიოდზეც. ადრეშუასაუკუნეებიდან აქ იწყება ციხეთა მშენებლობები და ლეჩეუმი საფორტიფიკაციო ქსელით იფარება. ბუნებრივი პირობების მიხედვით არსებული სამიმოსვლო გზები, მათი მაკონტროლებელი ციხესიმაგრენი, სავაჭრო და რელიგიური ცენტრები ლეჩეუმის შიგნით მომცრო მიკრო-რეგიონებს ქმნიდა. ლეჩეუმს, გარდა იმისა, რომ ანტიკური ხანიდან მოყოლებული სატრანზიტო მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა ფუნქციის შესრულებაც უწევდა. ლეჩეუმი ერთ-ერთი ობიექტი უნდა ყოფილიყო იმ სტრატეგიული ამოცანისა, რომლის გადაჭრას ცდილობდნენ ეგრისის მომიჯნავე დიდი სახელმწიფოები – ჩრდილოეთ კავკასიონიდან მარბიელ მომთაბარეთა გადმოსვლა ეგრისისთვის და თვით სპარსეთისა და ბიზანტიისთვისაც მეტად საშიში რამ გახდდათ. ლეჩეუმი, მეორე დამხვდური, ჩრდილოელების შეჩერების სტრატეგიაში ზურგის ფუნქციის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. „გადმოვლეს ოვსთა გზა თაკვერისაო“ გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“ IV საუკუნის ამბების გადმოცემისას. მემატიანეს ეს ცნობა, ამტკიცებს, რომ ამ დროს მართლაც არსებობდა ჩრდილოელი ურდოების შემოსევის საშიშროება და ამ საშიშროების ერთ-ერთი აღმკვეთის ფუნქცია თაკვერს, იმ რეგიონს ეგისრა რომლის შემადგენლობაშიაც იგულისხმება ლეჩეუმი. ეს კუთხე დასავლეთ საქართველოს ბარში მდებარე პოლიტიკური ცენტრებისთვის ჩრდილოეთიდან შემოსევების შეჩერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ლეჩეუმის მეშვეობით, მასზე გამავალი გზებით დასავლეთ საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის მთის მოსახლეობა კოლხეთის დაბლობს უკავშირდებოდა. ბუნებრივია, სატრანზიტო მნიშვნელობამ გზების მახლობლად ციხე-სიმაგრეების მძლავრი ქსელის წარმოშობა განაპირობა, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად ლეჩეუმში

მეომრული კასტის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ლეჩეუმის შემდგომი ისტორია, თითქოს პირველხსენების ინერციით უმეტესწილად საომარ მოქმედებების აღწერას ახლავს თან. მუდმივი მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, ლეჩეუმელს მეომრისთვის საჭირო და აუცილებელ თვისებებს სძენდა და ამ თვისებების გამო გვიანშუასაუკუნეების ლეჩეუმელი ვახუშტი ბატონიშვილის ხატოვანი დახასიათებით ასეთია: „ჯაცნი მუნებურნი მბრძოლნი, შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მხენვი და მორჩილნი უფალთა თვისთა“ (24, 749).

სავარაუდოდ, ლეჩეუმის XI საუკუნის შემდეგ სატრანზიტო მნიშვნელობა უნდა შემცირებულიყო, რადგან ქვეყნის გაერთიანებამ პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრები აღმოსაგლეთით გადასწია. დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადატანამ ლეჩეუმი რომელიც ადრე სატახტო ქალაქთან ახლო მდებარე და მეტად საჭირო (სამალავ-სახიზრებით, ციხესიმაგრეებით, ეს კუთხე მიუვალია და თანაც ბართან ძალიან ახლო მდებარეობით გამოირჩევა) კუთხე იყო, ერთგვარ პროვინციად აქცია. თუმცა, ლეჩეუმს ძველებური „პატივი“ არ დაუკარგავს – რაჭა-თაკვერის საერისთავოს პრესტიჟი კარგად ჩანს თამარ მეფის მეფედ კურთხევის დროს – თაკვერის მმართველს, ალბათ იმდროინდელი ტრადიციის მიხედვით, აქვს პატივი ერთ-ერთი წამყვანი როლი ითამაშოს ერთიანი საქართველოს მეფის კურთხევის დროს. თაკვერის ერისთავი, კახაბერი, ქუთათელ ეპისკოპოსთან ერთად საკუთარი ხელით ადგამს გვირგვინს თამარ მეფეს (31, 27).

XII-XIII საუკუნეში ლეჩეუმი ანუ თაკვერი, რაჭა-თაკვერის გაერთიანებულ საერისთავოს შემადგენლობაშია.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ლეჩეუმის პირველი ხსენება XV საუკუნის სვანებისა და ჯაფარიძეების მცრობის აღწერილობაში გვხვდება. ამ საბუთით ნათელი ხდება ლეჩეუმის ზემოთაღნიშნული სატრანზიტო, სავაჭრო და სამხედრო ფუნქციების მნიშვნელოვნება: რაჭველი ჯაფარიძეებისგან ერთობ შეჭირვებული სვანები ალექსანდრე მეფესთან ჩივიან, რომ კარგა ხანია მათ საშუალებას არ აძლევენ რაჭასა და ლეჩეუმში სამუშაოდ ჩავიდნენ, ვეღარც სავაჭროდ დადიან და მარილისა და დვინის შესყიდვის საშუალებაც არ აქვთ. სვანებს აქ ჯაფარიძეების კოალიციაში მყოფი რაჭა-ლეჩეუმელი დიდებულები ლაშეიშვილები, ინასარიძეები, კუჭაიძეები და გარაყანიძეები ავიწროებენ. სავარაუდოდ, ეს თავადები, რაჭა-ლეჩეუმზე გამავალ გზებს აკონტროლებენ, ისინი უსაფრდებიან ლეჩეუმში სავაჭროდ ჩასულ სვანთა რვაასკაციან რაზმს,

ართმევები მთელი სვანეთისთვის შესყიდულ ღვინოს და უმოწყალოდ ხოცავები მათ. ჩანს, სვანთა და ოაჭალეხხეუმის დაპირისპირებას სერიოზული წინაპირობა ჰქონდა. სვანები მეფეს შემწეობას სთხოვენ, მისი პასუხი კი ასეთია: ჯაფარიძისნაირი თავადი მეორე არ მყავს, საქმე რომ თქვენს სასარგებლოდ გადავწყვიტო რაჭველთა, უფრო მეტად კი ლეხხეუმელთა პეთილგანწყობას დაგპარგავო. ალექსანდრე მეფის პასუხიდან, აშკარად ჩანს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ის ლეხხეუმელთა მხარდაჭერას (66, 112-116). იმერეთის სამეფო კარისათვის ლეხხეუმისთვის ანგარიშის გაწევა დიდწილად მისი სტრატეგიული მნიშვნელობით აიხსნება. XVII-XVIII საუკუნეებში ლეხხეუმის როლი სახელმწიფო მმართველობაში ძალიან დიდია, ხოლო ადრინდელი ცნობები ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ხაზს უსვამენ ლეხხეუმის ფუნქციას. ლეხხეუმი ერთგვარი პლაცდარმია, საიდანაც იმერეთის სამეფო კარი თუ მის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები აწარმოებენ თავიანთ ქმედებებს: XIII საუკუნეში, დავით ულუს ძეს, კონსტანტინე მეფეს მისი ძმა მიქაელი განუდგა, „დაიპურა ოაჭა, ლეხხეუმი, არგვეთი“ და იქ მეფობდა. ცოტათი ადრე, როდესაც დავით ულუ და დავით ნარინი საქართველოს ორად იყოფენ, ხვამლის კლდის საგანძურსაც ინაწილებენ – „განიყვნეს მეფეთა ქუეყანანი და ქალაქი ქუთათისი და ტფილისი ორად, სამეფო ორად; საჭურჭლე ორად; არამედ ხომლის ქუაბსა შინა რაიცა იყო, მცირედი გაყვნეს და სხვა დაუტევეს მუნვე.“ (24, 219)

XV საუკუნეში, ბაგრატ მეფის საომარ ექსპედიციაში ლეხხეუმლები ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას ასრულებენ: „უკუ-დგნენ სუანი, გარდამოვიდნენ, მოსტყუევნენ ქუთათისი და მოწვეს. სცნა რა ესე ბაგრატ მეფემან, მსწრაფლ მოვიდა ქუთათისს. მუნ შემოიკრიბნა სრულიად სპანი გიორგიისანი და ჰერკახთა, წარუძღვუანნა ოაჭველნი და უბრძანა მათ მისვლა ოაჭიდამ და დადიანი, გურიელი და აფხაზნი და სომხითარნი მოგზავნა ოდიშამდე ეცერსაზედა; ხოლო თვით წარიძღვუანნა ლეხხეუმელნი და მიატანნა მესხნი, კლარჯნი და იმერიო-ამერიო მიჟყვა თვითცა და შევიდა ესრეთ“ (24, 261). როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ბაგრატ მეფეს დიდი სადამსჯელო ოპერაცია მოუწყვია სვანეთში. მეფის არმიის შეტევის მთავარი მიმართულება ლეხხეუმიდან იწყება. ამ მიმართულებას მეფე თვითვე ხელმძღვანელობს და რჩეულ მეომრებს უყრის თავს – მესხნი და კლარჯნი მაშინდელი საქართველოს არმიის მოწინავენი, მტერთან პირველად შებმის, ომის დაწყების პატივის მქონენი იყვნენ. ამ ლაშქრობის შემდეგ

ბაგრატმა დაიმორჩილა სვანები და ერისთავად ვარდანისძის მაგივრად გელოვანი დასვა (24, 261).

XVI საუკუნეში, ლეჩეუმელთა შემწეობით ალექსანდრე ბაგრატის ძე, ქუთაისის იაყრობს და იმერეთის მეფე ხდება. სავარაუდოდ, ამ პერიოდიდან მოყოლებული ლეჩეუმელი მოლაშქრეები და წარჩინებულნი აქტიურად ერთვებიან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში. ალექსანდრეს ძის, ბაგრატის მეფობაში თაკვერის ერთ ნაწილს, რაჭას საერისთავოს სტატუსი მიუდია. თაკვერი, რომელიც აერთიანებდა ლეჩეუმს და რაჭას, როგორც ჩანს, მეფის სახასო მიწები იყო, ბაგრატმა კი „დასუა ერისთავად ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელნიმე სახასონი დაბანი და ციხე მინდა, რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფოდ და კვალიდ ჰყო საერისთავოდ“ (24, 811). როგორც ვხედავთ, საუბარი არ არის ლეჩეუმზე, ე.ი. ეს კუთხე კვლავ მეფის სახასო მამულია, მეფის პირად საკუთრებაშია.

გვიანფეოდალური ხანის ბოლო მონაკვეთამდე ლეჩეუმი იმერეთის მეფის მთავარი დასაყრდენია. ლეჩეუმელთა რაზმები იმერეთის მეფის რჩეული მოლაშქრეები არიან. ამ რაზმებს მეტად საპასუხისმგებლო ფუნქცია, მეფის პირადი დაცვა ევალებათ: „სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ხეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოხევე-მთიულნი, ვიდრე დაიყრობდნენ მას საერისთაოდ. ხოლო იმერთა – რაჭა და სრულიად ლეჩეუმი, ხოლო კახთა – ქიზიყი“ (24, 31). ამ ცნობის მიხედვით, რაჭველები და უფრო მეტად ლეჩეუმლები იმერეთის მეფეთა პირადი მცველები იყვნენ და სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ლეჩეუმი, იმერეთის სამეფო კარისთვის მრავალმხრივ საინტერესო კუთხე უნდა ყოფილიყო – სამეფო კარი უკეთეს „სახასო“ მამულს ვერც ინატრებდა: იმერეთთან და მის პოლიტიკურ ცენტრებთან სიახლოეს ადვილი კომუნიკაციების საშუალებას იძლეოდა; ომიანობის დროს ერთგული მოლაშქრეებიც დროულად ცხადდებოდნენ ბატონთან. ლეჩეუმში არსებული რელიეფი მას ბუნებრივ სიმაგრედ აქცევდა, ამ კუთხის მკვიდრთა მეომრული თვისებები და ბატონებთან ურთიერთობაც სანაქებო ყოფილა: „და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი, შემმართებელნი, პაეროვანნი, ტანოვანნი, მხენენი და მორჩილნი უფალთა თვისთა“

ლეჩეუმელ მებრძოლთა რაზმებს, საქართველოში მიღებული წესების მიხედვით, აზნაურნი და მსახურნი გლეხნი შეადგენდნენ. საქართველოში

მოლაშქრეობა, მითუმეტეს მეფის გვერდში დგომა უდიდესი პატივი გახლდათ: ლაშქარში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილი მამაკაცისთვის (87, 223); უფრო მეტიც, XIII საუკუნის ერთ-ერთი დოპუმენტით დასტურდება, რომ მეფის მიერ ლაშქრობის უფლების ჩამორთმევა უდიდეს სასჯელთან, ეკლესიიდან მოკვეთასთან იყო გატოლებული (78, 16).

იმერეთის სამეფოს ერთიანი სახელმწიფოსგან გამოყოფის შემდეგ, თაკვერის ერთმა ნაწილმა, რაჭამ საერისთავოს სტაციუსი მიიღო. ბაგრატ ალექსანდრეს ძე ყოფილ სახახო მიწაზე, რაჭაში ერისთავად, XVI საუკუნის ოცდათიანი წლებისთვის შოშიტა ჩხეიძეს ნიშნავს (24, 811). როგორც ჩანს, ლეჩხუმი კვლავ მეფის პირად საკუთრებაში, მის სახახო მამულად რჩება.

XVII საუკუნის შუა წლებში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში ლეჩხუმელ თავადებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ, რაც ლეჩხუმელ მოლაშქრეთა საომარ ქმედებებში აქტიურ მონაწილეობას განსაზღვრავს. იმერეთის მეფე, დადიანი, გურიელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებული. იმერეთის სამეფოს ხელში ჩაგდებას ქართლელი ბაგრატიონებიც ცდილობენ. დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან თავადებიც, რომელნიც ძალიან ხშირად მეფეებზე ძლიერი ხელისუფალნი არიან. გარდა ამისა თურქეთის ფაშები (ახალციხე, არზრუმი) თავისუფლად თარქმობენ დაქსაქსულ ქვეყანაში. ამ პერიოდში, რაჭა-ლეჩხუმი ნაკლებად დაზარალდა და მათი წარჩინებულების გამოჩენა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ამ ფაქტორითაც იყო გამოწვეული. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული იწყება იმერეთის მეფისა და ოდიშის მთავრების ბრძოლა ლეჩხუმისთვის. როგორც ზემოთ აღნიშნეთ ლეჩხუმი, ერთგვარი ზურგი იყო იმერეთისთვის, თანაც ლეჩხუმელი „ტალანნი-მცველი მეფისანი“ იყვნენ. ოდიშის მთავრებისთვის ლეჩხუმის დათმობა ამიტომაც იყო საძნელო იმერეთის მეფისთვის. ლეჩხუმისთვის დავას გაბრიელ ცაგერელმა, გვარად ჩიქოვანმა დაუდო სათავე. იგი იმერეთის სამეფო კარის იგიც ერთგულებდა და ამით მნიშვნელოვან ქონებით და სამხედრო ძლიერებასაც მიაღწია. მეფე ალექსანდრესგან მრავალი ყმა-გლეხის მიღების შემდეგ ცაგერელმა ირგუნა ლეჩხუმის ერთ-ერთი უმთავრესი და სატრანზიტო გზების მაკონტროლებელი ზუბის ციხე, ცხენისწყლის ხეობაში და შედარებით მომცრო „ მეშველიანის

ციხე” სოფ. უსახელოში, აგრეთვე რამდენიმე „სასახლე“ ლეჩხუმის სოფლებში. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ცაგერელი პოზიციას იცვლის. თუმცა, თითქოს პირველ ხანებში იგი დადიანების მოწადმდევება და მათ ბატონობის დამყარებას ლეჩხუმის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან სოფელში, ოყერეშში ეწინააღმდეგება (23, 522). შემდგომში უკვე ორმაგ თამაშს თამაშობს და ერთნაირად დაფასებული პიროვნებაა იმერეთშიცა და ოდიშშიც. საბოლოოდ ის ახერხებს და ლეჩხუმის თავობას, იმერეთის სარდლობას და ოდიშის ყველაზე დიდ სათავადოს, საუფლისწულოდ მიჩნეულ სალიპარტიანოს, მის ძმას კაცია ჩიქოვანს უგდებს ხელში. გაბრიელი იქამდე განდიდებულა რომ დასავლეთ საქართველოში მის გარეშე ძნელად თუ რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდებოდა. გაბრიელ ჩიქოვანი საფიქრებელია, რომ აკონტროლებდა სასულიერო ხელისუფლებასაც, დასავლეთ საქართველოს კათალოკოსი მისი „დაყენებული“ დავით ნემსაძე გახდდათ (33, 75).

გაბრიელმა და კაციამ ინტრიგებით ოდიშის ტახტი ჩაიგდეს ხელში და რაღა თქმა უნდა თავიანთ ახალშეძენილ სამთავროს გამგებლობაში ლეჩხუმის მოთავსებაც განიზრახეს. კაციას გაბრიელის ავტორიტეტით მთელი ლეჩხუმი ემორჩილებოდა (24, 842). გარდა ამისა გაბრიელმა შეძლო თავისი თავდაპირველი და შემდგომი სამფლობელოები და გავლენა, რაც ცაგერლობის დროს მოიპოვა და შემდგომში ჭყონდიდის საეპისკოპოსოს მფლობელობის უამს ხელში ჩაიგდო, ერთურთს მჭიდროდ დაუკავშირა, რითაც ლეჩხუმზე გავლენა გააძლიერა.

კაციას შთამომავალი ოფიციალურად XVIII-საუკუნის დასაწყისში გახდა ოდიშის მმართველი. ჩიქოვან-დადიანებს ლეჩხუმის გამო მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ იმერეთის მეფის კართან. ლეჩხუმიც ორ ბანაკად იმერეთის და ოდიშის მომხრეებად იყო გაყოფილი.

ლეჩხუმელთა რაზმი პირველად მეფის ლაშქარს 1684 წელს უპირისპირდება. მეფე **ალექსანდრე** ბაგრატის ძის წინააღმდეგ წასულ გიორგი გურიელის ლაშქარში რაჭის ერისთავისა და ბექან ლორთქიფანიძის გვერდით მოიხსენიება გიორგი ლიპარტიანი, ოდიშის ფაქტობრივი გამგებელი, რომლის გავლენამაც განაპირობა ლეჩხუმელთა იმერეთის მეფის საწინააღმდეგო ბანაკში გამოჩენა. გიორგი გურიელი მოკავშირეებითურთ ამ ოში დამარცხდა. სამი წლის შემდეგ, 1687 წელს, **ალექსანდრე** მეფე რაჭის ერისთავის დასასჯელ

ექსპედიციას აწყობს, თუმცა მაინც შედეგიანი დასასრულით ვერ აგვირგვინებს. რაჭაში მის წინააღმდეგ რაჭველებთან ერთად ლეჩეუმელებიც იბრძვიან.

ცოტა ხნის შემდეგ, რაჭის ერისთავისა და ქართლის მეფის გიორგის მხარდაჭერით არჩილი (იმერეთის ყოფილი მეფე მცირე ხნით) იმერეთის ტახტის ჩაგდებას ცდილობს. ამ შემთხვევაში, ლეჩეუმელები ალექსანდრეს მხარეზე დგანან – იმერეთ-ლეჩეუმის ჯარები **არჩილის** მომხრეებს ამარცხებენ. ჩანს ლეჩეუმელთა სამხედრო წრეებში (თავადაზნაურობა), დიდია გიორგი ლიპარტიანის გავლენა. მეფის ბანაკში ლეჩეუმელთა კვლავ დაბრუნება ალბათ მისი წინასწარგანზრახული, ანგარიშიანი სვლა იყო. არჩილის დამარცხებისთანავე ალექსქნდრემ და გიორგიმ ურთიერთ კავშირზე მოილაპარაკეს და ალექსანდრემ ლიპარტიანს ლეჩეუმი აღუთქვა.

გიორგი ლიპარტიანი თავს ლეჩეუმის მმართველად თვლიდა. თუმცა იმერეთში კვლავინდებურად გამეფებული არჩილი ასე არ ფიქრობდა. გიორგი ლიპარტიანმა ლეჩეუმის დაუთმობლობა არჩილს ძვირად დაუსვა: მან არჩილს ლეჩეუმის გადაცემა მაშინ მოსთხოვა როცა მათ ჯარებს ის-ის იყო თურქების გარნიზონი უნდა ჩაბარებოდა და ქუთაისი უნდა გაეთავისუფლებინათ. უარის მიღების შემდეგ ლიპარტიანმა დამით ციხიდან თურქები გამოიყვანა, დაუტოვა სურსათ-სანოვაგე და თავისი ჯარებით ოდიშს მიაშურა. არჩილმა ქუთაისი ვერ აიღო და შემდგომში იმერეთიდან წასვლაც მოუხდა.

ეტყობა გიორგი ლიპარტიანს არ აკმაყოფილებდა ლეჩეუმში მისი ბატონობის მცირე ხარისხი და ყოველმხრივ ცდილობდა გაემყარებინა საკუთარი ხელისუფლება. მან ლეჩეუმელთა ურჩობის გამო უახლოეს მეგობარს, იმერეთის იმჟამინდელ ფაქტობრივ ხელისუფალს გიორგი აბაშიძეს მიმართა. გაერთიანებული ლაშქრით მოკავშირეები ლეჩეუმში შევიდნენ: „გათხარეს მთა რაჭა-ლეჩეუმისა თოვლიანი და შევიდნენ ლეჩეუმს, ურჩნი მოსწვეს, მოსტყვევნეს და დაუმორჩილა ლიპარტიანსა“ (24; 860, 861).

გიორგი ლიპარტიანმა, ამის შემდეგ, ლეჩეუმში პოზიციები საკმაოდ გაიმყარა. მან ლეჩეუმის თავობა საკუთარ ძეს ბეჭანს მისცა, 1704 წელს კი უფროსი შვილი კაცია დადიანად დანიშნა. ამავე დროს დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი საეპისკოპოსოს, მდგდელთმთავარი გიორგის მესამე შვილი გაბრიელი იყო. ლიპარტიანი ოჯახში უფროსობდა და ზემოთხამოთვლილ ხელისუფალთა მმართველი გახლდათ. მიუხედავად რიგი წარმატებებისა გიორგი ლიპარტიანმა ლეჩეუმში ჩიქვან-

დადიანთა ბატონობა აბსოლუტური ვერ გახადა. როგორც ჩანს, ლეჩეუმელი თავადაზნაურების ნაწილი სიტუაციისდამიხედვით ხან იმერეთის მეფის ხან კი ოდიშის მთავრის მხარეს იჭერდნენ. ვახუშტის ცნობით ლიპარტიანს ლეჩეუმის სრული შემომტკიცება საბოლოდ მაინც ვერ მოუხერხებია: „თავობდა ლეჩეუმს და ქნინდა დაიპყრობდა“ (24; 856, 857).

XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნის დასაწყისში იმერეთის სამეფო და დასავლეთ საქართველოს სათავადოები შინაომებით არის მოცული. იმერეთის ტახტზე იმერელი ბაგრატიონების გარდა ქართლელი ბაგრატიონებიც აცხადებენ პრეტენზიას, ზოგჯერ გურიელიც მეფობს. ასეთ არეულობაში უკეთებები სტაბილური პოლიტიკური ერთეული დადიანთა სამფლობელოა, რომლის როლიც ლეჩეუმთან ერთად განუზომლად დიდია – დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის სამხედრო დაპირისპირების დროს უმეტეს შემთხვევაში ის მხარე იმარჯვებდა ვისკენაც დადიანი, „მპყრობელი ოდიშ-ლეჩეუმისა“ იყო (22, 166).

ლეჩეუმელთა მონაწილეობა, XVIII საუკუნის დასაწყისში გ. აბაშიძის მიერ ოსმალებისაგან თავდაცვით ომებშიც ჩანს. სხვა დიდებულებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს ლაშქრის შემკრები არიან გიორგი ლიპარტიანი და ვინმე ქვარიანი (69; 44, 45). გიორგი ლიპარტიანი ამ დროს ლეჩეუმს პატრონობდა, ხოლო ქვარიანი, ლეჩეუმის წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, სავარაუდოდ გავლენიანი და სამხედრო თვალსაზრისით დაწინაურებული პირი უნდა იყოს. ლეჩეუმელთა რაზმები ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. თურქები თუმცა რამოდენიმე მთავარ ციხეს იკავებენ, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ფეხს ვერ იკიდებენ და ჯარის მთავარი ნაწილის უკან დახევისას მას ქაიხოსრო იაშვილის მეთაურობით იმერეთის, რაჭისა და ლეჩეუმის ჯარი ესხმის თავს და დიდ ზარალსაც აყენებს (24, 865).

გიორგის შემდეგ დადიანი მისი ძე, ლეჩეუმის თავი ბეჭან ჩიქოვანი გახდა. ლეჩეუმი ამის შემდეგ უფრო გადაიხარა ოდიშისაკენ და უმრავლეს შემთხვევაში ოდიშის მთავრების სამხედრო ოპერაციებში დებულობდნენ მონაწილეობას. ასე გრძელდება იმერეთში სოლომონ II-ის გამუფებამდე.

ბეჭან ჩიქოვანი პოლიტიკურ ასპარეზზე დადიანის ტახტის ჩაგდებამდე გამოდის და თავისი საბატონოს, ლეჩეუმის სამხედრო ძალით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დასავლეთ საქართველოში. იმერელი თავადებისგან დევნილი გიორგი მეფე ახალციხის ფაშასთან შემწეობის აღმოჩენისთვის ძიების

ქამს სწორედ ლეჩეუმის თავს, ბეჟანს უკავშირდება – გავლენიან თავად ზურაბ აბაშიძესთან ერთად მიდის ლეჩეუმში და სამივენი ერთად იმერეთში იმ დროს გამეფებული გურიელის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ომის ბედი ლეჩეუმელებისა და თვით ბეჟანის სიმამაცეს გადაუწყვეტია. ადსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავიდან ბეჟან ჩიქოვანი გურიელის გამეფების მომხრე იყო, თუმცა მისთვის ამას ხელი არ შეუძლია ყოფილი თანამოაზრებისთვის დალატაში.

ბეჟანი ასევე მოხერხებულად და დალატით იგდებს ხელში დადიანობას – იგი უკავშირდება იმერეთის მეფეს, უხდის მას 4 000 მარჩილს და მეფის დავალებით მას ეხმარებიან რაჭის ერისთავი და აბაშიძე. ბეჟანი ამ ძალას საბუთარი მამის, გიორგი ლიპარტიანის წინააღმდეგ რაზმაგს და მას აძვევბს კიდეც ოდიშიდან. ბეჟანი მამამისს მოტყუებით იგდებს ხელში და საბოლოოდ იმარჯვებს ოდიშის ტახტისთვის ბრძოლაში.

გადადიანების შემდეგ, ყოფილი ლეჩეუმის თავი და მასთან ერთად ლეჩეუმელთა რაზმები უფრო აქტიურდებიან და შინაომებში ერთ-ერთ მთავარ როლსაც ასრულებენ.

ბეჟან დადიანისა და ალექსანდრე იმერთა მეფის (ბაგრატის ძე) ქიშპობას ლეჩეუმელთა დარბევა-აწიოკებაც მოხდევდა თან. ბეჟან დადიანი და ზურაბ ერისთავი თურქების მიერ გამოგზავნილ ისაყ ფაშას ჯარს ებრძვიან. ისაყ ფაშა ალექსანდრეს გამეფების მომხრეა. ბეჟანი და ზურაბი მათთან ბრძოლაში მარცხდებიან და ლეჩეუმში იხინებიან. თურქთა მარბიელი ლაშქარი ლეჩეუმში მისდევს მოკავშირეებს და ამ კუთხეს საშინლად აწიოკებს (24; 881, 882). ბეჟან დადიანი იძულებული იქნა სხვა გზას გასდგომოდა – მან ისაყ ფაშა მოქრთამა, შემოირგა და იმასაც მიაღწია, რომ ალექსანდრეს მეურვედ დაუდგა, ფაქტობრივად გახდა იმერეთის სამეფოს მმართველი. ბეჟან დადიანი, მიუხედავად მისთვის საკუთარი ქმის, გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელისა და გიორგი იმერთა მეფის ცოლყოფილის, თამარის დაგებული მახებისა, ახერხებს თურქების კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. საგარაუდოდ, თურქების გარნიზონები ამ დროს ლეჩეუმის ციხეებშიც დგანან. თურქთა ლეჩეუმში ხანგრძლივად ყოფნის ფაქტები ისტორიული ცნობებით არ შემონახულა. არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ თურქები (თათრები) ლეჩეუმში სამიოდ წელი ყოფილან – თათრებს მხოლოდ ერთხელ დაუპყრიათ ლეჩეუმი და აქ გაჩერებულან. იმდენ ხანს გაჩერებულან, რამდენი ხანიც ატმის კურკის მიწაში მოხვედრიდან მისგან ნაყოფის გამოდებამდე არის საჭირო (პ. მ. ეთნოგრაფიული სავალე დღიური).

მართლაც, ლეჩეუმის ტერიტორიაზე უცხოტომელთა ხანგრძლივი დროით ყოფნის სხვა ფაქტი არ გაგვაჩნია. ლეჩეუმელთა მახსოვრობას შემორჩენილი თათართა იქ ყოფნა, არა გვგონია რომ სოლომონ II-ის დროს უკავშირდებოდეს – სოლომონის ჯარებმა XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე მართლაც დაიკავა ლეჩეუმი (რიონის ხეობა) და მის არმიაში ლეკთა 1500 კაციანი რაზმიც იბრძოდა.

თურქთა დატოვება ბეჟან დადიანს ლეჩეუმში პოზიციების გასამაგრებლად სჭირდებოდა. რადგან ამ რეგიონში ძლიერი იყო გაბრიელ ცაგერელის გავლენა. გარდა ამისა, ბეჟანმა, რომელიც გადადიანებამდე ლეჩეუმის თავი იყო კარგად იცოდა ამ კუთხის თავისებურებები, იქ არსებული წინააღმდეგობები და საშუალებები, რითაც შეეძლო დაემორჩილებინა ლეჩეუმელი თავაღ-აზნაურობა. ბეჟანს, ლეჩეუმში საომარი ქმედებების ჩატარებამ მისი გამთავრებისთანავე მოუწია. ვახუშტის ცნობით, ყოფილ ლეჩეუმის თავს, ამ კუთხის ხელახლი შემომტკიცება მკაცრი რეპრესიებით მოუხერხებია (24, 879).

ბეჟანის მმართველობა ლეჩეუმისათვს ნიშანდობლივი იმითაა, რომ ამ დროიდან ლეჩეუმი უკვე მტკიცედ გადადის ოდიშის მთავრების ხელში და მათ სამთავროს უერთდება. შესაბამისად ლეჩეუმელი მოლაშქრეებიც დადიანთა სამხედრო მიზნებს ემსახურებიან, რაც უმთავრესად იმერეთის მეფის წინააღმდეგ მიმართული ზრახვების განხორციელებში გამოიხატებოდა. ბეჟანის მმართველობის პერიოდში ოდიშ-ლეჩეუმის ჯარი ხშირად ლაშქრავდა იმერეთს, ხანდახან მათ მოკავშირებად აფხაზთა მთავრის ჯარებიც პყავდათ.

ლეჩეუმელთა რაზმი 1734 წელს ოტია დადიანის, ზ. აბაშიძის, რაჭის ერისთავისა და მამუკა უფლისწულის აჯანყებაში მონაწილეობდა. აჯანყებულებს მეფე ალექსანდრეს ჩამოგდება სურდათ. მეფის მხარეზე იყვნენ მამია გურიელი, ლევან აბაშიძე, დადიანის ძმა კაცო, ბარის ერისთავი გედეონი და მერაბ წულუკიძე. აჯანყებულები, რომლის უმრავლეს ნაწილს რაჭველები და ლეჩეუმელები შეადგენდნენ დამარცხდნენ. ვახუშტის ცნობით უამრავი ლეჩეუმელი და რაჭველი მეომარი გაიყიდა ოსმალებზე.

ტყვედ ჩავარდა დაჭრილი ოტია დადიანიც. მეფე ალექსანდრემ მას თავისუფლების სანაცვლოდ ლეჩეუმის დათმობა მოხსოვა. დადიანი როგორც ჩანს ლეჩეუმს უდიდეს სტრატეგიულ დანიშნულების მხარედ თვლის და ტყვეობაში მყოფიც კი უარზეა დათმოს ეს კუთხე. საბოლოოდ მეფეს დადიანი საჭილაო-სამიქელაოს აძლევს და ამით თავისუფლდება (24, 888).

ოტია, ამის შემდეგაც, აქტიურად ებრძვის მეფე ალექსანდრეს. 1740 წელს ლეჩხეუმელი მეომრები კვლავ ალექსანდრეს წინააღმდეგ იბრძვიან. როგორც ჩანს, ერთი ხანობა მეფეს მოწინააღმდეგენი დაუმარცხებია და ის პერიოდი როცა მეფე დადიანებზე მძლავრობდა, ლეჩხეუმი ცოტა ხნით სამეგრელოს მთავრის იურისდიქციიდან უნდა გამოსულიყო. 1745 წელს, ლეჩხეუმის თავი, მეფის ერთგული, რაჭკელი თავადი მერაბ წულუკიძეა (67, 55).

ლეჩხეუმელი მოლაშქრეები 1757 წელს ხრესილის ომში მონაწილეობენ. სოლომონ I ახალციხის ფაშის, აჭარის სანჯაყის, ლევან აბაშიძის და წულუკიძის ლაშქარს დაუპირისპირდა – მეგრელთა და ლეჩხეუმელთა რაზმების თავდაღებულმა ბრძოლამ დასაწყისში მეფის მოწინააღმდეგების მიერ მიღწეული წარმატებები გააბათილა და მეფის ჯარის გამარჯვება განაპირობა (22, 178).

ლეჩხეუმისათვის ბრძოლა სოლომონ I და სოლომონ II-ის დროსაც გრძელდებოდა. სოლომონ I-ის დროს ლეჩხეუმი დადიანების ხელშია. სოლომონ I დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ჩიქოვან-დადიანების მოკავშირეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მეფემ კარგად იცოდა, რომ მისი მთავარი მიზნების განხორციელება, თურქთა განდევნა და თავკერძა თავადების ალაგმვა, ოდიშის მთავრებთან მტრობის პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომაც მეფობის პირველ ხანებში ლეჩხეუმზე ხელი აიღო. თუმცა სოლომონ I-ის მმართველობის მიწურულს ოდიშ-იმერეთის ურთიერთობა დაიძაბა. დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი კვლავ ლეჩხეუმი გახდათ. მალე კოფილმა მოკავშირეებმა კვლავ ომის გზით დაიწყეს ურთიერთობების გარკვევა. ამ დაპირისპირებამ კულმინაციას სოლომონ II-ის მეფობის დროს მიაღწია.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დადიანი უკვე მყარად ფლობდა ლეჩხეუმს და თავისი გავლენა ამ დროს ლენტეხის თემზეც გაავრცელა (18, 109).

ლეჩხეუმელები კაცია II დადიანის ბანაკში არიან XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც. ამ დროისათვის დადიანის ლაშქარი 6000 ჯარისკაცისაგან შედგება. მათგან ორიათასამდე რჩეული ლეჩხეუმელი მეომარია, რომელნიც საუკეთესონი არიან სამეგრელოს არმიაში (91, 74). რუსი მოხელის ეს ცნობა 1770 წლის მდგომარეობას ასახავს და გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ლეჩხეუმის სამხედრო ძალების საუკეთესო ნაწილები მთლიანად დადიანის განკარგულებაშია. 1860 წლის, ე. ი. ამ ცნობიდან ერთი საუკუნის შემდეგ

ლეჩეუმში აზნაურთა 374, ხოლო თავადთა 43 კომლია (93, 196). ცხადია, ასი წლის მანძილზე თავადაზნაურთა რიცხვი მნიშვნელოვნად არ უნდა შემცირებულიყო, 400-ზე ოდნავ მეტი წარჩინებულის ოჯახი კი რაღა თქმა უნდა საკარისი არ იქნებოდა 2000 მეომრის შესაკრებად. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია დადიანის ლაშქრის ლეჩეუმის რაზმის შემადგენლობის უმეტესობა მსახური გლეხები ყოფლიყვნენ. თუმცა ასეთი შემადგენლობის რაზმიც გამორჩეული ყოფილა დადიანის ტრადიციულად ბრძოლისუნარიანობით ცნობილ ლაშქარში და ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ლეჩეუმელთა მაღალ სამხედრო შესაძლებლობებზე. არ არის გამორიცხული, რომ დადიანები სამხედრო ძალებს ქვემო სვანეთიდანაც ავსებდნენ. 6. დადიანის ცნობით აფხაზების წინააღმდეგ ბროლაში ოდიშის მთავრის ლაშქარში ლეჩეუმელებთან ერთად სვანებიც მონაწილეობდნენ (22, 179). ლეჩეუმთან ერთად ლენტეხის თემზე დადიანის უფლებების გავრცელების ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს 1803 წელს დადიანის მიერ რუსეთის ერთგულებისა და ქვეშემრდობაზე დადებული ფიცის VII პარაგრაფი, რომელშიც გარკვევით არაფერია ნათქვამი ლეჩეუმისა და ლენტეხის სტატუსზე, თუმცა ჩანს რომ ეს მხარეები დადიანის სამფლობელოებია: ხელშეკრულების ამ პარაგრაფში დადიანი რუსეთის მეფეს თხოვს რომ სვანეთში და ლეჩეუმში არსებული და შემდგომში გამოვლენილი სამთო საბადოებიდან შემოსავლის გარკვეული წილი მასაც შეახვედრონ, დანარჩენი კი სახელმწიფომ მოიხმაროს.

ლეჩეუმი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის პოლიტიკაში ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოლომონ II-ის გამეფებას ლეჩეუმში ეყრება საფუძველი – კაცია დადიანის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ძალიან ახალგაზრდა გრიგოლ დადიანი ადის. იგი ვერ უძლებს იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის აგრესისა და თავს ლეჩეუმს აფარებს. ოდიშისა და იმერეთის დიდებულებს ლეჩეუმში ჩაყავთ იმერეთის ტახტის მაძიებელი დავით არჩილის ძე, მას ცოლად რთავენ გრიგოლ დადიანის დას და ლეჩეუმიდან იწყებენ მოქმედებებს იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე, ლეჩეუმის თავი, ქაიხოსრო გელოგანი იყო (22, 184). გელოგანმა, დადიანმა და მათმა მომხრეებმა შეძლეს თავიანთოვის სასურველი დავით არჩილის ძის გამეფება, რომელიც ტახტზე სოლომონ II-ის სახელით ავიდა. ქაიხოსრო გელოგანის ძლიერება ამ ფაქტის შემდეგ უფრო მატულობს. ის ლეჩეუმის თავიცაა და ოდიშის დიდებულთაგან ერთ-ერთი ყველაზე

გავლენიანია – „დიდად შემძლე იყო უმა დადიანისა ქაიხოსრო გელოვანი, რომელიც თავობდა ლეჩეუმს და მძლავრობდა ოდიშშიც“ (22, 184)

მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის დასაწყისში მოკავშირეები იყვნენ, სოლომონსა და გრიგოლს შორის მტრობა მაღვევე ჩამოვარდა. მათი დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი ისევ ლეჩეუმია, სადაც მათი მმართველობის ბოლო წლებში სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობს. მეფისა და დადიანის დაპირისპირებაში კვლავ უდიდეს როლს თამაშობს, ლეჩეუმის თავი ქაიხოსრო გელოვანი, რომლის შემწეობითაც სოლომონი ამარცხებს გრიგოლს და ეს უკანასკნელიც იძულებულია აფხაზეთს შეაფაროს თავი. დადიანის ტახტზე გრიგოლის მმას მანუჩარს სვამენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ოდიშში აფხაზებისა და ერთგული ოდიშის დიდებულების ლაშქრით დაბრუნებულ გრიგოლს ისევ ქაიხოსრო ებრძვის თავისი ლაშქრით და ამარცხებს კიდეც მათ (22, 187). გრიგოლი ფაქტიურად განდევნილია. მისი ერთგული დიდებულებიც დამორჩილებული ყავთ მეფესა და გელოვანს და გრიგოლის მომხრეები მხოლოდ ორგან – ჭაქვინჯისა და მურის ციხეებში არიან გამაგრებული. მურის მეციხოვნეებს ხოსია გასვიანი მეთაურობს.

გრიგოლი ყოველნაირად ცდილობს სოლომონთან საერთო ენის გამონახვას. ამ საქმეში ერეკლე მეფესაც რთავს, რომელიც სოლომონთან მოსალაპარაკებლად თავის ძეს ალექსანდრეს და შვილიშვილ იოანეს გზავნის. თუმცა, მიუხედავად ასეთი ავტორიტეტული პირების ჩარევისა, სოლომონი დადიანთან შერიგებას მაინც უარობს. გრიგოლი ამის შემდეგ ქაიხოსრო გელოვანთან ცდილობს საერთო ენის გამონახვას – მას საკუთარ აღმზრდელს, გიორგი დადიანს შეუჩენს და ქაიხოსროც გრიგოლის მხარეზე გადადის. ამის შემდეგ ლეჩეუმში მიდის დადიანის მეუღლე, ერეკლე მეფის ქალიშვილი ნინა და მას ლეჩეუმელი დიდებულები გრიგოლის ერთგულების ფიცს აძლევენ. ცოტა ხანში გრიგოლი დადიანობას კვლავაც ლეჩეუმიდან, ქაიხოსრო გელოვანის შემწეობით იძრუნებს.

სოლომონს, თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში დიდი ძალისხმევა ჰქონდა მიმართული ლეჩეუმის შემომტკიცებისაკენ. გრიგოლ დადიანი, ოდიშის მთავარი ლეჩეუმს თავისად თვლიდა. მეფესა და მთავრის დაპირისპირებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლეჩეუმის თავები, რომლებიც იმ დროს გელოვანთა გვარისანი იყვნენ, და ლეჩეუმელი თავადაზნაურები. XIX საუკუნის დასაწყისიდან კი ამ საქმეში ჩაერთო რუსეთის სახელმწიფო, რომლებიც

ლეჩხუმს, მეფესთან და დადიანთან ურთიერთობაში მათზე ზემოქმედების საშუალებად იყენებდა, არც ერთს აძლევდა მისი ბოლომდე დამორჩილების საშუალებას და არც მეორეს და ორივეს ამ კუთხის გადაცემის სანაცვლოდ ერთგულებას სთხოვდა. 1804 წლის, ერთ-ერთ წერილში მთავარმართებელი ციციანოვი ლიტვინოვს, რომელიც დასავლეთ საქართველოს საქმეებს აგვარებს, წერს, რომ ლეჩხუმის პრობლემის ყველაზე უპრიანი გადაწყვეტილება ამ კუთხის ორად გაყოფა და დადიანისთვის და მეფისთვის ნახევარ-ნახევრის გადაცემა იქნება, რაც ორივეს დასუსტებას გამოიწვევს (92, 381). მართლაც, სოლომონის მეფობის ბოლო წლებში ლეჩხუმი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. 1802 წელს სოლომონმა ლეჩხუმში ჯარი შეიყვანა. მეფე მანუჩარ დადიანთან ერთად ჭყვიშის ციხესთან დაბანაკდა. მეფის მხარეზე აღმოჩნდა „ლეჩხუმსა შინა შემძლე კაცი“ ბააკა ჩიქოვანი. გრიგოლი მურის ციხეში გამაგრდა და მეტი გზა რომ არ დარჩენოდა სოლომონთან მოლაპარაკებას შეუდგა – გრიგოლმა სოლომონს მანუჩარ დადიანთან ურთიერთობის გაწყვეტის სანაცვლოდ ჭყვიშის ციხის გადაცემა აღუთქვა, რითაც ფაქტიურად უარი განაცხადა რიონის ხეობის ლეჩხუმის, კდედაღმართის სოფლებზე. სოლომონი დათანხმდა წინადაღებას, თუმცა გრიგოლმა შემოირიგა რა თავისი ძმა, მანუჩარ დადიანი, პირობა არ შეასრულა. სოლომონმა ჭყვიში აიღო, შემდეგ გრიგოლის მომხრე ლეჩხუმელთა რაზმი უსახელოსთან დაამარცხა და გადავიდა ლაჯანურის ხეობაში. ლეჩხუმის შემდგომი სტრატეგიული პუნქტი, დევირის ციხე მეფეს საქმაოდ გამაგრებული დაუხვდა. მეციხოვნებს, აზნაური ბეჟან ყრუაშვილი მეთაურობდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ბეჟანის რაზმს აღყა გაურდვევია და მურში დადიანთან მისულა. დადიანმა სოლომონს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სამეგრელოში გაიქცა. გრიგოლს აფხაზთა მთავარი ქელაიშ-აქმად ბეგი ეხმარება და სოლომონი მას უკან გაბრუნების შემთხვევაში გრიგოლზე თავდაუსხმელობის პირობას აძლევს. თუმცა აფხაზთა ჯარის წასვლის შემდეგ სოლომონი ოდიშს აოხრებს და შემდგომ ისევ ლეჩხუმისკენ მიემართება და გორდის ციხეს უტევს, თუმცა უშედეგოდ, ციხეში გამაგრებული დადიანის მომხრე ჩიქოვანები თავს წარმატებულად იცავენ. სოლომონმა ლეჩხუმის თავად ბერი გელოვანი, ქაიხოსრო გელოვანის შვილი დასვა. ქაიხოსრო გელოვანი, ყოფილი ლეჩხუმის თავი გავლენიანი კაცი გახდდათ. მის პოზიციაზე დიდად იყო დამოკიდებული ლეჩხუმის ბედი. ქაიხოსროც საკუთარი მიზნების გამო ხან ერთ ბანაკში აღმოჩნდებოდა, ხან მეორეში. როგორც ჩანს, ქაიხოსრო გელოვანის განდიდება

მეფისთვისაც და გრიგოლისთვისაც საშიში გამხდარა და ამ ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ხელისუფლისთვის ძალიან დიდ პრობლემად ქცეულა. დადიანმა, მიუხედავად იმისა, რომ ქაიხოსრო იმხანად მისკენ იხრებოდა, მისი ორგული ხასიათისა და ძალიან დიდი ავტორიტეტის გამო მოაკვლევინა, ხოლო თავი სოლომონს გაუგზავნა. არსებობს მოსაზრება, რომ ქაიხოსრო გალოვანის მკვლელობა დადიანმა და სოლომონმა ერთობლივად დაგეგმეს (22, 190).

სოლომონ II-მ ლეჩხუმი დიდი ხნით ვერ შეინარჩუნა, ლეჩხუმელ თავადთა უმეტესობაც დადიანის მხარეს აღმოჩნდა. სოლომონი ისევ ძალით ცდილობდა ლეჩხუმის დაპყრობას. მას ამ მიზნისათვის ახალციხის ფაშისთვის 1500 ლეკი ჰყავდა გამორთმეული და ქირასაც უხდიდა. 1804 წლისთვის ცხენისწყლის ლეჩხუმის ციხეებს დადიანი აკონტროლებს. მისი ჯარები დეხვირის ციხეში სოლომონის მეციხოვნებებს ავიწროვებენ. თუმცა რომ არა რუსების ფაქტორი, რომლებიც აშკარად დადიანის მხარეზე იხრებოდნენ, იმრეთის მეფე დადიანს იმუამადაც განდევნიდა ლეჩხუმიდან.

გრიგოლი სოლომონ II-ისგან თავდასაცავად იძულებული იყო რუსეთისთვის მიემართა. ამ საქმესაც არ ჩაუვლია ლეჩხუმისა და ლეჩხუმელების გარეშე – დადიანმა კარის მღვდელი ასათიანი (ეჭვგარეშეა ლეჩხუმური წარმოშობის დიდებული) გაგზავნა ციციანოვთან. მღვდელი ასათიანი ლეჩხუმის გავლით გადავიდა ლენტებში, იქიდან ზემო სვანეთში, შემდეგ მოზდოკში და მოზდოკიდან ტიფლისში. ამის შემდეგ დადიანმა რუსების მფარველობა ოფიციალურად მიიღო და პირველი რაც მან რუსების ძალით გააკეთა ის იყო, რომ ბერი გელოვანს ერთგულება მოსთხოვა (22; 192, 193)

ლეჩხუმი სოლომონ II-სთვის უდიდესი მნიშვნელობის კუთხეა. მან კარგად უწყის ლეჩხუმის მნიშვნელობა იმერეთის სამეფოსთვის და ციციანოვისადმი მიწერილი ერთ-ერთ წერილში ამას ადასტურებს კიდევ: „...**Только в надежде на лечгум отдали себя в рабство Е. И. В. Лечгум причина нашего соединения**“ მიუხედავად ლეჩხუმისათვის ამგვარი მნიშვნელობის მინიჭებისა და უამრავი თხოვნისა რუსეთის ხელისუფლებისადმი მისი იმერეთისათვის მიკუთვნებისა, საბოლოოდ სოლომონ II იძულებული იქნა ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომლის ერთ-ერთ პუნქტის მიხედვით იმერეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინა ლეჩხუმის ტერიტორია. დოკუმენტის ძირითადი პუნქტები სოლომონ II-ისა და რუსეთის სახელმწიფოს ურთიერთობას განსაზღვრავდა და მიუხედავად იმისა, რომ

იმერეთის მეფეს გარკვეული პრივილეგიებსაც სთავაზობდა, ეს ხელშეკრულება ლეჩხეუმის გამო დაირღვა. სოლომონმა ჯარები ლეჩხეუმიდან არ გაიყვანა. 1804 წლისთვის ლეჩხეუმში თერთმეტი მნიშვნელოვანი ციხე ყოფილა. აქედან ხუთში სოლომონის ჯარები ედგა, სამი დადიანს ეკუთვნოდა, სამს კი ადგილობრივი თავადები აკონტროლებდნენ (92, 410). თავადები ხან სოლომონს უჭერდნენ მხარს ხან კი დადიანს. ლეჩხეუმის საკითხის გარკვევას რუსეთის ხელისუფლება განგებ აჭიანურებდა, რათა არც დადიანისათვის და არც მეფისთვის თავისუფალი ქმედებების შესაძლებლობა არ მიეცა. სოლომონი, მეფობის ბოლო წლებში აშკარად მოითხოვდა ლეჩხეუმს და ყოველთვის ცდილობდა დაედასტურებინა მისთვის ლეჩხეუმის გადმოცემის დიდმნიშვნელობა: რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში სოლომონს ფოთის აღებაში დახმარება მოხსოვნეს. ლეჩხეუმის საკითხით განაწყენებულმა სოლომონმა რუსებს უარი შეუთვალა: განზრახული გვქონდა გაგვეწია დახმარება, მაგრამ ლეჩხეუმი რომ არ დამიბრუნეთ და დადიანს მიეცით, ამის გამო შევიკავე თავიო. სოლომონი თავისი მეფობის ბოლო დღეებშიც კი, 1810 წლის 5 იანვარს მთავარმართებელ ტორმასოვისადმი მიწერილ წერილში ლეჩხეუმის შესახებ საუბრობს და ყოფილ მთავარმართებელს ციციანოვს სიტყვის გატეხაში ადანაშაულებს. 1810 წ. 20 თებერვალს სოლომონ II ოფიციალურად იქნა გადაყენებული რუსეთის ხელისუფლების მიერ, ლეჩხეუმი მიეკუთვნა სამეგრელოს სამთავროს და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

რუსეთის მეფის მმართველობის დროს ლეჩხეუმი კარგავს თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას, მას ადარც სამხედრო თვალსაზრისით აქვს ადრინდელი მნიშვნელობა. თუმცა, პირველ პერიოდში ერთგვარი ინერციით ლეჩხეუმელთა რაზმები დადიანთა ჯარში მაინც ჩანან და რუსულ სამხედრო შენაერთებთან ერთად დასავლეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობენ (22, 209).

ლეჩხეუმი 1857 წლამდე სამეგრელოს სამთავროს განუყოფელი ნაწილია, ხოლო სამთავროს გაუქმების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის ნაწილი ხდება – ლეჩხეუმის მაზრა ლეჩხეუმის გარდა ქვემო სგანეთსა და ზემო სგანეთის ნაწილსაც მოიცავდა.

## ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან

ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის მომცრო კუთხეა. მას ჩრდილოეთიდან ქვემო სვანეთი, სამხრეთიდან იმერეთი, აღმოსავლეთიდან რაჭა ხოლო დასავლეთიდან სამეგრელო ესაზღვრება. ფართობი 755,4 კვ.კმ-ია და 56 სოფელს, ერთ დაბას და ერთ ქალაქს აერთიანებს.

საქართველოს ისტორიული-გეოგრაფიის მკლევარებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ლეჩხუმის პრობლემას – წლების მანძილზე ირკვეოდა ამ კუთხის მდებარეობა, მისი საზღვრები. მიმდინარეობდა ტოპონიმიკური ძიებებიც, თუმცა ლეჩხუმის, თაკვერისა და რაჭის ურთიერთმიმართვება ყველა ისტორიული დროის მონაკვეთში, ჯერ კიდევ დია საკითხად რჩება.

ლეჩხუმის ადგილმდებარეობა ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების გარიერაჟზევე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ვახუშტი ბატონიშვილი პირველია ვინც ამ კუთხის ლოკალიზება სცადა: „ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასიამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკვერად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან. კვერსავით მდებარისა – იხილე ესე მთა კვერი, ანუ ციხისგან ფრიად მაგრისა, მუნევ თაკვერისა. ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო-ესე არს ლეჩხომი“ (24, 748).

ვახუშტი ლეჩხუმის საზღვრებსაც ადგენს და ორ სახელწოდებას თაკვერსა და ლეჩხუმს ქრონლოგიურადაც მიჯნავს – მისი აზრით თაკვერი პირველად, ბაგრატიონებამდე რაჭას უნდა რქმეოდა, ვინაიდან „ქართლის ცხოვრებაში“ მეფე ამაზასპის წინააღმდეგ აჯანყებულებს მოკავშირე ოსთა ლაშქარი თაკვერის გზით ხვდება დასავლეთ საქართველოში – „გარდოვლეს ოსთა გზა თაკვერისაო“. ვახუშტის დასკვნით გზა კავკასიონის ჩრდილოეთი მცხოვრებ ოსების ქვეყნიდან დასავლეთ საქართველოში სწორედ რომ რაჭაზეა და არა ლეჩხუმზე.

ვახუშტი, დასკვნას თაკვერი ბაგრატიონებამდე რაჭას ერქვაო, თვითვე ეწინააღმდეგება – ისტორიული გეოგრაფიის მკვლევარი ამბობს, რომ მდინარე ცხენისწყალს სანამ იგი ანაკოფიიდან უკუმოქცეულ მურვან ყრუს ჯარს დაახრიობდა თაკვერი ეწოდებოდა (24, 748). გამოდის რომ 837 წლამდე თაკვერის მდინარე რქმევია ცხენისწყალს და ბუნებრივია სახელი „მდინარე თაკვერისა“ იმ ადგილის მიხედვით შეერქვა სადაც ის მიედინება, ანუ ან

ლეჩხუმის ხევის, ანდაც გორდის მიდამოების გამო. ბიზანტიული ავტორების მიერ მოხსენიებული სკვიმები რომ დღეგანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე მოსახლენი არიან ცხადია (სკვიმინელების გზა რიონისა და ცხენისწყლის ხეობების ქვედა ციხეებით იკეტება (57, 197) სკვიმიას ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი ჩხვიმები – ჩხვიმების ბერძნულ ვარიანტად მიიჩნევენ და ძირად ცხუმს – რცხილას განიხილავენ (ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია, მ. ალავიძე). ლეჩხუმის, როგორც დასავლეთ ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მოწინავე კუთხის მნიშვნელობა ადრეფეოდალურ ხანაში, კარგად ჩანს ბიზანტიული ისტორიკოსების მიერ სპარსეთ-ბიზანტიის კოლხეთში ომის აღწერისას – ცენტრი ეგრისისა ნოქალაქევი და მისი შემოგარენია, მოხირისი კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი. სპარსთა სარდალი მერმეროე სწორედ რომ „ზურგისკენ“ მიმავალი გზების გადაჭრას ცდილობს და ცხენისწყლისა და რიონის დაბლობებში მდგარი ციხეების დაკავებით ლეჩხუმ-სვანეთის ეგრისისთვის მეტად საჭირო არტერიას კეტავს (57; 197, 202).

ლეჩხუმს შესაძლოა დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იმ მაგისტრალშიც, რომელიც ეგრისის სახელმწიფოს გულსა და მის უკიდურეს პერიფერიას, მადნით მეტად მდიდარ ზემო რაჭის ლითონის მწარმოებელ პუნქტებთან აკავშირებდა. სავარაუდოდ ლეჩხუმზე გადიოდა ლითონის მწარმოებელ ყველაზე დიდ ცენტრამდე მიმავალი გზა, რომლის კონტროლი და შეუფერხებლად ფუნქციონირება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა ყოფილიყო. თუმცა ჯერ ეგრისის და შემგდომში აფხაზთა სამეფოს დაკნინების შემდეგ, რამაც სახელმწიფო და საწარმოო (X-XI საუკუნიდან ქართველ ხელისუფლებს ყურადღება ქვემო ქართლის მადნით მდიდარმა მხარეებმა მიიპყრეს.) ცენტრები აღმოსავლეთით გადასწია, ლეჩხუმის როგორც მადნის მწარმოებლებთან მეკავშირის როლი შეამცირა (4, 58).

თაკვერისა და ლეჩხუმის ურთიერთმიმართების დასადგენად დროში უპან დახევა დაგვჭირდება: წერილობით წყაროებში განსახილველი ადგილის შესახებ ქრონილოგიურად ყველაზე ადრინდელი ცნობა IV საუკუნის ამბებს აღწერს და ამ ადგილს თაკვერად მოიხსენიებს – XI საუკუნის ისტორიკოსი, ლეონტი მროველი ეგრისის ერისთავთან ამზად მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად წამოსული ოსების ეგრისში ჩასასვლელ გზად თაკვერს ასახელებს: „გარდმოვლეს ოვსთა გზა თაკვერისა და მოვიდნენ იგინიცა

მუნვე“ (79, 57) რაჭისა და ლეჩხუმის ადგილმდებარეობის დადგენა ისტორიული გეოგრაფიის პირველმა ქართველმა მკვლევარმა, ვახუშტი ბატონიშვილმა, სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით სცადა – მისი აზრით თაკვერი პირველად, ბაგრატიონებამდე რაჭას უნდა რქმეოდა, ვინაიდან „ქართლის ცხოვრებაში“ მეფე ამაზასპის წინააღმდეგ აჯანყებულებს მოკავშირე ოსთა ლაშქარი თაკვერის გზით ხვდება დასავლეთ საქართველოში – „გარდმოვლეს ოსთა გზა თაკვერისაო“. ვახუშტის დასკვნით გზა კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრებ ოსების ქვეყნიდან დასავლეთ საქართველოში სწორედ რომ რაჭაზეა და არა ლეჩხუმზე.

ლეჩხუმის/ლეჩხუმელთა იგივე სკვიმების, თაკვერის/თაკვერელების და რაჭა/რაჭელების, როგორც ერთ დიდ გაერთიანებაში შემავალი პატარ-პატარა ისტორიული ქვეყნების ურთიერთმიმართებაც საკმაო ინტერესს იწვევს. ქართველი ჟამთააღმწერლები თაკვერს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე რაჭასთან ერთად (31; 27, 33, 65). ერთ-ერთ წყაროში კი მოხსენიებულია თაკვერისა და არგვეთის ერისთავი ბაკური, რომელიც V საუკუნეში ერისთავობდა (91, 185). ბაკური ვახტანგ გორგასლის მოხელეა და ალბათ არგვეთისა და თაკვერის ერთ საერისთავოდ გაერთიანებაც ქართლის სამეფოს დასავლეთით ექსპანსიაზე მიგვითითებს. რაჭა-ლეჩხუმი ერთ საერისთავოდ იხსენიება აფხაზთა სამეფოში, VIII საუკუნეში, ლეონ II-ის მეფობის დროს (24, 796).

ბიზანტიელი ისტორიკოსები თაკვერს ნაკლებად იცნობენ: თეოდოსი განგრელის ცნობით აბაზგის მახლობლად არის თაკვრის ციხე (შესაბამისად თაკვერიც), სადაც ბიზანტიიდან დევნილი ცნობილი დვთისმეტყველის მაქსიმე აღმსარებლის თანამოაზრე ანასტასი გამოკეტეს (26, 43). განგრელის ამ ნაწარმოების ლათინურ თარგმანში კი „ყველაფერი რიგზეა“ – თაკვრის ციხე იბერის მახლობლად მოიხსენიება, რაც თავისთავად კარგად ეწყობა პროკოპის ცნობას, რომ ლაზთა ქვეყნის შიდა მხარეების (ე.ი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთი მხარეები) შემდგომ იწყება იბერია (57, 127). ამავე ავტორის მეორე ცნობით სვანისა და სკვიმის ხელში ჩაგდებით სპარსელები იკავებენ ტერიტორიას მოხირისიდან იბერიამდე (57, 202). გამოდის, რომ სკვიმის აღმოსავლეთი საზღვარი იბერიასთან აქვს. ირანელი სარდალი მერმეროე კი იბერიის საზღვარზე სარაპანისში (შორაპანში) აშენებს ციხეს და ზამთრადაც იქ რჩება (48; 203, 204). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკვიმთა გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობა, ან თავად სკვიმები აღმოსავლეთით შორაპანამდეც კი უწევდნენ.

პროკოპისავე ცნობით სკვიმების შემდეგ მიუვალ და მაღალ მთებში იძერიელთა ქვეშევრდომი მესხები ცხოვრობენ (57, 127). სკვიმინებს ჭანების ქვეყნის შემდგომ მოსახლე ტომად სუანების, აფსილებისა და აბაზების გვერდით მოიხსენიებს პროკოფის თანამედროვე ბიზანტიული ისტორიკოსი იუსტინიანეც (32, 37).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თაპვერი IV საუკუნის ამბების თხრობისას XI საუკუნის წყაროში იხსენიება, VI–VII სს-ების ბიზანტიული ისტორიკოსები სკვიმებს იცნობენ, X საუკუნიდან პირველად იხსენიება რაჭა (8, 75). რაჭა-ლეჩეუმის და რაჭა-თაკვერის ერთ საერისთავოდ მოაზრება ტრადიციულია ქართული ისტორიოგრაფიისთვის (ვახუშტი; „ისტორიანი და აზმანი“). ლეჩეუმის (თუ არ ჩაგთვლით, რომ სკვიმია/სკვიმინების სამთავრო იგივე ჩხვიმებით დასახლებული ქვეყანა, ანუ ლეჩეუმია) ხსენება კი პირველად XV ს-ის ერთ-ერთ დოკუმენტში გვხვდება (36, 126).

თაპვერისა და ლეჩეუმის ურთიერთმიმართების დასადგენად მნიშვნელოვანია თაკვერის ციხისა და მთა კვერის, თაკვერის მთის ადგილმდებარეობის გარკვევა. ვახუშტის თაკვერის ციხის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენაც უცდია. მისი თქმით იგი მდებარეობს ცხენისწყლის და გორდს ზემოთ ჩრდილოეთიდან გამომავალი წყლის შესართავებში. ვახუშტის ამ ცნობას ეხმაურება და რიგი ტოპონიმიკური დაკვირვების შედეგად ჯ. შარაშენიძე მიიჩნევს, რომ თაკვერის ციხე იგივე ზუბის ციხეა. ზუბის ციხე მდებარეობს მდინარე ცხენისწყლისა და მდ. კვერეშულას შესაყარზე. ჯ. შარაშენიძე ტოპონიმიკას იშველიებს: მდ. კვერეშულა გასდევს გორა კვერეშიგვერდს და სათავეს იდებს ასხის მთის ადგილ საკვერიედან. აგრეთვე ამ ადგილებში (ასხის მთაზე) არის საბალახო თაკვერა. თვით კვერეშულას ძირი კვერიდანაა წარმოქმნილი – კვერ-ეშ-ულ-ა – კვერ – ფუძე, ეშ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სვანურში, ულ – კნინობითი (სვანურში) = (მთა კვერის პატარა მდინარე) (74, 12 – 25)

ზუბის ციხიდან არც თუ ისე შორს მდებარეობს ორი მცირე ციხე – ქვაბიკარა და ქვაწითელი. ციხეების ასეთი თავმოყრა მნიშვნელოვანი ბიძგია ამ აზრისკენ, რომ ზუბის ციხე შესაძლოა თაკვერის ციხე, თაკვერის ადმინისტრაციული ცენტრი იყოს.

თუმცა, ამ აზრის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ კვერეშულა „ჩრდილოდამ“ არ ერთვის ცხენისწყალს, ის მისი მარჯვენა შენაკადია, ე.ი. დასავლეთიდან უერთდება. გარდა ამისა არის კიდევ ერთი მძლავრი

პრეტენდენტი თაკვერის ციხეობისა – კინჩხას ციხე. რომელიც ცხენისწყლისა და მისი ჩრდილო შენაკადის მახლობლად მდებარეობს. კინჩხას ციხე საქმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ახლა მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. თანაც ეს ციხე დაჟურებს მთა საკვერიას. (7; 63 – 75) საკვერია შეიძლება იქნეს გაგებული როგორც კვერის მთისკენ მიმავალი გზის, მისი მისაღგომის აღმნიშვნელი ადგილი. (მაგალითად სა – ჯვარო – ჯვარისკენ მიმავალი გზა) ჯ. შარაშენიძე სწორედ აღნიშნავს, რომ კვერის მთაზე, ამჟამად ასხის მთაზე კინჩხადანაც შეიძლება მოხვდე. კინჩხას ციხე და გორდის მიდამოები უმოკლესი მოსახერხებელი გზაა იმერეთისკენ ცხენისწყლის ხეობიდან.

გახუმტის განმარტებამ „იხილე მთა იგი კვერი“ და შემდეგ ლეჩეუმის სახელწოდების ხვამლის მთასთან დაკავშირებამ (24; 748), აგრეთვე ხვამლის მთის მოხაზულობამ, მისმა როგორც თავშესაფრისა თუ განბოსაცავის და უაღესად დიდი რელიგიურ-სარიტუალო დანიშნულებამ წარმოშვა ხვამლისა და კვერსავით მდებარე მთის ერთიდაიგივეობის იდეა (54, 19). ხვამლის მთა მართლაც შთამბეჭდავია – სალი, თითქმის შვეული კლდეებით, წაკვეთილი თავით მართლაც მოგვაგონებს ხუროს ხელსაწყოს – ჩაქუჩს, რასაც ლეჩეუმლები კვერს უძახიან. ხვამლი დიდადი განძის საცავიცააო – „საქართველოს გაუჭირდეს, ხვამლმა არჩინოსო“ – დღესაც გაიგონებთ ლეჩეუმში ამგვარ გამოთქმას. გარდა ამისა ხვამლის მთის სიმდიდრეებზე გადმოცემებს წერილობითი საისტორიო წყაროებიც უმაგრებს ზურგს (24, 752). აქ არსებული წმინდა გიორგის ეკლესია და ხალხში არსებული გადმოცემები, რომ ამ მთას ამინდის განმგებლობის ფუნქცია აკისრია, მას მართლაც აქცვეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვნებს ადგილად ლეჩეუმში. ხვამლს მას და მასთან მისასვლელებს ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი იცავდა – დასავლეთის მხრიდან ზუბის და ისუნდრის ციხეები, საიდანაც კარგად ჩანს ხვამლის მთის მწვერვალის გზა, ხოლო დაუცვლი ნაკურალების მხრიდან უწვაშის ციხე იცავდა (7, 23).

კვლევა-ძიებამ შემდეგი აზრიც წარმოშვა: თაკვერი მოიცავდა სამ რეგიონს საკუთრივ თაკვერს – თაკვერის ციხით, გორდის მიდამოებს, ცხენისწყლის შეა წელს და ლაჯანურის ხეობას; დღევანდელ რაჭას, იმ ტერიტორიის გამოკლებით რომელზედაც იმ დროს სვანები სახლობდნენ; და ლეჩეუმს – ცხენისწყლის და რიონის წყალგამყოფზე მდებარე სოფლებს, კლდედაღმართს (რიონის ხეობა ტოლასა და ნამახვანს შორის) და რიონის

მარჯვენა ნაპირს ხვამლის მთის სამხრეთით) (7, 68) ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ამ სამივე რეგიონის ერთმანეთისაგან ბუნებრივი საზღვრებით, ხეობებით განცალკევება.

ვახუშტის შემდეგდროინდელმა ისტორიული-გეოგრაფიის მკლევარებმა ის აზრი, რომ თაკვერი რაჭას ერქვა ბაგრატიონებამდე, იოლად უარყვეს. გზა ოსეთიდან ეგრისში უცილობლად რაჭაზეაო, ამბობს ვახუშტი. სხვა მოსაზრებებით გზა ოსეთიდან ეგრისამდე, სხვა უდელტეხილებიდან მომდინარე გზაც შეიძლება ყოფილიყო, თანაც IV საუკუნეში ოსნი გაცილებით დასავლეთით სახლობდნენ და სულაც არაა გასაკვირი რომ მათ რაჭიდან დასავლეთით მდებარე მიწებზე პქონოდათ მიმოსვლა (86, 52) და ეგრისის დაბლობისკენ დღევანდელი ლექსუმის გზებით ემოძრავათ.

გზა, რომლითაც ოსებს შესაძლოა ემოძრავათ ეგრისის მიმართულებით, სრულად შესაძლებელია ასეთი ყოფილიყო: მაჩხაფარის უდელტეხილი (კარგია მიმოსვლისთვის ზამთრის გარდა)-ლაშეთი — ორბელი — ცაგერი— ლვედი — გორდი — მათხოვი—ხონი. ეს გზა რომ მუდმივმოქმედი იყო ადრეფეოდალურ ხანაში მის გასწვრივ ციხეების სიმრავლეც მიგვანიშნებს (7, 65).

კიდევ უფრო მოკლე გზით შეიძლებოდა შეერთებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზა ეგრისს. ლაშეთიდან მას შეეძლო ცაგერის გავლით ზუბის ციხემდე მიეღწია და შემდეგ მკვეთრად დასავლეთით ასხის მასივის გავლით დღევანდელი სენაკის რაიონში ჩასულიყო. მეორე მხრივ თუ ჩრდილოელები ისარგებლებდნენ რიონის გადმოსასვლელებით, ციხეგოჯისკენ მიმავალი გზა მაინც ლექსუმისკენ უხვევდა და ასხის გადავლით ჩადიოდა ეგრისის ცენტრში. მოხირისისკენ მიმავალთაოვის კი ცხენისწყლისა და რიონის ხეობები ერთნაირად მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო..

ამგვარად, თაკვერის მთად, მასზე და მის გარშემო არსებული ტოპონიმიკის, მის ძირში ამ რეგიონის ერთერთი ყველაზე ადრეული და შთამბეჭდავი ციხის მდებარეობის, მასზე გამავალი სატრანზიტო გზებისა და მასთან დაკავშირებული ფორტიფიკაციის გათვალისწინებით, ასხის მთის მიწნევაა მართებული. შესაბამისად თაკვერის ცენტრი დღევანდელი ლექსუმის ტერიტორიაა.

ლექსუმისა და თაკვერის დროში თავდაპირველობისა და ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა VII საუკუნის ანონიმი ისტორიკოსის ცნობა: იგი ეგრისის შემადგენლობაში არც ერთს არ

ასახელებს, თუმცა სარმატიაში (კავკასიის მთებში, გ.მ) სკუმებსა (ჩხვიმებს, გ.მ) და ტაკრებს/ტაკოცებს (თაკვერელებს, გ.მ) დვალების, წანარების, თუშების, ცხავატების, გუდამაყრელების გვერდით იხსენიებს (99, 37). ამ ცნობის მიხედვით, სკუმები და ტაკრები, გვერდი-გვერდ თანაცხოვრობენ, ე.ი. ორივე ტოპონიმი, ლეჩხუმიცა და თაკვერიც, VII საუკუნეში არსებობს და ეს ორი მხარე ურთიერთგანსხვავებული მხარეებია.

სკუმების მოხსენიება და თაკვერელების იგნორირება ბიზანტიულ ისტორიკოსთა მიერ იმაზე მიგვანიშნებს, რომ VI საუკუნეში სკუმები მძლავრობდნენ თაკვერზე და მხარესაც თავის სახელს აძლევდნენ. VII საუკუნის ანონიმ გეოგრაფს თუ დავეყრდნობით და მისი ჩამოთვლილი ტომების თანმიმდევრობის სიზუსტეს ვენდობით ტაკოცების/თაკვერელების შემდეგ დვალები და წანარები ცხოვრობენ (99, 37) რაც თაკვერის საზღვარს საკმაოდ აღმოსავლეთით სწევს.

სავარაუდოდ VII–XI საუკუნეებში თაკვერი ანუ ცხენისწყლის ხეობის შუაწელი, ქვემო რაჭაზე და ლეჩხუმზე გაბატონდა (43, 60) და მთელი რეგიონი თაკვერად ამიტომაც იხსენიება.

ადრეფეოდალური ხანის ციხესიმაგრეებიდან დღემდე უწვაშის, გვესოს და ლუხვანოს ციხესიმაგრეები შემორჩა. გვესოში და ლუხვანოში რამოდენიმე ციხის ნანგრევია. მათგან ყველაზე დიდი გვესოს ის ციხეა, რომლის ეზოში ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. ეკლესიისა და საკმაოდ მოზრდილი გალავნის არსებობა, გვაფიქრებინებს, რომ აქ მნიშვნელოვანი სამხედრო და რელიგიური ცენტრი იყო. ადრეფეოდალურ ხანაში გვესოს ციხე უმთავრესი პუნქტია ცხენისწყლის ხეობისა და ლუხვანოს ციხეებთან ერთად კოლხეთის დაბლობისკენ მიმავალ გზებს იცავს. გვესო და ლუხვანო ახლო-ახლო მდებარე სოფლებია, ლუხვანოდან მდინარე ნამკაშურის ხეობით, ახალჭალის გავლით მოკლე გზაა სამეგრელოსკენ, ხოლო ლაბახარის გადასასვლელით ცხენოსანი სამოთხო საათში ლენტების მთაში მოხვდება (9; 25, 26). ამ ადგილებიდან მომცრო მანძილითაა დაშორებული კოლხეთის დაბლობისკენ (შემდგომში ოდიშისკენ) მიმავალი მთავარი გზა, რომელიც მდინარე ჯონოულის ხეობას მიუჰვება. ხეობის თავში არის სოფელი ქულბაქი, რომლის სახელწოდებაც სავაჭრო ადგილს ნიშნავს. მნიშვნელოვანია უწვაშის ციხის მდებარეობაც – იგი რიონის მარცხენა შენაკადის, ლახეფის ხევის ხეობაში, კლდეზეა აშენებული. ციხე რიონის ხეობიდან ხვამლისა და ოყურეშის მისაგდომ გზას

აკონტროლებდა. ზემო ლეჩეუმიდან და ლაშეთიდან რიონის ხეობაში, ნაკურალების გამოვლით ტვიშისპერ მიმავალ გზასაც უწვაში დარაჯობდა. ამჟამად, უწვაში მხოლოდ ციხეს ქვია, თუმცა მის გარშემო არსებული ნამოსახლარების ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ ადრე ციხის შემოგარენში სოფელიც უნდა არსებულიყო. უწვაშის ციხე სავარაუდოდ არა მარტო, ნაკურალებზე და მის მიმდებარე ტერიტორზე ბატონობდა – მისი გავლენა ალპანა-ტვიშამდე უნდა გავრცელებულიყო (9; 35, 37).

გვესოს, ლუხვანოს და უწვაშის ციხეებს განვითარებულ შეა საუკუნეებში მასშტაბურობითა და რთული ფორტიფიკაციით გამორჩეული ციხეებიც დაემატენენ. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მურის და ზუბის ციხეები.

მურის ციხის უძველესი ფენები ადრე შუასაუკუნეებისა უნდა იყოს (9, 20). ციხე, ალბათ ბევრჯერ გადაკეთდა და მას საბოლოო სახე განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების რეკონსტრუქციების შემდეგ უნდა მიეღო. მურის ციხე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მურის ციხე და მის მოპირდაპირედ მდგარი რაგვის ციხე, ცხენისწყლის ხეობას საგულდაგულოდ კეტავდნენ. მურის ციხე აკონტროლებდა ლაჯანურის ხეობიდან როგორც ჩრდილოეთით, სვანეთისკენ, ასევე სამხრეთის მიმართულებით მიმავალ გზებს. მურის ციხეს ერთ-ერთი უმთავრესი როლი უნდა ეთამაშა ცხენისწყლის საფორტიფიკაციო სისტემაში. ციხე „არავისგან შემუსვრილ აღებული“ (24, 749) XVIII საუკუნის დასაწყისიდან დადიანთა რეზიდენცია ხდება. აქ დადიანებს აქვთ საზაფხულო სასახლე. დადიანების მმართველობის დროს მურის ციხის დაწინაურებას, თვით ციხის მდგომარეობამ შეუწყო ხელი – მურის ციხე სამეგრელოდან ლუხვანოს გზით უველაზე ახლოს მდებარე დიდი ციხესიმაგრეა. მისი ხელში ჩაგდებით ლეჩეუმის დიდი ნაწილის გაკონტროლებაა შესაძლებელი. მურის ციხის ფლობა ქვემო სვანეთის მთავარ სამიმოსვლო გზაზე ბატონობას ნიშნავს და ალბათ შემთხვევითი არაა, რომ ოდიშის მთავარების ახალი დინასტიის ჩიქოვან-დადიანების წარმომადგენლები, რომლთა დროსაც ლეჩეუმზე და მურშიც დადიანთა ბატონობა უფრო და უფრო მტკიცდება, XVIII დასაწყისის საბუთში თავს ლეჩეუმის მჭირავ-მქონებლებს სვანეთის კლიტედ მოიხსენიებენ (33, 86). მურის ციხის დადიანის მიერ დასაკუთრება ხალხურმა თქმულებამაც შემოინახა: ციხე თურმე ქვემო სვანეთის მფლობელ შვიდ ძმას ეკუთვნოდა. კაციას მათი ძლიერება მოსვენებას არ

აძლევდა. მან, შვილივე ძმა გორდის სასახლეში დაპატიჟა და ღალატით მოაკვლევინა. ამის შემდეგ კაცია ლექსუმსაც და სვანეთსაც დაეპატრონაო (3, 7).

მურის ციხე ცაგერის ტაფობს, ლენტეხისკენ მიმავალ გზას და ცხენისწყლის ხეობაში ცაგერიდან სარეწყელამდე მდებარე სოფლებს აკონტროლებდა. სარეწყელას კლდეკართან ახლოს მდებარეობს აღვის ციხე, რომელიც ლაჯანურის ხეობისკენ (რიონის ხეობის სოფლებისკენ) მიმავალ გზას აკონტროლებდა. აღვის ციხე ლუხვანოსა და მურის ციხებთან ერთად მძლავრ სათავდაცვო ქსელს ქმნიდა და ზემო ლექსუმის ამ მიკრორეგიონს საიმედოდ იცავდა.

ლექსუმის საფორტიფიკაციო სისტემაში უმნიშვნელოვანები ადგილი უჭირავს ზუბის ციხეს. იგი სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ფენებს შეიცავს და აშენებულია ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარე კვერეშულასა და ცხენისწყლის შესართავში. კვერეშულას ხეობის აყოლებაზე, ზუბის ციხის მახლობლად ქვაწითელისა და ქვაბიკარას ციხეებია. ზუბიდან სამხრეთით, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, შემაღლებულ კლდეზე დგას ისუნდრის ციხე. ზუბის ციხესთან ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროს ციხის მახლობლად გადებული ხიდი აკავშირებდა. ზუბის ციხის ჩრდილოეთით მდებარეობს სარეწყელას უღელტეხილი, რომელიც ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში მურისა და გვესოს ციხეების საბატონო ტერიტორიასათან. ისუნდრის ციხის სამხრეთით, არც თუ ისე შორს, ცხენისწყლის ხეობას პერპენდიკულარულად ებჯინება ხვამლის მთიდან მომავალი საქმაოდ მაღალი სერი. დასავლეთიდან, ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ციხეებს ასხის მთა ხოლო აღმოსავლეთიდან ხვამლი უყურებს. ცხენისწყლის ხეობის შუაწელში, ციხე-სიმაგრეთა თავმოყრა, მისი ბუნებრივი გამოცალკევებულობა გვაფიქრებინებს, რომ სარეწყელას სამხრეთით ვიდრე ქუთხის მთამდე, ცალკე მიკრო-რეგიონი არსებობდა, მისი სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი ზუბის ციხე უნდა ყოფილიყო. ზუბის ციხის საბატონოში, გავლენის სფეროში სოფელი ოყურეში, ზუბი, მახურა, ისუნდერი, ლაჭეპიტა და ოფიტარა შედიოდნენ. პირობითად ზუბის ციხის მიკრორეგიონზე გადიოდა რიონის ხეობიდან სამეგრელოსკენ მიმავალი გზა. გზა ხვამლის გადასასვლელებით ოყურეშზე გაივლიდა, შემდეგ კვერეშულას აუყვებოდა და ასხის მთის გადავლით კოლხეთის დაბლობისკენ ეშვებოდა. ისუნდრის ციხე კი

ზუბის ციხის გვერდის ავლით სამეგრელოში გადასვლის მსურველებს ეღობებოდა წინ.

რიონის ხეობისა და მის შენაკადებში არსებული ციხეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ორბელის, დეხვირისა და ჰყვიშის ციხეებია. ორბელის ციხე ლაჯანურის ხეობის მთავარი ციხეა, რომელიც ცაგერ-ალპანის და რიონის ხეობიდან ლაშეთისკენ მიმავალ გზებს აკონტროლებდა. დეხვირის ციხე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით მდებარეობს შუა ლეჩეუმში: „ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკვერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა არიან სრულიად“ (24, 749). ციხეს გარშემო სადეხვიროს სახელით ცნობილი არქარე აკრავდა, რაც თავისთავად აქ მცირე მიკრორეგიონის არსებობას მოწმობს. სადეხვიროში სოფელი დეხვირის გარდა მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, წილამიერი, ლესინდი და ლეშკედა შედიოდა.

ჰყვიშის ციხე რაჭიდან რიონის ხეობით ლეჩეუმისკენ და შემდგომ დასავლეთ საქართველოს ბარისკენ მიმავალ გზებს კეტავდა. ის ასკის წყლის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე ბატონობდა. შემთხვევითი არაა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II ლეჩეუმისთვის დადიანთან წარმოებული ომის დროს ჰყვიშის ციხეს საგანგებოდ ამაგრებს – მეციხოვნებებს აქვთ 2 ზარბაზანი, ორი ფალკონები და ხუთი მუშკეტი. ჰყვიშის ციხე სამეფო დაქვემდებარებისაა და იმერეთის სამეფოში შემავალი ჰყვიშის სამოურავოს გამგებლის, გელოვანის რეზიდენციაა (92, 437). ამავე პერიოდში გელოვანების საკუთრებაშია ტოლას ციხე და სავარაუდოდ ჰყვიშის მოურავის ძალაუფლება მთელს რიონის ხეობის ლეჩეუმზე ვრცელდებოდა და რეგიონი ჰყვიშის ციხიდან იმართებოდა.

ჰყვიშის ციხის სოლომონის დროინდელი სამფლობელოები თითქმის ემთხვევა XVII საუკუნის „საინასარიძეოს“, თავად ინასარიძეთა საბატონოს, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კლდედაღმართის სოფლები. ლეჩეუმის ამ მიკრორეგიონს ბუნებრივი საზღვრები, ჩრდილოეთიდან ორპირის კლდეკარი, ხოლო სამხრეთიდან მდინარე ლეხიდარია. კლდედაღმართის მთავარი ციხე დღნორისისა უნდა ყოფილიყო. მომდევნო ხანაში, განვითარებულ შუასაუკუნეებში მნიშვნელოვანი პუნქტია სოფელი დერჩი და ამავე სოფელში მდებარე ციხე-სიმაგრეები. კლდედაღმართზე რაჭის იმერეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა გადიოდა.

ამრიგად, ლებეუმის საფორტიფიკაციო ქსელის მიხედვით, რომლის განლაგებაც ბუნებრივი და რელიეფური პირობითაა განპირობებული, ის ტერიტორია, რომელსაც დღეს ლებეუმი ეწოდება, შეიძლება რამოდენიმე მიკრორეგიონად დაიყოს: ცხენისწყლის ხეობაში ზუბის ციხის საბატონო მხარე ლაჭებიტასა და სარეწკელას კლდეკარს შორის მდგბარე ტერიტორიას მოიცავს; მის ჩრდილოეთით მურის ხიდამდე გვესოსა და მურის ციხეების სამფლობელოა; რიონის ხეობაში ლაჯანურის „ქვეყანაზე“ ბატონობს ორბელის ციხე; რიონის ხეობაშივე ასკის წყლიდან ორპირის კლდეკარამდე ჭყვიშის ციხის სამფლობელოა; კლდედაღმართს დღნორისისა და დერჩის ციხეები იცავს.

ლებეუმის საფორტიფიკაციო ქსელი საიმედოდ იცავდა ამ კუთხის მოსახლეობას და ამ კუთხეს ერთიანი ციხესიმაგრის იერს აძლევდა. ლებეუმისთვის ერთგვარი ბუფერის ფუნქციას ასრულებდნენ მომიჯნავე კუთხეების ციხეებიც. ლებეუმისკენ მიმავალ გზის სათავეში ცხენისწყლისა და ოხვირის ხევის შესაყარში, სოფელ დიდღვაბუნაში ადრეფეოდალური ხანის ციხესიმაგრე გვხვდება (51, 115, 116). სავარაუდოდ ეს ციხე იმერეთ-ლებეუმის გზის პირველი სიმაგრეა და ცხენისწყლის ხეობას კეტავს. ამ ციხის მახლობლად, სოფელ მათხოვში მდებარე მომცრო ადრეფეოდალური ხანის ციხესაც ცხენისწყლის ხეობაში მიმავალი გზის მცველის ფუნქცია უნდა ჰქონდა (10, 460). მის ზემოთ, სოფელ გორდის (ეს სოფელი ადრე ლებეუმი შემადგენლობაში შედიოდა) მახლობლად, მდებარეობდა კინჩხას ციხე. ციხე საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო და მას ცხენისწყლის ხეობის ლებეუმის სოფლებში სამხრეთიდან მისასვლელი გზა უნდა ჩაეკვიდა. კინჩხას ციხე და გორდის მიდამოები იმერეთის დაბლობისკენ მეტად მოსახერხებელი გზაა.

ჩრდილოეთიდან მთები ლებეუმს ბუნებრივ სიმაგრედ ედგა და თითქმის არ საჭიროებდა ციხე-სიმაგრეებს. თუმცა ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს დროდადრო მაინც დარაჯობდა რამდენიმე ციხე. ერთ-ერთი მათგანი, XII საუკუნით დათარიდებული ლანკვერის ციხეა. ეს საკმაოდ დიდი ციხე, უმგულის აღმოსავლეთით მდებარეობს (71, 58-61) და სავარაუდოდ მაჩხაფარის უღელტეხილის გაკონტროლებასაც ახერხებდა. მაჩხაფარის უღელტეხილის გადმოვლის შემდეგ გზა ლაშხეთს გაუყვებოდა და მურის ციხესთან ლებეუმის იმ სატრანზიტო გზებს შეუერთდებოდა, რომლებიც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-აღმინისტრაციული ცენტრებისკენ მიემართებოდნენ. ლებეუმის ტერიტორიაზე არსებული საფორტიფიკაციო ქსელი კი ლებეუმს ამგვარ მიკრო-

რეგიონებად ყოფს: ცაგერის ტაფობი (გვესოსა და მურის ციხეებით), ორბელის ტაფობი და ლაჯანურის ხეობა კლდედაღმართითურთ (ორბელის, დეხვირისა და უწვაშის ციხეებით) და ზუბის ტაფობი (ზუბის ციხით), რასაც მნიშვნელოვანწილად ეხმიანება ლეჩეუმის დაყოფა გადაღმა და გადმოღმა ზონებად, რომელთა შორის საზღვრად დღევანდელ ლეჩეუმლებს ხვამლის მთა დაუდევთ. ლეჩეუმურ დიალექტშიც სამი განაყოფია: ქვემოლეჩეუმური და ორ კილოდ დაყოფილი ზემოლეჩეუმური. ქვემო ანუ კლდედაღმართის დიალექტს ბევრი საერთო აქვს რაჭულთან. ზემოლეჩეუმური იყოვა ცაგერსზემოურ და ცაგერსქვემოურ ნაწილებად (80, 173; 21, 161).

ლეჩეუმის ისტორიული-გეოგრაფიის საკითხების გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ლეჩეუმში არსებულ ტოპონიმიკას. გეოგრაფიულ სახელთაოვის ზერელე თვალისგადავლების შედეგადაც კი თვალშისაცემია სვანურ ტოპონიმთა სიმრავლე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მრავალი ტოპონიმი ლეჩეუმში და სვანეთში ერთმანეთს ემთხვევა (19, 185). საქმაოდ კარგა ხანი მიმდინარეობდა კვლევები და კამათი ლეჩეუმის ტოპონიმიკის შესახებ – მეცნიერთა ნაწილი თვლიდა რომ ლეჩეუმის გეოგრაფიულ ადგილთა ის სახელები რომლებიც –იშ, –ეშ სუფიქსითა ნაწარმოები ზანური წარმოშობისა იყო (85, 421).. ამავე აზრს იზიარებდა გ. ჩიტაიაც. მ. ჩიქოვანი ლეჩეუმურ ტოპონიმიკაში ქართულის, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის კვალს თითქმის თანაბრად ხედავს. მისივე მტკიცებით –იშ, –ეშ სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიულ სახელთა წაროება სვანური ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს. ამ საკითხზე მსჯელობის უმთავრესი არგუმენტი მ. ქალდანისთვის სწორედ ამ სუფიქსებიანი ტოპონიმების კუთხეთა მიხედვით კონცენტრაცია – გურიაში, სადაც სავარაუდოა ზანური ენის გავრცელება –იშ სუფიქსიანი სახელები თითქმის არ გვხვდება. ხოლო საკუთრივ სამეგრელოს ტერიტორიაზე –იშ სუფიქსიანი 12 სოფლის სახელწოდება ფიქსირდება. ცაგერის რაიონში –იშ სუფიქსით 13 სოფლის სახელია ნაწარმოები, ლენტებში 14, ხოლო მესტიაში 23 (72, 240). მ. ქალდანის კვლევამ ამ საკითხის გარშემო, უარყო აზრი ლეჩეუმის ტოპონიმიკის უმრავლესობის ზანური წარმოშობის შესახებ და შესაბამისად გააბათილა სამეცნიერო წრეებში ერთ დროს გავრცელებული მოსაზრება თითქოს ლეჩეუმი მხოლოდ მეგრულ-ლაზური ტომების საცხოვრისი იყო (85, 421). მეგრულ-ზანურის გავლენას ლეჩეუმის ტოპონიმიკურ სახელებზე მ. ჩიქოვანი არ უარყოფს, პირიქით მიიჩნევს რომ ო- თავსართიანი და ი-შ

სუფიქსიანი გეოგრაფიული ადგილების სახელები სწორედ მეგრულ-ჭანური ენის გავლენითაა მოხვედრილი ლეჩეუმში (77, 238).

სვანური წარმოშობისაა უმრავლესობა იმ ლეჩეუმური ტოპონიმებისა რომლებიც ლა-ა და ლე-ა პრეფიქსებითაა ნაწარმოები. ამ პრეფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები ზანური წარმოშობისაც შეიძლება იყოს, თუმცა მათგან უმრავლესობა რადგან სვანური ენით იხსნება (ლედეშტო – დათვების ადგილი; ლაჭეპიტა – მისამწყვდევი ადგილი, ლარჩვალი – დამეწყრილი ადგილი; ლაჭყეპა – ჭაობიანი ადგილი; ლაძგვერია – უსწორმასწორო ადგილი, ლეშკედა – ჩრდილიანი ადგილი. ასევე ლახეფა, ლერფანა, ლეშვანა, ლესინდი, ლეფურა და სხვა). ლეჩეუმში გვხვდება სვანურისთვის მახასიათებელი –ერ, -ელ სუფიქსითაც ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ცაგერი, ისუნდერი, წილამიერი, ოვაენთერი, ბაბუშერი, იმუდერი, უცხერი. ამავე სუფიქსებით არის ნაწარმოები მრავალი გეოგრაფიული სახელი სვანეთშიც (72, 75). ლეჩეუმის ტოპონიმიკას, როგორც ვთქვით, ზანურის გავლენაც ეტყობა. ძირითადად ეს შეიძლება ითქვას ო- აფიქსით წარმოებულ გეოგრაფიულ სახელებზე (ოღრაბუჩე, ოფიტარა, ოყალეთი, ონტოფი, ონჭეიში და სხვა). თუმცა ადსანიშნავია რომ ამგვარი ტოპონიმები ძირითადად ლეჩეუმის სამხრეთი ნაწილისთვისაა მახასიათებელი და ეს ფაქტი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით ლეჩეუმის მოსაზღვრე იმერეთში ოდესლაც მოსახლე ზანების გავლენის შედეგია. საყურადღებოა ის ფაქტი რომ ლეჩეუმში ბევრია ისეთი ტოპონიმები რომელთაც სვანური ძირი აქვთ და მაწარმოებლად და დამატებად კი ქართული ერთვის: ლეიფანას ლელე – ლეიფანა ნიშნავს საიფნე ადგილს, ლეხიდრისთავი – ლეხიდარი ნიშნავს ხიდის ადგილს; ზედა ლეჟამოლი – ლეჟა მოლ ნიშნავს აღმოსავლეთით მდებარე სახნავ ადგილს, ცხაკუწვერი – ცხაკურ ნიშნავს ქორების ადგილს, რომელსაც დაემატა „წვერ“; სამარეში ქვაბი - ხამარეში საღორეს ნიშნავს რასაც დაემატა ქვაბი (19, 193) ასეთივეა სვანური წარმოების იმუდერი რომელსაც ემატება გორა(იმუდრის გორა ადგილია ოყურეშში). სვანურ ძირებზე ქართული დამატება-განმარტებების არსებობა ლეჩეუმის ამ ტოპონიმთა სვანურ წარმოშობას კიდევ უფრო უფლებელს ხდის და ამტკიცებს რომ სვანური ტოპონიმიკა ლეჩეუმის ტერიტორიაზე პირველადია და ის შემორჩა ამ კუთხის სრული ენობრივი ქართიზაციის შემდეგაც. რადა თქმა უნდა, რომ ლეჩეუმურ ტოპონიმიკაში მრავლად გვხვდება საკუთრივ ქართული გეოგრაფიული სახელები: საირმე, აჭარა, სანორჩი, უსახელო, ბარდნალა,

ნაკარვალი, ფიჯვარი, დიდტალახი, გორა, ჭალეიგვერდი, სარეწკელა, თეთრდელქ, ვერძისთავა, ორპირის კლდე, კტედალმართი, მცხეთა, სათიბები, ჭურის ნათხარები, ჭილვიბოლო, ჭილვითავი, ღარდელქ, ნამოსახლი, ნაციხურა, გორმალალი, მარხილის სატეხელა, ყელიერი ბადდოული და ა.შ. თუმცა ადსანიშნავია რომ ლეჩეუმის სოფელთა სახელების თითქმის მესამედი არ არის ქართული ფუძისგან ნაწარმოები და მათ სვანური ძირი აქვთ.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი გადმოცემების მიხედვითაც ტოპონიმები ნაწარმოებია სამივე (საკუთრივ ქართული, მეგრული და სვანური) ენაზე:

სოფელი დეხვირის მახლობლად მდებარეობს აღგილი ლეგარჩა. გადმოცემის მიხედვით, ბეჟან დადიანის დროს, ლეჩეუმს ლეკები დასცემიან თავს. ლეჩეუმელთა ლაშქარი, ამ დროს, დადიანთან ერთად თათრებს ებრძოდა. ბეჟანის მოურავი, გლახუა ჩიქოვანი დეხვირის ციხეში გამოიკეტა. ლეკების თარეშს ნოდარმა, მოურავის კარის მწირველის პეტრე ხუცესის შვილმა მოუღო ბოლო. იგი თავის რაზმთან ერთად დაბრუნდა ლეჩეუმში, შეება ლეკებს და მათი გაქცეული ბელადი, სახელად არჩა თავისი ხელით მოკლა. ამ ადგილს ხალხი დღესაც ლეკარჩას უწოდებს (3, 11).

თათრებთან ბრძოლის შემდეგ მურის ციხის მოპირდაპირე მხარეს დაერქვა ლაწუნდარა. ხალხში გავრცელებული თქმულებით იმერლების დამარცხების შემდეგ ლეჩეუმს სელიმ ფაშას მეთაურობით თათრები შემოესივნენ. მურის ციხეს კაცო თავობდა, მის მოპირდაპირედ მდებარე, რაგვის ციხე-კოშკის უფროსობა დვთისავარს ებარა. თათრებს ორბელის ციხე სამდღიანი ბრძოლის შემდეგ აღებული პქონდათ, ჯერი მურის ციხეზე იყო. კაცოს სილამაზით განთქმული ქალიშვილი დარა ჰყავდა. დვთისავარი წარმოშობით გლეხი იყო, კაცოს კი სიძედ დიდგვაროვანი უნდოდა. სელიმ ფაშას დარას ცოლად შერთვა მოუნდომებია. კაცომ პირდაპირი უარი სელიმ ფაშას ვერ შეპბედა. სხვა გზა არ იყო, არჩევანი დარას უნდა გაეკეთებინა. დანიშნულ დროს სელიმ ფაშა რაგვის ციხის მიდამოებში გამოჩნდა. დვთისავარმა სვან მებრძოლს დაავალა დარას პასუხი ციხეებისთვის ყვირილით ემცნო. მურის და რაგვის ციხეებმა პასუხად ლაწუნდარაო მიიღეს, რაც დარას დაწუნებულს ნიშნავს. ეს ნიშანი იყო და ლეჩეუმელი მებრძოლები მტერს შეებნენ, დვთისავარმა ფაშა მოკლა და თათრების ჯარიც განდევნილ იქნა (3, 9).

სოფელი საირმის მიდამოებში არის ადგილი, რომელსაც ჯორისწინელდანაკრავს უძახიან: გიორგი ინასარიძეს, ლეჩხუმში განთქმულ მეომარსა და საინასარიძეოს გამგებელს, ოკრიბაში ქეიფის დროს მის სამფლობელოებში ლეპებისა და თათრების მარბიელი ლაშქრის შემოსვლა გაუგია. რიონზე გადებული ერთადერთი ხიდი, რომელზეც ერთადერთი ხედა იყო შერჩენილი გიორგის თავის ჯორით გადაუვლია, რაზმი შეუკრიბავს და მტერი გაუნადგურებია. იმ ადგილს სადაც ინასარიძის ჯორი ძალიან სწრაფად გარბოდა, ეხლაც ამჩნევა მისი ნაკვალევი და ჯორისწინელდანაკრავი ჰქვია. ინასარიძის სახელთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი ტოპონიმის წარმოშობა – მის მიერ ლეპების მორიგი დამარცხების შემდეგ, სოფელ ზოგიშში ბინული ლეპების სისხლით წითლად შეღებილა, ამ აგდილს ხალხმა „ლეპის წყალი“ დაარქვა (3, 11).

არსებობს გადმოცემა ადგილ დოდურაშის შესახებაც: დადიანის საზაფხულო რეზიდენციას თავს დასხმია დადეშქელიანთა რაზმი. ეს ამბავი მალე შეუტყვია დადიანს და მეციხოვნეულისთვის შემოუთვლია ცოცხალი მტერს არ ჩაბარებოდნენ. მომხვდურს ციხე მხოლოდ მაშინ აუდია როცა მეციხოვნეული მთლიანად გაჟლიტეს. ნაომარ ადგილს რომელიც მურის ხიდთან, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საზღვარზე მდებარეობს დოდურაში ქვია, რაც მეგრული ენით იხსნება და სასიკვდილო ადგილს ნიშნავს.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც რომ ლეჩხუმში, სავარაუდოდ ერთ-ერთ ცენტრალურ საკრალურ ადგილის – ხვამლის მთის სახელი მეგრული ლექსიკით იხსნება. ხვამლი, იგივე ხვამილი დალოცვილს, წმინდას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, ზემოთმოყვანილი მაგალითებით XVII-XVIII საუკუნეში ლეჩხუმის ტოპონიმიკური სახელების წარმოებაში სამივე ქართველური ენა მონაწილეობს, თუმცა ამ დროისთვის მეგრულისა და ზანურის წილი საკმაოდ შემცირებული უნდა იყოს რადგან ლეჩხუმი ამ დროისთვის მთლიანად ქართიზებულად უნდა ჩავთვალოთ და ზემოთმოყვანილი გადმოცემები (ისიც სასაზღვრო ადგილებში) გამონაკლის შემთხვევებად უნდა იქნას მიჩნეული.

## ლეჩეუმის საზოგადოებრივი ყოფა

### § 1. ლეჩეუმის სოციალური ისტორიიდან

ლეჩეუმის საზოდაგოებრივი ყოფა, სოციალური წყობა და საზოგადოებაში არსებული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსია. თუმცა, არსებობს მცირე გამონაკლისები, რაც ლეჩეუმის განსხვავებულ გეოგრაფიულ მდებარეობას, მეურნეობის ხასიათსა და ისტორიული განვითარების თავისებურებებს უნდა მივაწეროთ.

ლეჩეუმის სოციალური იერარქიულობის შესახებ პირველად ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას მოვიშველიებთ: „მოსახლენი (ლეჩეუმის) არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არ არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა“ (24, 749). დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთაგან განსხვავებით, ვახუშტი არ იხსენიებს წარჩინებულთა უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს – თავადებს. ლეჩეუმის მომიჯნავე კუთხეების ტერიტორიაზე, გვიანშუასაუკუნეებში სათავადოების არსებობა ტიპიური მოვლენაა. ერთიანი ცენტრალიზებული სამეფოს დაშლის შემდეგ XV-XVII საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ყალიბდება დამოუკიდებელი სახელმწიფოები და სამთავროები, რომელსაც დამოუკიდებელი ხელისუფლები მართავენ. ამ პოლიტიკურ ერთეულებში გაბატონებული სოციალური ფენას თავადები წარმოადგენენ, რომლებიც შეა საუკუნეების მიწურულს საქმაოდ ძლიერდებიან, მეფე-მთავრებისგან ფაქტობრივად დამოუკიდებლობასაც იღებენ და ისედაც დაქუცმაცებული საქართველო წვრილ ფეოდალურ სამფლობელოებად იშლება.

ლეჩეუმში ძლიერი სათავადოები, გამოკვეთილი დამოუკიდებლობითა და ცენტრალური მმართველობისადმი დაპირისპირებული სამფლობელოები არ გვხვდება. თვით ლეჩეუმის გამგებლის, ლეჩეუმის თავის თანამდებობა არამერკიდრეობითი გახლდათ და მას XVII საუკუნის ბოლომდე იმერეთის მეფე ნიშნავდა, შემდგომი საუკუნენახევრის განმავლობაში ოდიშის მთავრები, რუსეთთან ოდიშის სამთავროს შეერთების შემდეგ კი ლეჩეუმი ქვემო სვანეთთან ერთად ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ მაზრად მაზრად იქცა.

სავარაუდოდ, ლეჩეუმის ერთგვარი „მიბმულობა“ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მისი განსაკუთრებული, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებული ფუნქცითაც იყო განპირობებული. ვახუშტის ეს

განსხვავებული ფუნქცია პირდაპირ აქვს დაფიქსირებული – ლენტუმს იმერეთში, როგორც ხევსა და მთიულეთს ქართლში და ქიზიყს კახეთში სამხედრო საქმეში მთავარი ფუნქცია ენიჭებოდათ. ამ კუთხეების „სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ხეობათაგან“, მეფის პირადი გვარდიაა და მისი სიძლიერის მთავარი განმაპირობებელია. ვახუშტისავე თქმით, საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობისა და სიძლიერის ხანაში მეფის პირადი გვარდია როქის სპა, დაქირავებულთა არმია იყო. „შემგდომად განყოფისა სამეფოთა“ მეფეებს ერთგული რაზმები, მუდამ თანმხლები მეომრები სახასო მამულებიდან პყოლიათ. გარდა ამისა, თავაღ-აზნაურთა ოჯახებს ომიანობის შემთხვევაში ზრდასრული მამაკაცების მთელი შემაგდენლობით ევალებოდათ საომარ ოპერაციებში მონაწილეობა. სავარუდოდ, ძნელბედობის უამს სამხედროვალდებულები იყვნენ გლეხებიც (24, 31).

იმ კუთხეების შესახებ საიდანაც მეფის პირადი რაზმები ივსებოდა საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ს. ჯანაშიას: „მეფეს მსახურებსა აძლევდნენ ხეობელნი, „უმეტეს მოხევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთაოთ“, ე.ი ვიდრე მეფესა და მთის ხალხს შორის შუალედი ფეოდალური რგოლი არ გაჩნდა და მთიელებს ახალი, არსებითად საბატონო, გამოსაღებიც არ დაეკისრა. ასეთსავე როლში გამოდიან იმერეთისთვის რაჭა და განსაკუთრებით ლენტუმი, კახეთისათვის ქიზიყი. მთიელებს მეფის სამსახურში ის უპირატესობაც ჰქონდათ, რომ ისინი ჯერ კიდევ მთლად „გამუშაკებლებულნი“, ე.ი. მიწაზე დაკრულნი და ფეოდალური ტვირთისგან წელში მოხრილნი არ იყვნენ, არამედ ძველს ვაჟაპურსა და ამაყ სულს ატარებდნენ, აბჯრის სიყვარულსა და ხმარებას ბავშვობიდან ეჩვეოდნენ და ჩინებული მეომრებიც გამოდიოდნენ.“ (84, 457)

განსაკუთრებული ფუნქციის შესრულებამ, სამეფო კართან მიბმულობამ, რაღა თქმა უნდა ლენტუმის საზოგადოებრივი ყოფის და სოციალური სტრუქტურის თავისებურებები გამოიწვია. აღსანიშნავია, ლენტუმელ გლეხთა ორივე ფენის, მსახურებისა და მოინალე გლეხების აქტიური მონაწილეობა სამხედრო საქმეში. შემთხვევითი არაა, რომ „მეფის ტალანთა“ ქვეყანაში, ლენტუმში, საქართველოში პირველად ფიქსირდება მოინალე გლეხთა სამხედროვალდებულება. ამ კუთხეში განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო მსახურთა ფენა, რომლისგანაც შედგებოდა ლენტუმელ მეომართა რაზმების დიდი ნაწილი. თავაღთა ფენასაც ახასიათებს თავისებურებანი: ვახუშტის განმარტებით თავაღად იწოდება ის დიდგვაროვანი ვინც ფლობდა ციხე-ქალაქს,

სიმაგრეს და ხეობებს (ვრცელი მოსახლეობის შემცველი მიწა-წყალი, რომელიც, გარკვეული საფეხურის ფეოდალური სახელმწიფოს აღნაგობის შესაბამისად, მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულსაც ქმნიდა). ამგვარი მფლობელები ლეჩეუმში არ არსებობდნენ, რადგან ციხე-ქალაქისა და ვრცელი მიწების ფლობის საშუალებას ლეჩეუმის თავისებური მდებარეობა არ იძლეოდა – ლეჩეუმი, თავადაც პატარა კუთხე რთული რელიეფის გამო დანაწევრებული იყო პატარა პატარა ხეობებად, რომლებიც თავიანთი მომცრო, თუმცა ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მეტად თავდაცვისუნარიანი, სიმაგრეებით საკმაოდ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. ამ ციხეების მფლობელები, აზნაურები და მსახურები, მეფესთან დაახლოებული პირები გახლდნენ და ამიტომაც თავიანთ ძალაუფლების შენარჩუნებას ახერხებდნენ. შესაბამისად, წარჩინებული, დაწინაურებული აზნაურისთვის, თავადისთვის მამულის გამსხვილების პერსპექტივა ლეჩეუმში ნაკლებად იყო. ვახუშტი ბაგრატიონი ლეჩეუმის სოციალური სტრუქტურის თავისებურების ერთ-ერთ საფუძვლად მის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებსაც მიიჩნევს: „გარნა არს ლეჩეუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენ სიმრავალით“. ვახუშტის ამ განსაზღვრებით ლეჩეუმში მიწა ნაყოფიერია, ოღონდ მთიანი რელიეფის გამო მიწის სავარგულები ნაკლებადაა. მიწის ნოჟიერება იწვევდა მოსახლეობის სოციალურ დაწინაურებას, ხოლო სავარგულების ნაკლებობა უფრო განვითარებული რაიონებისგან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო (84, 458).

ფეოდალურ სანაში ლეჩეუმში წარჩინებული გვარები არიან: გელოვანები, ლაშხიშვილები, ახვლედიანები, ინასარიძეები, ჩიქვანები, ასათიანები, ქვარიანები, ნემსაძეები, ყიფიანები. იოანე ბატონიშვილი საქართველოში მცხოვრებ წარჩინებულთა გვარების აღწერისას, თავადთა შორის არ იხსენიებს ლეჩეუმელ მებატონებს უმრავლესობას – იმერეთის თავადთა შორის მოიხსენიებიან ინასარიძეები. აგრეთვე ნახსენებია ლაშის შვილები (ნაკლებად სავარაუდოა თუმცა თეორიულად შეიძლება დაუშვათ, რომ ეს ლაშხიშვილის მცდარი ინტერპრეტაცია) თუმცა ეს გვარი აზნაურისაა თუ თავადის ძნელი გასარკვევია, რადგანაც ბატონიშვილს იმერეთის წარჩინებული გვარები გაერთიანებული აქვს თავისი წიგნის თავში რომელსაც „იმერეთის თავადნი და აზნაურნი“ ქვია. ინასარიძეების შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ ისინი თავადები არიან, ხოლო

ლაშის შვილებზე წერია რომ მეფის (ლაშა გიორგი) აღზრდილი ობოლი აზნაურისგან წარმოშობილი ეს გვარი (6, 126). სამეგრელოში თავადად ჩიქოანი (ჩიქოვანი) დაფიქსირებული. ბატონიშვილი იოანე ასევე ახსენებს ასათიანებს, რომლებიც დადიანის აზნაურები არიან (6; 130, 133). ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ ისტორიულ წყაროებზე და რუსეთის მმართველობისდროინდელ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავის დროზე ლეჩეუმში თავადთა რანგში იყვნენ: გელოვანები, ლაშებიშვილები, ინასარიძეები, ახვლედიანები, ჩიქვანები, ასათიანები. გარდა ამისა საკმაოდ დიდი პოლიტიკურ ძალის და ეკონომიკური შესაძლებლობისა გახლდათ ეკლესია, რომელსაც სათავეში ცაგერის საკათედრო ტაძარი ედგა.

საკმაოდ, საინტერესოა ფაქტი, თუ რატომ არ მოხდა ლეჩეუმში დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად დამოუკიდებელი სათავადოების ჩამოყალიბება. ერთ-ერთი მიზეზი, ლეჩეუმისა და იმერეთის სამეფო კარის ურთიერთობის თავისებურება და ლეჩეუმის მოხერხებული მდებარეობა და სოფლის მეურნეობისათვის ვარგისიანობა უნდა იყოს. ლეჩეუმს კლიმატური პირობები არ დაეჭუნებოდა, რაც სხვა მთიან კუთხეებთან შედარებით უხვმოსავლიანობას განაპირობებდა. ლეჩეუმში სხვა მთიან რეგიონებთან მომგებიანი სამიწათმოქმედო პირობების არსებობას შემდგომი დროის დაკვირვებებიც ადასტურებს – ლეჩეუმში გაცილებით კარგი პირობებია ხორბლის წარმოებისთვის ვიდრე მის მიმდებარე ქვემო რაჭაში (100). ლეჩეუმის მიწის ნაყოფიერებას თავიდანვე შენიშნავენ რუსი ჩინოვნიკები – ლეჩეუმის მიწა საერთოდ ნაყოფიერია, ქვიშაგარეულ შავ მიწებში და თიხნარებში ხარობს მრავალი მარცვლეული კულტურა, აღნიშნავს ლიტვინოვი (94, 124). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლეჩეუმი მსოფლიოში ხორბლეული მცენარეების კულტურიზაციის ერთ-ერთი კერაა (74). ამ კუთხეში მევენახეობაც საკმაოდ მომგებიანია და მოსავლიანობის თვალსაზრისით მეზობელ კუთხეებს აღემატება. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ლეჩეუმი იმერეთის სამეფო კარისთვის ფრიად მნიშვნელოვანი კუთხე უნდა ყოფილიყო. მისი მნიშვნელობა XVII-ის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მიმდინარე იმერეთის მეფეებსა და ოდიშის მთავრებს შორის ლეჩეუმისთვის გაუთავებელ ბრძოლაშიც ნათლად ჩანს.

ლეჩეუმისა და სამეფო კარის ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ლეჩეუმის მთა, ხვამლი მეფეთა საგანძურთა სადებია (24, 750).

ხეამლის ქვაბულებში შენახულ სიმდიდრეს იყოფენ მონდოლთა თავდასხმებისგან შეჭირვებული ქართველი მეფეები. შემდგომშიც, ლეჩხუმი ერთგვარი ზურგია იმერეთის სამეფო ოჯახისთვის – აქ აფარებენ თავს მტერთაგან ლტოლვილი იმერეთის მმართველები, ლეჩხუმის ხელში ჩაგდებითა და გადაბირებით იყო დაინტერესებული თითქმის ყველა ვინც იმერეთის სამეფოს დასუსტებას ან იქ გამეფებას ცდილობდა (24; 801, 808, 821, 839, 850).

ცხადია, ამგვარი მნიშვნელობის კუთხისადმი მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენდა. ჩვენამდე მოღწეული XV საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში აშკარად ჩანს, რომ ბაგრატ იმერთა მეფე ლეჩხუმელთა მომდურებას ერიდება (36, 126). ეს ბუნებრივიცაა, რადგან ტრადიციულად ლეჩხუმელები ტალანნი მეფისანი ანუ მეფის პირადი დაცვის წევრები არიან (24, 750). ცნობილია, რომ სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი საშუალო და წვრილი აზნაურების ფენა იყო. ლეჩხუმელ აზნაურთა დიდი ფუნქციონალური დატვირთვა, მათი როლი სამეფო კარზე რაც მეფის მათდამი დიდ ყურადღებას განაპირობებდა, იყო მიზეზი იმისა, რომ ლეჩხუმში საშუალო და წვრილმა აზნაურობამ თავისი უფლებები შეინარჩუნა. შედეგად, ლეჩხუმში მსხვილი სათავადოების შექმნას და მათ შემადგენლობაში შედარებით მომცრო მფლობელობისა და გავლენის მქონე აზნაურთა გაერთიანებისთვის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა.

ლეჩხუმის ტერიტორია მოვენილია დიდი თუ პატარა ციხეებითა და სიმაგრეებით. ვახუშტის ცნობა: „არ არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისანი“ ოდნავ გადამეტებულია, თუმცა იმ ფაქტის გამოძახილი უნდა იყოს. ლეჩხუმის დიდ ციხეები, როგორიცაა მურის, ზუბის, დეხვირის, ორბელის და ჭყვიშის ციხეები ალბათ უმეტეს შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის და მათი მფლობელების ვინაობასაც ცენტრალური ხელისუფალი განსაზღვრავს (33, 81; 94, 437). პატარა ციხეები, ეჭვგარეშეა, საშუალო და წვრილი აზნაურების კუთვნილება იყო. ასეთი სიმაგრეები შემორჩენილია ლეჩხუმის ბევრ სოფელში. მომცრო სიმაგრეებს – თაკვრელანის, ქვარიანის (9; 22, 43), მეშველიანის თანავიშვილების ციხეებს ამ გვარების წარმომადგენელი აზნაურები ფლობენ. ლეჩხუმში, მეომრული ფენის, წვრილი და საშუალო აზნაურების, სიძლიერის კიდევ ერთი დასტური ამგვარი, პატარ-პატარა ციხეების სიმრავლეა.

წარჩინებულ გვართა დაწინაურება, საგარაუდოდ ხელისუფლებისთვის გაწეული სამსახურის გამო ხდებოდა. გვიანფეოდალურ ხანაში ლეჩეუმში გამორჩეულად ძლიერი გვარია გელოვანი. ისინი გადმოცემით სვანეთიდან არიან ლეჩეუმში ჩასახლებული. ისტორიული წყაროებითაც დასტურდება, რომ გელოვანები XV საუკუნეში სვანეთის ბატონები იყვნენ. მათ ეს პატივი ბაგრატ V-ისგან ერგოთ (24, 261). გელოვანთა დაწინაურება კი ალბათ XII საუკუნიდან იწყება – ვახუშტის ცნობით თამარ მეფის კარზე ვეზირად და მდივანთუხუცესად დაუნიშნავთ ანტონ გელოვანი (24, 172).

გელოვანთა ლეჩეუმში დამკვიდრების ზუსტი დრო უცნობია. ისინი, ამ კუთხეში XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქმაოდ მომდლავრებულნი ჩანან და იმერეთის მეფის მოწინააღმდეგენი არიან. ალექსანდრე III გელოვანებს ამის გამო სჯის კიდევ (33, 55). შესაძლოა, ამ დრომდე ლეჩეუმის თავები, სწორედ გელოვანები იყვნენ, მეფესთან დაპირისპირების შემდეგ ლეჩეუმის თავი ლაშხიშვილი ხდება. გელოვანებისა და მეფის დაპირისპირების შედეგია ისიც, რომ ამ გვარის წარმომადგენლები არ სახელდებიან XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფო კართან დაახლოვებულთა სიაში და არ არიან დარბაზის წევრები (35, 206). გელოვანები, ლეჩეუმში პოზიციებს XVIII საუკუნის ბოლომდე ვერ იბრუნებენ, სოლომონ II-ის დროს კი ლეჩეუმს განაგებს დიდი გავლენის მქონე ქაიხოსრო გელოვანი. ამ პერიოდისთვის, გელოვანთა გვარი ორ დიდ ციხესიმაგრეს ფლობს. სამეფო ციხეა ჭყვიშის ციხე, რომელიც ლეჩეუმის სარდალ-მოურავი გელოვანის რეზიდენციაა, ხოლო ტოლას ციხე ამ გვარის კერძო საკუთრებაა (94, 437).

გვიან შეასაუკუნეში დაწინაურებული ჩანს ლაშხიშვილთა საგვარეულო. ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე XV საუკუნეში ჩნდებიან. საგარაუდოდ ლაშხიშვილები ლეჩეუმისა და მისი მომიჯნავე ლაშხეთის მებატონები არიან. ეს საგვარეულო აქტიურად მონაწილეობს სვანებსა და თავად ჯაფარიძეებს შორის კონფლიქტში, სადაც მათი ინტერესი სვანეთიდან ლეჩეუმში მიმავალი და ლეჩეუმიდან სხვა კუთხეებში გადასასვლელ გზებზე კონტროლის დაწესება და მათი ხელში ჩაგდება უნდა იყოს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ხოსია ლაშხიშვილი იმერეთის სამეფო კარის დარბაზის წევრია და ალექსანდრე III-ისა და რუსთა მეფის მიმოწერაში „დიდ ბაიარად“ მოიხსენიება (35, 206). ლეჩეუმის თავი ხოსია ლაშხიშვილი, დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურაა – ხოსიას მეშვეობით ქართლის მეფე ვახტანგ V თავიდან

იშორებს ვამიუ დადიანს (24, 836). ლაშხიშვილი, მცირე ხნის განმავლობაში დედოფალ დარეჯანთან და ვახტანგ ჭუჭუნაიშვილთან ერთად იმერეთის სამეფოს განაგებდა. თუმცა, იმერელი თავადებისგან გადაბირებულმა, მათ მალე უდალატა, დარეჯანი საკუთარი ხელით მოკლა, რასაც მალე ჭუჭუნაიშვილის მკვლელობაც მოყვა.

XVII საუკუნის მიწურულს გენათელი ეპისკოპოსია მარქოზ ლაშხიშვილი. შემდგომ პერიოდში, ლაშხიშვილები პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ ჩანან. შესაძლოა, მათი უფლებების დამცრობა და საბოლოოდ მათი ლეჩეუმიდან გადასახლება, ლეჩეუმში XVIII საუკუნიდან ჩიქოვან-დადიანებთან დაპირისპირებამაც გამოიწვია.

ინასარიძეები ლეჩეუმში XIII საუკუნიდან იხსენებიან (2, 127). XV საუკუნეში სვანებისა და ჯაფარიძეების კონფლიქტში ისინიც არიან ჩაბმულები და ალბათ, ლაშხიშვილების მსგავსად სატრანზიტო გზების და მისი მიმდებარე ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ცდილობენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვახუშტი ინასარიძეებსა და ლაშხიშვილებს რაჭის თავადებად მოიხსენიებს (24; 36). შესაძლოა, ეს მცირედი ცდომილება გამოწვეულია იმით, რომ ინასარიძის მამულები რაჭისა და ლეჩეუმის საზღვრისპირა სოფლებია. ისიც დასაშვებია, რომ ინასარიძეებს სამფლობელოები ორივე კუთხეში ჰქონდათ. ინასარიძეების განდიდებას XV საუკუნის ერთი დოკუმენტიც ცხადყოფს – მათ, სოფ. ჭაშლათში დავით აღმაშენებლის მიერ მთის წმ. გიორგისთვის შეწირული (ქვემო ლეჩეუმი) მცხოვრები ყმები წაურომევიათ. იმერეთის მეფე, ბაგრატ II ეკლესიას კუთვნილ ყმებს უბრუნებს და ამის დამამტკიცებელ დოკუმენტის ბოლოს აღნიშნავს, რომ „ინასარიძეთა გვარმან ამას ზედა (ამ გლეხებზე) არა საქმე არ ქონდეს“ (59, 308).

XVII საუკუნის შუა წლებში იმერეთის სამეფო კართან არსებული დარბაზის წევრია ქაიხოსრო ინასარიძე. ქაიხოსროს მემკვიდრეები უნდა იყვნენ იქსე და გიორგი ინასარიძეები, რომლებიც დარბაზის წევრთა სიაში 1669 წელს, ბაგრატ იმერეთის მეფის რუსებისადმი წერილში „ბაიარებად“ იწოდებიან. გიორგი ინასარიძის დროს საინასარიძეო მძლავრი ფეოდალური გაერთიანება ყოფილა. საინასარიძეო რიონის ხეობის ლეჩეუმს მოიცავდა, მის გამგებლობაში შედიოდა საირმე, ჭყვიში, ლაბეჭინა, ლვარდია, ზოგიში, აჭარა-ალპანა, კლდე დალმართის სოფლები – ტვიში, ონჭეიში, დღნორისა, საჩხეური, ჩორთისა, ჭაშლეითი, ლეხიდრისთავი. გიორგი ინასარიძეზე დღესაც შემონახულია

ხალხური თქმულებები, რომლებიც მას ძლიერ მმართველად, გულად მეომრად წარმოგვდგენს (2, 122–127). ინასარიძეებს დაწინაურება ლეჩხუმის სხვა მებატონეებთან შედარებით ჩანს იქიდანაც, რომ XVII-საუკუნის მეორე ნახევარში არსებობს ცალკე სათავადო საინასარიძეო. ოდიშის გამგებელ ჩიქვანთა ტიტულატურაში მათი სამფლობელოების ჩამოთვლისას ხშირად საინასარიძეო იხსენება. ეს სათავადო ლეჩხუმისგან გამოცალკევებულია. მაგ: გიორგი ლიპარტიანი (ჩიქვანი) არის ოდიშის სალიპარტიანოს მპყრობელი, ლეჩხუმისა და საინასარიძოს მჭირავ-მქონელი, იმერეთის სარდალი და თავი, სულ სვანეთის ქლიტე (33, 86).

XVIII-ს-ში გაურკვეველი მიზეზების გამო ინასარიძეთა საგვარეულო პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანს. შესაძლოა ინასარიძეთა საგვარეულო, როგორც ლეჩხუმის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული და ძველი თავადური სახლი, ლეჩხუმის ახალ მებატონეებისთვის, ოდიშის მთავარ დადიან-ჩიქვანებისთვის საშიში მეტოქე იყო. საგვარეულოდ ინასარიძეების დაქინება და შემდგომში ლეჩხუმიდან მათი გაუჩინარება სწორედ ამ დაპირისპირების შედეგია.

XVII-ს-ის მეორე ნახევარში „დიდ ბაიარს ხოსია ლაშხიშვილს ლეჩხუმის თავის თანამდებობაზე ხოსია ახვლედიანი ცვლის (33, 72). როგორც ჩანს ეს აზნაურული გვარი იმერეთის მეფის ერთგულია. 1645–46 წლებში, ლევან II დადინის მიერ ალყაშემორტყმულ იმერეთის მეფეს ორი მმა ახვლედიანი ახლავს, რომლებიც ბრძოლაში იღუპებიან კიდევ. შესაძლოა, რომ ახვლედიანები მეფის პირადი მცველების არიან. ერთგული სამსახურისთვის ხოსია და გიორგი ახვლედიანები ალექსანდრე მესამისგან ლვიოშს თავისი ციხით, ცხუკუშერს და ტვიშის რამოდენიმე გლეხს იღებენ (33, 63).

XVIII-ს-ის ბოლოსთვის ახვლედიანები ზოგიშის ციხის მფლობელები არიან, რომელიც სოლომონ II ჯარებს აქვს დაკავებული (92, 80). ალბათ ეს ახვლედიანი, იმერეთის და ოდიშის ლეჩხუმისთვის სამხედრო დაპირისპირებაში იმერეთის მეფის მხარესაა, რაც სხვა ლეჩხუმელ წარჩინებულთა ციციანოვისადმი მიწერილ მლიქვნელურ წერილში ჩანს სადაც ისინი რუსეთის მორჩილებას, დადიანის მათზე ბატონობას აღიარებენ და ამბობენ, რომ ამ საკითხში ისინი ერთსულოვნები არიან, მხოლოდ ახვლედიანი, ჩიქოვანი და გელოვანი გადგნენ გვერდზე (92, 472). ჩანს, რიონის ხეობა, სადაც სოლომონის პოზიციები მყარია სოლომონის მხარესაა, ხოლო სამეგრელოსთან უფრო ახლოს მდებარე ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმი დადიანის მომხრეა (გელოვანების

სამფლობელო ჭვიშის ციხე, - ახვლედიანების ზოგიშის ციხე, ბაკა ჩიქოვანის აჭარის ციხე რიონის ხეობაში მდებარეობენ).

ასათიანთა საგვარეულოს გათავადება XVIII საუკუნის დასაწყისში ხდება. პირველი ლეჩხუმელი ასათიანი XV საუკუნის დოკუმენტებშია მოხსენიებული. ქველი და არდაშელ ასათიანები „, დიდად ერთგული აზნაურშვილები ყოფილან გახტანგ (გორგასლად წოდებული) იმერეთის მეფისა, რის გამოც მეფე მათ სწყალობს და სასისხლო სიგელში მათი გვარის კაცის სისხლის, იმ დროისათვის, მეტად ძვირად ფასეულობას ამტკიცებს (38; 14, 15). ამავე საუკუნეში ასათიანთა გვარი სვანეთშიც მკვიდრობს (30, 39) პირველი გათავადებული ასათიანი ხახუბა ასათიანია. მას იმერეთის მეფესთან და ოდიშის მთავართანაც კარგი დამოკიდებულება აქვს და ორივესაგან იღებს წყალობას (67, 130).

XVIII საუკუნის განმავლობაში ასათიანები საინასარიძეოში ეპატრონებიან სოფელ დერჩის ნაწილსა და სოფელ დღნორისას. შემდგომში, მათ მამულები აქვთ სოფელ საჩხეურაში, ცხუკუშერში, ტვიშში, ბარდნალაში, ქორეინში, ჭაშლეთში, ონჭეიშში და წუნგამალიერში, აგრეთვე იმერეთის სოფელ პატრიკეთში.

ხახუბა ასათიანი და მისი მემკვიდრენი დადიანის დასაყრდენი მებატონები არიან და მათი განდიდება ოდიშის მთავართა კეთილგანწყობის შედეგია. ნიშანდობლივია, რომ ასათიანები, ლეჩხუმში დადიანთათვის მეტოქების შემძლევი ინასარიძეების მამულებს ეპატრონებიან. ასათიანებს, ასევე უთანხმოება აქვთ მოსაზღვრე მფლობელებთან, ახვლედიანებთან და აზნაურ ქვარიანებთან. XVIII საუკუნის ბოლოსთვის ასათიანები ძლიერი თავადები იყვნენ – მათ მფლობელობაში ზემოთჩამოთვლილ სოფლების გარდა სამი ციხე-სიმაგრე და ნათლისმცემლის ეკლესია. ასათიანთა საბატონოებში სავარაუდოდ 300 კომლზე მეტი გლეხი სახლობდა (67; 136, 137).

XVII საუკუნეში წარჩინებულთა შორის გვხვდებიან ქვარიანები. ზაქარია ქვარიანი 1637 წელს გენათელი ეპისკოპოსი ხდება, 1657-1660 წლებში კი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსია. აღსანიშნავია, რომ ზაქარიას ერთ-ერთი უახლოესი მემკვიდრე კათალიკოსის ტახტზე ისევ ლეჩხუმელი აზნაური, დავით ნემსაძეა (33, 75) ქვარიანების მამულად ალბათ სოფელი ორხვი უნდა მივიჩნიოთ. ქვარიანების ციხე, სწორედ ამ სოფელში მდებარეობს.

ქვარიანი მოიხსენიება სხვა დიდებულების გვერდზე, რომლებიც ზურაბ აბაშიძის თაოსნობით ერთიანდებიან და თურქების დასახვედრად ემზადებიან. აბაშიძე, იმერეთის იმდროინდელი ფაქტობრივი მმართველი, ახერხებს თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს თავადების მობილიზებას მტრის წინააღმდეგ, თუმცა ლეჩეუმელთაგან ამ გაერთიანებაში მხოლოდ ქვარიანი ჩანს (69; 44, 45).

პოლიტიკურ ასპარეზზე, ლეჩეუმელი დიდგვაროვნებიდან ყველაზე გვიან ჩიქოვანები გამოჩნდნენ. ისინი მესამე კატეგორიის (მდაბიო, ცალმოგვი) აზნაურები ყოფილან, თუმცა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მები გაბრიელ (ცაგერის ეპისკოპოსი) და კაცია ჩიქვანები დასავლეთ საქართველოს მმართველობაში ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებდნენ. XVII საუკუნის ბოლოსთვის მათი მემკვიდრენი დადიანებს ოდიშიდან სდევნიან და დადიანობას იგდებენ ხელში. XVIII საუკუნიდან ლეჩეუმში ჩნდებიან უკვე თავადობის რანგში აღზევებული ჩიქვანები. ძალიან ხშირად, ამ გვარის წარმომადგენლები, საერო და სასულიერო ხელისუფლების სათავეში გვევლინებიან – ლეჩეუმის სარდალ-მოურავების თანამდებობა და ცაგერის ეპისკოპოსობა XVIII-XIX საუკუნეებში უმეტესწილად ჩიქვანთა ხელში იყო.

როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, ლეჩეუმში თავადური გვარები იმდენად ძლიერნი არ იყვნენ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას მათი თვითნებობა მალევე არ აელაგმა. გელოვანების და ლაშხიშვილების დასჯის მაგალითი ამ აზრის ადასტურებს. ქაიხოსრო ლაშხიშვილის, კაცია ჩიქოვანის და ქაიხოსრო გელოვანის დიდ როლს დასავლეთ საქართველოს მმართველობაში კი უფრო მათი პირადული ლირსებები განსაზღვრავდა ვიდრე მათი ფეოდალური სამფლობელოების სიძლიერე.

გაბატონებულთა მეორე ეშელონს აზნაურები შეადგენდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ლეჩეუმში ეს ფენა საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო. აზნაურთა ძირითადი მოვალეობა ლაშქრობაში მონაწილეობა, ბატონთან მსახური – ბატონის ხლება, შიკრიკობა იყო. საინტერესოა ლეჩეუმელი აზნაურის ბატონის თანხლების ერთ-ერთი ეპიზოდის ეტიკეტი: თავადთა ოფიციალურ მოლაპარაკებებს ესწრებიან მათი მხლებელი აზნაურები; წესისამებრ, აზნაური, კედელსაა აკრული, ფეხი ფეხზე აქვს გადაჯვარედინებული, მარჯვენა ხელი კი იარაღზე უდევს (67, 138). ეს ცნობა, ლეჩეუმელთა ვახუშტისეულ დახსიათებას (მორჩილნი უფალთა თვისთა), ებმიანება და ლეჩეუმელი აზნაურებისა და თავადების ურთიერთობის ერთ-ერთ ნიუანსს ასახავს. აზნაურები

ემორჩილებოდნენ თავიანთ მებატონეებს და თავადაც შეეძლოთ ყოლოდათ ყმები აგრეთვე აზნაურები იხდიდნენ საუდიეროს. ლეჩეუმში, ისევე როგორც ყველგან, აზნაურები იყოფოდნენ სამეფო, საბატონო და სამღვდელო აზნაურებად. აზნაურები იყვნენ შინაგმებიც, რომლებიც ძლიერი თავადების კარზე რაიმე საპატიო სამსახურში იყვნენ.

ლეჩეუმელ აზნაურთა დიდი როლი დასავლეთ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ვახუშტისა და სხვა ქართული ისტორიული წყაროების გარდა უცხოელი მოგზაურებისა თუ მოხელეების ცნობებითაც დასტურდება. ამათგან, აღსანიშნავია რუსეთის მთავრობის მოხელის, იაზიკოვის მოხსენებითი წერილი, რომელიც დასავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამსახურო მდგომარეობას განიხილავს. იაზიკოვის თქმით, ოდიშის მთავარს ექვსი ათასი ჯარისკაცი ჰყავს, აქედან ორი ათასი კაცი ლეჩეუმიდანაა. ლეჩეუმელი, მოლაშქრეები საუკეთესონი არიან დადიანის არმიაში, რაც იმაზე მეტყველებს რომ ამ მოლაშქრეთა უმეტესობა ნარჩევი მეომრები, აზნაურები, არიან (93, 196). იაზიკოვის ცნობიდან დაახლოებით ასი წლის შემდგომი, 1860 წლის აღწერის მიხედვით აზნაურთა რაოდენობა ლეჩეუმში 364, ხოლო თავადთა 43 კომლია. ცხადია, ეს რაოდენობა ორიათასამდე რჩეული მეომრის შესაკრებად საკმარისი არ იქნებოდა. ამ ორი ცნობის ურთიერთშეუთავსებლობა სავარაუდოდ, რუსეთის მმართველობის დროს ლეჩეუმში აზნაურული გვარების შემცირებაზე მიგვანიშნებს. ამ ტენდენციის ამსახველი უნდა იყოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსი მოხელის, ი. მაისეევის ოდნავ იორნიანარევი ცნობა: „კიოთხვაზე რა წოდებისანი არიან, ბევრი პასუხობს: აზნაურობის მაძიებელი ამის დასტურად მათ აქვთ გახუნებული, აზნაური ბაბუის ან დიდი ბაბუის დანატოვარი ქაღალდის ნაფლეთები. ი.მაისეევის თქმით ლაილაშში აზნაურობის მაძიებელი საკმაოდ ბევრი ოჯახი იყო, მათ შორის სომხებიც (97, 138). სოფელ ლაილაშის მოსახლეობაში დადასტურებული ამგვარი სწრაფვა აზნაურობისკენ ალბათ მთელი ლეჩეუმისთვის იქნებოდა დამახასიათებელი – ამ მხრივ საყურადღებოა დღემდე შემონახული ტრადიცია იმ ოჯახების „აზნოურიშვილად“ წოდებისა, რომელთა აზნაურობა დოკუმენტებით არ დასტურდება. „აზნოურიშვილები“, საზოგადოების უმრავლეს ნაწილისგან, გლეხთაგან რაიმე ნიშნით (ცოდნით, ეკონომიკური შეძლებით, გავლენით და სხვა) გამორჩეული ოჯახები არიან (გ.მ, საველე დღიური). შესაძლოა, ისინი მართლა დამცრობილი აზნაურების, ანდაც აზნაურებთან მიახლოვებული მსახურების შთამომავლები

არიან. აზნაურთა თუ აზნაურყოფილთა და მსახურთა ამგვარი პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ რუსთა მმართველობის დროს, მათი როგორც მოლაშქრების ფუნქციის დაკარგვაა, რამაც მათი საზოგადოებრივი სტატუსიც დააგნინა.

გვიანფეოდალურ ლეჩეუმში საკმაოდ გავლენიანი და ეკონომიკურად ძლიერია ეკლესია. ცაგერის საეპისკოპოსო, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საგარაუდოდ IX-X საუკუნეებში უნდა დაარსებულიყო; ქოველ შემთხვევაში ცაგერის საეპისკოპოსო VII-IX საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში, სადაც ჩამოთვლილია ლაზიკის საეპისკოპოსოები, არ ჩანს (ბერძენიშვილი 1983: 21). ჩვენთვის ცნობილი პირველი ცაგერელი ეპისკოპოსი იხსენიება იშხნის წარწერებში. ირკვევა, რომ ანტონ ცაგერელი მოღვაწეობდა XI საუკუნეში, თავდაპირველად გახლდათ ცაგერის ხოლო შემდგომში იშხნის ეპისკოპოსი (25, 323, 324).

„ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერის ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩეუმისა და სუანეთისა“, ვახუშტის ეს ცნობა განსაზღვრავს ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესის სამწყსოს და ლეჩეუმთან ერთად მას სვანეთსაც მიაწერს (24, 729) მართლაც, მთელი შეა საუკუნეების მანძილზე სვანეთში საეპისკოპოსო არ ჩანს და ალბათ ამ კუთხის საეკლესიო ცხოვრებას ცაიშისა (ბალს ქვემოთ) და ცაგერის (ბალსზემო და ცხენისწყლის ხეობის სვანეთში) ეპისკოპოსები უძღვებოდნენ (30, 7; 19, 76) თვით ცაგერის ღვთისმშობლის საყდრის კუთვნილი მიწა ტაძრის სიახლოეს მდებარეობდა და საკმაოდ ნაყოფიერი და ვრცელი ჭალები ეპავა. ტაძრის კუთვნილი ტერიტორიას ქვემო სვანეთის სოფლი, ყვედრებში, ნამკაშურის ხეობა და სოფლებანოს სახნავი ადგილი მუაში საზღვრავს და ამ მიწებს საეპისკოპოსო გლეხები „ცაგეროვანის ხატის ყმები ამუშავებდნენ (33, 9; 9, 81)

XVII-XVIII საუკუნის საეკლესიო დოკუმენტები ცაგერის საეპისკოპოსოს, საცაგერლოს შესახებ საკმაოდ ვრცელ მასალას იძლევა. საცაგერლო გვიან შეა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დაწინაურებული საეპისკოპოსოა, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და ხშირ შემთხვევაში უმთავრეს როლს ასრულებს როგორც იმერეთის მეფის კარზე, ასევე ოდიშის სამთავროში.

XVI საუკუნის ბოლოსთვის საცაგერლოს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ თითქმის ამომწურავ ინფორმაციას იძლევა „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი“. სამწუხაროდ, დავთარს თავში და ბოლოში ფურცლები აკლია და ამიტომაც იძულებული ვართ ამ ნაკლული დოკუმენტის მონაცემებით ვისარგებლოთ. ამ საბუთის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საცაგერლო საშუალო შეძლების ფეოდალური გაერთიანებაა და მის შემადგენლობაში ლეჩეუმის სულ მცირე 8 სოფლის 64 კომლი შედის. მისი ტერიტორია მოიცავს ლეჩეუმის ორივე ნაწილს (დღევანდელი ტრადიციები ლეჩეუმს ორ ნაწილად, ხვამლის მთის გადაღმა და გადმოღმა ზონებად ჰყოფს) და ჩხუბელის, ზოშხას, უსახელოს, ნაკურალეშის, აღვის, ლახეფის, ოყურეშის და მახურის მაცხოვრებელთ აერთიანებს. ყველაზე მეტი ქმა – 16 კომლი, ცაგერელს ოყურეშში ჰყოლია. 14 საცაგერლოს კუთვნილი კომლია ნაკურალეშში, ლახეფაში 12, ჩხუბელში 9, უსახელოში 3, მახურას 2, აღვისა და ზოშხაში თითო-თითო. გლეხები ბატონს უმთავრესად დგინით, პურით, ღომით, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებით და სანთლით ამარაგებენ. იშვიათი სახის გადასახადებია: ყველის, გამომცხვარი პურის, სამაჭრობო საკლავის, სამარხვო პურის და ნააღდგომევს ბატკის გადასახადი. საკმაოდ გავრცელებულია ბეგარის ისეთი ფორმა როგორიცაა პურის (ბატონისთვის) ჭმევა, ტვირთი (ანუ ტვირთების გადაზიდვაში მონაწილეობის მიღება), მუშაობა (ფიზიკური მუშაობა) და ლაშქრობა. საცაგერლოს გამოსავალი ანუ ცაგერის ღვთისმშობლის ტაძრის ფეოდალური მეურნეობის შემოსავალი წლიურად შეადგენდა: 320 გორო (10 240 ლიტრი) ღვინოს; 335 ფოხალ, 12 კაბიწ და 12 გორო (3572 კგ) ხორბალს; 83 ფოხალ (664 კგ) ღომს; 70 ქათამს, საკლავის რაოდენობა 852 თეთრის საკლავით, ერთი ძროხით, ერთი ცხვრითა და ოთხი საკლავით განისაზღვრებოდა; სანთლის გადასახადი 13 ოკა (39 გირვანქა) იყო (წონის თანამედროვე ერთეულებში დავთრის მიხედვით მოცემული მონაცემები გადაყვანილ იქნა მ.ალავიძის მიერ მოძიებულ ცნობებზე (1, 147-148) დაყრდნობით); ტვირთების გადაზიდვაში 42 კომლი მონაწილეობდა, მუშაობაში კი 38; ცაგერელის სამსახური 15 კომლს, „პურის ჭამა“ ანუ მისი გამასპინძლება უკლებლივ ყველა გლეხს, ლაშქრობა კი 23 კომლს ედო ვალად. საცაგერლოში, როგორც გადასახადებიდან ჩანს მეურნეობის ძირითად დარგებს მეღვინეობა და მემინდვრეობა წარმოადგენს. ყველაზე მსუსე სოფლები ოყურეში, ჩხუბელი და ნაკურალეშია. ამ სოფლების გადასახადების საშუალო რაოდენობა ასეთია:

ოყურეშში დვინის საშუალო გადასახადი 150-160 ლიტრი იყო, ხორბლის კი 60 კგ-ს; ჩხუტელის გლეხობა ძირითადად დვინოს იხდიდა და კომლს საშუალოდ 300-320 ლიტრამდე დვინის გადახდა უწევდა, ნაკურალეშლებსა და ლახეფელებს ძირითადად ხორბალის გადახდა ევალებოდათ, და საშუალოდ 60-65 კილოგრამსაც იხდიდნენ. სოფლებს წამყვანი მეურნეობების მიხედვით პქონდათ გადასახადი და გამონაკლისი აქ მხოლოდ ოყურეშია – აქაურ გლეხებს ხორბლის, დვინის და საკლავის საკმაოდ მაღალი გადასახადები ადევთ (41, 3-8).

საცაგერლოს გლეხთა გადახდისუნარიანობა დიდად არ განსხვავდება დასავლეთ საქართველოს სხვა ეპარქიების გლეხთა შეძლებისგან. საცაგერლოს გამოსავალი დავთრის მიხედვით ყმათაგან ეპისკოპოსის ხაზინაში 3450 თეთრად დირებული ნატურალური პროდუქცია იყრის თავს, საცაგერლოს ყმების საშუალო გადასახადი კი დაახლოებით 57,5 თეთრია, რაც ამავე პერიოდთან მიახლოებული მონაცემებით სხვა ეპარქიის გლეხთა გადასახადს ცოტათი ჩამორჩება (39; 36, 37, 38).

საცაგერლოს ყმათა რიცხვში, როგორც სხვა საბატონოებში გლეხები ანუ მოინალეები ჭარბობენ – მათი რიცხვი ორმოცდაორია, მოსამსახურეები თხეუთმეტნი არიან. ცაგერის ეპისკოპოსის კუთვნილი ექვსი ოჯახი პარტახტია. პარტახტა სიმრავლე შესაძლოა რაიმე დაავადების შედეგია (39, 38). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლეჩხუმიც ვერ გადაურჩა შავი ჭირის ეპიდემიას, უამს რომელიც 1568 წელს იმერეთში მდვინვარებდა (40, 191). ესენი მიტოვებული, დროებით უპატრონოდ დარჩენილი ადგილებია, რომელზე დასახლების შემთხვევაშიც ახალი ოჯახის გადასახადი წინასწარ არის განსაზღვრული. მაგ: ლაჭუებიანი კვაკვალიას (რომლის ოჯახსაც ეკუთვნოდა ეს მიწა) პარტახტის გადასახადი, ანუ ამ პარტახტებ მოსული ოჯახის გადასახადი შეადგენს 5 გორო დვინოს, 9 ფოხალ პურს, 44 თეთრის საკლავს, 2 ქათამს, 1 თეთრის ყველს, აგრეთვე პურის ჭმევას, ტვირთის ზიდვას და მუშაობას). ამ პარტახტის გადასახადი საშუალო გადასახადის ტოლია, ზოგიერთი პარამეტრით საშუალოზე მეტიც კი, დანარჩენ ხუთ პარტახტსაც არ აქვს თვალშისაცემად მცირე გადასახადი (41; 3, 5, 6, 7), რაც მეტყველებს იმაზე, რომ პარტახტი საკმარისი ეკონომიკური პოტენციის მქონეა და არ ნიშნავს გაპარტახტებულ-გაკოტრებულ მეურნეობას. ს-კაპაბაძის აზრით, ცაგერელის ერთ-ერთი ყმა, ოყურეშელი მანოელ ყრუაშვილი აზნაურია. შესაძლოა, ეს ასეც იყო, რადგან მას „პურის ჭამის“ მეტი გადასახადი არ აკისრია (39, 38), ე.ი. სხვებთან

შედარებით პრივილეგირებულია. თუმცა ყრუაშვილს არც ლაშქრობა აკისრია და ვინაიდან იმდროინდელი კანონის მიხედვით აზნაურები სამხედროვალდებულნი იყვნენ, მისი აზნაურობა ოდნავ საეჭვოა.

საცაგერლოს ჩამოთვლილ მებეგრეებს, XVII საუკუნის შუა წლებისთვის ემატება 18 მოაღაპე გლეხი, რომელთაც ზემოთ მოხსენიებულ გლეხთაგან ოდნავ განსხვავებული გადასახადები აქვთ – ძირითადი აქ მაინც დვინო და ხორბალია, თუმცა მნიშვნელოვანი დატვირთვა მოდის ხორცის პროდუქტებზე (საკლავი, სალორე დორი, ცხვარი, ყვერული) და თევზეულზე (23, 523) ესენი „თავისდა სააღაპოდ“ გაუმწესებია გაბრიელს, რაც მისი გავლენისა და ამბიციების ზრდის უდავო დასტურია.

საცაგერლოში, XVII საუკუნის შუა წლებში გამოცალკევებულია განსაკუთრებული გადასახადი, რომელსაც მართალია იხდის გლეხი, მაგრამ ცაგერელს თემისთვის აქვს მიცემული; მაგ: გლეხი დათუა თევდორაშვილის ბეგარა გიორგობა დღეს იკრიბებოდა ოყურეშელის (ალბათ ოყურეშის საყდრის წინამდღვრის) მიერ და მისივე ორგანიზებით იმართებოდა სახალხო ლხინი.

ლხინის ოფიციალური დანიშნულება გაბრიელ ცაგერელის დალოცვა, მისი შესანდობრის თქმა გახლდათ (23, 519) და ასეთი სათემო ლხინები მეთემეთა მომადლიერებას, მათში საკუთარი გავლენის გამყარებასაც ემსახურებოდა. ასეთივე სახის გადასახადებისგან ცაგერელის სულის სააღაპოდ სათემო ლხინს, ალბათ რომელიმე საეკლესიო დღესასწაულის დღეს საკუთარ თემებში უსახელოვნელი (სოფ. უსახელო), ნაკურალეშელი (სოფ. ნაკურალეში) და ლახეთელიც (სოფ. ლახეფა) მართავდნენ (23, 523). ასევე განსაკუთრებული გადასახადი აქვს გლეხ მათვალია მამარდაშვილს, რომლის ძალიან მცირე ბეგარა (64 ლიტრი დვინო, 16 კილო ხორბალი, 16 კილო ლომი და ერთი საკლავი) ზუბელებს ეძლეოდათ. თუმცა ამის შესახებ არანაირი მითითება არ გვაქვს, მაგრამ შესააძლოა, ამ ბეგარის მიმღები აქაც სამდვდელოების წარმომადგენელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გადასახადი ზუბელი მეციხოვნების ანაც ასხის მთის საძოვრებისკენ მიმავალი გზის გადასახადს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ ლაშქრობა, ოცდასამ კომლს, საცაგერლოს გლეხთა მესამედს უწევდა და ამ მოლაშქრეთა უმეტესობა ოყურეშიდან (14) და ნაკურალეშიდან (7) იყვნენ. „მეომარი გლეხების“ ამგვარი თავმოყრის მიზეზი, ალბათ ამ სოფლების ეკონომიკური სიძლიერე უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმ

შემთხვევაშიც კი, თუ გლეხები ლაშქრობების დროს მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, ისინი მაინც საჭიროებდნენ გარკვეული სახის საომარ აღჭურვილობას, რისი ფლობა, შენახვა და განახლება არც თუ ისე მცირე სახსარს მოითხოვდა. როგორც ჩანს, იმერეთის მეფე XVI საუგუნის ბოლოს საქმაოდ რთულ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც მას ჯარის შევსება მოინალე გლეხებით უწევს – როგორც წესი, ამ დროისთვის ლაშქარს თავადები, აზნაურები და მსახურები შეადგენდნენ. გლეხს ანუ მოინალეს ლაშქრობის პატივი არ ერგებოდა (52, 307) საცაგერლოს გამოსავალის დავთარის მიხედვით ცაგერელის კუთვნილ ოცდასამი სამხედროვალდებული კომლიდან, ცამეტი მოსამსახურისაა, ათი კი მოინალე გლეხის (41, 3-8) მოლაშქრეობის პატივი ლოგიკურად უნდა ასახულიყო გლეხის უფლება-მოვალეობებსა და ბეგარის რაოდენობაზე, თუმცა ამგვარი რამ არ შეიმჩნევა – გადასახადების რაოდენობა მოლაშქრე გლეხისთვის მაინცადამაინც შეღავათიანი არაა და საშუალო გადასახადის ტოლია. ამ მხრივ გამონაკლისია ოყურეშელი მოლაშქრე გლეხის კომლის, კახნია მამარდაშვილისა და მამამისის ერთობლივი ოჯახის, საქმაოდ მოზრდილი გადასახადი – ამ ოჯახს ლაშქრობასთან ერთად ბატონისა მართებს 8 გორო ღვინო, 11 ფოხალი პური, საკლავი 24 თეთრის, 2 ქათამი, პურის ჭამა, ტვირთი და მუშაობა (41, 8). ამათი გადასახადი საშუალოზე გაცილებით მეტია და ხშირ შემთხვევაში მოლაშქრეობის პატივის არმქონე გლეხების გადასახადებს საკმაოდ აჭარბებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოცდასამ ჩამოთვლილ მოლაშქრე გლეხთაგან ოცდაორის მოვალეობა არა უბრალოდ მოლაშქრეობა არამედ „მეფის ლაშქრობა“ იყო. უსახელოელი მუსელიანების ოჯახი ერთადერთია მოლაშქრეთაგან რომელთა ლაშქრობის მოვალეობა დაუკონკრეტებელია, არაა აღნიშნული რომ მათ მეფის ლაშქრობა ევალებოდათ. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში კალიგრაფოსის მექანიკურ შეცდომასთანაც შეიძლება გვქონდეს საქმე. ამდენად, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცაგერელსა და მეფეს გარკვეულწილად ერთი საყმო ჰყავს – ცაგერელის საკუთრებაში მყოფი გლეხების რჩეული ნაწილი ბოლომდე მისი საკუთრება არაა, ის ნაწილობრივ მეფესაც ეკუთვნის და ეს ფაქტი ალბათ მიგვანიშნებს, რომ მეფისა და ცაგერლის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მეფის მოლაშქრეობა, რომ უბრალო მოლაშქრეობისგან განსხვავდება ს.კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტითაც, სადაც საუბარია გლეხი თევდორაშვილის

მოვალეობებზე, საბუთდება. ამ დოკუმენტში, ცაგერელი თევდორაშვილის მოვალეობებს საზღვრავს, მის ბეგარას თემს აძლევს და აღნიშნავს, რომ ბეგარის გარეთ „სხვა ნადობა, ლაშქრობა, სამსახური ცაგერელისა არისო“ (23, 520)

„საცაგერლოს გამოსავლის დაგთარში“ დაცული ცნობების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში გლეხთა მოლაშქრეობის ერთ-ერთი პირველი ფაქტი ლეჩეუმელ გლეხთა მეფის ლაშქრში მონაწილეობაა. საომარი ქმედებების დროს მათი ფუნქციის განსაზღვრის საშუალებას ფაქტებისა და ცნობების სიმწირე არ გვაძლევს. თუმცა, ერთ-ერთი რუსი ჩინოვნიკის ცნობის მიხედვით შესაძლებელია ვიგარაულო, რომ XVIII საუკუნში, ომიანობის დროს ისინი მოურავებისა და სამხედრო მეთაურების ხელმძღვანელობით ძირითადად სტრატეგიულ ადგილებს და ციხეებს ამაგრებდნენ (94, 438). გლეხთა სამხედრო გაწვევის ტრადიცია მონდოლებიდან მოდის – მონდოლთა ბატონობისას ასეთი კანონი დაწესდა: ყოველი მეცხრე გლეხის კომლი თითო მეომარს იძლეოდა (ჟამთააღმწერელი, 207-208). სავარაუდო, მონდოლთა ომებში გაწვეული გლეხები თარხნდებოდნენ, მსახურის კატეგორიაში გადადიოდნენ. გლეხი მოლაშქრენი მონდოლთა ალაფის მოზიარეებიც იყვნენ, რაც მათ გამდიდრებას უწყობდა ხელს (78; 19, 21). ამდენად, ამ ტიპის მოლაშქრეებს გლეხთა სოციალურ კატეგორიას ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ. XV-XVI საუკუნეებში გლეხთა მოლაშქრეობა არსად არ იხსენიება. ალბათ მონდოლთა ბატონობის შემდეგ ქართველ ხელისუფალთ გლეხთათვის სამხედრო ვალდებულების დაკისრება შეუწყვეტიათ. 1616-1621 წლებით დათარიღებულ დოკუმენტში, მალაქია კათალიკოსის „მოლაშქრე კაცთა“ ნუსხაშიც ვერ ვხვდებით გლეხთა ხსენებას. გლეხთა მოლაშქრეობის პირველი ფაქტი 1625 წლის მარაბდის ომში დასტურდება სადაც დახოცილ თავადაზნაურობასა და მსახურთა გვერდით იხსენიებიან გლეხებიც. ფართო ხასიათი გლეხთა ლაშქარში გაწვევას XVII საუკუნის მეორე ნახევარში მიუღია (37, 124). ამდენად, ცაგერელის ყმებს, შესაძლოა პირველი მოლაშქრე გლეხებიც ვუწოდოთ.

XVII საუკუნის შუა ხანებში საცაგერლო და მისი მესვეურნი ლეჩეუმში იმერთა მეფის ერთ-ერთ მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენენ. იმერეთის მეფეები, გიორგი III და ალექსანდრე III მამულითა და ყმის სიმრავლით აძლიერებენ ცაგერელ ეპისკოპოსებს. XVII საუკუნის დასაწყისისთვის ცაგერში ეპისკოპოსი სერაპიონ აბაშიძეა, მის შემდეგ ნიკოლოზ კუჭაიძე (25, 60), ხოლო

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს საცაგერლოს გამგებლად გაბრიელ ჩიქვანი (23, 521; 25, 60) გვევლინება და მის დროს ცაგერის ეპარქია ერთიორად იზრდება. საეპისკოპოსო იბრუნებს თავის სამფლობელოებს, რომლებიც მეფის ხელისუფლების შესუსტების გამო სხვა მფლობელების ხელში იყო გადასული. ცაგერელის მოქაშენი გელოვანთა საგვარეულოს წარმომადგენლები არიან. როგორც ჩანს, მათ უსარგებლიათ მეფის ხელისუფლების შესუსტებით, რაც ცაგერელისადმი სათანადო ყურადღებისა და დაცვის შემცირებაში აისახა და ექვსი კომლი „ნაძალადევად“ გამოურთმევია ცაგერის დვთისმშობლის ტაძრისთვის (33, 55). შემდგომში მეფემ ეტყობა პოზიციები გაიმაგრა, გელოვანს შემთსწყრა და გლეხებიც ძველ პატრონს დაუბრუნა. ცაგერელი ახალ ყმებს შოულობს ოყურეშეშში, უსახელოში, საცაგერლოს უფლებები ვრცელდება სოფელ ოჯოლის გლეხებზე. ამ პერიოდშივე ცაგერელი სოფელ უსახელოში, საკუთარი სახსრებით ყიდულობს მიწას და იშენებს სასახლეს/რეზიდენციას. მეფის მიერაა ნაწეალობები მეშველიანის ციხე და მისი შემოგარენი. ცაგერელს ეტყობა საკმაოდ კარგი ეკონომიური მდგომარეობა აქვს და ადგილობრივი ფეოდალებისგან – გელოვანებისგან, ლაშხიშვილებისგან, ნემსაძეებისგან, ყიფიანებისგან შესყიდული გლეხებით საკმაოდ ზრდის თავის მეურნეობას (33, 55). ცაგერელის ქონება ძლიერი თავადების შემოწირულობებითაც ივსება, რაც თავისთავად ამ საეკლესიო ხელისუფალის ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს – ლეჩხუმში მეტად გავლენიანი სათავადოს საინასარიძეოს თავადები ცაგერის დვთისმშობელს თავიანთი სამფლობელოს მნიშვნელოვანი ტერიტორიის (ლეხიდრიდან ჯვარდამწვრამდე) შემოსავლის 2/3-ს სწირავენ (41, 14). მეფეს საცაგერლოსთვის, ლეჩხუმის გარეთაც, იმერეთში, ქონეთში მიუცია ერთი გლეხი (33, 55) და ამას ალბათ თავისი ლოგიკური ახსნაც აქვს: ქონეთში მეტად გავრცელებულ ქვის მრეწველობის პროდუქციას ლეჩხუმში დიდი პოპულარობა პქონია (55, 74) და თუმცა ეს ცნობა მოგვიანო ხანისაა, ვფიქრობთ რომ განსახილველ პერიოდშიც ქონეთის ქვის მრეწველობას ლეჩხუმის მოსახლეობაში და განსაკუთრებით ქვის მრეწველობის პროდუქტის ფართო მომხმარებელ საეკლესიო გაერთიანებებში, ამ შემთხვევაში კი საცაგერლოში ბლომად მუშტარი უნდა ყოლოდა. მცირე ხნის შემდგომ ცაგერელს, იმავე ქონეთში (ჯონეთი) უკვე ვამეყ დადიანი სწირავს აზნაურის სახლკარს და მიწა-წყალს და ორ კომლ გლეხს (41, 15-16).

ცაგერელს, რა თქმა უნდა მჭიდრო ურთიერთობები აქვს ლეჩეუმის დანარჩენ საეკლესიო გაერთიანებებთან და მათ წინამდღვრებთან: ოყურეშელთან, ნაკურალეშელთან, უსახელოველთან, ლახეთელთან, საირმის წინამდღვრებთან, ლეხანელთან. უმრავლეს შემთხვევაში ცაგერელი, როგორც ლეჩეუმის „ეკლესის თავი“ კეთილგანწყობილი და მოწყალეა, თუმცა იშვიათად მაინც იქმნება კონფლიქტური სიტუაციები – საქმაოდ მომძლავრებულ გაბრიელს, რომელიც უკვე ცაგერლობასთან ერთად ჰყონდიდელიცაა, ლეხანელთან მიწის თაობაზე პქონია დავა (33, 72). ლეხანელი სავარაუდოდ სოფელ ლუხვანოში არსებული საეკლესიო გაერთიანების წინამდგარი უნდა იყოს, რომელსაც გაბრიელის წინამორბედ გვარად ფულარიან ცაგერელთან, გაბრიელთან სადავო მიწებზე პქონია გარიგება. გაბრიელი, ეტყობა პოლიტიკური მოსაზრებით ლეხანელისადმი კეთილგანწყობილ ლეჩეუმის ბატონის, ხოსია ახვლედიანის, ხათრით მნიშვნელოვ დათმობაზე მიდის (33, 72).

ცაგერელი, თავის მხრივ აქტიურ საეკლესიო პოლიტიკას აწარმოებს და ცდილობს რეგიონში არსებული მძლავრი საეკლესიო კერების შემომტკიცებას – ერთ-ერთი ნაბიჯი, ლეჩეუმში დიდად პოპულარული ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესის „მომადლიერებაა“. გაბრიელი წმ. გიორგის სწირავს შვიდ კომლ გლეხს, ტბა ბაბუშერს, ზუბის ციხეს და ციხის გლეხებს (23, 519) თუ გავითვალისწინებთ ზუბის ციხის მაშინდელ მნიშვნელობას და იმას, რომ ეს ციხე რეგიონის შიდა და სხვა კუთხეებთან დამაკავშირებელი გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა, შენაწირი უდავოდ დიდმნიშვნელოვანია. საინტერესოა, რომ გაბრიელ ცაგერელს ზუბის ციხე და ციხის გლეხება იმერეთის მეფისგან აქვს გადაცემული და ფაქტი, რომ ცაგერელს შეუძლია თავისი ნებისამებრ განკარგოს ასეთი დიდმნიშვნელოვანი ციხე, გაბრიელის დიდ უფლებებზე და ავტორიტეტზე მეტყველებს.

გაბრიელის ხელისუფლება დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იზრდება, – 1669 წლისთვის ის უკვე გაერთიანებული ეპარქიების წინამდღოლია და ჰყონდიდელ-ცაგერელად ისენიება (33, 72). თითქოს გაუგებარია – ჰყონდიდის ეპარქია ოდიშის საკათალიკოსოს უქვემდებარება, ცაგერელი კი თითქოს მეფის საიმედო დასაყრდენია. ამ საკითხში გარკვევა უფრო ცხადად დაგვანახებს თუ რა როლს ასრულებს საცაგერლოს ბატონი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ალალი ძმაა, იმ ხანის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი ფიგურის კაცია ჩიქვანისა, რომლის დაწინაურებაში და

წარმატებულ პოლიტიკურ კარიერაში სწორედ გაბრიელმა ითამაშა დიდი როლი, უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ კაციას პოლიტიკურ ასპარეზზე გაყვანა და შემდგომი განდიდება გაბრიელის ინტრიგებისა და გამჭრიახობის შედეგია (47, 112). გაბრიელი კარგად იყენებს იმერეთის სამეფო კარისა და ოდიშის მთავრებს შორის არსებულ დაპირისპირებას და მათ დაინტერესებას ლეჩეუმით. დადიანები უკვე სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებენ აქამდე იმერეთის მეფის ხელდებულ ლეჩეუმზე. პირველ ხანებში, XVII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოსთვის გაბრიელი იმერეთის მეფის ბანაკშია, რასაც 1656 წლის მახლობლად დათარიდებული ხვამლის წმ. გიორგისადმი შეწირულობის წიგნი მოწმობს – ოდიშის მთავრის კარზე დაწინაურებული ვინმე ქვარიანის სასახლეს ოყურეშში გაბრიელი თავის მფლობელობაში აქცევს და ხვამლს სწირავს, თანაც დასძენს, მე რომ არა „სრულიად ოყურეში“ დადიანს ჩაუვარდებოდა ხელშიო (23, 521). აშკარაა, რომ ცაგერელი დადიანთა ინტერესებს უპირისპირდება.

XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა საცაგერლოსა და სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება შეცვალა. ორმოცდაათიანი წლების მიწურულს იმერეთის მეფე ალექსანდრე III თითქოს პოზიციებს იმაგრებს, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ V, ქართლის მეფე და ვამეუ დადიანი იმერეთს შუაზე იყოფენ. ვამეუ, სწორედ ამ წელს სწირავს ცაგერის ღვთისმშობლის ტაძარს სასახლესა და ორ კომლ გლეხს (41, 15-16). მალე დადიანისა და ვახტანგის შეთანხმება ირდვევა. ვახტანგ მეუთეს დადიანთან საბრძოლველად მიემსრნენ გურიელი, „სრულერთ“ იმერეთი და ლეჩეუმის თავი ხოსია ლაშხიშვილი. დამარცხებული ვამეუ გარბის სვანეთში სადაც მას ვახტანგ V-ის შეკვეთით აკვლევინებს ლეჩეუმის ბატონი ხოსია ლაშხიშვილი (24, 836). სამეგრელოს მთავარი ლევან III ხდება. ხოსია ლაშხიშვილისა და იმერელი თავადების შემწეობით იმერეთის ტახტზე დედოფალი დარგვანი და მისი მეუდღე ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი ადიან. დარეჯანმა და ვახტანგმა ხოსია სამეფო კარზე პირველ კაცად დააყენეს, თუმცა მათთვის ეს არჩევანი დამდუპველი აღმოჩნდა – იმერელი თავადებისგან გადაბირებულმა ხოსიამ, დარეჯანი საკუთარი ხელით – შუბით მოკლა. დარეჯანის მკვლელობას მალე ჭუჭუნაიშვილის სიკვდილიც მოყვა.

ვახტანგ V-მ, დასავლეთ საქართველოში თავისი პოლიტიკის გატარების უსაფრთხოების მიზნით, დაატყვევა და შელავერის ციხეში გამოკეტა ჭყონდიდელი გაბრიელი (24, 836). თუმცა გაბრიელი მალევე ახერხებს ციხიდან გაპარვას და ისევ ჭყონდიდელად გვევლინება. მისი მეოხებით კაცია ჩიქვანი ჯერ იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის კარზე წინაურდება და ლეჩეუმის ბატონობას იღებს, შემდეგ კი ლევან III დადიანისგან სალიპარტიანოს გამგებლობას. სალიპარტიანო ოდიშის სამთავროს ყველაზე მნიშვნელოვანი სამფლობელო იყო, რომელსაც დადიანის ოჯახის წევრები განაგებდნენ და მთავრების ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა. ცხადია, ოდიშის წარჩინებულებს არ სურდათ მდაბალი აზნაურული წარმოშობის კაცია ჩიქვანის განდიდება და სადადიანოში პოზიციების გასამყარებლად კაციას მათთან დაპირისპირება უწევს. კაცია გაბრიელის შეგონებით მოქმედებს და მალე ოდიშისა და ლეჩეუმის ბატონ-პატრონი ხდება (24; 842, 845). ჩიქვანთა მიერ ლეჩეუმის ოდიშისთვის მიერთება, საგარაუდოდ 1669 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამ დროს ლეჩეუმის ბატონი ჯერ კიდევ ხოსია ახვლედიანია (33, 72) ასე, რომ იმერეთის მეფეებისა და ოდიშის მთავრების ქიშპობას ლეჩეუმისთვის, რომელიც რუსეთთან შეერთებამდე გაგრძელდა, გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელმა დაუდო სათავე.

ამ მოვლენების შემდეგ გაბრიელის ხელისუფლება კიდევ უფრო მატულობს, 1675 – 1680 წლებით დათარიდებულ საბუთში იგი უკვე ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელად იწოდება (33 78). შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელი ერთგვარი რუსი კარდინალის როლში გვევლინება – სამოც-სამოცდათიან წლებში იგი ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენის თანამონაში ჩანს. ჭყონდიდელ ცაგერელი ბატონი გაბრიელი აქტიურად მონაწილეობს ბიჭვინთის კათალიკოსად, მისთვის სასურველი კანდიდატის, დავით ნემსაძის დანიშვნაში (33, 75). გაბრიელი ნემსაძის კათალიკოსად დანიშვნის შუამავალია, გარდა ამისა იგი საეკლესიო საბუთებში დასახელებულ მოწმეთაგან ყოველთვის პირველ ადგილზე არის მოხსენიებული (33; 75, 76). ამავე წლებში გენათელი ანუ გელათის ეპისკოპოსი მარკოს ლაშხიშვილია (23, 598). საგარაუდოა, რომ ლეჩეუმური წარმომავლობის (ნემსაძე, ლაშხიშვილი) წარჩინებულთა დაწინაურება დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ასპარეზზე, გაბრიელ ჩიქვანის დამსახურებაა. გაბრიელი, ალბათ თავისი თანამოაზრებით აჯერებდა სტრატეგიულ თანამდებობებს და ამით თავის გავლენის სფეროებს ზრდიდა.

საინტერესოა, რომ ბიჭვინთის ანუ აფხაზეთის კათალიკოსს, ლევან III დადიანი, იმერეთის მეფის თანხმობით ნიშნავს, ამ საქმის მოთავე და მთავარი მოწმე გაბრიელია, ხოლო მისი ძმა კაცია ჩიქვანი ერთ-ერთი მოწმე (33, 75), რომელიც ამ დროს დადიანის ვეზირია და ფლობს ლეჩხუმისა და სალიპარტიანოს პატრონის, ოდიშის თავის, ოდიშისა და იმერეთის სარდალის ტიტულს (25, 82) როგორც ვხედავთ, გაბრიელ ჰერონდიდელ-ცაგერელს და მის ძმას, ხელთ უპყრიათ მნიშვნელოვანი საერო და საეკლესიო ხელისუფლება. თუმცა მათ უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვთ და ამ გეგმას ნელნელა ანხორციელებენ კიდეც. გაბრიელი ლევან III-ის დიდი ნდობით სარგებლობს და მისი გაუის მანუჩარის აღმზრდელია (33, 76).

გაბრიელისა და კაციას მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, როდესაც ისინი საკმაოდ გაძლიერდნენ, საცაგერლოს ქონება უნდა გაზრდილიყო. ლეჩხუმში, ამ დროისთვის იწყება ეკლესიების მშენებლობა – XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში, ლეჩხუმში აშენდა ნაკურალეშის, საირმის, მცხეთის და ოყურეშის ეკლესიები, რომელთა მაშენებლებიც ოდიშის მთავართა ახალი დინასტიის წარმომადგენლები, გადადიანებული ჩიქვანები იყვნენ (25; 82, 14, 35, 50). თვით გაბრიელი და კაცია ნაკურალეშის ეკლესიის მაშენებლები არიან. ეს ფაქტი ეკლესიის კედლის მხატვრობითა და წარწერით დასტურდება – გაბრიელი მოხსენიებულია საყდრის აღმშენებლად და ეს წარწერა მდვდელომთავრის, რომელსაც ხელში ეკლესიის გეგმა უჭირავს, გამოსახულების ქვეშ არის გაკეთებული. მის გვერდით კი ახალგაზრდა მდვდელომთავარი, სვიმონ ცაგერელია გამოსახული (25, 82). ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდით ეს ორი და ეკლესიის კედლებზე გამოსახული კიდევ სამი მამაკაცი ძმები უნდა იყვნენ. ცაგერლად სვიმონის მოხსენიება, ოდნავ უცნაურია, რადგან ამ დროს გაბრიელი ჰერონდიდელიცაა და ცაგერელიც. შესაძლოა, სვიმონი გაბრიელის მოუცლელობის გამო, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, მართლაც განაგებდა საცაგერლოს და ცაგერის ეპისკოპოსიც გახდა მისი გარდაცვალების შემდეგ. თუმცა სვიმონის ცაგერლობასა და მის მოღვაწეობაზე მეტი არაფერია ცნობილი.

XVII საუკუნის ბოლოს, დასრულდა გაბრიელ ჰერონდიდელ ცაგერელის წამოწყებული საქმე – 1691 წლიდან ოდიშის ტახტი მთლიანად უვარდებათ ხელში ჩიქვანებს. ახალი დინასტიის პირველი მთავარი, გაბრიელის ძმის, კაციას შვილიშვილი, კაცია I მომდევნო საუკუნის დასაწყისიდან მტკიცდება.

XVIII საუკუნის მანძილზე საცაგერლოსა და ლეხსუმის ეკლესიებს უკვე გადადიანებული ჩიქვანებისგანაც არ აკლდებათ ყურადღება – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი თაოსნობით მიმდინარეობს ეკლესია-მონასტრების შენება; მათივე ხელშეწყობით ეწყობა და უმჯობესდება საეკლესიო მეურნეობა, იზრდება ეკლესიათა შემოსავალი. ამგვარად, ცაგერის საეპისკოპოსო ოდიშს მთავართა უურადღების ცენტრშია და ლეხსუმში მათი დასაყრდენიცაა.

ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესია გიორგი ლიპარტიანისგან (კაცია ჩიქვანის ძე), რომელიც ფაქტიურად ოდიშის მთავარია (საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა დასავლეთ საქართველოში), იდებს ყმად აზნაურ სვიმონ იაშვილს (33, 86). იაშვილი რომ საჭირო კაცია და მისი მამული სტრატეგიულად საინტერესო ადგილზეა, ამას თვით ლიპარტიანის სიტყვები – ჩვენთვის საჭირო ადგილზე ცხოვრობსო, მოწმობს. შესაძლოა ეს იაშვილი რაჭველი აზნაურია და მისი სამხედრო სამსახური გიორგი ლიპარტიანს აღმოსავლეთით, ლეხსუმის მომიჯნავე რაჭის საზღვრების გასამაგრებლად სჭირდება.

გაბრიელ ჩიქვანს საცაგერლოში, ალბათ მისი გარდაცვალების შემდეგ მისივე ძმის შვილიშვილი, გაბრიელი ცვლის. მას წინამორბედის მსგავსად ცაგერლობასთან ერთად ჭყონდიდელობაც უპყრია და მასავით გავლენიანი და ბევრისშემძლე კაცი ჩანს. გაბრიელ ლიპარტიანი (იგი ძეა სალიპარტიანოს გამგებლის გიორგი ჩიქვანისა, რომელსაც ისტორიული საბუთები ლიპარტიანად მოიხსენიებენ, ამიტომ მის შვილსაც მოვიხსენიებთ ლიპარტიანად) ცაგერის ღვთისმშობლისა და ოყურების წმ. გიორგის ეკლესიებს უამრავ მამულებსა და ყმას სწირავს. გაბრიელის ცნობა ამ შეწირულობის შესახებ იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ცაგერის ეკლესიებს ყმა-მამული ოკრიბიდან და ქუთაისიდან ეწირებათ, თანაც მათ შორის ბევრია აზნაური და მოსამსახურე (33 110-111). როგორც ჩანს, ჭყონდიდელ-ცაგერელს იმერეთის მეფის ტერიტორაზეც აქვს გავლენის სფეროები. მისი ძალაუფლების ზრდა, რაც ალბათ გაბრიელ ჩიქვანის მოღვაწეობიდან გამომდინარე ინერციულად ვითარდებოდა, ოდიშის მთავართა ოჯახში ურთიერთობებს ძაბავდა. გაბრიელსა და მამამისს, გიორგი ლიპარტიანს შორის უთანხმოებას, გაბრიელის ძმის, კაციას მემკვიდრის ბეჭან დადიანის გამთავრებისთანავე, გაბრიელისთვის ჭყონდიდელობის ჩამორთმევა მოყვა. „ჩვენი ძმა გაბრიელი საჭყონდიდლოში ბატონად იჯდა და ეშმაკის სიხარბით ჩვენსა მის აშლილება და ერთმანეთის მოცილება შეექმნა“ – ამბობს, ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ საბუთში ბიძის განდიდებით ფრიად შეწუხებული

ბეჭან დადიანი და ალბათ, მისი ოოგორც მთავრის პირველი ნაბიჯი, გაბრიელის ჭყონდიდის ეპისკოპოსობიდან დათხოვნაა (33; 110, 111, 113). თუმცა, ცაგერელი გაბრიელ ლიპარტიანის გავლენა იმდენად დიდია, რომ იმავე წელს იგი კვლავ ორი, ცაგერისა და გელათის ეპარქიის წინამდღოდნია და შესაბამისად ცაგერელ-გენათელად იხსენიება (33, 114).

XVIII საუკუნეში, ოდიშის მთავრების ოჯახი ცაგერის ეპარქიას სამ ეპლესიას მატებენ. საირმის მონასტრის მშენებლობა დაუწყიათ ოტია დადიანსა და დედოფალ გულექანს და 1766 წელს დაუსრულებია მათ მემკვიდრე კაცია II-ს (34, 30-32). ხალხში არსებული ტრადიციით ოტია დადიანსა და მისი მეუღლის მიერაა აშენებული სოფ. მცხეთის ეპლესია (23, 50), რომელიც ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ლეჩეუმში. საუკუნის მიწურულს გიორგი ოტიას ძე დადიანი ოყურეშში წმ. გიორგის ტაძარს აგებს. დადიანები ყოველმხრივ ზრუნავენ ცაგერისა და ცაგერის ეპარქიაში შემავალი ეკლესიების გაძლიერებისთვის (34; 8, 9, 28, 29, 30-32). განსაკუთრებული აქცენტი საირმის მონასტერზეა გაპეთებული: აქ, ოოგორც ვთქვით, ახალ ეკლესიას აშენებენ და მას უწყვეტი შეწირულობანი აქვს კაცია II-ის, ანტონ ცაგერელის და ნიკოლოზ დადიანისგან (კაციას ძმაა, რომელსაც დიდი მამულები აქვს ლეჩეუმში) (34; 29, 43, 44). კაცია II-სა და ნიკოლოზის მიერ გაღებული შესაწირი საკმაოდ სოლიდურია: მრავალი ყმისა და ადგილ-მამულის გარდა, საირმეს უდაბნოსა და დვოისმშობლის მიძინების ტაძარს ეწირება მთელი ლეჩეუმიდან აკრეფილი სადადიანო ბეგარის ათისთავი (ნაათალი (56), მეათედი), შემოსავლები ოდიშის საბაჟოდან, ლაილაშში მოსახლე ოთხი სომხური ოჯახი, რომლებიც ალბათ ვაჭრები/ხელოსნები იყვნენ, მეთევზები და კიდევ მრავალი სხვა რამ. საირმისადმი ინტერესი შეიძლება აიხსნას იმ ფაქტითაც, რომ საირმე ლეჩეუმის აღმოსავლეთ ნაწილშია, შორია ოდიშის ცენტრისგან და ამიტომაც, სწორედ აქ არის საჭირო პოზიციების გამყარება.

XVIII საუკუნის განმავლობაში საცაგერლოს გამგებლები ოდიშის მთავრების ოჯახის წევრები არიან – საცაგერლოს, შიდა ოჯახური დაპირისპირების შემდგომ ჭყონდიდელობაწარომეული გაბრიელ ცაგერელ გენათელი, საეპისკოპოსოს ალბათ გარკვეული წლების მანძილზე მართავდა. მის შემდეგ დადასტურებული ცაგერელი გრიგოლ ბეჭანის ძე დადიანია. იგი 1757 წლის საბუთით ცაგერელია (34, 8), ხოლო 1760 წელს ჭყონდიდელად მოიხსენიება (33, 14). იმდონინდელი საბუთების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ,

რომ ჭყონდიდელი ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფიგურაა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ წრეებში – ჭყონდიდელი უოველთვის ესწრება მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად შეკრებილ თავყრილობებს და საეკლესიო პირთა შორის კათალიკოსის შემდეგაც სახელდება (42). გრიგოლის შემდეგ ბესარიონია, რომელსაც ანტონი, კაცია დადიანის ძმა ცვლის. შემდეგ ცაგერელი კვლავ მთავართა ოჯახის წარმომადგენელი, იოანე კაცია დადიანის ძეა, რომელიც 1792 წელს ჭყონდიდელი ხდება (25 14). სამწუხაროდ, საეკლესიო საბუთები XVIII საუკუნის მიწურულის ცაგერის საეპისკოპოსოს ცხოვრების შესახებ არ შემორჩენილა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული და ზემოთ განხილული მასალები საკმაოდ ნათელ წარმოდგნას გვიქმნის გვიანი შეა საუკუნეების საცაგერლოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ისტორიის შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცაგერის საეპისკოპოსო დასავლეთ საქართველოს XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე საშუალო ეკონომიკური შეძლებისაა. მისი ძალაუფლების ზრდა გაბრიელ ცაგერელის გამგებლობას ემთხვევა. გაბრიელის ეპისკოპოსობის ბოლო წლებისთვის საცაგერლოს ეკონომიკური მომძლავრება თვალნათლივია, რისი საფუძველიც თვით საეპისკოპოსოსა და ამ საეპისკოპოსოს მმართველების პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებაა. შესამჩნევად მატულობს საცაგერლოსა და მის ირგვლივ არსებული ეკლესია-მონასტრების ეკონომიკური სიძლიერე ოდიშის მთავრების ახალი დინასტიის, დადიან-ჩიქვანთა მმართველობის პერიოდში – XVIII საუკუნის ბოლოსთვის ლეჩეუმში ცაგერის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის გარდა არსებობს ოდიშის მთავართაგან საკმაოდ დაფასებული და ეკონომიკურად შეძლებული ეკლესია მონასტრები და მათთან არსებული ფეოდალური მამულები. ამათგან აღსანიშნავია მცხეთის, ნაკურალების, ოყურების, ხვამლის, საირმის ეკლესია-მონასტრები. XVII-XVIII საუკუნეები ცაგერის ეპარქისთვის ნამდვილად დიდმნიშვნელოვანია – ამ პერიოდის საბუთები გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ გვიან შეა საუკუნეებში საცაგერლო და მასში შემავალი ეკლესიები დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ასპარეზზეც საკმაოდ დაწინაურებულია და დიდ ავტორიტეტსაც ფლობს.

ლეჩეუმის საზოგადოების უმეტეს ნაწილს, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად გლეხობა წარმოადგენდა. ლეჩეუმელ გლეხთა უფაზე, მათსა და მებატონეებს შორის ურთიერთობაზე, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის

„საცაგერლოს გამოსავალი დავთარი“ და XVII-XVIII საუკუნის საეკლესიო საბუთები. სამწუხაროდ, საერო მებატონეებისა და გლეხების ურთიერთობის ამსახველი წყაროები ძალიან მწირია და ამ ურთიერთობების გასარკვევად იძულებულები ვართ პარალელები გაფავლოთ საეკლესიო გლეხებსა და მათ ბატონებს შორის არსებულ დამოკიდებულებებთან. რუსების მმართველობაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერები და მოგზაურთა წერილების მეშვეობით, შედარებით ადვილი აღსაგდენია XIX საუკუნის ლეჩეუმის საზოგადოებრივი ყოფის სურათი.

ლეჩეუმელ გლეხთა შესახებ პირველი ცნობა XIII საუკუნისაა – ლაბჭინის სახარების ბოლოსიტყვაობაში აღწერილია, რაც საშინელი მიწისძვრის შედეგად დანგრეული ლაბჭინის ეკლესიისა და სამონასტრო მეურნეობის ადგგნაში გაბრიელ ლაბჭინელის უდიდესი დვაწლი. გაბრიელ ლაბჭინელს მეურნეობის ასადორძინებლად ექვსი გლეხი შეუმატებია მონასტრისთვის: „ექვსი გლეხი მომიგიან ზოგიშს, ოთხი ტეგიანისეული, ერთი ნიკოლოზ ინასარიძისეული ბენმუქის ძე, ერთი საგლეხო კიდევ ჰამარის ძემან შემომსწირა და მე ზედ კაცი დავასახლე, ჟოშხას ჟოშქოვას ზე და გოგელაური პარტახტი. ეს ორნი ივანე ქობულისძემან მოახსენა ეკლესიასა (25, 23)

ლაბჭინის სახარების ბოლოსიტყვაობაში გვხვდება ტერმინი „საგლეხო“. საგლეხო მიწის ნაწილია, რომელზედაც შესაძლოა გაიშალოს საგლეხო მეურნეობა. შემდგომდროინდელი წყაროების მიხედვით და ლეჩეუმში არსებული მეურნეობის შემორჩენილი თავისებურების მიხედვით საგლეხო აერთიანებს მთელს კომპლექსს და მის შემადგენლობაში შედის: საკარმიდამო, სავენახე, საყანე (ალბათ სოფლის გარეთ), საშეშე ტყე, სამოვარი (სოფლის განაპირას) და ა.შ.

სხვა კუთხეთა მსგავსად, ლეჩეუმში გლეხები ოთხ კატეგორიად იყოფიან. ყველაზე დაბალი ფენა მოჯალაბეები არიან, რომელთაც საკუთრებაში არ გააჩნიათ მიწა და ბატონის კარმიდამოში ცხოვრობენ. ლეჩეუმში მოჯალაბეთა არსებობისა და მათი უმიწაწყლობის დასტური გაბრიელ ცაგერელის ერთ-ერთი შეწირულობის საბუთია – გაბრიელის მიერ ხვამლის წმ. გიორგისადმი შეწირულ ქვარიანისეულ სასახლის აღწერისას, სასახლის კომპლექსის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად საჯალაბო მოიხსენიება (23, 519). ტერმინი „საჯალაბო სახლი“ შესაძლოა ნიშნავდეს საცხოვრებელ სახლსაც, თუმცა ეს ტერმინი ლეჩეუმთან დაკავშირებულ საბუთებში არსად არ გვხვდება ოჯახის

საცხოვრისის მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ლეჩეუმელი მოჯალაბე ბატონის კარმიდამოში ცხოვრობს. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა ზემო სამეგრელოში, სადაც მოჯალაბე ბატონთან არ ცხოვრობს და მას გააჩნია საკუთარი (არამეტყვიდრეობითი) სახნავ-სათეხი. სამეგრელოსგან განსხვავებულია მებატონისთვის მოახლის მიცემის წესი – სამეგრელოში ბატონი მოჯალაბის თითო ცოლქმრული წყვილიდან ერთ მოახლეს ითხოვდა, ლეჩეუმში კი მოჯალაბის ერთი კომლი ერთ მოახლეს აძლევდა ბატონს. მოახლე, როგორც წესი ვერ თხოვდებოდა, ოჯახის შექმნის ნებართვა მას ბატონისგან უნდა მიედო. თუ მოახლე ქორწინების უფლებას მიიღებდა იგი უნდა გაჟყოლოდა მხოლოდ იმავე ბატონის მოჯალაბეს. მოჯალაბეს შეეძლო გაეთხოვებინა დანარჩენი ქალიშვილები, თუმცა ამ ნებართვაში 5–10 მანეთს უხდიდნენ ბატონს (95, 423). კაც მოჯალაბეს შეეძლო დაოჯახება – სამეგრელოში მოჯალაბის დაქორწინებაზე ბატონი ზრუნავდა. იგი ამის გამო ფულსაც იხდიდა. რადგანაც დაინტერესებული იყო საკუთარ სახლში მოჯალაბეთა რიცხვის მატებით (13, 87). ლეჩეუმში, ბატონი მოჯალაბისადმი ამგვარ გულისხმიერებას არ იჩენს და მოჯალაბის დაოჯახებაში ურვადს არ იხდის. ალბათ, ეს განსხვავებაც ლეჩეუმის მცირებიშიანობის შედეგია, რითაც განპირობებულია მებატონის ნაკლებად დაინტერესება მოჯალაბეთა რიცხვის ზრდით.

მოჯალაბე ბატონის სახლში მძიმე და სათაკილო სამუშაოებს ასრულებდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ისინი უვლიან მებატონის საქონელს, ცეხვავენ და ფქვავენ მარცვლეულს, არჩევენ პურს. ბატონს მოჯალაბეზე სრული უფლებები ჰქონდა. ამ კატეგორიის გლეხთა მგდომარეობა, სოციალური სტატუსი და საცხოვრებელი პირობები XIX საუკუნის აღწერილობით სავალალოა: „მოჯალაბე თავს ირჩენს ბატონის ნასუფრალით, აგრეთვე დომის გარეცხვის შედეგად ნარჩენი ქატოთი, სიმინდით, გოგრით, ლობითით, მხლით. მასვე ეკუთვნის შიგნეული ბატონის ეზოში დაკლული საქონლისა. ტანთ იცვამენ ბატონისა და მისი ოჯახის წევრების გამონაცვალს ან ვისმე ნაჩუქარ ძველმულებს, საერთოდ დაგლეჯილი და ძონძები აცვიათ (13, 87)

ლეჩეუმში, მოჯალაბეების ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქების ფაქტები მრავლადაა: საირმის მონასტერს ზემოჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად სწირავენ ჭიხვარია ძალლუბას (34, 31); 1839 წელს თავადი

ჩიჩუა თავად გელოვანს ჩუქნის მოჯალაბეს; ამავე პერიოდში ბაკა ჩიქოვანს იმერელ აზნაურ მარჯანიშვილისთვის მიუყიდია მოჯალაბე თავის შვილითურთ. მოჯალაბის გადასვლა მომდევნო წოდებაში, მისთვის საკუთრებაში მიწის გადაცემა და მისი მებეგრე გლეხად ქცევა სხვა კუთხებში ჩვეულებრივი მოვლენაა, ლეჩეუმში ამგვარი ფაქტები არ ფიქსირდება. შესაძლოა, მოჯალაბის მებეგრედ ქცევის პროცესს ლეჩეუმის მცირებიშიანობა უშლიდა ხელს. სავარაუდოდ პირუკუ მოვლენა, მებეგრის მოჯალაბედ ქცევა ლეჩეუმში ნაკლებად იქნებოდა გაფრცელებული. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ლეჩეუმში მოჯალაბეთა რიცხვი ძალიან მცირეა – 1860 წლის აღწერით, ლეჩეუმში მოჯალაბეთა 44 კომლია რაც გლეხთა 0.02 პროცენტს შეადგენს. ამ დროს, სამეგრელოში მოჯალაბეთა 990 კომლი ცხოვრობს, რაც პროცენტული შეფარდებით ლეჩეუმში მოსახლე მოჯალაბეთა რაოდენობას ორჯერ აღემატება. ლეჩეუმში მცხოვრები 44 კომლი მოჯალაბიდან 14 დადიანის საზაფხულო რეზიდენციაში მსახურობდა, დანარჩენი 30 კი ადგილობრივ მებატონეებს ეკუთვნოდა (53, 106).

გლეხთა შემდგომი კატეგორია მებეგრები არიან. ისინი კერძო საკუთრებაში ფლობენ მიწას (52, 269) და ვალდებული არიან ბატონის წინაშე. მათი რიცხვი 1860 წლის მონაცემებით 2393კომლია (53, 109). ადრინდელ საბუთებს მებეგრეთა რაოდენობის შესახებ ცნობები არ შემოუნახავს, თუმცა მათ მოვალეობებზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის საეკლესიო საბუთები. საეკლესიო საბუთებში დაფიქსირებული საეკლესიო გლეხებისა და მათი ბატონების ურთიერთობა მრავალ ასპექტში ანალოგიური საერო ურთიერთობის მსგავსი უნდა იყოს. ზოგიერთ შემთხვევაში საეკლესიო გლეხები ორმაგი ბატონობის ქვეშ არიან – ცაგერელი ეპისკოპოსის ყმებს გარდა ცაგერელის გადასახადებისა მეფის ლაშქრობებში მონაწილეობა ევალებათ (41, 3-8); გელოვანის მიწაზე დასახლების შემთხვევაში ცაგერელის ყმის, ფოჩიანის ბეგარას გელოვანი იღებს, ხოლო მუშაობა, მგზავრობა და სხვა სამსახური ცაგერელისაა, ცაგერელს შეუძლია როცა კი მოესურვება თავისი გლეხი მაშინ აჰყაროს და სხვაგან დაასახლოს (33, 81). სავარაუდოდ, საეკლესიო და საერო მებეგრე გლეხების უმრავლესობა იხდიდა საურს, რომელსაც XVII საუკუნეში სახვანთქო ეწოდებოდა (35, 187-189). ოსმალთა ამ ტიპის გადასახადებისგან საური მეფე-მთავრების ხაზინაში შედიოდა. ლეჩეუმელი გლეხები საურს

დადიანს უხდიდნენ, თუმცა ოდიშის მთავრის წყალობით გამონაკლისის სახით საეკლესიო ყმების მცირე ნაწილი თავისუფლდება ამ გადასახადიდან (34, 29).

მიწაზე მკვიდრად „მსხდომი” გლეხები ორ კატეგორიად იყოფა – მსახურებსა და მოინალეებს ძირითადად ბეგარისა და ბატონთან სამსახურის სახეობები გამოარჩევს. ლეხხუმელი გლეხების ბეგარა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა გლეხებისა, შედგება თავი ბეგარისაგან და დამატებითი ბეგარისაგან. როგორც წესი მსახურის, მოინალესთან შედარებით მაღლა მდგომი გლეხის მოვალეობას არ წარმოადგენდა ბატონთან მუშაობა, ტვირთის ზიდვა, ნადობა. თუმცა XVII საუკუნის ბოლოდან ამ სათაკილო სამუშაოს მსახურების ნაწილიც ასრულებს და შემდგომ პერიოდში ისინი ძალიან ემსგავსებიან მოინალეს. საცაგერლოს გამოსავლის მიხედვით მოინალე ცაგერელს 42 ჰყავს მოსამსახურე კი 16. XVI საუკუნის ბოლო პერიოდის ამ დოკუმენტის მიხედვით მოსამსახურის და მოინალის განსხვავება ადვილი შესაძლებელია. მოსამსახურე არ ასრულებს სათაკილო სამუშაოებს, ანუ მათი ბეგარის დამატებით ნაწილს მოინალისგან განსხვავებით არ შეადგენს ტვირთის ზიდვა და მებატონესთან მუშაობა. ამ მოვალეობების სანაცვლოდ, ისინი საპატიო სამსახურით არიან ვალდებული (ლაშქრობა, მებატონის პირადი მომსახურეობა). დაზუსტებითი ცნობები იმის შესახებ თუ რა იყო გლეხების, მოსამსახურის და მოინალის სხვა მოვალეობები, არ გაგვაჩნია, თუმცა სხვა კუთხეების აღწერილობების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ლეხხუმის ბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობის სურათის აღდგენა. ამ მხრივ საინტერესოა არქანჯელო ლამბერტის ცნობები, რომ ამ დროიდან, ლეხხუმი ნელ-ნელა ოდიშის მთავრების ხელში გადადის, XVIII საუკუნიდან კი უკვე მათ მფლობელობაშია, რაც სავარაუდოდ ამ ორი კუთხის საზოგადოებრივ ყოფის მეტნაკლებ იდენტურობას განაპირობებს. ერთ-ერთი იტალიელი მისიონერის თქმით, მსახურები მათთვის დაწესებულ ბეგარას იხდიან. აგრეთვე კომლიდან ერთ კაცს ბატონს მსახურად უგზავნიან. ბატონთან მსახურის გაგზავნა რიგრიგობით ხდება და ამიტომაც ბატონის სახლში ყოველთვის იმყოფება მსახურის ოჯახის ერთი წევრი (13, 95). მსახური ბატონს ლაშქრობასა და მგზავრობაში ცხენით უნდა ეახლოს, თუ ცხენი არ ჰყავს იგი ქვეითი მხლებელია. გარდა ამისა, მსახურის ოჯახი ვალდებულია ბატონს ემსახუროს ხვნა-თესვისა და მოსავლის

აღების დროს. მოინალეს მოსამსახურისგან განსხვავებით უფლება არ აქვს ბატონს ცხენით ეახლოს (45, 34).

კველა გლეხის ვალდებულებაა ბატონისათვის პურის ჭმევა. სამეგრელოში ამას გოჭკომური ჰქვია. ამავე ვალდებულებას ხადილს, რიკრიკასაც უწოდებენ – ხადილი მსახურის ხოლო რიკრიკა მოინალის ბატონისადმი გამასპინძლებაა (52, 287) ლეჩხუმში ბატონისათვის გამასპინძლების ვალდებულებას პურის ჭმევა ჰქვია. გლეხები ვალდებული იყვნენ აგრეთვე გამასპინძლებოდნენ ბატონის სტუმრებსაც დღესასწაულის დღეებში ყმას ბატონთან მიპქონდა ძღვენი, რასაც უფრო ნებაყოფლობითი ტრადიციის ელფერი ჰქონდა, თუმცა ასეთი „რიტუალი“ ჩვეულებისამებრ ყოველთვის სრულდებოდა და მაინც ვალდებულება იყო (45, 35).

მსახურის საპატიო მოვალეობა ლაშქრობა იყო. მსახურთა რაოდენობა ლეჩხუმელ მეომრებში საკმაოდ ბევრი უნდა ყოფილიყო. ვახუმშის ცნობის მიხედვით ამ კუთხის აზნაურები და მსახურნი არიან მეფის პირადი გვარდის წევრები. რუსი მოხელის, იაზიკოვის ცნობით, ოდიშის სამთავროს რჩეული რაზმი 2000 ლეჩხუმელია (93, 261). ეს ცნობა 1770 წლისაა და სავარაუდოდ 2000 მოლაშქრეს შორის ბევრია წოდებით მოსამსახურე – ამ ცნობიდან დაახლოებით ასი წლის შემდგომი აღწერის მიხედვით ლეჩხუმში თავადაზნაურთა 417 კომლია (95, 196). სავარაუდოდ, იაზიკოვის საქართველოში ყოფნის დროს, წარჩინებულ კომლთა რიცხვი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების გათვალისწინებით ამ მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს და ცხადია არასაკმარისია 2000 მეომრის გამოსაყვანად. ამდენად, ლეჩხუმელი მსახურთა ფენა, რომელიც მოლაშქრეთა რიგებს ავსებდა, მეომრული საქმიანობაში აქტიურადაა ჩაბმული.

ლეჩხუმელ მსახურთა სამხედროვალდებულებას XVI საუკუნის საეკლესიო საბუთი, „საცაგერლოს გამოსავალი დავთარიც“ მოწმობს – ცაგერელის კუთვნილი 16 მოსამსახურიდან 13 მოლაშქრეა და რადგან ესენი ეკლესიის მსახურები არიან, სავარაუდოდ საერო მოსამსახურეებს შორის მოლაშქრეთა პროცენტული წილი უფრო მეტი უნდა იყოს. „საცაგერლოს გამოსავალი დავთარისვე“ ცნობით მოლაშქრეები არიან მოინალე გლეხებიც. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი ცნობა სადაც მოინალეთა ლაშქრობის ვალდებულებაა დაფიქსირებული. ცაგერელის მოინალეთა მეოთხედი, 10 კომლი სამხედროვალდებულია, თუმცა მათი როლი სამხედრო მოქმედებებში

მაინცადამაინც პირველხარისხოვანი არ უნდა იყოს. სავარაუდოდ, ისინი ფრონტის ხაზს უმაგრებდნენ ზურგს და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილებისა და ციხესიმაგრეების პატრულირებას ახდენდნენ (94, 438).

XIX საუკუნეში, ლეჩხუმში გლეხებს ორი სახის გადასახადი, თავი-ბეგარა და დამატებითი ბეგარა ედოთ. თავი ბეგარა 100-დან 320 ლიტრ ღვინო, 60 – 160 კილოგრამ ხორბალი და ორ ქათამი იყო (13, 98). დამატებითი ბეგარა 26 სახის იყო: საური – კომლზე ორი ცხვარი; საუდიერო – ორი დორი, ათი-თხუთმეტი კოკა ღვინო, 1-5 ქილა ღომი; ცხენისჭამობა – ბატონის ცხენისა და მეჯინიბის კვება; ბატონის სტუმართა ცხენებისა და მეჯინიბების კვება; საბოჭი-ქათამი – მთავრის მამულზე მოსახლე გლეხი თორმეტ ქათამს იხდის, სხვა მებატონეთა გლეხები თხუთმეტს; საყველიერო – ყველიერის მარხვაში კვერცხის გადასახადი; სააღდგომო – იგივეა რაც საყველიერო, იხდიან აღდგომის კვირაში; ძღვენი – მოსაკითხის მირთმევა; სამასპინძლო – ბატონისა და მისი ოჯახის გამასპინძლება; საპურე-პური – ორი ქათამი, ორი კვერული ყველი, გამომცხვარი პური; საბაზიერო და სამეჯოგეო – ბატონის მწყემსების, ბაზიეროუხუცესის და ძაღლების კვება; სამეჯინიბო – სამეგრელოს მთავარის მეჯინიბეთა შესანახი; საუნადო – ყანაში მუშაობისგან თავდასახსნელი გადასახადი (10 ქილა ღომი ან სამუშაო ღლის გაცდენისთვის 10 შაურიდან 4 აბაზამდე); საქორწილო – იხდიან ბატონის ოჯახის წევრის ქორწილის დროს, გადასახადის რაოდენობა გლეხის შეძლებაზეა დამოკიდებული (კომლზე ან ორ კომლზე ერთი ძროხა ან იშვიათად თუმანი-თუმანნახევარი); საშავო – ბატონის ოჯახის წევრის სიკვდილისშემთხვევაში იხდიან 3-5 მანეთს; საჩექმო – 5 მანეთი, იხდიდნენ როცა ქალიშვილს გლეხი სხვა მებატონი ყმას მიათხოვებდა, თუ გლეხი ცოლს მოიყვანდა იხდიდა ექვს აბაზს; საქვრივო – 5 მანეთი, იხდიდნენ თუ ქვრივი მისთხოვდებოდა სხვა მებატონის ყმას; სალაშქრო – ერთი ცხენი მთელ სოფელზე და 1-2 მანეთი კომლზე; საციხო – სახელმწიფო ციხეების შესანახად იხდიდნენ 1 კოკა რდგინოს, 1 ქილა ღომს და 1 ქათამს; კულუხი, საკულოხო, სადედოფლო – თითო გორო (64კგ) ხორბალი დედოფლისთვის ერთ წელიწადს, მეორე წელიწადს 64 ლიტრი ღვინო უკლესის სასარგებლოდ; სამოურავო – მოურავთა შესანახი, იგივეა რაც საციხო, შესაძლოა გადაიხადონ შაურიდან მანეთამდე, წვრილი გადასახადები – კანაფი, თოკი, კურმნის საკრეფი გიდელი, 5-10 ურემი ფიცარი ან ყავარი, სელი, თაფლი.

გარდა ამისა, მებეგრე გლეხი ბატონს აძლევს შინაფმას. ის მუშაობს ბატონის მამულში. ლეჩეუმში შინაფმა, სამეგრელოსგან განსხვავებით ვალდებულია ბატონის კუთვნილი პური გალეწოს. მებეგრე გლეხის მოვალეობაში შედის ერთი მოახლის გაგზავნა ბატონის სახლში, ნადობა – ბატონის ყანაში მუშაობა, ტვირთობა, მეციხოვნეობა და ცხენის თხოვება. ლეჩეუმელ გლეხებს სამეგრელოს გლეხებთან შედარებით გადასახადების ნაკლები რაოდენობა და დადიანებისადმი ნაკლები ვალდებულება აქვთ (13, 99; 18, 231).

ლეჩეუმში გლეხთა ყველაზე დაწინაურებული ფენა აზატები არიან. მებეგრის აზატად ქცევა რაიმე განსაკუთრებული მიზეზის, უფრო ხშირად კი დამსახურების გამო ხდება. მებეგრემ აზატობა შეიძლება ბატონისთვის ფულის გადახდის შედეგად მიიღოს. XVIII საუკუნის ერთ-ერთ საეკლესიო საბუთის მიხედვით, ოდიშის მთავართა ოჯახის წევრი ეკლესიას აზატობით სწირავს ყმებს. „აწ ამისთვის დამიცს ერთი რუბი სამთელი, წელიწადში, დვოისმშობლობას ცაგერის დვოისმშობელს მიართმევდეს და წირვა დამიცს სხვები ბეგრების სამაგიეროთ ჩემის სულისთვის და ასე აზატობით შემომიწირავს და გამირიგებია ორი ძმის სილაგაძის იოანესა და ძაღლუტას საქმე“ – დადიანის მეუღლე, თამარი თავისი ძეებისთვის, გრიგოლ ცაგერელისთვისა და მანუჩარისთვის მიცემულ ორ გლეხს ამგვარ ვალდებულებას უწესებს (34, 8). იმ უამრავი გადასახადის კვალობაზე, რაც საცაგერლოს დავთრისა და XIX საუკუნის მონაცემებით ლეჩეუმელ გლეხებს ედოთ ვალად, აზატობით შეწირულ სილაგაძეებს ფაქტობრივად არაფრის გადახდა არ უწევთ. საგარაუდოა, რომ სილაგაძეების მიმართ კეთილგანწყობილი თამარი, რომელსაც ეს ორი ობოლი ძმა თვითვე აღუზრდია მათ დიდ შედაგათს უწევს და აზატისთვისაც კი მცირე გადასახადის გადახდას ავალდებულებს. გარდა ამისა, სილაგაძეებისთვის მიცემული ქონება, ადგილ მამული, ტყე და მრავალი სხვა რამ, მაღალი წოდების შესაფერისია (34, 8). გააზატების მიზეზი, ამ საბუთის მიხედვით არის თამარის სურვილი, რომ ცაგერის საკათედრო ტაძარში მისი სულის მოსახსენიებელი ითქმოდეს. თამარის სურვილს ისიც ემატება, რომ იოანე და ძაღლუტა სილაგაძეები მისი აღზრდილები არიან, რაც მათდამი კეთილგანწყობას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ პრივილეგირებული სილაგაძეების მხოლოდ ერთი თაობაა – რა მოხდება მათი ბატონის გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, რომელთანაც ისინი აზატები არიან, უცნობია. ალბათ,

როგორც წესი, ამ შემთხვევაში ბატონთა ყოველმა მომდევნო თაობამ უნდა ხელახლა დაადასტუროს ამა თუ იმ ყმის აზატობა.

აზატი, ზემოთნახსენები სილაგაძეებისგან განსხვავებით არ იხდიან მხოლოდ ბეგარისა და გადასახადების ნაწილს. ზოგიერთ შემთხვევაში, აზატის გადასახადი მებეგრისაზე მეტია. აზატის მებეგრისგან განმასხვავებელი მთავარი ნიშანი ისაა, რომ აზატი არ იხდის ღორის გადასახადს – ღორის გადასახადი სათაკილო გადასახადად ითვლებოდა. აზატი მებეგრეთა კლასიდან გამოსულად ითვლებოდა და ნელნელა უახლოვდებოდა აზნაურობას. აზატის ოჯახი, მიუხედავად გლეხთა შორის დაწინაურებულობისა, ვალდებული იყო ბატონის ოჯახში შინა-ყმა გაეგზაგნა. თუმცა, ამ წოდების შინაყმა მძიმე სამუშაოებს არ ასრულებდა, არ თოხნიდა, არ თესავდა, ტვირთს არ ეზიდებოდა და ა.შ. აზატი მიღებული კაცი იყო ბატონის კარზე და მას ბატონთან მიესვლებოდა კიდეც (13, 102).

ლეჩეუმში, აზატთა წოდება XIX საუკუნეში ბატონს უხდის: საუკეთესო ძროხას, ღვინოს და მარცვლეულს ორ წელიწადში ერთხელ. ზოგიერთი აზატი, იმ წელს, როდესაც იგი განთავისუფლებულია გადასახადისგან, ვალდებულია ბატონს მიუყვანოს თხა ან ცხვარი, მიუტანოს ღვინო და მარცვლეული (13, 103). აზატის მოვალეობაა ბატონის ხლება, შიკრიკობა. ლეჩეუმში სამეგრელოსგან განსხვავებით, აზატის მოვალეობში ბატონის გამასპინძლება არ შედიოდა. ბატონის სტუმრობის შემთხვევაში აზატი ვალდებულია საჩუქარი მიართვას ბატონს. ლეჩეუმელი აზატები იხდიან საურს (გადასახადი რომელიც დადიანს ეპუთვნოდა). სამეგრელოში აზატი საურისგან განთავისუფლებული იყო (13, 103).

XIX საუკუნის ბოლოსთვის ლეჩეუმში და მის მომიჯნავე ქვემო სვანეთში 341 კომლი სახაზინო გლეხები ყოფილან და ისინი ლეჩეუმის მაზრის 31 სოფელში ცხოვრობენ (98, 163). სამი კომლი სახაზინო გლეხები ქვემო სვანეთის ორ სოფელში ცხოვრობდა, დანარჩენი კი ლეჩეუმის სოფლებში. გლეხთა ამ კატეგორიას შეადგენდნენ ყოფილი საეკლესიო გლეხები, აგრეთვე ისინი ვინც საგლეხო რეფორმამდე მემამულებისგან თავის გამოსყიდვა მოახერხეს და უმიწაწყლოები/უკანონოდშობილები. ამათგან სახაზინო გლეხებში ყველაზე ბევრი 278 კომლი ყოფილი საეკლესიო გლეხები არიან, რომლებიც ადრე საცაგერლოს ეპუთვნოდნენ და საეკლესიო ქონების სახელმწიფოდ ქონებად გამოცხადების შემდეგ სახაზინო გლეხებად იქცნენ. სამოცდაორი კომლი რეფორმებამდე მემამულისგან თავდახსნილი გლეხები არიან და მათ სახაზინო

გლეხებისგან ის გამოარჩევს, რომ ისინი საერთოოდ არ სარგებლობენ სახელმწიფო მიწებით. სახაზინო გლეხებში საკუთრების არმქონეთა (უკანონოდ შობილთა) რაოდენობა ძალიან მცირეა – XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით ასეთი მხოლოდ ერთი კომლია. სახაზინო გლეხებში შედიოდა სოფელ ლაილაშის მკვიდრი, ადრე ეკლესიისთვის ნაჩუქარი ებრაელების რვა კომლი, რომელთა საქმიანობაც სახაზინო გლეხთა სიაში გადასვლამდე და მის შემდეგაც ვაჭრობა იყო და ამიტომაც მათ ქონება პატარა მიწის ნაკვეთი და საგაჭრო დუქანი შეადგენდა (98, 163).

ლეჩხეუმში, გვიანფეოდალურ ხანაში და რუსეთის მმართველობის პერიოდშიც, საზოგადოების ერთ-ერთი შეადგენელი ნაწილი იყო გაჭართა ფენა. ვაჭრობის განვითარებას ლეჩხეუმის მდებარეობა უწყობდა ხელს – ეს კუთხე მდებარეობდა იმ გზის შუაში, რომლითაც მეზობელი მთიელები უკავშირდებოდნენ იმერეთისა და სამეგრელოს დაბლობებში მდებარე საგაჭრო ცენტრებს. შემთხვევითი არაა, რომ ლეჩხეუმის სოფელ ლაილაშის ბაზრობის საგაჭრო ბრუნვა აჭარბებს მეზობელი კუთხეების ხალხმრავალი ბაზრობების შემოსავალს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით ლაილაშის ბაზრობის საგაჭრო ბრუნვა 25–30 ათას მანეთზე მეტი იყო, ხოლო ზუგდიდის, სუჯუნის, ორპირის, ხობის, სენაკის და ონის ბაზრობებზე ბრუნვა 20-25 ათას მანეთს არ აღემატებოდა (18, 182). ლაილაშში ადგილობრივი მოსახლეობის გარდა საგაჭროდ თავს იყრიდნენ სვანები, იმერლები, მეგრელები, რაჭველები. ლაილაშის ამგვარმა საგაჭრო დანიშნულებამ მისი მოსახლეობის სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება გამოიწვია. სავარაუდოდ, ლაილაშს, როგორც ერთ-ერთ დაწინაურებულ საგაჭრო ცენტრს, არაქართული წარმოშობის ვაჭართა ყურადღება ადრევე უნდა მიექცია. პირველი ცნობა, ლაილაშელ ვაჭრებზე XVIII საუკუნის მეორე ნახევრისაა – ლაილაშის მოსახლე თოხი სომეხი ვაჭრის ოჯახს, კაცია დადიანი საირმის ეკლესიას გადაუცია მფლობელობაში (34; 29, 31). XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის, აქ უკვე 50 კომლი ებრაელი, 32 კომლი სომეხი და მხოლოდ 12 კომლი ქართველი ცხოვრობს (101). ლაილაშის სომხური და ებრაული მოსახლეობის უმეტესად ვაჭრები იყვნენ და ისინი ლაილაშის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. სოფლის ამ ნაწილს ადგილობრივები ქალაქს უწყოდებდნენ. „ქალაქ“ ლაილაშში ზამთრის თვეების გარდა, ყოველ ორშაბათსა და პარასკევს იმართებოდა ბაზრობები (97, 142). ზამთარში ბაზრობა ახალჭალაში იმართებოდა. გარდა ამისა, სექტემბრის თვეში დიდი ბაზრობა

იმართებოდა ცაგერში (18, 183; 3, 87). XIX საუკუნის მიწურულს ლეჩეუმის ადმინისტრაციული ცენტრი ლაილაშის ნაცვლად ცაგერი ხდება, რაც ლაილაშის ქალაქურ ცხოვრებას ოდნავ აკნინებს, თუმცა ის კვლავ ინარჩუნებს ლეჩეუმის მაზრის მთავარი საგაჭრო ცენტრის ფუნქციას.

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული საბუთებისა და წყაროების, აგრეთვე რუსეთის მეფის მმართველობისდროინდელი ცნობები თუ მოსახლეობის აღწერები, ლეჩეუმის საზოგადოებრივი ყოფის ნიუანსების მეტნაკლებად სრულად ადქმის საშუალებას იძლევა. ეს კუთხი პოლიტიკურ ასპარეზზე ადრეულ შუა საუკუნეებში ჩნდება, თუმცა იმდროინდელი ცნობების სიმწირე საზოგადოებივი ყოფის შესახებ წარმოდგენის შექმნის საშუალებას არ იძლევა. ასევე ცოტაა ინფორმაცია განვითარებული შუასაუკუნეების ლეჩეუმის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. გვიანშუასაუკუნეების ისტორიული საბუთები წინა პერიოდებთან შედარებით მრავლადად და ძირითადად მათზე დაყრდნობითაა მოსახერხებული ლეჩეუმის საზოგადოებრივ სტრუქტურაზე, სოციალურ საკითხებზე საუბარი.

გვიანშუასაუკუნეების ლეჩეუმის საზოგადოება ფეოდალურია და თავისი განვითარებითა და საზოგადოებაში არსებული ურთიერთობებით ძირითადად დასავლეთ საქართველოს კუთხეთა ანალოგიური ურთიერთობების მსგავსია. მთავარი განსხვავება დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ლეჩეუმში განსაკუთრებით განდიდებული, დამოუკიდებელი და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მებრძოლი სათავადოების არ არსებობაა. ალბათ ესაა მიზეზი იმისა რომ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილი ლეჩეუმში თავადთა ფენის არსებობას არ ადასტურებენ. გვიანშუასაუკუნეებისა და შემდგომი ხანის ისტორიული წყაროების მიხედვით ლეჩეუმის მოსახლეობის ზედა ფენას შეადგენენ თავადები და აზნაურები, ქვედა ფენას კი გლეხები. გლეხთა ფენა ოთხ ძირითად კატეგორიად (აზატები, მსახურები, მოინალეები და მოჯალაბეები) იყოფა. გლეხთა მდგომარეობა, სხვა კუთხების გლეხთა ყოფის მსგავსია და უმნიშვნელო ნიუანსებით განსხვავდება. აზნაურთა და მოლაშქრე მსახურთა ფენა შუა საუკუნეების მიწურულს საკმაოდ მძლავრია და სამხედრო თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესოა. ლეჩეუმის ერთგვარი სატრანზიტო მდებარეობა და ამ გზების მაკონტროლებელი ციხეების სიმრავლე დამატებითი ფაქტორი იყო, რომელიც ამ კუთხეში აზნაურთა და მსახურთა ფენის სიძლიერის განაპირობებდა. ლეჩეუმის

საფორტიფიკაციო ქსელი და შიდა გზები სოფლების განლაგებასაც განსაზღვრავდა – ყველა დიდი სოფლის მახლობლად დგას ციხე და გადის შიდა თუ სხვა კუთხეებთან დამაკავშირებელი გზები.

სამეგრელოს სამთავროს, რომლის შემადგენლობაში იყო ლეჩხუმი XIX საუკუნის შუა წლებში, რუსეთთან შეერთების შემდგომ შეიცვალა საზოგადოებრივი ურთიერთობებიც. რუსეთის მეფის მმართველობის მიერ გაუქმებული იქნა ბატონიშვილი ურთიერთობა, რამაც საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალ ფორმების ჩამოყალიბება გამოიწვია.

## § 2 ლეჩხუმის მოსახლეობა და მიგრაციული პროცესები

ლეჩხუმის მდებარეობის თავისებურებები ამ კუთხის მოსახლეობის დემოგრაფიულ კითარებაზეც აისახა. ისტორიული და დემოგრაფიული მონაცემებით ლეჩხუმში უცხო, არაქართული ეთნიკური ჯგუფების განსახლება არ დასტურდება. ლეჩხუმს ჩრდილოეთიდან სვანეთი, სამხრეთიდან იმერეთი, დასავლეთიდან სამეგრელო და აღმოსავლეთიდან რაჭა ესაზღვრება. ლეჩხუმი ამ ოთხი კუთხის მცხოვრებთა განსახლების და ამ კუთხების მოსახლეთათვის დამახასიათებელი ტრადიციების ურთიერთშერწყმის ადგილია.

ლეჩხუმი მთისწინეთია და მას ისევე, როგორც მთიანეთს ახასიათებს მიგრაციები. მთასთან შედარებით მთისწინეთი უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ეკონომიკურადაც უფრო ძლიერია და ჭარბმოსახლეობის პრობლემაც ნაკლებად აწუხებს. თუმცა მთასთან შედარებით ბარში განლაგებულ პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრებთან სიახლოვე მთისწინეთის მოსახლეობის აქტიურ მიგრაციულ ქცევას იწვევდა. ლეჩხუმი თავისი მდებარეობის გამო მიგრაციულ პროცესებში ერთგვარი ტრანზიტის ფუნქციასაც შეასრულებდა. ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროების მიხედვით შეიძლება ითქვას რომ ლეჩხუმში უმეტესად სვანეთის ჭარბი მოსახლეობა პოულობდა სვანეთთან შედარებით მომგებიან საარსებო პირობებს და იკავებდა თავის მხრივ ბარში გადასახლებულ ლეჩხუმელთა ადგილს.

საინტერესოა ვინ იყვნენ ეს მიგრირებული ლეჩხუმელები? რა წოდებისა და რა პროფესიის იყვნენ ისინი? სავარაუდოა, რომ ფეოდალურ ხანაში ლეჩხუმიდან გადასახლებულთა უმეტესობა აზნაურთა და მსახურთა წარმომადგენლები უნდა ყოფილყვნენ. მსახურთა და აზნაურთა დიდი ნაწილის პროფესია სამხედრო სამსახური იყო. სავარაუდოდ ბარში მიმდინარე სამხედრო პროცესები, პოლიტიკური ცენტრებისთვის საჭირო სამხედრო კადრებზე მოთხოვნა მთის და განსაკუთრებით მთისწინეთის მოსახლეობას იზიდავდა. გარდა ამისა, ლეჩხუმელი მოლაშქრეების საპატიო მოვალეობა იმერეთის მეფის ხლება და პირადი დაცვა იყო და ბუნებრივია ამ თვალსაზრისითაც ლეჩხუმელ მოლაშქრეებს ახლო ნაცნობობა აკავშირებდათ პოლიტიკურ მმართველებთან, ახლოდან იცნობდნენ ბარად ცხოვრების თითქმის ყველა ნიუანსს, რაც მათთვის შემდგომში ბარში ჩამოსახლებას აადვილებდა.

შესაძლებელია, რომ დასავლეთ საქართველოს ბარში სვანური წარმომავლობის გვარები (დევდარიანი, მაჭავარიანი და სხვა) მეომრის პროფესიის მქონეთა ბარში ჩასახლების შემდეგ ჩნდებიან. ამგვარ მიგრაციას კი შესაძლოა გზად „ტრანზიტად“ ლეჩეუმი გაევლო – სვანი/მთიელი მოლაშქრეები თავდაპირველად სვანეთიდან ლეჩეუმში სახლდებოდნენ, შემდეგ კი ისინი უფრო დაწინაურებული კუთხეებისკენ იკვლევდნენ გზას. ამ აზრის დასამტკიცებლად ჩიქვანთა და ასათიანთა ისტორიაც გამოდგება: ჩიქვანები ცალმოგვი (მესამე ხარისხის), მდაბიო აზნაურები სვანეთის მოსახლენი ყოფილან შემდეგ სოფელ გორდში დასახლებულან, ბოლოს კი ოდიშში გადაუნაცვლიათ და იქ სამთავროს დინასტიის დამხობა და ტახტის ხელში ჩაგდებაც მოუხერხებიათ. გარდა ამისა, გვიანშუასაუკუნეების მიწურულს სამეგრელოში ჩნდება მათი გვარეულობის სათავადო, საჩიქვანო (70, 309) ასათიანთა თავიდან სვანეთში მოსახლეობის საბუთები მრავლად გაგვაჩნია. ისინი, XVIII საუკუნეში ლეჩეუმში თავადდებიან და ამავე დროს გვხვდებიან გურიაში და იმერეთში, სადაც მმართველ წრეებთან საკმაოდ ახლო ურთიერთობები აქვთ. ასეთივე მიგრირებულ აზნაურულ გვარს უნდა ეპუთვნოდეს ქვარიანიც. სავარაუდოდ სვანური წარმოშობის ამ გვარის წარმომადგენლები ლეჩეუმის გარდა გვხვდება ოდიშში და იმერეთის სამეფო კარზე და საეკლესიო მართველობაშიც.

ლეჩეუმის მოსახლეობაში უმეტეს გვარებს დღემდე შემოუნახავს გადმოცემები საკუთარი გვარის წარმოშობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს სხვა და სხვა კუთხეებიდან ლეჩეუმში მოსახლეობის შესვლა-დამკვიდრებას და აგრეთვე ლეჩეუმელთა გადასახლებას ვაღევნოთ თვალი.

გვართა წარმომავლობის შესახებ გადმოცემების მიხედვით მრავალი გვარი რომელიც დღეს ლეჩეუმში სახლობს სვანური წარმოშობისაა. ასეთებია: გუგავა, მუშკუდიანი, გასვიანი, ბენდელიანი, ლიპარტელიანი, ზალკალიანი, ბახსოლიანი, ცხვედიანი, ხვადაგიანი, ჩხეტიანი, გურგუჩიანი, გვიდანი, გვიშიანი, გელოვანი, ასათიანი, სვანიძე, ხაბულიანი, საღინაძე, ჩარკვიანი, კოპალიანი, თუთისანი, ჯამბურიძე, დავითულიანი, ჯანხოთელი, მურცხვალაძე, შკუბულიანი, ღოღელიანი, ლაკვეხელიანი, ჭაბუკიანი, ამბროლანი და სხვა.

საინტერესო ამ გვართა ლეჩეუმში გადმოსახლების დროები. ზემოთ ჩამოთვლილ გვართა უმეტესობა XVI-XVII საუკუნეში ლეჩეუმში სახლობს, რაც დასტურდება საეკლესიო საბუთებში მათი მოხსენიებით. ადსანიშნავია ისიც რომ

ამ გვართა მნიშვნელოვანი ნაწილი XII-XIV საუკუნეებში სვანეთის მკვიდრია. ლეჩეუმში მოსახლე რამდენიმე გვარი (გუგავა, გვიშიანი, ხაბულიანი) დღესაც ცხოვრობს სვანეთში. ზემოთჩამოთვლილ გვართა სვანურ წარმოშობას ისიც ცხადყოფს რომ ზოგიერთი გვარი მნიშვნელოვან დღესასწაულებზე სალოცავად დღესაც სვანეთში, სავარაუდოდ მათი გვარის ფუძის ხატში დადის.

საინტერესოა მთხოვბელთა კომენტარი გვიშიანებისა და მუკბანიანების სვანეთიდან გადმოსახლების შესახებ – „ბაბუებსაც კი არ ახსოვთ მაგათ ჩამოსვლაო“: ბაბუების თაობაში, მთხოვბლისგან ალბათ სამი ოთხი თაობა იგულისხმება. ანუ მთხოვბელი გულისხმობდა რომ ბაბუების (ორი თაობით წინა ხალხი) მახსოვრობაშიც კი არავინ იყო ისეთი გინაც ამ გვარების ჩამოსახლებას შესწრებოდა (27, 10). საყურადღებოა, აგრეთვე მთხოვბელი ს. მეგრელის კომენტარი – თხოვბის ბოლოს იგი აღნიშნავს: „ამის შემდეგ გამრავლებულან გურგუჩიანების (ხოფ. ორბელში) და ჩვენ და მაგათ განსხვავება აღარ გვაქვს, ისე ვართ (27, 8). ამ კომენტარიდან ჩანს, რომ ხალხური წარმოდგენით გურგუჩიანების ჩამოსვლის პერიოდში ლეჩეუმში განსხვავებული ეთნიკური გარემოა, ანუ გურგუჩიანები სვანურენოვანი გარემოდან ქართულენოვანში ხვდებიან და რაღაც დროის შემდეგ მთლიანად ლეჩეუმელდებიან.

აღსანიშნავია, რომ სვანური წარმოშობის გვარები მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა – 1904 წლის მონაცემებით: კოპალიანები – 122 ოჯახია, ახვლედიანები – 111, სვანიძეები – 80, ასათიანი – 62, გოლეთიანი და მუშკუდიანი – 60-60 ოჯახი. შვილ – ზე და ძე – ზე დამთავრებული გვარები კი შედარებით მცირერიცხოვანია – სილაგაძე – 88 ოჯახი, ფრუიძე – 63, ჩაკვეტაძე – 52, ყურაშვილი – 71, მამარდაშვილი – 36. ვფიქრობთ, რომ სვანური გვარების მრავალრიცხოვნება, ტოპონიმიკა და სხვა ფაქტები ლეჩეუმში სვანთა პირველ მოსახლეობას ადასტურებს. თვით ის რომ ყველაზე დიდი ლეჩეუმური გვარის, კოპალიანების საცხოვრისი სოფელი ჩქემი, ჯონოულის ხეობაა ანუ ის ადგილები სადაც ლეგენდის მიხედვით პირველი ლეჩეუმლები უნდა ვივარაუდოთ, მნიშვნელოვანი ფაქტია (27, 11). თუ დავაკვირდებით ლეჩეუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობებს, აქ სვანური წარმომავლობის გვარები მრავლობენ, ხოლო რაჭისა და იმერეთის მომიჯნავე სოფლებში ძირითადად ქართული წარმოების გვარებია.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ლეჩეუმში მოსახლე სვანური წარმომავლობის გვარის ხალხი, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის თითქმის

ნახევარს შეადგენს სვანურად არ ლაპარაკობს. დღეს ლეჩეუმში ლრმა მოხუცებულსაც კი არ ახსოვს, რომ თუგინდ შიდა საოჯახო ენა სვანური წარმოშობის გვართა ოჯახებში სვანური ყოფილიყოს. თუმცა ამგვარ ფაქტს ადასტურებს თ. მიბჩუანი (50, 164). ფრანგი მოგზაური შარდენი კი ამბობს რომ ლეჩეუმი დადიანის სამეფოში შემავალი სვანებით დასახლებული სამთავროაო (75, 248). გ. გასვიანის მოსაზრებით ლეჩეუმის მოსახლეობის ქართიზაცია მთელი შეა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა (19, 192). თუმცა ეს აზრი ძნელი გასაზიარებელია, უფრო სწორად კი თითქმის ეჭვგარეშე შეიძლება ითქვას რომ გაერთიანებული საქართველოს დაქუცმაცების შემდეგ და განსაკუთრებით იმერეთის სამეფოს შინააშლილობის პერიოდში (XVII-XVIII საუკუნეები) ბარის რეგიონებიდან ლეჩეუმის მოსახლეობის ქართიზაციის პროცესისთვის ხელისშემწყობი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური პირობები ნამდვილად არ არსებობდა და შესაბამისად ეს პროცესიც გვიანშუასაუკუნეებიდან გაცილებით ადრეა დამთავრებული.

ლეჩეუმურ გვართა სვანური გვარებისთვის მახასიათებელი –იან(-ან) სუფიქსით ნაწარმოები გვარების მცირედი ნაწილი არ არის სვანური წარმოშობის. ქომეთიანების ძირი გვარი ქომეთავაა, ლაჭუეპიანისა ნაჭყებია, ლეთოდიანისა თოდია, ბურჯალიანისა ბურჯანაძე.

მეგრული წარმოშობისად თავს მიიჩნევენ: ჭიდვარიები, მანდარიები, ფუტკარაძეები, ფრუიძეები, მიქაძეები, მეგრელები, ღურჯუმალიძეები, ლეშკაშელები.

ლეჩეუმში იმერეთიდან მოსულებად ითვლებიან: კვირიკაშვილები, მამარდაშვილები, ბენიძეები, ხურციძეები, ხეცურიანები, ჯანაძეები, აბაშიძეები, ჯანელიძეები, კუხალაშვილები.

ჩაკვეტაძეები აჭარიდან, ხოლო გიორბელიძეები და კოპალიანთა ნაწილს გურიიდან მოსულებად ითვლებიან. აჭარას (ან მესხეთს) უკავშირებენ საკუთარ წარმოშობას ირემაძეებინ და კენჭაძეები. მესხური წარმომავლობისად თვლიან თავს არჯევანიძეები.

ლეჩეუმში რაჭიდან გადმოსახლებული არიან მოწონელიძეები, არჩვაძეები, ნემსიწვერიძეები, გზობავები, კეგუტიები, გიორგობიანები, ვაჩაძეები, გოდერიძეები და სხვა.

ლეჩეუმიდან მიგრირებულთა გვარები უნდა იყოს ოყროშიძე (ოყურეშლიძე), შილაკაძე, სილოგავა, სილაგავა, თაკვერელია, რომელთა

მიგრაცია უკეთესი საარსებო წყაროს ძიება, ლეჩეუმში საქმაოდ გავრცელებული სხვა კუთხეებში „სამოჯამაგირეოდ“ სიარული, ფეოდალთა მიერ ყმების სხვა კუთხეებში გასხვისების შედეგი უნდა იყოს.

ყველაზე ადრინდელი წყარო რომლიც ჩამოთვლილია ლეჩეუმში მაცხოვრებელთა გვარები XVI საუკუნის მიწურულისაა. ამ საბუთის მიხედვით, ცაგერის საეპისკოპოსოს კუთვნილ გლეხთა გვარებია: გუგავა(წყაროში მოხსენიებულია გუგუვა), მუსელიანი, ლაშარავა, ლაჭეპიანი, მუცხვატილაძე, შოვიანი, გოჩიანი, გოხიანი, ცვარიანი, ქოქოზიანი, სილაგაძე (სილაკაძე), სვანიძე, გოლეთიანი, მალრიანი, გაბადაძე, ხუტუნაშვილი, ბედმონაშილი, ყრუაშვილი, გაბრიელაშვილი, გიორგობიანი, ცხვედიანი, ჩაკუტაძე (ჩაკვეტაძე) სიგსიგე, მუშუდიანი, მამარდაშვილი, გიორგბერიძე(გიორგბელიძე), ქარსელაძე, უგრეხელაშვილი (უგრეხელიძე) (23, 374-380). ამ გვარებიდან ცამეტი სვანური წარმოშობისაა, ერთი მეგრული დანარჩენი ცხრიდან, რომლებიც -ძე და -შვილი სუფიქსითაა ნაწარმოები ერთი იმერეთიდან, ერთი გურიიდან და ერთიც აჭარიდან წამოსულად ითვლება. შემდგომდროინდელ წყაროებშიც გვარების წარმოშობის მიხედვით ურთიერთშეფარდება თითქმის თანაბარია. ასეთივე მდგომარეობაა დღესაც, იმ განსხვავებით რომ ქართულენოვანი გვარებისათვის მახასიათებელი -ძე და -შვილი ფორმის გვარებმა და მეგრული წარმოშობის გვარებმა შედარებით იმატეს.

მნელი სათქმელია თუ რატომ ხდებოდა ზოგიერთი სვანური წარმოშობის ლეჩეუმში გადასახლებულთათვის ახალი გვარის სვანურისთვის არატრადიციული სუფიქსი -ძე- თი წარმოება(მუცხვატილაძე, სვანიძე, სადინაძე). ერთადერთი რაც შეიძლება ვიფიქროთ ისაა, რომ ეს გვარები ლეჩეუმში მაშინ ჩამოსახლდნენ როცა ლეჩეუმში უკვე სუფთა ქართულენოვანი გარემო იყო. თუმცა ამავე პერიოდში ვხვდებით მეგრული წარმოშობის გვარს (ლაჭეპიანინაჭეპია), რომელიც სვანურისთვის მახასიათებელი -იან სუფიქსითაა ნაწარმოები. სვანური სუფიქსით არასვანურ გვართა წარმოების ფაქტებს აღბათ შემდგომ პერიოდშიც ექნებოდა ადგილი - ასეთია ბურჯალიანთა გვარის წარმოშობა ბურჯანაძეებისგან. რ. თოფჩიშვილის მიერ გამოკითხული (XX ს-ის ოთხმოციანი წლები) მთხოვბლის, ოთხმოცდაშვილი წლის ესტატე ბურჯალიანის თქმით მათი გვარის ლეჩეუმში დამკვიდრებიდან, მისი ჩათვლით ექვსი თაობაა გასული (27, 14). ექვსი თაობა საშუალოდ ორასი წელი უნდა მივიჩნიოთ და არც ესტატე ბურჯალიანის ცნობაში უნდა შევიტანოთ ეჭვი,

რადგან ლეჩეუმში დღესაც კი ბევრმა იცის თავისი ოჯახის წინა თაობების სახელები და საქმიანობა. ამგვარი მახსოვრობა წინა თაობებისა ხუთ-ექვს თაობას, ზოგ შემთხვევაში კი უფრო მეტსაც სწოდება.

ლეჩეუმს, თავისი სამეურნეო და სავაჭრო პოტენციალით, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატითა და ნიადაგის ვარგისიანობის ხარისხით იყო განპირობებული, ისტორიის გარკვეულ პერიოდებში შესაბამისი მოსახლეობის რაოდენობის შენახვა-გამოკვება შეეძლო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეჩეუმი ეკონომიკურად უფრო ძლიერია მთის რეგიონებზე, მაგრამ მისი შესაძლებლობები მაინც შეზღუდულია და ბუნებრივია აქაც არსებობს ჭარბმოსახლეობის პრობლემა. იმის გასარკვევად თუ რამდენად განაპირობებდა ლეჩეუმიდან მიგრაციას ჭარბი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების უკმარისობა, რამდენადაც შესაძლებელია თვალი უნდა გადავავლოთ ლეჩეუმის ისტორიულ დემოგრაფიას.

ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ლეჩეუმის დემოგრაფიაზე მხოლოდ არქეოლოგიური მასალითა და არქიტექტურული ძეგლების სიმრავლითა და ისტორიულ წყაროებში იშვიათი ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. ადრე შუასაუკუნეებში ეგრისის სამეფოში ლეჩეუმის ცალკე სამთავროდ არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ლეჩეუმი იმ პერიოდისთვის დაწინაურებული კუთხეა და შესაბამისად მაშინდელი სამეურნეო განვითარების შესაფერისად მაქსიმალურად იყო დასახლებული. ლეჩეუმში, შემდგომ ხანებშიც სტაბილური დემოგრაფიული მდგრადირობა უნდა ყოფილიყო, რაშიც გვიანდებოდა სანის, რუსეთის მმართველობის დროინდელი და XXსაუკუნის პირველი ნახევრის მდგრადირეობის ანალიზიც გვაჩვენებს.

პირველი ცნობა რომელიც შეიძლება ლეჩეუმის დემოგრაფიის რიცხობრივი შეფასებისთვის გამოვიყენოთ XVII საუკუნის მეორე ნახევრისაა (40, 49). ეს ცნობა ანტიოქიის პატრიარქ მაკარს ეკუთვნის, რომელიც გადმოგვცემს ცაგერებლი ეპისკოპოსის ცნობებს, რომლის მიხედვითაც ცაგერის ეპარქიას ანუ სვანეთს (განსაზღვრება ცაგერის ეპარქიისა აშკარად მცდარია), რომელიც სამოცი სოფლისგან შეგდება შეუძლია თორმეტი ათასი მოლაშქრის გამოყვანაო. თვით სოფლებში მინიმუმ ოთხასი კომლია, არის ისეთი სოფლები სადაც 600 კომლი ცხოვრობსო. ინფორმაციის მცდარობა იქიდანაც ჩანს რომ ლეჩეუმში და სვანეთში არ არსებობს ისეთი სოფლები სადაც ექვსასი თუგინდ თოთხასი კომლის თანაცხოვრება იქნებოდა შესაძლებელი. ანტიოქიის პატრიარქს,

რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, ცაგერის ეპისკოპოსმა ალბათ მისი სამწყსოს თითოეულ თემში მაცხოვრებელ კომლთა რაოდენობა დაუსახელა. როგორც ცნობილია, ცაგერის საეპისკოპოსო ამ დროს ლეჩხუმსა და დღევანდელ ქვემო სვანეთს მოიცავდა. ცაგერის საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე, ამ დროისათვის სამი-ოთხი თემის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ. ერთი თავისთავად ქვემო სვანეთისა იქნებოდა დანარჩენი სამი თემი/ მიკრორეგიონი ლეჩხუმში უნდა არსებულიყო (I. ლეჩხუმის სერის, ლაჯანურის ხეობის და სარეწკელამდე ლეჩხუმის სოფლები, II. სარეწკელადან გორდამდე, III. საინასარიძეო- რიონის ხეობის სოფლები და კლდედაღმართი.) ამგვარი ვარაუდის შემთხვევაში ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მოსახლეობა ცაგერის ეპისკოპოსის ცნობით სულ მცირე 1.600 კომლია, ხოლო თუ საშუალო მაჩვენებელს (500 კომლი თითოეულ თემში) ავიდებო მოსახლე კომლთა რაოდენობის გასარკვევად, გამოდის რომ XVII საუკუნის ბოლოსთვის ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში 2000 კომლამდე ცხოვრობდა. ცაგერელი ეპისკოპოსის ამ ცნობიდან ლეჩხუმის მოსახლეობის განსაზღვრას ისიც ართულებს რომ შესაძლოა, ცაგერელი ეპისკოპოსის სამწყსო ზემო სვანეთის რაღაც ნაწილსაც მოიცავდა. ასეთ შემთხვევაში ცაგერელის ინფორმაცია, ეპარქიას თორმეტი ათასი მეომრის გამოყვანა შეუძლიაო, არარეალური არ ჩანს და ესეც იმ შემთხვევაში თუ ქუდზე კაცი გამოვიდოდა სალაშქროდ. ანტიოქიის პატრიარქისა და ცაგერელის ეს ცნობა მით უფრო საჭიროა გახდება თუ ამავე დროის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას შევადარებთ. ლამბერტის ცნობით სამეგრელოში 30 000 მოლაშქრეა, ხოლო შარდენის 1672 წლის ცნობით სამეგრელოში სულ რაღაც 20 000 მამრობითი სქესის მაცხოვრებელია და მათ მხოლოდ ოთხიათასზე ოდნავ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლიათ. ლამბერტი ოცი წელი ცხოვრობდა სამეგრელოში და მის ცნობა სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, მისი ცნობიდან სამი ათეული წლის მანძილზე სამეგრელო ვერანდებოდა და ამ ვაქტს კიდეც აფიქსირებს შარდენი: იგი მოსახლეობას კლების მიზეზად გაუთავებელ შინაომებსა და დიდებულთა მიერ გლეხების და ტყვეთა სყიდვას ასახელებს. მოსახლეობის კლების განმსაზღვრელი ეს ფაქტორები ლეჩხუმს სამეგრელოზე ნაკლებად უნდა შეხებოდა. შესაძლოა, ლეჩხუმელ დიდებულთა და მათი სამხედრო ძალის როლის გაზრდა სამეგრელოში და მთლიანად დასავლეთ საქართველოში სწორედ ბარში მოსახლეობისა და სამხედრო პოტენციალის

შემცირებას დაგუკავშიროთ. ლამბერტის, შარდენისა და ანტიოქიის პატრიარქისადმი მიწოდებული ცნობებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თორმეტი ათასი მოლაშქრის გამოყვანა ცაგერელ ეპისკოპოსს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეეძლო – როგორც XVII საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო საბუთებიდან ჩანს ცაგერელი ეპისკოპოსი, გაბრიელ ჩიქვანი ერთდროულად ორი საეპისკოპოსოს, ჭყონდიდისა და ცაგერის საეპისკოპოსოების მმართველია, მისი გავლენა სავარაუდოდ მთელს სამეგრელოსა და ლეჩხუმს სწვდება. ანტიოქიის პატრიარქისავე ცნობით სვანების ორი ნაწილი იმერეთის მეფის კუთვნილებაა ხოლო ერთი დადიანს ემორჩილებათ. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ სიტუაციას, სადაც პოლიტიკური გავლენის სფეროები უსწრაფესად იცვლება და იმასაც დავამატებთ რომ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და სტაბილური ხელისუფალნი ასპარეზზე ახლადგამოსული ჩიქვანები (გაბრიელი და მისი ძმა კაცია) არიან, ადვილად დასაშვებია რომ ცაგერელ ეპისკოპოსს, გაბრიელ ჩიქვანს „თავისად“ მიეჩნია ოდიში, ლეჩხუმი და სვანეთის გარკვეული ნაწილი და ამ კუთხეთა მოლაშქრეების რაოდენობა მიეწოდებინა პატრიარქი მაკარისთვის. ყოველ შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად ეს ცნობები გადაჭარბებულია თუ არა, მათი მეშვეობით შეიძლება ვთქვათ რომ ლეჩხუმი ამ დროს კარგად ათვისებული და დასახლებულია.

ს. კაკაბაძის გამოთვლებზე დაყრდნობით ქ. მუშკუდიანი ვარაუდობს, რომ განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში ლეჩხუმის მოსახლეობა მკვეთრ ცვალებადობას არ განიცდიდა – ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით XVII-XVIII საუკუნეში კომლთა რაოდენობა თითქმის იგივეა რაც XIII საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის დროს. შესაძლოა ეს სინამდვილეს შეეფერებოდეს, თუმცა ქ. მუშკუდიანის გაანგარიშებები მცდარად მიგვაჩნია: გაანგარიშებები მონღოლთა მიერ მოსახლეობის აღწერის მიხედვითაა გაკეთებული; ლეჩხუმი მონღოლთა მიერ დუმნებად დაყოფილი საქართველოს ერთ-ერთ დუმნად არის მიჩნეული და რადგანაც დუმნებს მეტნაკლებად თანაბარი ლაშქარი გაყავდათო მონღოლთა არმიაში, ლეჩხუმელი მოლაშქრეების რიცხვიც 90 000-ის (მონღოლთა მიერ საქართველოდან გასაწვევი მოლაშქრეთა რიცხვი) მერვედი, ე.ი. 11 000-მდე იქნებოდათ (54, 45). შემდეგ, არგუმენტების გარეშე, მოცემულია XIII საუკუნეში ლეჩხუმში მოსახლე კომლთა რაოდენობა (4050). კომლში საშუალოდ 5 სულია ნაანგარიშები და ამგვარად ლეჩხუმის მოსახლეობა

მონდოლთა ბატონობის პერიოდში 20250 სულითაა განსაზღვრული (54, 45). . მუშკუდიანის გაანგარიშებები რა თქმა უნდა არასწორია, თუმცა მისი მოსაზრების (XIII საუკუნისა და XVI საუკუნის ლენიუმის მოსახლეობის თითქმის იგივეობის შესახებ) დასტურად ქვევით დავინახავთ ლენიუმის მოსახლეობას მაინცადამაინც დიდი მატება ან კლება არ ახასიათებს, შეიძლება ითქვას რომ ამ კუთხეში მთისა და მთისწინეთის სხვა კუთხეებთან შედარებით დემოგრაფილი სიტუაცია სტაბილურობით გამოირჩევა. მოლაშქრეთა რიცხოვნობასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება XVIII საუკუნეში დადიანის ჯარში ლენიუმელთა რიცხვის და მონდოლთა არმიაში ამ კუთხიდან გასაწვევთა საგარაუდო რაოდენობის თითქმის თანაბრობა – XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლენიუმელთა რაოდენობა დადიანის ჯარში 2000-მდეა (ს.კაკაბ, 1920). თითქმის ამდენივე უნდა იყოს მონდოლთა ლაშქარში ლენიუმიდან გასაყვან გეომართა რიცხვიც – ცნობილია რომ მონდოლების მიერ დუმნებად დაყოფის შემდეგ დასავლეთ საქართველოში ორი დუმანი ჩამოყალიბდა: ერთს ცოტნე დადიანი თავკაცობდა, მეორე დუმანს კი რაჭის ერისთავი უფროსობდა, რომელსაც „რაჭის ერისთავთა და ყოველთა იმერის სამეფოს“ (58, ვამთა აღმწ. 207-208; 61, საქ.ისტ.1959 227-228) ლაშქრის გაყვანა ევალებოდა. თუ ვივარაუდებთ რომ, ლენიუმი რაჭის ერისთავისადმი რწმუნებული დუმნის თითქმის მეექვსედი (საგარაუდო რაჭის ერისთავის დუმანში უნდა შესულიყო რაჭა, ლენიუმი, იმერეთი და ქვემო სვანეთი) იყო, გამოდის რომ ლენიუმიდან მონდოლებს 1800-1900 მოლაშქრე გაყავდა. თუმცა ამ მიმართულებით მსჯელობისას თვალში საცემია აშკარა შეუსაბამობა – თუ მონდოლებს ცხრა კომლიდან ერთი მეომარი გაყავდათ, მაშინ ლენიუმის მოსახლეობა XIII საუკუნეში მინიმუმ 15-16 ათასი კომლი ყოფილა რაც არარეალურია.

ს. კაკაბაძის გამოთვლით XVII საუკუნის შემდეგისთვის იმერეთის მოსახლეობა 16 280 კომლი უნდა ყოფილიყო და რადგან ლენიუმი იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დადიანისა და იმერეთის მეფის საცილო რეგიონი, ლენიუმის მოსახლეობა იმერეთის მოსახლეობაში იგულისხმება.

ლენიუმის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ XVIII საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. გულდენშტედტის ცნობით 1772 წლისთვის ოდიშის სამთავროში მთლიანად 14 000 კომლია. ოდიშის სამთავროში შედის ლენიუმიც, რომლის მოსახლეობა გულდენშტედტის ცნობით 4000 კომლია. რაჭას გულდენშტედისვე ცნობით ამ დროს 5 600 მეომრის

გამოყვანა შეუძლია, ხოლო სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა 5000 კომლამდეა. ს. კაკაბაძეს ეს ცნობა გადაჭარბებულად მიაჩნია და ლეჩხუმისა და სამეგრელოს ტერიტორიების ურთიერთშეფარდების საფუძველზე ასკვნის რომ სამეგრელოში 10 000 კომლის არსებობის პირობებში ლეჩხუმის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო 1800 კომლი (რაღგან ლეჩხუმის ტერიტორია ოდიშის სამთავროს 18% შეადგენდა.) (40, 47). ლეჩხუმის მოსახლეობის გამოთვლისთვის მეორე კრიტერიუმად, ს. კაკაბაძე ოდიშის ჯარში ლეჩხუმელთა პროცენტულ რაოდენობას იდებს და ამ გამოთვლიდან გამოდის რომ ლეჩხუმში 5 000 კომლი უნდა ყოფილიყო (40; 47) (ლეჩხუმს ოდიშის სამთავროს ჯარის 1/3 გამოჰყავდა და თუ ოდიშს 10000 კომლი მოსახლეობა ჰყავდა, ლეჩხუმში 5 000 კომლს ვდებულობთ). თუმცა ს. კაკაბაძე ლეჩხუმში მცხოვრებ კომლთა რაოდენობის სარწმუნო რიცხვად მაინც 1800 მიიჩნევს. მართლაც ძნელი წარმოსადგენია თუგინდ აქტიური მიგრაციული პროცესების ფონზე, რომ XVIII საუკუნის ბოლოსთვის ლეჩხუმში თითქმის იმდენივე მოსახლე ყოფილიყო რამდენიც მეოცე საუკუნის შუა წლებში – XVIII საუკუნეში ლჩხუმში კომლში 7-8 სული უნდა ვიანგარიშოთ, გამომდინარე იქიდან რომ 1864 წლის დასავლეთ საქართველოში ჩატარებული კამერალური აღწერის მიხედვით კომლი საშუალოდ 7,87 სულისგან შედგება (40, 45). გამოდის, რომ 4000 კომლის არსებობის შემთხვევაში XVIII საუკუნის ბოლოს ლეჩხუმში მინიმუმ 32 000 მოსახლეა, ე.ი თითქმის იმდენივე, რამდენიც XX საუკუნის 20-40-იან წლებში.

როგორია რამდენადმე სწორი ვარაუდის გამოთქმა ლეჩხუმის მოსახლეობის რაოდენობაზე და ჩვენც მხოლოდ მიახლოებითი გაანგარიშებები უნდა გავაკეთოთ. ერთ-ერთი ასეთი მიახლოებითი გაანგარიშებით 1770 წლისათვის ლეჩხუმის მოსახლეობა 2000 კომლი უნდა ყოფილიყო (ჯაოშვილი 1996: 48). მის მოსაზღვრე რაჭაში ამავე მონაცემებით 4000 კომლია, სვანეთში 1800, იმერეთში 15 800 და სამეგრელოში კი 10 000 (90, 48). XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს დასავლეთ საქართველოს ბარში კომლი საშუალოდ 7,56 სულისგან შედგება, მთაში კი 8,53 სულს აერთიანებს. აქედან გამომდინარე ლეჩხუმის მოსახლეობა 17 100(მთა), რაჭის 34 100 (მთა), სვანეთის 15 300 (მთა), სამეგრელოს 75 600 (ბარი), ხოლო იმერეთის 119 400 სულისგან შედგება (90, 48).

XIX საუკუნიდან საქართველოს კუთხეთა მოსახლეობის დადგენა უფრო ადვილი ხდება რადგანაც მეფის რუსეთის მთავრობა იწყებს მოსახლეობის

აღწერას. თუმცა ლენინის შემთხვევაში აქაც სირთულეა: ლენინი სამეგრელოს სამთავროში შემავალი რეგიონია და მისი მოსახლეობის შესახებ ცნობები ცალკე არ არსებობს, ის მოცემულია სამეგრელოს მოსახლეობასთან ერთად. ასე რომ, ამ პერიოდისთვისაც ლენინის მოსახლეობის დასადგენად შეფარდებითი სავარაუდო გამოთვლები დაგჭირდება.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სამეგრელოს მოსახლეობა 106 400 სულია (91, 62), 1832 წლის აღწერით კი 116 900 (91, 73). თუ ოდიშის სამთავროში ლენინის ტერიტორიის პროცენტულ წილს ვიანგარიშებთ და ამ პროპორციებით განვსაზღვრავთ მის მოსახლეობას მივიღებთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში 19 200 ხოლო 1832 წელს 22 000 სულია (ლენინის ტერიტორია ოდიშის სამთავროს 18%-ია). შესაძლოა ეს ციფრები უზუსტო იყოს, რადგანაც ჩვენ არ ვიცით თუ როგორი სხვაობა იყოს სამეგრელოსა და ლენინის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებსა და ამ ორი კუთხის დასახლების სიმჭიდროვეს შორის. თუმცა, სავარაუდოა რომ განსხვავებები მაინცა და მაინც დიდი არ უნდა ყოფილიყო და ლენინის მოსახლეობის მაქსიმუმი 1832 წლისთვის სავსებით შესაძლებელია 22 000 სული ყოფილიყო – ლენინის სამეურნეო პირობები და ეკონომიკური შეძლება ამ რიცხოვნობის მოსახლეობის შესანახად საკმარისი უნდა ყოფილიყო.

მოსახლეობის აღწერების მიხედვით ჩანს რომ დასავლეთ საქართველოს ბარში მოსახლეობა 1832 წლიდან 1865 წლამდე სწრაფად მატულობს, მთაში (რაჭაში), კი მატება ზომიერია (90, 76). ზომიერი უნდა იყოს მოსახლეობის მატება ლენინშიც. მთის რეგიონების ეს ერთგვარი „ჩამორჩენა“, უნდა აიხსნას მიგრაციული პროცესებით, რაც ბარის რეგიონებში ძირითადად წარმოების განვითარების შედეგად წარმოშობილ საწარმოებში მთის მოსახლეობის შრომისუნარიანი მოსახლეობის დაინტერესებით უნდა იყოს გამოწვეული. შემდგომ პერიოდში, ბარში კაპიტალიზმის განვითარების კვალად მთის მოსახლეობის მიგრაცია მატულობს. თუმცა ეს მიგრაციები დემოგრაფიულ სურათს რადიკალურად გერ ცვლის – ჯერ-ჯერობით მთის რეგიონებიდან შრომისუნარიანი (და რეპროდუქციული) მოსახლეობის ნაწილი გაედინება. რაც რა თქმა უნდა ამცირებს რეპროდუქციის დონეს, იწვევს მოსახლეობის „დაბერებას“ და მატების ტემპების შემცირებას. დემოგრაფიული სურათის შეცვლა მთის მოსახლეობაში საბჭოთა მმართველობის შუა ხანებს ემთხვევა და ძირითადად ორი თვალშისაცემი ფაქტორითაა განსაზღვრული – საბჭოთა

შმართველობის პერიოდში ბარში განლაგებულ ქალაქებში ახლადდაარსებულმა ფაბრიკა-ქარხებმა მთის მოსახლეობა კიდევ უფრო ძლიერად მიიზიდა. გარდა ამისა ამ პერიოდში მოხდა მოსახლეობის გეგმიური და ორგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენეს გაუმართლებელი მასიური ჩასახლებები ბარის რეგიონებში. მთის მოსახლეობისგან დაცლის განმაპირობებელი მესამე ფაქტორი, რომელიც მოითხოვს სათანადო პკლევებს, მთაში არსებული ტრადიციული სამეურნეო ყოფის ფორმებისა და საშუალებების მოშლა უნდა იყოს. თავისთავად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დიდი ოჯახების დაშლის პროცესს, რადგანაც მთისა და მთისწინეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის ექსტენსიური (მთის პირობებში) და მრავალდარგობრივი (მთისწინეთში) ხსიათი კოლექტიურ შრომას, ე.ი. დიდი განუყოფელი ოჯახის რესურსებს მოითხოვდა.

დღესდღეისობით მთასა და მთისწინეთში მწვავედ დგას დემოგრაფიული პრობლემა. არასაკმარისი რესურსი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირე და აქიდან გამომდინარე საარსებო საშუალებების დეფიციტი მთისა და მთისწინეთის მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაა მიჩნეული. მიგრაციების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს გზებისა და კომუნიკაციების უქონლობა (ეკონომიკური და კულტურული ცენტრებიდან მოწყვეტა) და სტიქიური უბედურებები. ეს უკანასკნელი ლენსუმში ძირითადად ზვავებისა და მეწყრების სახით გვხვდება და უმეტეს შემთხვევაში სოფლის სხვა ადგილზე გადანაცვლების ან სოფლის რომელიმე უბნის მოსახლეობის უსაფრთხო ადგილზე გადასახლების მიზეზია. ამგვარი მიგრაციების კარგი მაგალითია სოფ. ოყურეში – სოფლის განაპირას, ზუბის ციხესთან ახლოს მდებარე ადგილს ოყურეშელები ნამოსახლს ეძახიან. აქ XIX საუკუნის ბოლომდე უცხოვრია ხალხს. გადმოცემით მოსახლეობა დიდი ზვავის გამო აყრილა. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში კი მეწყრისგან დაზიანებული მამარდაშვილთა უბანი, თითქმის დაიცალა, ცხენისწყლის ხეობასთან საკმაოდ ახლოს დასახლდა და სოფლის ახალი უბანი შეიქმნა.

ლენსუმისთვის კომუნიკაციების უქონლობა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ბოლომდე არ უნდა ყოფილიყო მიგრაციის გამომწვევი მიზეზი. პირიქით, ამ დროს ლენსუმის მასზე გამავალი გზებით აქტიური კავშირები ჰქონდა მეზობელ კუთხეებთან. ფეოდალური ხანის ბოლომდე კომუნიკაციები ლენსუმის ფეოდალური ნატურალური მეურნეობის, ნამატი პროდუქციის გასაღებას და ტრადიციული ყოფის მოთხოვნებს ალბათ

აკმაყოფილებდა. საქმარისია გავიხსენოთ რომ ლაილაშის ბაზრობა, სადაც თავს იყრიან მეზობელი კუთხეების მაცხოვრებლები XIX საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანია დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. ბაზრობები იმართება ცაგერშიცა და ახალჭალაშიც. ცნობილი არიან ლეჩეუმელი ჩალვადრებიც (ლეჩეუმური გამოთქმით ჩალანდარი), ტვირთის გადამზიდავები, რომლებიც საუკეთესოებად ითვლებოდნენ რეგიონში და შეიძლება ითქვას რომ ერთი პერიოდი მათ დასავლეთ საქართველოს მთისა და მთისწინეთის ზოლში ერთგვარი მონოპოლიაც პქონდათ ტვირთის გადაზიდვაზე (გ. მამარდაშვილის ეთნოგრაფიული დღიური).

ლეჩეუმს გარდა ზემოაღნიშნული გზებისა, რომლებითაც ის უკავშირდებოდა სვანეთს, იმერეთს, ჩრდილოეთ კავკასიას ჰქონდა საქმაოდ მნიშვნელოვანი გზა რაჭაზე გავლით, რომლითაც ის უკავშირდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრებს. ამ გზით ონიდან ან ლებიდან ლიხის ქედი იკვეთებოდა და ცხინვალისკენ, შემდეგ კი მცხეთისკენ ეშვებოდა (გასვიანი 18, 12-13). ამ გზის ჩრდილოეთი განშტოება კი მამაისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ლეჩეუმის მოსახლეობის სავაჭროდ სიარული დღესაც ახსოვთ. ცნობილი იყო ოსური ჯიშის ხარ-ძროხა, რომელიც საქმაოდ პოპულარული იყო ლეჩეუმში. ლეჩეუმლები ამ საქონელის შესაძენად ოსეთშიც დადიოდნენ ხოლმე, ხანდახან ოსურ საქონელს ონის ბაზრობაზე ყიდულობდნენ. სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი საურმე გზები საყოველთაო ზრუნვის საგანი იყო. ლეჩეუმის სოფლებში დღესაც არსებობს შიდა მნიშვნელობის საურმე გზები, რომლებსაც სოფლის მოსახლეობა უკლის და ამ გზების შიდა მოხმარებისთვის ვარგისიანობას უზრუნველყოფს. გადმოცემებით ისეთი მაღალმთიანი სოფლების, როგორიც რაჭაში დები და სვანეთში უშგულია, დამაკავშირებელი გზაც კი კედლებით იყო გამაგრებული, ტალახიან ადგილებში კი მორები ყოფილა გადებული (60, 20). თუ რაჭისა და სვანეთის ყველაზე მაღალმთიანი სოფლების დამაკავშირებელი ურთულესი გზა ამგვარად იყო მოვლილი, საფიქრებელია, რომ მასზე ნაკლებად მოვლილი და შესაბამისად სამიმოსვლოდ ვარგის არც რაჭა-ლეჩეუმის, მითუმეტეს ამ კუთხეების სხვა კუთხეებთან და განსაკუთრებით სავაჭრო-პოლიტიკურ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები იყო. ლეჩეუმიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიმავალ მგზავრს არ სჭირდებოდა იმერეთის ბარში ჩასვლა და აქედან გადასვლა მტკვრის ხეობაში. მოხერხებული გზების

არსებობამ ლენქუმელთა აღმოსავლეთ საქართველოში სამუშაოდ სიარულსაც შეუწყო ხელი. ლენქუმელი გლეხები კახეთშიც კი ხშირად დადიოდნენ და დაქირავებულ მუშებად, ვენახის მომვლელებად მუშაობდნენ. ოუმცა გარე სამუშაოებზე საიარული დასავლეთ საქართველოს სხვა მომიჯნავე კუთხეთა მცხოვრებთათვის უფრო იყო დამახასიათებელი ვიდრე ლენქუმელთათვის. მოსახლეობის მიგრაცია გარე სამუშაოებზე წასვლის გამო განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში იზრდება. 1862 წლის მონაცემებით ქუთაისის მაზრიდან საშოვარზე გასულთა რიცხვი 386 კაცი იყო, შორაპნიდან 487, ოზურგეთიდან 155, რაჭიდან 1253 (62, ცხია. საქ 58. ფურ. 21). 1887 წელს ქუთაისის მაზრიდან 698 კაცი მიდის სხვა კუთხეში სარჩოს საძებრად, შორაპნიდან 810, რაჭიდან 3896, ზუგდიდ-სენაკიდან 935, ხოლო ლენქუმის მაზრიდან 763 (63, ცხია, ფ. 13, ანატ. I, საქმე 8977 ბ ფურც77). ოუგავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროისთვის ლენქუმის მაზრაში ზემო და ქვემო სვანეთიც შედიოდა, მაშინ კერძოდ ლენქუმიდან გამომუშავებაზე საზონურად მიგრირებულთა რიცხვი ერთი-ორად დაბალი უნდა ყოფილიყო. შემდგომ წლებში სეზონურ სამუშაოებზე გამსვლელთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება – რაჭიდან 1910 წელს 15 154 კაცია გასული. ამ პერიოდისთვის მასიურად გადიან სეზონურ სამუშაოებზე ზემო სვანეთიდანაც – 1909 წელს საშოვარზე ზემო სვანეთიდან 1646 კაცი წასულა, რაც შრომისუნარიან მამაკაცთა 85-90%-ს შეადგენდა. სეზონურ სამუშაოებზე სიარულს ცხადია განაგრძობდნენ ლენქუმელებიც. ოუმცა, როგორც ქუთაისის გუბერნატორისადმი ლენქუმის მაზრის უფროსის მოხსენებაში ჩანს ლენქუმის მოსახლეობა ნაკლებად გადიოდა გარე სამუშაოებზე (82, 168-169). ვფიქრობთ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ლენქუმი XIX საუკუნის ბოლოსთვის საგანმანათლებლო საქმიანობის მხრივაც არ ჩამორჩებოდა სხვა კუთხეებს: XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან, ლენქუმში იხსნება სკოლები. პირველი სასწავლო დაწესებულება დეხვირის სასულიერო სკოლა(დაწყებითი) იყო. 1873 წელს, როდესაც ლენქუმის სამოცდაექვს სოფელში 22 ათას კაცამდე ცხოვრობს, უკვე არსებობს ვიდი სასოფლო სკოლა (დახვირში, ორბელში, ნაკურალეშში, ოყურეშში, ჭყვიშში, აჭარაში, მექვენაში) (101). საუკუნის ბოლოს, სოფელ ლაილაშში ვუნქციონირებს სოფლის მეურნეობის პროფილის დაწყებითი სკოლა. ოუგადარებთ სხვა მაზრების მონაცემებს ლენქუმში სასწავლო დაწესებულებების პროცენტული რაოდენობის სიმრავლეს დავინახავთ –

ქუთაისის მაზრის 206 სოფელში 14 სკოლა იყო, რაჭაში 230 სოფელს 9 სკოლა ემსახურება, შორაპანის მაზრაში 220 სოფელი და 13 სკოლაა, ხოლო სვანეთში ამ დროისათვის, არც ერთი სკოლა არ არის (101).

ლეჩხუმიდან მიგრირებულთა უმეტესობას ქალაქებში თუ იმ რეგიონებში სადაც ისინი ჩადიოდნენ სამუშაოდ საკუთარი ნიშა უკვე დამკვიდრებული ჰქონდათ. რაჭველები ძირითადად ხელოსნობას მისდევდნენ, სვანებს ხშირად ქირაობდნენ სათიბებში სამუშაოდ და სხვა სამოწაომოქმედო სამუშაოების შესასრულებლად. ლეჩხუმელთა „ვიწრო სპეციალიზაცია“ მაინცა და მაინ არ დასტურდება. შესაძლოა რომ ლეჩხუმლები რაჭველთა მსგავსად ხით ხუროები იყვნენ. ამის შესახებ დაცული აქვს ცნობა, ლიტვინოვს პირველ რეს ჩინოვნიქს რომელმაც მოკლედ აღწერა ლეჩხუმი. ლიტვინოვის ცნობით მთელი ოდიში ლეჩხუმელების მიერ არის აშენებული (იგულისხმება სახლები) (96, 129).

ეკონომიკური და საარსებო საშუალებების დეფიციტი, მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ლეჩხუმის წინაშე მაინცა და მაინც მწვავედ არ უნდა მდგარისო. ვახუშტის რომ დავესესხოთ: „თუმცა არს ლეჩხუმი მთის აღგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯამბისა, გარნა სივიწროვისა და კლდოვანებისთვის არა უგოდენი სიმრავლით“ (24, 749). „მიწა ლეჩხუმში ნაყოფიერია... ითესება ხორბალი, შვრია, სიმინდი და ლომი. მხენელ-მთესველს მუშაობა უხვი მოსავლით უნაზდაურდება. თუმცა სავარგულების ნაკლებობა მოსახლეობის გამრავლებას უშლის ხელს“ (96, 124) მართლაც, ლეჩხუმში არც თუ ისე უნაყოფო მიწებია, თუმცა სახნავ-სათესი სავარგულები მაინც ჭირს, რადგან ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეს უჭირავს, საკმაოდ დიდია რელიგიის დანაწევრიანებისა და ეროზიის ხარისხიც. თუმცა ლეჩხუმს მომიჯნავე ტერიტორიებთან შედარებით (ზემო და ქვემო რაჭა, სვანეთი, ოკრიბა, სამეგრელო) ოდნავ უკეთესი სასოფლო-სამეურნეო პირობები ჰქონდა. სწორედ ამ, კერძოდ მისთვის მახასიათებელი მეურნეობისა და ეპონომიკური შესაძლებლობების შესაბამისი იყო ლეჩხუმის მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესები და დინამიკა.

ლეჩხუმში, საგლეხო კომლის კუთხნიდი მიწები, ე.ი. სამეურნეო საშუალებები და აქედან გამომდინარე ეკონომიკური შეძლებაც თითქმის თანაბარი იყო დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთა ანალოგიური მაჩვენებლისა. 1875 წლისთვის შორაპანის მაზრაში კომლზე საშუალოდ 2,7 დესეტინა მიწა მოდიოდა, რაჭაში 1,9; გურიაში 1,3; ლეჩხუმში კი 2,1 (11, 7).

ლეჩხუმის სახაზინო გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელი მეცნიერი ნასოვიჩის მონაცემებით სახელმწიფო გლეხის ერთ კომლზე ლეჩხუმში გაცილებით მეტი ფართობი მოდიოდა (98, 168). ლეჩხუმში მიწა ნაყოფიერების თვალსაზრისით ერთგვაროვანი იყო, რასაც სხვა კუთხეებისა და ლეჩხუმის მიწიების ფასებიც ადასტურებს – ქუთაისის მაზრაში ერთი დესეტინა მიწა 2-დან 30 მანეთამდე ღირდა, ზუდგიდ-სენაკში 8 -74მან., გურიაში 8- 74მან., შორაპანში 4 -43 მან, ლეჩხუმის მაზრაში კი XIX საუკუნის ბოლოსათვის დესეტინის ფასი 20-22 მანეთი იყო. ლეჩხუმის სახაზინო გლეხების ერთი დესეტინიდან ხაზინაში საშუალოდ 3,68 მანეთი შედიოდა, ხოლო ქვემო სგანეთში იმავე ფართობის მიწა თითქმის ორნახევარჯერ ნაკლებ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს (98, 175) ნიშანდობლივია რომ ლეჩხუმში სახნავი მიწების ფასი დიდად არ მერყეობდა. მინიმალური ფასი გაცილებით მაღალია ვიდრე სხვა რეგიონებში. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში მიწების მაქსიმალური ფასის სიდიდე ლეჩხუმთან შედარებით მათი ხარისხობრივი განსხვავებით არ უნდა იყოს გამოწვეული. შესაძლოა რაჭისა და შორაპნის მაზრებში მიწის სიძვირე საგარგულების მწვავე დეფიციტით იყოს განპირობებული, ხოლო სამეგრელოში და გურიაში მიწის სიძვირის დამატებით მიზეზად ამ რეგიონებში ქალაქური ცხოვრებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება უნდა მივიჩნიოთ.

ლეჩხუმში, სავარაუდოდ, სახნავ-სათესი და სამეურნეო ნაკვეთების მაინცა და მაინც დიდი დეფიციტის პრობლემა მწვავედ არასდროს არ უნდა მდგარიყო. ამ კუთხეში XIX საუკუნის ბოლოსთვის მიწის გარშემო ატეხილი მხოლოდ ორი დავაა დაფიქსირებული (96, 167).

1886 წლის მონაცემებით ლეჩხუმში 28 036 მოსახლეა (89, 81). 1959 წლის აღწერით კი 27 600. ამ მაჩვენებლების შედარება საქართველოს მთლიანი მოსახლეობის ამავე პერიოდის დინამიკასთან, ცხადად გვიჩვენებს რომ აღნიშნულ წლებში ლეჩხუმში დემოგრაფიული პრობლემები უკვე მწვავედ დგას – 1886 წელს საქართველოს მოსახლეობა 1 697 700 სულია, 1959 წელს კი 4 048 600. კ.ი. საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 2,5 ჯერად გაზრდილი, ლეჩხუმში კი უგუპროცესია – მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ მაგრამ მაინც შემცირებულია. აღნიშნული პერიოდის შუალედური აღწერის მიხედვით, 1926 წელს ლეჩხუმში 1886 წელთან შედარებით მოსახლეობა მატულობს 3 810 სულით. რეგიონში მოსახლეობის მატების ტემპები ნაკლებია ვიდრე ქვეყანაში,

თუმცა თითქმის ტოლია მასთან ეკონომიკური პოტენციის თვალსაზრისით უკელაზე ახლოს მდგომ ქვემო რაჭის მოსახლეობის მატების ტემპისა. ეს ის პერიოდია როდესაც საქართველოს მსხვილ ქალაქებში თანდათან ფეხს იკიდებს წარმოება და ამით იზიდავს სოფლის მოსახლეობას.

თუ თნის რაიონის (ზემო რაჭა) ანალოგიურ მონაცემებს დავაკვირდებით 1886 წლიდან 1926 წლამდე მოსახლეობა 1 930 კაცით მცირდება. ზემო რაჭაში, ისევე როგორც ლეჩხუმში, მოსახლეობა 1939 წლისთვის უმნიშვნელოდ მატულობს, სამაგიეროდ 1926-1939 წლებში ქვემო რაჭის მოსახლეობა კლებულობს. 1886-1956 წლების მოსახლეობის დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს, ცხადი გახდება რომ ლეჩხუმში თუმცა მოსახლეობის გამრავლების ტენდენციები არ შეიმჩნევა, მაგრამ ზემო და ქვემო რაჭასთან შედარებით უკუთხესი დემოგრაფიული მდგომარეობაა – ლეჩხუმში მოსახლეობა 436, ქვემო რაჭაში 7 255, ზემო რაჭაში კი 8 400 სულით შემცირდა. აქვე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ლეჩხუმის ტერიტორია ზემო და ქვემო რაჭის ტერიტორიებზე ნაკლებია და რადგან ამ სამივე რეგიონში თითქმის თანაბარი რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს ლეჩხუმის მოსახლეობის სიმჭიდროვე მეტია რაჭის მოსახლეობის სიმჭიდროვეზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1886 წელთან შედარებით 1959 წელს ლეჩხუმის ტერიტორია (ცაგერის რაიონი) ოდნავ, მაგრამ მაინც შემცირდა – რამოდენიმე სოფელი, რომლებიც მეფის რუსეთის მმართველობის დროს ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ლეჩხუმს ეკუთვნოდა, საბჭოთა პერიოდში ამბროლაურის, წყალტუბოსა და ხონის რაიონებს მიეკუთვნა.

მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ლეჩხუმში მოსახლეობის დემოგრაფიული სტაბილურობა XX საუკუნის შუა წლებამდე გრძელდება.

საინტერესოა ამავე პერიოდში მოსახლეობის მიგრაცია ადგილობრივ რაიონულ ცენტრებში, სადაც XIX საუკუნის ბოლოს თანდათან იწყება სოფლის მოსახლეობის ჩასახლება. რაჭა-ლეჩხუმში XIX საუკუნის ბოლომდე ქალაქური ტიპის დასახლებები არ გვხვდება. 1959 წელს კი მოსახლეობის მხოლოდ 16,3% ცხოვრობს ქალაქში. ეს მაჩვენებელი თითქმის სამჯერ ნაკლებია მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში ქალაქში მაცხოვრებელთა რაოდენობაზე. ეს ბუნებრივიცაა – რაჭისა და ლეჩხუმის სამეურნეო თავისებურებები და გეოგრაფიული პირობები არ იძლევა დიდი საწარმოო ინფრასტრუქტურის

გაშლის შესაძლებლობებს და აქედან გამომდინარე მოსახლეობის ინტერესიც რეგიონის ქალაქებისადმი სუსტია.

### § 3. დასახლების სტრუქტურა

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების მონაცემებით ლეჩხუმში სამოცდასამი (27, 6) სოფელია. სოფლების უმეტესობა დღესაც არსებობს და მათი დასახლების ტიპს დღესაც ამჩნევია საუკუნეების წინანდელ სამეურნეო თუ სხვა საზოგადოებრივი ფაქტორების კვალი. პირველყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლეჩხუმის სოფელთა უმრავლესობა მდინარეთა ხეობებიდან მოშორებით, მთებშია გაშენებული. ხალხი ამის მიზეზად შიშიანობას ასახელებს, თუმცა იმის გათვალისწინებით რომ ლეჩხუმი მაინცადამაინც დიდად არ განიცდიდა მტრის შემოსევებს, ამ ფაქტორს სოფლების მაღალ მთებზე შეფენილობის მთავარ მიზეზად ვერ ჩავთვლით. სავარაუდოდ ლეჩხუმის სოფლების მდინარეებისაგან მოშორებით გაშენება ცხენისწყლისა და რიონის ხეობების სივიწროვით და მათი წყლის სასმელად გამოუყენებლობის შედეგია. ორივე მდინარეს ახასიათებს გაზაფხულის წყალდიდობები, გარდა ამისა მათ სიახლოვეს მდებარე ადგილები მაღალი ტენიანობის გამო სამეურნეო თვალსაზრისით არამომგებიანია. მაღალი ტენიანობა მარცვლეული კულტურებიდან მხოლოდ სიმინდისთვისაა სასარგებლო და ის ადრეც ითესებოდა და ახლაც ითესება მდინარეების სიახლოვეს (15, 166) ლეჩხუმელ გლეხთა უმთავრესი საქმიანობისთვის, მევენახეობსა და მემინდვრეობას, სწორედ რომ ზომიერად მშრალი, მთის ფერდობზე შეფენილი სავარგულები სჭირდებოდა. როგორც ცნობილია, ლეჩხუმში ადრე მეურნეობის წამყვანი დარგი ხორბლეულის მოყვანა იყო და ხორბლეულსაც სწორედ საშუალო ხარისხის ნიადაგი, არც ისე ტენიანი, არც ძალიან ფიცხი და მშრალი მიწები სჭირდებოდა. ხორბალი ძირითადად ზეგნებზე და საშუალო სიმაღლეებზე (15, 165), სოფლებიდან არც თუ ისე მოშორებით ითესებოდა და ეს ფაქტორიც განაპირობებდა სოფლის მდებარეობას მთის ფერდობების შუა ნაწილებში და არა ხეობების სიახლოვეს. გარდა ამისა, სოფლის სიახლოვე სამოვრებით, სათიბებითა და ტყეებით მდიდარ მთის მასივებთან, მესაქონლეობის განვითარებას უწყობდა ხელს და სამშენებლო თუ სხვა დანიშნულებით ხე-ტყის გამოყენებასაც აიოლებდა. ლეჩხუმის მთაგორიანი რელიეფითა და მდინარეთა ხეობების თავისებურებებითაა გამოწვეული ისიც, რომ ძველი, შიდა თუ სატრანზიტო გზების უმეტესობა მდინარეთა ხეობებს გვერდს უქცევს და მაღალ სერებსა თუ მთის ძირებს მიუყვება. ბუნებრივია სოფლების უმეტესობამაც

გზების სიახლოების მოყვარა თავი. ამ გზების სიახლოების, მათ მაკონტროლებლად არის გაშენებული შუასაუკუნეების ციხეებიც.

ლეჩეუმის სოფლების უმეტესობის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს მეურნეობის თავისებურებებს. სოფელთა უმეტესობაში მევენახეობისთვის, მემინდვრეობისათვისა და მეცხოველეობის განვითარებისთვის საქმაოდ კარგი პირობებია. სოფლები ძირითადად მთის კალთებზეა შეფენილი და სოფლის დასაწყისსა და ბოლოს შორის ზღვის დონიდან სიმაღლეებს შორის სხვაობა საქმაოდ დიდია.

სხვა სოფლებთან შედარებით გაშლილი მდებარეობა აქვთ რაიონულ ცენტრს, ცაგერს და ცაგერის ტაფობში მოქცეულ სოფლებს, მურის ხიდიდან სარეწაელამდე (ბარდნალა, წიფერჩი, გვესო, ჩხუტელი). ამავე მიკრორეგიონში გვხვდება მთაზე შეფენილი სოფლები ლარჩვალი და ლუხვანი. სარეწაელას სამხრეთით ყველა სოფელი მდინარე ცხენისწყლის ხეობისგან მოშორებითაა გაშენებული (ოყურეში, ზუბი, მახურა, ისუნდერი). რიონთან ახლოს მდებარე სოფლებია ალპანა, ლაჯანა, ორბელი, ტვიში, ქორეინში. მდინარის ახლო სოფლები მაინცადამაინც მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩევიან, რადგანაც ამ სოფლებს ხეობათა სივიწროვის გამო არ გააჩნიათ საკმარისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ლეჩეუმის სოფელთაგან გამოსარჩევია ცხეუკუშერი, ნასპერი, ნაკურალეში და უცხერი, რომელთაც შეგვიძლია მთის სოფლები ვუწოდოთ. ამ სოფლებში დანარჩენი ლეჩეუმისგან განსხვავებით ყურძნის მოსავალი ძალიან მცირე და უხარისხოა.

ლეჩეუმში ბარისა და მდინარის ვიწრო ხეობების სოფლებს მეცხოველეობის განვითარებისთვის საქმარისი პირობების დეფიციტი აქვს, ხოლო მთის სოფლები მევენახეობისთვის საჭირო საგარგულებს მოისაკლისებს. „მთის სოფლების“ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სავენახე ადგილები უფრო დაბალი ზონის სოფლების ტერიტორიაზე აქვთ. ლეჩეუმის მოსახლეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასხისა და ხვამლის საზაფხულო სამთო საძოვრებს, რომელსაც მთელი ლეჩეუმის მოსახლეობა იყენებს.

ლეჩეუმისა და მის მომიჯნავე რაჭაშიც დემოგრაფიულ სტაბილურობას შედარებით დაბალი მდებარეობის სოფლები ინარჩუნებენ. 1926-1957 წლებში რაჭა-ლეჩეუმის მთლიანი მოსახლეობა 14,9%-ით კლებულობს, ხოლო 400-600 მეტრის სიმაღლეზე მოსახლეთა რაოდენობამ 18,7%-ით იმატა (89, 91). ამგვარი

სურათი ორი მიზეზით უნდა იყოს განპირობებული – ერთი რომ მთაში ცხოვრების მძიმე პირობები მოსახლეობის სხვა კუთხეებში, ბარში მიგრაციას უწყობდა ხელს და მეორე, რომ თვით სოფლებმა (ოყურეში, აღვი, ლუხვანო, ლარჩვალი) ნელ-ნელა ხეობისკენ, ქვევით დაიწიეს.

ლეჩეუმური სოფლის დასახლების ტიპის სრულად აღსაქმელად, ქვემოთ განვიხილავთ სოფელი ოყურეშს:

სოფელი ოყურეში XIX საუკუნის ბოლოს ოთხმოცამდე კომლი სახლობდა, რაც იმდროინდელი ლეჩეუმისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (უფრო მრავალრიცხოვანია მხოლოდ ექვსი სოფელი: წიფერჩი, ლუხვანო, ჭყვიში, ლაილაში, საირმე და ზუბი). კომლში საშუალოდ შვიდი-რვა სულია. ოყურეში შეფენილია მთის ფერდობზე, ისე რომ სოფლის დასაწყისიდან სოფლის ბოლომდე, მკვეთრად დახრილი აღმართი გზის მანძილი 5-6 კილომეტრია. სოფლის დასახლება იწყება მუშკუდიანების უბნით. ეს უბანი მდინარე ცხენისწყლის ხეობასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. მუშკუდიანების უბანში არის ადგილი, რომელსაც ნაციხეურა ქვია. ოყურეშლების გადმოცემით, აქ ციხე უნდა მდგარიყო, ზოგიერთის თქმით საძირკველის ნაშთები შემორჩენილიც ყოფილა. მუშკუდიანები სოფლის ერთ-ერთ პირველ მაცხოვრებლებად უნდა ჩაითვალონ; ამ გვარის ხალხი ოყურეში XVI საუკუნის ბოლოს, როგორც ცაგერის საკათედრო ტაძრის ყმები „საცაგერლოს გამოსავლის დავთარში“ მოიხსენიებიან. აღსანიშნავია, რომ მუშკუდიანების რვა კომლიდან ექვსს მეფის მოლაშქრეობა აკისრია, ე.ი. სამხედროვალდებულია. შესაძლოა, ეს ექვსი კომლი სწორედ, ნაციხეურად წოდებულ ადგილზე ოდესდაც არსებული ციხის გარშემო მოსახლენი არიან, რომელთაც მეციხოვნეობა ევალებოდათ. მუშკუდიანები ოყურეში დღესაც ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია, მათ შემდეგ რიცხოვნობით მამარდაშვილები მოდიან. მამარდაშვილებიც მუშკუდიანების გვერდით ცაგერის ეკლესიის ყმებად მოიხსენიებიან, „საცაგერლოს გამოსავლის დავთარში“. ამ გვარის ხალხით დასახლებულია სოფლის ორი უბანი, სამამარდაშვილო და სახელოშვილო. ერთად აღებული ეს ორი უბანი სოფლის ყველაზე ვრცელი ადგილია და სავარაუდოდ ერთი გვარის ხალხით, მამარდაშვილებით იყო დასახლებული (ხელოშვილები მამარდაშვილების ერთი შტოა და მათი ოფიციალური გვარი მამარდაშვილია). მუშკუდიანებისა და მამარდაშვილების უბნებს შორის სამანდარიო და არჯევანიძეების უბანია. გადმოცემის თანახმად მანდარიები და არჯევანიძეები ოყურეში მოგვიანებით,

საგარაუდოდ XVIII საუკუნეში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ. სოფელში არის კიდევ სამ უბანი, ყელიერი, გორა და ფათქუნეიშვილები, რომლთა მოსახლეობა არაერთგვაროვანია. საფიქრალია, რომ ეს უბნები შედარებით მოგვიანო ხანაში წარმოიშვა და მისი მოსახლეობის უმეტესობა სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებული უნდა იყვნენ. მაგალითად, გორაში მცხოვრები უგრეხელიძეები თავს ლაჭეპიტიძეან გადმოსახლებულებად თვლიან, გოლეთიანები და უურაშვილები საკუთარ წარმოშობას სოფელ ნაკურალეშს უკავშირებენ. გორა და ყელიერი მართლაც ოყურეშის განაპირა უბნებია და მოსავლიანობის მხრივ მაინცადამაინც სახარბიელო მიწებითაც არ გამოირჩევა. ოყურეშში მეურნეობის ძირითადი დარგის, მევენახობისთვის ყველაზე უპრიან ადგილად სოფლის ცენტრალური ნაწილი, მამარდაშვილების, არჯევანიძეებისა და მანდარიების უბანი ითვლებოდა. ამ უბნებში სანაქებო მოსავალი სცოდნია უნიკალურ ვაზის ჯიშს უსახელოურს. სოფლის განაპირა ტერიტორიებზე მოსახლეობას მოპყავდა ხორბლებული და სიმინდი. სოფლის გარეთ მდებარე საგარეულებს გარე ყანებს ეძახდნენ და მათზე თანაბარი უფლებები ჰქონდათ, როგორც სოფლის განაპირა უბნების ასევე შუა სოფლის მცხოვრებლებსაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლის განაპირა უბნებში მოსახლეობა უფრო მეტად მესაქონლეობას მისდევდა, რასაც ადგილობრივი პირობების თავისებურებანი განაპირობებდა. ამგვარად სოფელი სამეურნეო თვალსაზრისით ერთგვარ ვერტიკალურ ზონებად იყოფოდა.

ოყურეშისა და ზუბის საზღვარზე მდებარეობს ადგილი რომელსაც ნამოსახლი ეწოდება. გადმოცემით აქ მამარდაშვილებს და უურაშვილებს უცხოვრიათ. საგარაუდოდ XVII საუკუნის საბუთებში მოხსენიებული გლეხი მამარდაშვილების ოჯახები სწორედ ნამოსახლის ტერიტორიაზე სახლობდნენ. ამის საფუძველს გვაძლევს ის რომ საბუთებში მამარდაშვილთა შორის ბევრის ხელობად მოხსენიებულია მეთევზეობა, ნამოსახლი კი ოყურეშთან შედარებით ძალიან ახლოა მდინარე ცხენისწყალთან და კვერცხულასთან. ასევე საგარაუდოა, რომ გაბრიელ ცაგერელის მიერ ზუბელებისათვის (შესაძლოა ზუბის ციხის მეციხოვნეულისთვის) მიცემული საკუთარი ყმის, მამარდაშვილის ბეგარის ნაწილი ამ გლეხის საცხოვრებელი ადგილის ზუბის ციხის სიახლოვითაც იყო გამოწვეული. ნამოსახლიდან, დიდი ზვავების გამო, მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოს აყრილა. აქ სოფლის არსებობა მართლაც რეალურია – ნამოსახლის ტერიტორიაზე მრავლადაა წყაროები (ბინული, რაჩხა).

მდებარეობითაც გაცილებით გაშლილი და ვაკეა ვიდრე ოყურეში. ნამოსახლის თავზე არის ადგილი რომელსაც ოყურეშელები „ნასაყთო გორას“ უწოდებენ. მდინარე ცხენისწყლის მეორე ნაპირზე ნამოსახლის მოპირდაპირედ მდებარეობს ზუბის ციხე. ასე რომ ნამოსახლი და მისი მიმდებარე ტერიტორია სოფლის მთლიან კომპლექსს მოიცავს – სოფლის დასაწყისში (ციხე დასახლებამდევ სოფელ ისუნდერშიც, ზუბს კი ერთი ციხე დასაწყისში უდგას ორი კი სოფლის ბოლოს; სოფლის შუაში ციხეები გვხვდება ლუხვანოში, ნასპერში) მდებარეობს ციხე, სოფლის ბოლოს შემაღლებულ გორაკზე თდესლაც მდგარა საყდარი, მათ შორის კი სოფელი და მისი მიმდებარე სავარგულები იყო მოთავსებული. თუ სოფლის სტრუქტურის ამ სურათს მივყვებით, სოფლის განლაგების წესი შემდეგნაირია: სოფელთა უმეტესობა ციხე-სიმაგრის სიახლოვესაა გაშენებული. ეკლესია უმეტესად სოფლის თავში დგას. სოფლის ცენტრალური ნაწილში მოსახლეთა კარ-მიდამო, მამული (ვენახი) გაცილებით ნოჟიერ მიწებზეა გაშენებული ვიდრე განაპირა უბნების მცხოვრებთა ეზოები. ეს ტენდენცია მეურნეობაში მიწათმოქმედების უპირატესი როლის მქონე სოფლებისთვის უნდა იყოს მახასიათებელი. მთის სოფლების მოსახლეობას კი ხშირად შედარებით დაბალ სოფლებში აქვთ ვენახები.

როგორც წესი, თავისი ადგილი ჰქონდა სასაფლაოს. ის თავდაპირველად სოფლის ბოლოში უნდა ყოფილიყო და ძალიან ხშირად ეკლესიის ეზოშიც მდებარეობდა. დროთა განმავლობაში სოფელები ფართოვდებოდა და დღეს ხშირად სასაფლაოებს სოფლის ცენტრშიც შევხვდებით.

ოყურეშს, ისევე როგორც ცხენისწყლის ხეობის სხვა სოფლებს ჩამოუდის სასმელად გარგისი და სამეურნეო დანიშნულებისთვის (წისქვილებისთვის) გამოსადეგი პატარ-პატარა მდინარეები. ოყურეშში ასეთი მდინარეებია ლელიფანა და ლაშპონია. სოფელი მახურა და ისუნდერი მდინარე რაჩხაზეა გაშენებული, ზუბი კვერეშულაზეა, ჯონოულის ხეობაში ქულბაქი და ჩქემია. ამ მდინარეებში ბევრი თევზია.

მთებზე შევენილ სოფლებში სასმელი წყლის ფუნქციას კოდები ასრულებენ. კოდებს ოყურეშში თავიანთი ფუნქცია არც დღეს დაუკარგავთ: დღესაც კი ოყურეშში ყველა უბანს თავისი კოდი აქვთ. არჯევანიძეების უბანის შესასვლელში მდებარეობს უბანის ქვემოთ ორი კოდი ფუნქციონირებს. უბანის ქვემოთ არსებულ წყაროს ცივწყაროს ეძახიან. მამარდაშვილების უბანში არის ორი წყარო: ყურაშვილების კოდი და ოქრომილების წყალი. მუშკუდიანების უბანი

ადრე თურმე ქვარიანის კოდით სარგებლობდა. ქვარიანის კოდის ოყურეშში არსებობა თითქოს მოულოდნელია, ქვარიანები თყურეშში მაცხოვრებლები არ არიან. საგარაუდოდ კოდმა სახელი თყურეშში XVII საუკუნეში არსებული ქვარიანის სასახლის გამო მიიღო – დაახლოებით 1656 წლის დათარიდებული საეკლესიო საბუთის მიხედვით ცაგერის ეპისკოპოსს შეუკეთებია ქვარიანის კუთვნილი სასახლე (23, 521). როგორც ამ საბუთიდან ირკვევა ეს სასახლე ოდიშის მთავრის მოხელეს ვინმე ქვარიანს ეკუთვნოდა.

მიუხედავად წყაროების სიმრავლისა, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებაში ძირითადი დანიშნულება ჭებს პქონდათ. ოყურეშში ყოველ მეორე-მესამე მოსახლეს ეზოში პქონდა საკუთარი ჭა.

სოფელი ოყურეშის დაყოფა უბნებად, რომელთაც სახელები იქ მოსახლე ხალხის გვარეულობით ერქმევა, გვაჩვენებს, რომ ოყურეშში დასახლების თავდაპირველი ფორმა გვაროვნული ყოფილა. სოფელში ეხლაც შეიმჩნევა გვაროვნული დასახლების კვალი – სისიხლით ნათესავები, ძმათაშვილები ანუ სახლიკაცები ერთმანეთის მახლობლად ცხოვრობენ. ისინი ერთმანეთის ეზოში და სახლში თითქმის დაუკითხავად შედიან. ხშირად სახლიკაცებს ჭაც საერთო პქონდათ, რომელიც მათი ეზოების საზღვარზე იდგა. დღესდღეისობით უბნების მოსახლეობა მრავალფეროვანია და სამეზობლო თემის ნიშნები გააჩნია: კუთხე-მეზობელი ისევე მიღებულია ოჯახში როგორც უახლოესი ნათესავი. ლხინისა და ჭირის დღეებზე კუთხე-მეზობლის არ მოწვევა უფრო მეტი დანაშაულია ვიდრე გვარითა და სისიხლით ნათესავის დავიწყება. უბანში ანუ კუთხე-მეზობლობაში ურთიერთქორწილი მაინცადამაინც მისაღები არ არის.

სარეწყლას კლდეკარის ჩრდილოეთით ცხენისწყლის ხეობა ფართოვდება და სოფლები (ბარდნალა, წიფერჩი, ცაგერი, გვესო, ლარჩვალი, ჩხუტელი) მდინარესთან შედარებით ახლოსაა გაშენებული. თუმცა ამ სოფლების თავდაპირველ ტერიტორიებად მაინც ცხენისწყლის ხეობიდან მოშორებული ადგილები უნდა ჩავთვალოთ. სოფლების დაბლა ჩამოწვის ფაქტები ხნიერი მოსახლეობის გადმოცემებით დასტურდება და ეს ტენდეცია დღესაც შეიმჩნევა.

ცხენისწყლის ხეობის შედარებით მაღალ სოფლებში ნასპერში, კენაშში, სანორჩში წყალი მდინარეების სახით ნაკლებადაა. ჭებიც ძალიან იშვიათად გვხდება. სამაგიეროდ ბევრია წყაროები რომლებიც მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემას უხსნის. ისევე როგორც, ყველგან მთის სოფლებშიც

დასახლების ადრეული ტიპი გვაროვნული იყო. მაგალითად, სოფელი ნასპერი  
მასში მოსახლე გვარების მიხედვით იყოფა ირემაძეების, ახვლედიანების,  
არჩვაძეებისა და ფრუიძეების უბნებად.

#### § 4. ურთიერთდახმარების ფორმები

ლეჩეუმის სოფლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, საოჯახო მეურნეობაში დიდ როლს ასრულებდა კოლექტიური ურთიერთდახმარების ტრადიცია. ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალა, რომლითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ კოლექტიური შრომის ფორმებზე, XX საუკუნის დასაწყისისაა, ანუ იმ პერიოდისაა, როცა ხალხი უმეტესად პატარ-პატარა, ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრობს და დიდი, გაუყოფელი ოჯახები იშვიათად გვხვდება. სწორედ, დიდი, მრავალსულიანი და მრავალთაობიანი ოჯახების კოლექტიური შრომის ტრადიციიდან უნდა მოდიოდეს ლეჩეუმში დაფიქსირებული განაყარი ოჯახების ერთობლივი შრომა – სოფლის გარეთ არსებულ სავარგულებს, გარე ყანებს, ბაბუისშვილობაში შემავალი ოჯახები ერთად ამჟავებდნენ. აღებული მოსავალი ნაწილდებოდა თანაბრად, იმისდა მიუხედავად, ვინ რა მოცულობის სამუშაო შეასრულა. ამგვარი შემთხვევები ლეჩეუმში იშვიათი სახითაა შემორჩენილი, თუმცა ბაბუისშვილებს, ერთი ფუძის განაყარის ერთიანობის ტრადიციას, გარდა ამ სახის კოლექტიური მეურნეობისა მიგვანიშნებს ისიც რომ განაყარი ოჯახებს ხშირად საერთო სალოცავი ჰქონდათ და სადღესასწაულო წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს ძალიან ხშირად ერთობლივად ასრულებდნენ (20, 53). ბაბუიშვილების მიერ ზიარი მიწათსარგებლობის ფაქტები დაფიქსირებულია სოფელ ზარაგულაში მოსახლე კოპალიანებში – მიწის საერთო ნაკვეთს ორი წლის განმავლობაში ერთი ოჯახი ამჟავებდა, შემდგომი ორი წლის ვადით ბაბიშვილობის სხვა ოჯახი და ა.შ.. ამავე სოფელში სათიბი ადგილები გაუყოფელი ჰქონიათ. სათიბს მთელი ნათესაობა (ბაბუიშვილები) ერთად თიბავდნენ და შემდეგ ოჯახების მიხედვით ინაწილებდნენ (27, 12).

ხელმოკლე, ან დროებით უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახების შრომითი დახმარება, სახოგადოებრივი ყოფის გაცილებით ადრეული ეტაპიდან უნდა მოდიოდეს. დასახმარებლად, უმეტესად საკუთარი ინიციატივით ერთიანდებოდნენ, ზოგჯერ სამუშაოს ორგანიზებას სოფლის თავკაცები უკუთებდნენ. დამხმარენი სამუშაოდ საკუთარი შრომის იარაღით, ხშირად საკუთარი საგზლით მიღიოდნენ. კოლექტიური შრომის ამ ფორმის, საფუძველს ურთიერთნათესაობა არ წარმოადგენდა (20, 42). თუმცა, ჩვენი აზრით, დახმარების ეს ფორმა, გვაროვნული საზოგადოების იდეოლოგიდან იღებს

სათავეს, რომლის მიხედვითაც გვარის თითოეული წევრი ვალდებულია დახმარება გაუწიოს შედარებით ნაკლები შეძლების თანამოძმეს.

ლეჩხუმში ყველაზე უფრო გავრცელებული კოლექტიური შრომის ფორმას ნადს უძახიან. ნადი, ძირითადად მარცვლეული კულტურების თოხნისა და მოსავლის აღების დროს ეწყობა, რაღგანაც ეს სამუშაოები საკმაოდ შრომატევადია და თანაც დროის მცირე ინტერვალშია შესასრულებელი. დასახმარებლად მეზობლებს, ოჯახი დათქმულ დღეს მოიწვევდა. ისინი თავს, როგორც წესი დილაადრიან ყანაში იყრიდნენ. ზოგჯერ პატრონის ოჯახშიც იკრიბებოდნენ. მცირე საუზმის შემდეგ, ნადის რომელიმე წევრი სამუშაოს ანაწილებდა. მიწა იყოფოდა სერელებად/სურიელებად, რომელსაც ნადის თითოეული წევრი ამუშავებდა. საუკეთესო მუშას მესვრელე ერქვა. თითო კაცი, მოელი დღის განმავლობაში, რამოდენიმე სვრელს „აიტანდა“. სვრელის თავში ჩაფით დვინო იდგა. თითო სვრელის დამთავრების შემდეგ შეისვენებდნენ, დვინოს დალევდნენ და მომდევნო სვრელს შეუდგებოდნენ. მუშაობისას მდეროდნენ ნადურს. შუადლისას სადილობდნენ, ნაშუადლევს სამხრობდნენ, შეღამებულზე კი ვახშმად სამუშაოს პატრონთან მიდიოდნენ, სადაც მათ გულუხვად მასპინძლობდნენ.

ურთიერთდახმარება იცოდნენ ტყეში ახოს გაჭრის, საზამთროდ შეშის ან ხის მასალის ტრანსპორტირების დროს. მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხვნა-თესვის დროსაც. თოხნის, ახოს აღებისა და იმ სამუშაოების დროს, რომლებიც დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვდა ნადში მამაკაცები ერთიანდებოდნენ. თოხნის დროს, იშვიათად იცოდნენ ქალების ნადი, რომელიც ძირითადად საცხოვრებელთან ახლო მდებარე ყანის გასათოხნად ეწყობოდა. ძალიან ხშირი იყო სიმინდის, ლობიოს და სხვა მოსავლის გარჩევის დროს ქალების ნადი, რომელიც იწყებოდა ნავახშმევს და გრძელდებოდა მამლის პირველ ყივილამდე. მოწვეულებს დიასახლისი გულუხვად მასპინძლობდა და ამ გამასპინძლებას სირის კუდი ერქვა (20, 42). ქალების ნადი იცოდნენ მახისა და ზანდურის აღების დროსაც. სიმინდის აღების დროს ნადი შერეული იყო, მასში მონაწილეობდნენ ქალებიც და კაცებიც.

კოლექტიური შრომის, შედარებით განსხვავებული ფორმაა რამოდენიმე ოჯახის გაერთიანება ერთგვარ ამხანაგობებად, რომელიც რამოდენიმე გლეხის შეთანხმების შედეგად იკრიბებოდა. ამგვარი გაერთიანების წევრები, განსაზღვრულ დღეებში ერთმანეთს ეხმარებოდნენ. საჭმელი იმ ოჯახისა იყო

ვის ყანაშიც სამუშაო სრულდებოდა. ამ სახის ურთიერთდახმარებას, ნაკლებად მდიდარი გლეხები მიმართავდნენ, მდიდრები კი ნადს იწვევდნენ.

მიწათმოქმედებასთან და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული წესები, რომელთა საფუძველს რელიგიური რწმენა-წარმოდგენები იყო – ლეჩეუმში ნადის დღეები სამშაბათი და ოთხშაბთია. ორშაბათსა და ხუთშაბათს გლეხი ძირითადად თავის მეურნეობაში მუშაობს. ამის მიზეზი, ორშაბათისა და ხუთშაბათის განსაკუთრებულ დღეებად მიჩნევა უნდა ვივარაუდოთ, რომლის მიხედვით ლეჩეუმელი ამ დღეებში ოჯახიდან რაიმის გატანას, განათხოვრებას, გასხვისებას ერიდება, ხელის გადაყოლა იცის და ოჯახში ბარაქას გამოლევსო. პარასკევს მიწის რყევა (მიწაზე მუშაობა) აკრძალულ იყო. შაბათ-კვირასაც დღის მეორე ნახევარში მიწის სამუშაოების შესრულებას ერიდებოდნენ. მიწის სამუშაოები წყდებოდა სოფელში ვინმეს გარდაცვალების შემთხვევაში. ადრე, ამ აკრძალვებს საკმაოდ დიდ ჭურადღებას აქცევდნენ და მეთვალყურედ სპეციალურად დაყენებული კაცი „მეუქმარი“ ჰყავდათ. ზოგიერთ სოფელში მეუქმის მოვალეობას მეველე ასრულებდა, რომელსაც ხეშტავი ერქვა. მეუქმარი შეუფერებელ დროს მომუშავეს აჯარიმებდა. ზოგიერთ სოფელში „დამრღვევს“ მდვდელთანაც კი უჩიოდნენ, რომელიც დაწერდა განაჩენს, რომლის მიხედვითაც წესის უარმყოფელს დროებითი ბოიკოტი უცხადდებოდა, სოფელი მას დროებით რიყავდა (გაჭირვების შემთხვევაში არ ეხმარებოდა, არ იცავდა და ა.შ.). რწმენა იმისა, რომ უქმის ტეხვა დვთის სასჯელს იწვევდა წმ. მაქსიმეს ეკლესიაში ავდარის შესაწყვეტად მავედრებელი მლოცველების მსვლელობის ბოლო ნაწილშიც დასტურდება: კისერზე დვლეჭმობმული რამოდენიმე ათეული მლოცველი მაქსიმეს ეკლესიის შორიახლო ჩერდება, ეპლესიაში დვთისნიერ, დაფასებულ, უქმეს რომ არ ტეხდა ისეთ კაცს გააგზავნიდნენ მოციქულად. ეკლესიიდან გამოსული ხალხს ამცნობდა: „წმინდა მაქსიმე გვიწყრება, გვემდეურის: უქმი არ იცით, დმერთი არ გწამთ და სხვა“ (17, 54). როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ხალხი წმინდანის განრისხების პირველ მიზეზად უქმის გატეხვას მიიჩნევს, რომელიც ფაქტობრივად დვთის გმობის ტოლფასია.

სოფლებში საერთო სათემო დღესასწაულებს დღესდღეისობითაც მთელი სოფელი აღნიშნავს. გვიანშუასაუკუნეების მონაცემებით საერთო სათემო დღესასწაულები, ეკლესიის მესვეურთა ხელმძღვანელობით იმართებოდა სოფელ ოყურეშში, უსახელოში, ლახეფაში. საერთო სათემო დღესასწაული იყო

წიფეთელიობაც, ომდის დროსაც მთელი ორბელი ხარს ყიდულობდა, შემდეგ ეს ხარი ორბელის თემში შემავალ სოფლებზე (უბნებზე) თანაბრად ნაწილდებოდა და ამ საკლავით მზადდებოდა სადღესასწაულო სუფრის პერძები. ხვამლობას მთელი ლეჩეუმი დღესაც ერთად აღნიშნავს და ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ლეჩეუმის თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენელი იყრის თავს.

ლეჩეუმში უფრო ხშირი საოჯახო და საგვარეულო დღესასწაულია. ახალკვირების ძირითადად ორბელის თემის მოსახლეობა აღნიშნავდა. გორგოთობის აღნიშვნა განსაკუთრებულად იცოდნენ ნასპერში, საათაგორში, ლვირიშსა და ლაჭებიტაში. ამ დღესასწაულზე ოჯახის წევრები, სახლიკაცები, ნათესავები ცდილობდნენ ერთად ყოფილიყვნენ. მაგალითად, სოფელი ოყურეშის მაცხოვრებელ უგრეხელიძეებს წესად ჰქონიათ ლაჭებიტაში სტუმრობა, რაგდანაც წარმოშობით ისინი ლაჭებიტიდან ყოფილან. საოჯახო დღესასწაულებზე წესად ჰქონდათ გათხოვილი ქალის დედ-მამის სახლში მისვლა, ნათლიების, დობილ-ძმობილების დაპატიუება.

ლეჩეუმის ყოფის არც თუ ისე მრავლად არსებულ აღწერილობებში და საველე ეთნოგრაფიული მასალით კარგად ჩანს, რომ ამ კუთხის საზოგადოებაში არსებობდა ურთიერთდახმარების ფორმები, რაც საზოგადოების ნებისმიერი წევრის კეთილდღეობას განაპირობებდა – შედარებით შეძლებულები შრომატევად სამუშაოებს ნადიოთ ასრულებდნენ, რადგანაც მათ ნადის რამოდენიმეჯერ გამართვის და დამხმარეთა უხვად გამასპინძლების საშუალება ჰქონდათ; შედარებით მცირე შეძლებისანი ამხანაგობებად ერთიანდებოდნენ და ერთად ასრულებდნენ მრავალი მუშა ხელის მომთხოვნ ამა თუ იმ სამუშაოს; ყველაზე ხელმოკლეთათვის კი მთელი სოფელი ზრუნავდა, მძიმე სამუშაოების შესრულებაში ეხმარებოდა და გვერდში ედგა.

შრომითი დახმარების ეს ფორმები, სავარაუდო შემორჩენილი უნდა იყოს სათვემო ტრადიციებიდან, რომელებიც სათავეს შორეულ წარსულში იღებენ და მათი იდეური არსი ყოველი მეთემის კეთილდღეობაა.

სასოფლო თემის, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანების გამომახილს, კოლექტიური და შრომითი დახმარების ფორმების გარდა საერთო სათემო დღესასწაულები და ძალზე იშვიათი ცნობებით შემონახული სათემო თვითმმართველობაც წარმოადგენს.

ლეჩეუმში, გადმოცემები თვითმართველობის ფორმების შესახებ საქმაოდ მწირია. საერთო სათემო პრობლემების განხილვა გადმოცემების მიხედვით, სპეციალურ თავშეყრის ადგილზე ხდებოდა. ასეთი ადგილი ყველა უბანს გააჩნდა. სოფლის თვითმართველობის უფროსი უმეტეს შემთხვევაში მამასახლისი იყო. სოფლის მოსახლეობის მიერ არჩეული მამასახლისი ოფიციალურად მთავრობის მოხელეც იყო. მის ხელქვეით იყვნენ ასისთავები და მოხალისე ოცისთავები. თვითმართველობის ნამდვილი ფორმა სოფელ ნასპერში XX საუკუნის 40-იან წლებამდე შემორჩა. გადმოცემებით სოფლის საჭირბოროტო საკითხებს თორმები უხუცესი წყვეტდა, რომლებსაც თომაია ირემაძე ხელმძღვანელობდა. უხუცესების თავშეყრის ადგილი სოფლის ეკლესიის გზო გახლდათ. მათი გადაწყვეტილება ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი იყო სოფლის ყველა მოსახლისათვის (მთხოვთ შემადგენლობაზე). **შ. დურჭუმალიძე**

## ლეჩეუმის საოჯახო ყოფა

### § 1. ოჯახის ფორმები

ლეჩეუმის საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ისტორიული საბუთები და წყაროები, არქეოლოგიური მონაპოვრები, აქამდე არსებული ეთნოგრაფიული მასალა, სულ ახლახან საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული ცნობები ლეჩეუმის საოჯახო ყოფისა და ამ კუთხეში გაგრცელებული რწმენა-წარმოდგენებზე გარკვეულ, მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას გვიქმნის. ლეჩეუმის საოჯახო ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი ნიუანსი ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ ნაწილობრივ არის შესწავლილი: ოჯახის საცხოვრებელზე, სამეურნეო მოწყობაზე, საოჯახო ინვენტარზე, სარიტუალო და სადღესასწაულო ტრადიციებზე საკმაოდ მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის მ. ალავიძის შრომები. საოჯახო ტრადიციები, ოჯახის წევრთა ფუნქციები შეგვიძლია ამოვიკითხოთ ფაფალა გარდაფხაძე-ჭიქოძის აღწერილობებში, სადაც მან დაწვრილებით გადმოგვცა ხალხში არსებული რწმენა-წარმოდგენები და სახალხო დღესასწაულები. ოჯახთა შორის კოლექტიური ურთიერთდახმარების ფორმების, წყლის კულტის, ქვის წარმოების, ჩაცმულობის, მიცვალებულის კულტის თუ სახალხო დღესასწაულების შესახებ ცნობები და მათ გარშემო მოსაზრებები თავმოყრილია კრებულში „ლეჩეუმი“ (გ. ჯალაბაძე, თ. გელაძე, ე. ნადირაძე, ლ. მოლოდინი, ც. ბეზარაშვილი, მ. მაკალათია, ლ. სოსელია, ნ. ქაჯაია). თუმცა ეს კრებული პირდაპირ ცნობებს საოჯახო ყოფის შესახებ არ შეიცავს, მაგრამ გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ძირითადად საველე ეთნოგრაფიულ მასალას ეყრდნობა ოჯახური ყოფის ზოგიერთი ნიუანსის გარკვევაში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ლეჩეუმში ხალხი ჯერ კიდევ ქვის ხანაში დასახლებულა. ბრინჯაოს ხანაში ლეჩეუმი ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარედ ქცეულა. ლეჩეუმში ნაპოვნი ბრინჯაოს ათი განძი, ბრინჯაოს ზოდები და წილის ფენები (64, 3) ადგილზე ბრინჯაოს წარმოების უდავო დასტურია. ბრინჯაოს ხანაში ლეჩეუმში არსებული ლითონის წარმოების ცენტრები ამ კუთხის ეკონომიკურ დაწინაურებას გამოიწვევდა. სამაროვნებში ჩატანებული ნივთების მიხედვით ცხადია, რომ ძვ. წ. აღ-ით V საუკუნეებში ლეჩეუმში, ისევე,

როგორც საქართველოს მრგალ სხვა კუთხეში, დაწყებულია სოციალური დიფერენციაცია. სოციალური დიფერენციაცია, როგორც ცნობილია გვაროვნული თემის შლას და ოჯახური დასახლებების გავრცელებას გულისხმობს. ქონებრივი განსხვავება, საფუძველი საზოგადოების კლასებად დაყოფისა, რაც თავისთავად ეკონომიკურად და უფლებრივად განსხვავებული საოჯახო თემების ჩამოყალიბების წინაპირობაა, თვალნათელია ბრინჯაოს ხანის მთიანი კოლხეთის სამაროვნების მაგალითზე – უსახელოსა და ცხეთის სამარხები აშკარად დარიბულია, ამავე დროის სამაროვნები და ბრინჯაოს განძები კი საკმაოდ მდიდრულია (70, 99).

ისევე, როგორც სხვა კუთხეებში ოჯახის თავდაპირველი ფორმა, დიდი, გაუყოფელი, მრავალთაობიანი ოჯახი უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, ადრეფერდალური ხანიდან წარჩინებულთა პატარა-პატარა, ინდივიდუალურ ოჯახებიც არსებობდა. აქ არსებული მძლავრი სათავდაცვო სისტემა, რომელიც რაღა თქმა უნდა მოითხოვდა მუდმივმომსახურე პერსონალს, ლეჩეუმელ მოლაშქრეთა აქტიური მონაწილეობა დასავლეთ საქართველოს სამხედრო საქმეებში, განაპირობებდა ამ კუთხეში ქონებრივად დაწინაურებულთა ფენის წარმოქმნას. თავისთავად ეს დაწინაურებულები, ანუ წარჩინებულები, ოჯახების შესანახად დიდი საოჯახო მეურნეობების არ საჭიროებდნენ, მათ პატარა-პატარა ინდივიდუალურ ოჯახებადაც შეიძლება ეცხოვრათ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრი ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს: მეცუთე საუკუნეში „შუშანიკის წამების“ ერთ-ერთ ეპიზოდში დაფიქსირებულია, რომ ვარსკენი და მისი ძმა ჯოჯიკი ცალ-ცალკე სახლობენ (87, 140).

V საუკუნიდან მოყოლებული IX საუკუნემდე ქართული ინდივიდუალური ოჯახები კიდევ ინარჩუნებდნენ წინამორბედი საოჯახო თემის ცალკეულ ელემენტებს, როგორიცაა უძრავი ქონების გაუყოფლობა, მშობლების გარდაცვალებამდე შვილების გაუყრელობა (86; 389, 376).

ლეჩეუმის საოჯახო ყოფის, უფრო სწორად ოჯახის სტრუქტურული სახის დასადგენად საინტერესოა ისტორიული საბუთები. ლეჩეუმის შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს XVII-XVIII საუკუნის საეკლესიო საბუთები შეიცავს, რომლებიც გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის და ი. დოლიძის მიერ.

გვიანფერდალურ ხანაში, ლეჩეუმში დიდ, გაუყოფელ ოჯახად ცხოვრება ტიპიური უნდა ყოფილიყო. ცაგერის საეპისკოპოსოს კუთვნილ ყმებისა და მათი ბატონის ურთიერთდამოკიდებულების აღმწერ დოკუმენტებში მოხსენიებულ

ყმათა გვარ-სახელები ინდივიდუალური ოჯახების უფროსთა გვარ-სახელს არ უნდა ნიშნავდეს. იმ დროს ყმების სიაში შემავალი გვარი კომლის უფროსის გვარია, კომლში შედის ოჯახები, რომელსაც თავიანთი უფროსი, „თავი“ ჰყავთ (88, 10).

ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი საეკლესიო საბუთი, რომელიც ლეჩხეუმური ოჯახების შესახებ შეიცავს ინფორმაციას, „საცაგერლოს გამოსავლის დავთარია“. სამოცდაოთხი გლეხის კომლიდან სამოცი მოხსენიებულია ერთი კაცის გვარ-სახელის დასახელებით; მაგალითად: „მართებს სვანიძეს ციცუნასა ღვინო გორო კითხი, საკლავი ორი“. სამი ოჯახი მოხსენიებულია ორი კაცით, მაგ.: მართებს გოლეთიანს ქიქნიას და ტატიას თეთრ ოცდაათი და ღვინო გორო 5. სავარაუდოდ, ორი კაცით მოხსენიებული ოჯახები შედარებით დიდია ერთი კაცით მოხსენიებულ ოჯახებზე. ამას გადასახადებიც მიგვანიშნებს – ოყურეშელ მათვალია მამარდაშვილისა და მამამისის გაუყოფელ ოჯახებს საშუალო გადასახადზე მეტი ბეგარა უწევთ, თანაც დამატებითი ბეგარის ყველა მოვალეობა – ტვირთის ზიდვა, მებატონებითან მუშაობა და მეფის ლაშქრობა ადევთ. ცხადია, ამგვარ მძიმე გადასახადებს დიდი ოჯახი, ე. ი. მრავალი მუშახელი დასჭირდებოდა. ორ შემთხვევაში ორი კაცით მოხსენიებული ოჯახი საშუალო ზომის გადასახადს იხდის, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს რომ ეს ოჯახები მცირერიცხოვანია და ნაკლები მატერიალური შეძლების არიან. ქიქინა და თათია გოლეთიანებისა და მიქელ მაღრიანის და მისი შვილი გაბრიელის ოჯახები წოდებით მოსამსახურები არიან, და სავარაუდოდ, ამიტომაც იხდიან მოინალე გლეხთან შედარებით მცირე გადასახადს. საინტერესოა ჩხუტელელი გლეხების, შოვიანების გადასახადი და მათი მოხსენიება კრებითი სახით – „მართებს შოვიანსა სულმამიშვილებსა ღვინო გორო ოცდაცამეტი, პური კაბიწი ორი, ქათამი ოთხი, პურის ჭამა, ტვირთი და მუშაობა“. როგორც ვხედავთ გადასახადი საკმაოდ დიდია – საშუალო გადასახადი საცაგერლოს ყმებისთვის დაახლოებით 150 ლიტრ ღვინოს, 60 კბ. ხორბალს და ორ საკლავს და 2 ქათამს შეადგენს. შოვიანებს კი ტონაზე მეტი ღვინისა და ცენტნერზე მეტი ხორბლის გადახდა უწევთ. აქაც თვალნათლივ ჩანს რომ ოჯახი ძალიან მრავალრიცხოვანია, ბევრი მუშახელი ჰყავს და გვარიანი მატერიალური შეძლებისაც არის. შოვიანების მრავალ ოჯახიანი კომლის გამორჩეულობა საცაგერლოს სხვა კომლთაგან, მათ კრებით სახელში „სულმამიშვილებში“ ჩანს.

სულმამიშვილი – ერთობლივ, მთლიან ფუძეს უნდა გულისხმობდეს და თუ გადასახადების მიხედვით განვსჯით და შოვიანების თითო კომლის წილს საერთო მეურნეობაში საცაგერლოს სხვა ოჯახების გადასახადების რაოდენობას გავითვალისწინებთ, გამოვა რომ სულმამიშვილები 8-9 კომლს აერთიანებენ.

ერთ ფუძედ და რამდენიმე კომლად საოჯახო გაერთიანების მოხსენიებას ამ დროისათვის, სხვადასხვა დოკუმენტებში ვხვდებით. 1545 წლის ბაგრატ მეფის გელათისადმი შეწირულობის დოკუმენტში ფიქსირდება, რომ ლაშხიშვილებს ნიჟარაძეებისაგან სისხლში გამოურთმევით ქუტირელი, ფარსმანაყანეველი და ნამაშევრელი გლეხები. ამათგან მარდალაშვილები (ფარსმანაყანეველი) ერთი ფუძე და რგა კომლი უყიდია და ბაგრატ მეფეს ეკლესიისათვის შეუწირავს (23, 187). მარდალაშვილები, ჩანს დიდ ტერიტორიაზე მოსახლე ფუძით ერთი წარმოშობის კომლთა გაერთიანებაა და მათ გააჩნიათ საკუთარი მამული, ეკლესია, სასაფლაო, წყალი, წისქვილი, ველი, ვენახი, ყანები, სათიბები, ტყეები, სანადიროები, ჭალები, სათევზაოები, მთითა და ბარით. მარდალაშვილები ფარსმანაყანევებში ვრცელ მიწებს ფლობენ და ზემოთ ჩამოთვლილი სამეურნეო საშუალებანი თუ სავარგულები რვა კომლის საერთო საკუთრებაა.

მარდალაშვილების მაგალითზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლექხეუმში სულმამიშვილები, ე. ი. ერთი მამის შვილებიდან წამოსული შოვიანები არიან, ისინიც ერთ ფუძედ ითვლებიან და დიდ გვაროვნულ გაერთიანებასაც წარმოადგენენენ.

მარდალაშვილებისა და შოვიან სულმამიშვილებისაგან განსხვავებული, შედარებით მომცრო უნდა იყოს გვიანშუასაუკუნეების დიდი ოჯახის საერთო ტიპი. ლექხეუმში დიდი ოჯახები აღბათ სამ-ოთხ თაობას აერთიანებს. XVII-XVIII საუკუნის საეკლესიო საბუთებში მამის და შვილის, მამის შვილისა და მმისწულის ძმების ერთობლივად მოხსენიების მრგალი მაგალითი გვაქვს – მაგალითად: ფოჩიანი კაცია და მისი ძმა გიორგი და თათია (33, 55) მამარდაშვილი კახნია და მისი მამა (23, 521) კაცია ნემსიწვერიძე, მისი შვილი და მმისწულები (33, 55). ზოგ შემთხვევაში კომლი ორი კაცითაა მოხსენიებული, მაგრამ ამ ორს შორის ნათესაური კავშირი არ არის დაფიქსირებული, მაგ. ლაკოხელიანი კაცია და გიორგი; მუცხვატელაძე კაცია და გონიერი.

სავარაუდოა, რომ ერთი კაცის გვარ-სახელით მოხსენიებული კომლი ორ-სამ თაობიანია. მასში მამის და შვილების ოჯახები ერთად ცხორობენ. ეს კომლები მშობლების გარდაცვალების შემდეგ (უმეტეს შემთხვევაში)

იყოფოდნენ. ამდენივე თაობის გამაერთიანებელი უნდა იყოს ის კომლები, რომლებიც ორი ან მეტი კაცის სახელით ფიქსირდებიან დოკუმენტებში. მამისა და შვილის, ერთობლივი კომლის მოხსენიება ამა თუ იმ საბუთში, კომლში შემავალი ოჯახების მრავალრიცხოვნობით უნდა იყოს განპირობებული.

ბატონისა და ყმის ურთიერთობის განმსაზღვრელ დოკუმენტებში ზუსტად უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული ყმის ვალდებულებები. ეს ვალდებულებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თუმცა გლეხთა კომლების გაყოფისას ამ განაყოფების ვალდებულებები, სხვაგვარად უნდა განსაზღვრულიყო. ამიტომაცაა დავთრებებში დაფიქსირებული, რომ მამისა და შვილის ესა თუ ის კომლი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანია, ერთობლივად იხდის გადასახადს – თავ ბეგარას და დამატებით ბეგარასაც (ბატონისათვის პურის ჭმევას, ტვირთს, სამსახურს, მუშაობას და ა. შ.)

XVII-XVIII საუკუნის საეკლესიო საბუთებში გვხვდება საინტერესო ტერმინები, რომლებიც ოჯახის ტიპზე წარმოდგენას გვიქმნის. „შეწირულობის და წყალობის წიგნებში“ დიდი ოჯახების, გაუყრელი კომლების აღსანიშნავად „ერთსახლი ძმები“ იხმარება. მაგალითად: ხოსია და გიორგი ახვლედიანებისადმი ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნში ჩამოვლილია ახვლედიანებისადმი ნაბომები გლეხთა ოჯახები: იონა ნემსიწვერაძის შვილი გლეხი, მეორე გლეხი ბესია ხუცესი, მესამე გლეხი დათუნა ხუცესი, მეოთხე გლეხი ნახევიდა სვანიძე. ესენი მათის ცოლშვილით, სახლკარით, ერთი სახლი ძმით...“ (33, 63).

„ერთსახლი ძმები“ საერთო ქართული ტერმინია და ამ პერიოდის სხვა კუთხეების საბუთებშიც გვხვდება. „ერთსახლი ძმები“, რომელთა „თავი“, უფროსი დათუა მღვდელაძეა ბაგრატ IV იმერეთის მეფის მიერ 1660 წელს ებოძა ნიკორწმინდის ეკლესიას რაჭაში (33) 1685 წლის დოკუმენტში ალექსანდრე IV-ის ბიჭვინთის ეკლესიისადმი „შეწირულობის წიგნში“ მოხსენიებულია: ერთი გლეხი და ორი მისი ერთსახლი ძმები და მეორე გლეხი ხრესილზედ გიორგა ობოლაძის შვილები კაცია, ზაქარია, ხახუტა, გიორგი და ქრისტეშა“ (33, 86). აქცხადადა ნაჩვენები, რომ „ერთსახლი ძმები“ ერთი კომლის, დიდი გაუყოფელი ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინია. „ერთსახლი ძმების“ პარალელურად, ამ დროის დოკუმენტებში გვხვდება ტერმინი „ერთსახლკაცი“ (33; 72, 74), რომელიც „ერთსახლი ძმების“ ანალოგიური შინაარსისაა. ლეხსუმის შესახებ შემორჩენილ საბუთებში „ერთსახლ ძმების“ მაგივრად ტერმინების, „ერთსახლი კაცის“,

„სახლიკაცი, ერთ არსი მმების“, მოხსენიება არ გვხვდება. თუმცა დღემდე ლეჩხუმში ნათესაობის აღმნიშვნელად იხმარება ტერმინი სახლიკაცი. ეს მცნება დღეს ოჯახის განაყოფის, უახლოესი ნათესავის აღმნიშვნელად გამოიყენება. დიდი ოჯახების, გაუყოფელი კომლების გვერდით, რა თქმა უნდა, არსებობდა პატარა, ინდივიდუალური ოჯახები. გვიანფერდალური ხანის ერთ-ერთ საბუთში საგარაუდოდ, სწორედ ასეთი ინდივიდუალური ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინია შემონახული. 1650 წლებით დათარიღებული ხვამლის წმ. გიორგისადმი გაბრიელ ცაგარელის მიერ შეწირულობის წიგნში კვითხულობთ: „მამარდაშვილი ხუცესი მეთევზე მეფისა იყო და ტბა ბაბუშერი. მერმე ერთი ცოლქმარა კაცი აიყარა და მეფეს შეეხვეწა, ისიც მივართვი და იმით მიშოგნია“ (23, 520) ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ამ საბუთში ეს ადგილი ერთ აბზაცს შეიცავს და შესაბამისად მისი შემადგენელი წინადადებები აზრობრივ კავშირში უნდა იყოს. თუმცა რა კავშირია მათ შორის ძნელი დასადგენია – გასაგებია, რომ მამარდაშვილი ხუცესი მეფის მეთევზე იყო და ალბათ ტბა ბაბუშერში ჰქონდა თევზსაჭერი ადგილები (ტბა ბაბუშერი, ოყურეშის ტერიტორიაზე არ არსებობს და არც ახსოვს ვინმეს, ტბა ბაბაშერი მარავი ცნობით ახალჭალის მიდამოებში, ოყურეშიდან საკმაოდ დაშორებულ ადგილზე მდებარეობს), მეორე წინადადების „ცოლქმარა კაცის“ ხუცეს მამარდაშვილთან კავშირი კი ბუნდოვანია. საგარაუდო „ცოლქმარა კაცი“, ერთწყვილიანი ოჯახის უფროსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ეს „ცოლქმარა კაცი“ მეთევზე მამარდაშვილი ხუცესია, რომელსაც საპატიო მისია მეფისათვის თევზის ჭერა ავალია, ამიტომაც შეიძლება ცალკე, ინდივიდუალური ოჯახის გაძლოლაც შეუძლია. მეთევზეობა, თანაც მეფისთვის თევზის ჭერა დიდ დროსა და ჯაფას მოითხოვდა. საფიქრებელია, რომ პროფესიონალი მეთევზე დიდი ოჯახის შრომით საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან მას სულ დასახლებული პუნქტებიდან, სამიწაომოქმედო საგარგულებიდან მოშორებით (ოყურეშის მახლობლად თევზით მდიდარი მხელოდ ცხენისწყალი და კვერეშულად, რაც ოყურეშის კუთვნილ სამეურნეო ადგილებიდან და თვითონ სოფლიდან საკმაოდ მოშორებითაა) უხდებოდა საქმიანობა.

შეწირულობის ამავე წიგნში ვხვდებით საინტერესო ტერმინს, რომელიც ერთკაციანი ოჯახის აღმნიშვნელი უნდა იყოს: „ამბროლანი მათვალი დერკეცად კუჭაიძეს ცაგერელს ლაშხიშვილისაგან ეშოვნა; და მერმე რახან ის მოკუდა, აიყარა და გელუანს სულას მიუვიდა და სულა გელუანისაგან ჩემი თეთრით

ვიშოვნე“ (23, 522) აქ ტერმინი „ლერკაცი“, მარტოპაცს უნდა ნიშნავდეს და შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს გლეხი ამბოლანი, ცაგერელი ეპისკოპოსის ნიკოლოზ კუჭაიძის პერსონალური ყმაა, მოჯალაბეა, რომელსაც საკუთარი მიწა, სამეურნეო საშუალებანი არ გააჩნია. ამიტომაცაა, რომ ნიკოლოზ ცაგერელის გარდაცვალების შემდეგ ცაგერელთან მსახურის დროს მიჩენილი მიწიდან იყრება და სხვა ბატონს ეკედლება.

ამრიგად, გვიანფეოდალურ ხანაში, XVII საუკუნის საბუთების მიხედვით, ლეჩხეუმლები ძირითადად დიდ, გაუყოფელ ოჯახებად ცხოვრობდნენ. ამ ოჯახებს კომლები ეწოდებოდათ. გაუყოფელი ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინი „ერთსახლი მმები“ უნდა ყოფილიყო. ინდიგიდუალური ოჯახის უფროსის აღმნიშვნელ ტერმინად შეძლება „ცოლქმარა კაცი“, ხოლო მარტოხელას სინონიმად „ლერკაცი“ ჩაითვალოს.

გვიანფეოდალური ხანის საბუთები დიდი ოჯახის გაყრის წესებზე არაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ ერთ-ერთ საბუთში დაფიქსირებული ცნობა ლეჩხეუმში ოჯახების შეყრის, გაერთიანების არსებობის დასტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული. გაბრიელ ცაგერლის თაოსნობით შედგენილ დოკუმენტში მოხსენიებულ გლეხთა კომლებიდან ერთ-ერთი ძმათა ერთიანი კომლია. თუმცა ძმები სხვა და სხვა გვარისანი არიან – „შეკიბლიანი გიორგი მოხსენიებულია პირველად და საფიქრებელია, რომ იგი ოჯახის უფროსია. მის ოჯახში მეორე კაცად მოხსენიებულია გიორგი - „შეკიბლიანი გიორგი და მისი ძმა ყრუაშვილი გიორგი“ (33, 55). სავარაუდოდ, ლეჩხეუმში ოჯახების შეყრილობის მრავალი ფაქტი არსებობდა, რადგანაც ოჯახის გაძლიერებისათვის განხორციელებული ამბვარი ქმედებები მახასიათებელი ყოფილა მთელი საქართველოსთვის. ოჯახთა შეყრის მიზანი ორი სუსტი ოჯახის გაძლიერების ერთდროული სურვილი, ან ძლიერ ოჯახში სუსტი ოჯახის თავშეფარება იყო. შეყრა არა მარტო გლეხებში, არამედ წარჩინებულ სოციალური ფენის ოჯახებშიც გავრცელებული ყოფილა. შეყრილობისადმი მისწრავება და პროცესი ქართველი ერის ყველა ფენაში დასტურდება – „უმაღლესითგან მოყოლებული სოფლელებამდე, ცხოვრების უშიშროების შესაქმნელად გაყრილ-დაშორებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეკავშირებაზე ზრუნავდნენ. ამნაირად გაყრილი და დაშლილი ოჯახი ან საგვარეულო კვლავ ერთდება, მამულს აერთიანებს და საერთო მეურნეობის წარმოებას იწყებს“ (87, 143). ტიპიურია შეყრილი ოჯახის უფროსის არჩევა. ჩვენს მიერ მოყვანილი შეკიბლიანებისა და ყურაშვილების

ერთიანი ოჯახის უფროსი, ალბათ გიორგი შკვიბლიანი იყო, ე. ი. შკვიბლიანთა ოჯახმა უურაშვილების ოჯახი შეითვისა, მათ მფარველობა გაუწია, ამ შეყრილობით ორივე ოჯახის ეკონომიკური პოტენცია გაძლიერდა.

იგანე ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ შეყრილობის დოკუმენტების მიხედვით, ოჯახთა გაერთიანებები აღმოსავლეთ საქართველოში ახლო ნათესავებს, ბიძაშვილებს, განაყოფებს შორის ხდება. ისინი, როგორც ვთქვით „ერთიანდებოდნენ“ ოდესდაც დაკარგული ერთობის აღსაღგენად, რათა მუშახელიც მეტი ყოფილიყო და საერთო ქონებაც“ (102, 47) რუსულან ხარაძის ინფორმაციით ქართლში არატრადიციული შეყრილი ოჯახებიც არსებობდა – ხახუტანების ხუთი თაობის გამაერთიანებელ ოჯახში, ბლუაშვილებისა და მათ დედის მხრიდან ბიძაშვილებს, არეშიძეებს აერთიანებდა (102, 47). შესაძლოა შკვიბლიან-ურაშვილთა გაერთიანებაც ამ უკანასკნელი მაგალითის მსგავსია. თუ სვანეთის ეთნოგრაფიულ მასალას დავიმოწმებთ, შკვიბლიანისა და ურუაშვილის მსგავსი სხვადასხვა გვარის წარმომადგენლების შეყრა ერთ ოჯახად, სულაც არ არის იშვიათი გამონაკლისი. სვანეთში სხვადასხვა გვარის ერთ ოჯახად შეყრა, „ლაიშხუალ“, ჩვეულებრივი მოვლენა იყო (81, 47).

დიდი ოჯახების არსებობა ლეჩხუმში, რუსეთის მეფის დროინდელი აღწერილობებითაც დასტურდება. 1860 წლის მონაცემებით დადიანის კუთვნილ გლეხთა ოჯახებში საშუალოდ ცხრა სულია გაერთიანებული, საეკლესიო კომლში რვა, ხოლო ადგილობრივ ბატონების მფლობელობაში მყოფთა კომლებში ექვსი წევრია. როგორც ვხედავთ, დადიანისა და ეკლესიის ყმათა ოჯახები გაცილებით დიდია, ანუ უფრო მეტი ეკონომიური შეძლებისაა, ვიდრე საბატონო გლეხების კომლები. ეს გასაგები ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეგრელოს სამთავროში (იმ დროს ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაშია) დადიანი და ეკლესია უმდიდრესი მფლობელები არიან.

1860 წლის აღწერის მიხედვით დადასტურებული კომლების მცხოვრებთა რაოდენობა, ცხადად მოწმობს, რომ ლეჩხუმში დიდი ოჯახები ამ დროისთვისაც არც თუ ისე იშვიათია.

XIX საუკუნის ბოლოში ლეჩხუმში კომლთა რაოდენობის მატება შეინიშნება. 1873 წლის კამერალური აღწერისა და 1885 წლის მონაცემების ურთიერთშეფარდების მიხედვით სახაზინო გლეხების კომლთა რაოდენობა სამოცდახუთით გაზრდილა, ხოლო ამ კომლებში სულთა რაოდენობას 274-ით მოუმატია. ცხადია, კომლთა ამგვარი ზრდა არც ბუნებრივი მატებისა და არც

რეგიონის გარედან მოსახლეობის მიგრაციის შედეგია. ნოსოვიჩი, რომელსაც ეკუთვნის გამოკვლეულები ლეჩეუმელ სახაზინო გლეხთა ეპონომიკური მდგომარეობის შესახებ, თვლის რომ კომლთა რიცხვის მატება დიდ ოჯახების დაშლისა და შესაბამისად პატარა, ინდივიდუალური ოჯახების შექმნის შედეგია. მისივე თქმით, ამ პროცესს ახალგაზრდა წყვილთა დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი განაპირობებდა (98, 164). ლეჩეუმში, სახაზინო და სავარაუდოდ სხვა კატეგორიის (მემამულის კუთვნილი, თავისუფალი) გლეხების კომლებში 4-10 სული ცხოვრობდა. არც თუ ისე ცოტა იყო კომლები რომელთა რაოდენობა 14 სულს აღწევდა. უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახები XIX საუკუნის ბოლოსთვის იშვიათობა ყოფილა. თუმცა 1904 წლის ცნობით ლეჩეუმში გვხვდება 39 სულისგან შემდგარი ოჯახი (27, 3). დიდი ოჯახების დაშლა და პატარა ოჯახებად ცხვრების დაწყების ტენდენციები XIX საუკუნის მეორე ნახავარში აშკარად შეიმჩნევა – 1873 წლისთვის კომლები საშუალოდ 8,76 სულია, 1885 წელს კი 7,98. ე.ო. კომლის სულადობა ასე მოკლე დროის მანძილზე ერთით შემცირებულა.

ლეჩეუმში ოჯახის გაყრასაც თავისი წესი ჰქონდა. დიდი ოჯახები სამი-ოთხი თაობის შემდეგ იყრებოდნენ ხოლმე და წყვილები პატარ-პატარა ინდივიდუალურ ოჯახებს ქმნიდნენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სოფ. ოყურეშში მაცხოვრებელი უგრეხელიძეების მრავალთაობიანი და მრავალსულიანი ოჯახის გაყრა: საერთო ქონება გაიყო ექვს ნაწილად. ოთხ ძმას თავისდაწილად ერგო თითო უდელი ხარი და 8-8 ძროხა. ოჯახის უფროსს ერგო გ. წ. საუფროსო. ერთი წილი ხვდა მის რძალსაც ანუ ოჯახის ზრდასრული წევრების დედას. საუფროსოსა და დედის წილმა 6-6 ძროხა შეადგინა. 12 სული საქონელი ოჯახმა გადასცა მთავრობას, რაღგანაც იმდროინდელი წესებით საქონლის მფლობელობაზე განსაზღვრული ნორმა იყო დაწესებული. ერთი ცხენი საზიარო იყო ოთხივე ძმის ოჯახისათვის. გაიყო სამოსახლოცა და სამუშაო სავარგულებიც. მოხუცების მეურნეობას ერთად, რიგრიგობით ძმები უვლიდნენ.

უგრეხელიძეების დიდი ოჯახის გაყრის მაგალითზე და ლეჩეუმში არსებული გაყრის წესი, გადმოცემით ოჯახის ყველა ზრდასრული წევრისათვის მთლიანი, თანაბარი წილის მიღების უფლებას ადასტურებს. გამონაკლისი ოჯახის მეწილეებს შორის ქალიშვილები არიან, მათ მხოლოდ მზითვი ერგებათ (**მთხოვ. აღ. უგრეხელიძე; 98, 169**). ოჯახის უფროსი თაობისათვის განკუთვნილია

საუფროსო: მოხუცების შეუძლებლობის შემთხვევაში უმცროსი ვაჟი პატრონობს მათ მეურნეობას და მათი გარდაცვალების შემდეგ საუფროსო მას გადაეცემა. ოჯახის ძირითად მემკვიდრეობა, ფუძეზე დამრჩენად, ამჟამინდელი წესებითაც უმცროსი ვაჟი ითვლება. დღესდღეობით თითქმის მთლიანადაა დაკარგული „საუფროსოს“ მცნება – მშობლები უმცროს ვაჟთან რჩებიან, რომელსაც ამის გამო ქონების გაყოფის დროს გარკვეული პრივილეგიები აქვს. ოჯახის გაყრა ოჯახის შიდა საქმეა, თუმცა მოურიგებლობის შემთხვევაში ოჯახის წევრები იწვევენ „მედიატორს“. მედიატორი საყოველთაოდ მიღებული წესებითა და ოჯახის ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებით საქმეს აგვარებს. მედიატორი ხშირად, არანაირ ნათესაურ კავშირში არ იყო ოჯახთან, მისი შერჩევის პრინციპი პიროვნული თვისებები და ავტორიტეტულობა იყო. როდესაც გაყოფა ხდებოდა ოჯახის უფროსის სიცოცხლეშივე (პირველი ან მეორე თაობის წარმომადგენლის) გაუგებრობები ნაკლებად იყო, ოჯახის ქონებას თანაბრად ანაწილებდა ოჯახის უფროსი და მის გადაწვეტილებას ყველანი ემორჩილებოდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობებით ოჯახები გაყოფა ოჯახის უფროსის გარდაცვალებამდე ახალი ტენდენცია ყოფილა. თუ აღნიშნულ პერიოდამდე ოჯახის უფროსის სიცოცხლეშივე გაყრა თითქმის შეუძლებელი იყო და სამრახის საქმედ ითვლებოდა, ამ დროისთვის ეს ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა. ასე რომ, დიდი ოჯახებად ცხოვრების წესი XIX საუკუნის მიწურულს უკვე ნელ-ნელა ადგილს უთმობს ინდივიდუალურ, ერთწევილიან ოჯახებად ცხოვრების წესს (98, 169-170).

იმ ოჯახებში სადაც არ ჰყავდათ მამრობითი სქესის ახალგაზრდა თაობა, ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობა გადადიოდა მამრობითი სქესის უახლოეს ნათესავებზე. თუ ოჯახს არც ამგვარი ნათესავები გააჩნდა, მაშინ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ ოჯახის ქალიშვილები და მათი მეუღლეები (98, 169).

დიდი, გაუყოფელი ოჯახის არსებობას ლენსუმში, თავისი მყარი პირობები ჰქონდა, რასაც მოწმობს ისიც, რომ ხალხის მახსოვრობას დღემდე შემორჩა დიდ ოჯახებად ცხოვრების ფაქტები. ლენსუმში დღესაც არსებობს ერთგვარი გაუყოფელი ძმათა ოჯახები. ისინი ერთიმეორესთან ძალიან ახლოს, ხშირად ერთ ეზოში, ცალკე სახლებში თავიანთი „ოჯახობით“ ცხოვრობენ, გაყოფილი არ აქვთ სახნავ-სათესი და ვენახი. ოჯახურ მეურნეობას ერთად აწარმოებენ. არის ისეთი ფაქტები, როდესაც სახლი, ქონება, სამეურნეო სავარგულები და

საშუალებები არ იყოფა და ოჯახში დარჩენილ ერთ-ერთ ძმას, უმეტეს შემთხვევაში უმცროსს რჩება. ოჯახიდან წასულ ძმებს წილი არ მიაქვთ, ე. ი. პლავ „გაუყოფელ ძმებად“ რჩებიან და ამგვარი ფაქტი დიდი მოწონებით სარგებლობს ხალხში. გაუყოფელობა ოჯახის სამაყოდ ითვლება და ასეთი ოჯახები სოფელშიც დაფასებულები არიან.

დიდ ოჯახებად ცხოვრებას ლეჩხეუმში XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე მოუდრევია. სოფელ ორბელში ამ დრომდის გურჩიანების ოჯახი თვრამეტ კაცს (სამი თაობა) აერთიანებდა. ოჯახს უფროსი მამაკაცი და მისი მეუღლე ხელმძღვანელობდნენ. საქმიანობები ოჯახის წევრებს შორის სპეციფიკის მიხედვით არ იყოფოდა. ყველა ასრულებდა იმ საქმეს რაც ოჯახისთვის შესაბამის მომენტში საჭირო იყო. მამაკაცები ძირითადად ვენახის, ყანების მოვლით, სათიბებში მუშაობით იყვნენ დაკავებული. საქმეებს ოჯახის უფროსი ანაწილებდა. დანაწილებულ საქმეთა შორის ყველაზე მარტივს ახალგაზრდები – ბავშვები ასრულებდნენ. მათ მოვალეობაში შედიოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ყოველდღიური საკვებზე ზრუნვა, მათი მომწყემსვა და დარწყელება და ა. შ.

უფროსი ქალი საქალებო საქმეს თავობდა. თუ ოჯახში რამდენიმე რძალი იყო, ისინი რიგრიგობით რჩებოდნენ შინ. ერთი კვირის განმავლობაში ერთი რძალი იყო „შინამდექი“, მას შემდეგ კვირაში მეორე რძალი ცვლიდა და ა. შ. შინამდექის მოვალეობა ძირითადად საჭმლის კეთება, პურის ცხობა და მეწველი საქონლის საღამოს და დილას მოვლა – რძის პროდუქტებთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის თვალყურის დევნება იყო. ამგვარად, ყველა რძალს შეეძლო ერთი კვირის მანძილზე ყოფილიყო საქალებო საქმის უფროსი, თუმცა მთავარი დიასახლისობა მაინც უფროსი ქალის პრეოგატივა იყო.

რაიმე მკაცრად განსაზღვრული აკრძალვები და ტაბუები, საცხოვრებელი ფართის დაყოფა საქალებო და საკაცებო ნაწილებად, რასაც ადგილი პქონდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით არ დასტურდება. თუმცა გურგუჩიანების ოჯახში მკაცრად იცავდნენ ტრაპეზის უტიკეტს – სადილობისას თუ ვახშმობის დროს, თავდაპირველად კაცები პურდებოდნენ, შემდეგ კი ქალების ჯერი დგებოდა (**მთხ. შურა ლურჯუმალიძე, ხოფ. ნასპერი. გურგუჩიანების ოჯახი მისი დედული იყო**). ლეჩხეუმში საცხოვრებელი ფართის საკაცებო და საქალებო ნაწილებად დაყოფის ფაქტი დაფიქსირებული აქვს ვ. ბარდაველიძეს ბოსლობა

დღის ერთ-ერთი რიტუალის აღწერის დროს იგი აღნიშნავს ომ საკაცებო კერიის მარცხენივ, ხოლო საქალებო კერიის მარჯვნივ მდებარეობდა (5, 93).

ასევე მრავალრიცხოვანი გახლდათ ოყურეშელი უგრეხელიძეების ოჯახი გასული საუკუნის ოცდათიან წლების ბოლომდე. გორად წოდებულ უბნის ამ გაუყოფელ ოჯახში ოთხი თაობის თხუთმეტი წარმომადგენელი ერთად ცხოვრობდა. ოჯახის თავი, ასაკით ყველაზე უფროსი ნინო სვანიძე გახლდათ. იგი ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა თაობას დიდ ბებიად, ანუ პეპერად ეკუთვნოდა. ქალბატონი ნინოს გარდა ოჯახში ექვსი ქალი (ბებია, რძლები და მამიდები) ოთხი მოზრდილი მამაკაცი (მმები) და ბავშვები ცხოვრობდა. ოჯახის დოკლათი, იმისდა მიუხედავად, ვისი დამსახურებით ან შრომით იყო შეძენილი, ქალბატონი ნინოს ხელში იყრიდა თავს. ის იყო ოჯახის ფულადი სასხრების გამკარგავიც. საერთო ფულს ოჯახის უფროსი, თხის ტყავისაგან დამზადებულ ქისაში ინახავდა. საჭიროების მიხედვით ეს თანხა ოჯახის ყველა წევრზე ნაწილდებოდა.

უგრეხელიძეების ოჯახი ძირითადად მესაქონლეები იყვნენ. მათ მრავლად ჰყავდათ მეგრული ჯიშის საქონელი. ცხენი ოთხ მმას საზიარო პყოლია. ოჯახის საქმიანობებს ნინო სვანიძე ხელმძღვანელობდა. კაცები ძირითადად საქონლის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებული. პეპერას დავალებით ოჯახის ქალები რიგ-რიგობით მზარეულობდნენ. მზარეულსვე გვალებოდა ოჯახის წევრებისათვის საღამო ხანს ფეხსაბანი წყლის მიტანა, დილით კი პირსაბანი წყლის დასხმა (მთხ. აღ. უგრეხელიძე, სოფ. ოყურეში).

მკაცრად აკრძალული იყო ქალის მიურ საკლავის დაკვლა. მთელ ლეჩეუმში ეს აკრძალვა დღესაც ძალაშია. ამასთან დაკავშირებით, ხდება კურიოზებიც – თუ ოჯახში მამაკაცი არ იმყოფება და სტუმრისთვის ან სხვა საჭიროების გამო აუცილებლად უნდა დაიკლას საკლავი, ზრდასრული ქალი ხელებს აკიდებინებს ნაჯახს მამრობითი სქესის ბავშვს, თვითონ ბავშვის ხელებს კიდებს ხელს ისე რომ ნაჯახს არ შეეხოს და საკლავიც იკვლება (გ.მ. ეთნოგრაფიული სავალე დღიური). აკრძალვა ასევე ეხებოდა დვინის დამზადებასაც, ისევე როგორც მთელს საქართველოში ყურძენს კაცები წურავდნენ, დვინოსაც ისინი უვლიდნენ. სხვა სახის სამუშაოებს – თოხნა, ბარვა და მისთანებს ქალები კაცებთან ერთად ასრულებდნენ.

## § 2. საცხოვრებელი და სამურნეო ნაგებობები

ლეჩხუმელი გლეხის კარმიდამოს თავისი განლაგების თავისებურებანი გააჩნდა. საცხოვრებელი სახლის ირგვლივ განლაგებული იყო დამხმარე ნაგებობები: მარანი, ნალია, ბეღელი, ქართა, ბოსელი, საბძელი, თორნე. მარანში რამოდენიმე ჭურია მიწაში დაფლული. აქვეა მოწყობილი დვინის საწური – საწნახელი, რომლის პირვანდელი სახელი სამეტებლო უნდა იყოს (83, 39). ადრე გავრცელებული ყოფილა ჭურისთავები დია ცის ქვეშ. ოთხმოციანი წლებისთვის დია ცის ქვეშ ქვევრები თითო-ოროლა გლეხს თუ პქონდა. მარანში სშირად ორი ხორგო (საწნახელი) პქონდათ, ერთი თეთრი, ხოლო მეორე შავი ყურძნის დასაწურად. მარნის მოწყობილობას შემდეგი იარაღები შეადგენდნენ: ხრიკა, ნიჩაბი, ოფსირო, ძელბარი, ხის ურო, ლარები, თოხი, სარცხი, წბერი (საწბერავი) და არყის გამოსახდელი მოწყობილობა (1, 132). მარანი წმინდა ადგილადაა შერაცხული – ლეჩხუმში დღესაცაა შემორჩენილი მარანში ლოცვის ტრადიცია. მარანს საგულდაგულოდ იცავდნენ ავი თვალისაგან და ძირითადად ამას მარანში მწარე ბლის დირების გადების გზით ცდილობდნენ (ლეჩხუმელთა რწმენით მწარე ბალს ავი თვალი არ ეკარება).

ჭურების ზომა ტონამდეც აღწევს. როგორც წესი, გლეხს მარანში ერთი დიდი, ორი-სამი შედარებით პატარა, დანარჩენი კი მომცრო ზომის ჭური აქვს. ზომათა ასეთი განსხვავება მოსახერხებელი იყო დვინოების გადასადებად, ან ნაკლული ჭურიდან მცირე ზომის ჭურში დვინის გაფუჭების საწინააღმდეგოდ გადაღებისათვის. დვინის გადაღება, დვინის დაყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი ყოფილა. ბევრჯერ გადაღებული დვინო კამკამა ფერისაა, უფრო გემრიელია და კარგადაც ინახება. დვინო, „ფეხგასულამდე“ რვაჯერ უნდა გქონდეს გასხვისებული (გადაღებული) – იტყვიან ხოლმე ლეჩხუმში (მთხ. რ. მამარდაშვილი, სოფ. ოყურეში).

როგორც ჩანს ადრე ჭურებს ადგილზე ამზადებდნენ. სამეთუნეო ცენტრები იყო ოფიტარაში, ქულბაქში, საირმესა და ზუბში. ჭურები შემდგომშიც იმერეთიდანაც შემოჰქონდათ. ლეჩხუმში დამზადებული ჭური ფორმით იმერულისაგან განსხვავდება – იმერული ჭური კვერცხისებურია, ლეჩხუმური გულის ფორმისაა. საირმეში შედარებით, დიდი ზომის ჭურები მზადდებოდა, ზუბში და ოფიტარაში შედარებით მომცრო ჭურებს აკეთებდნენ. ოფიტარის ზემოთ, ოყურეშისა და ოფიტარის გამყოფ სერის გაგრძელებაზე, ხვამლის

გზაზე არის ადგილი რომელსაც „ჭურის ნათხარებს“ ეძახიან. შესაძლოა, ოფიტრელ მეთუნეებს ჭურების დასამზადებლად აყალო მიწა (თიხა) სწორედ ამ ადგილებიდან მიჰქონდათ. ლეჩეუმში დამზადებული ჭურები იყიდებოდა ლეჩეუმის გარეთაც, რაჭასა და სვანეთში. ადრე ჭური იმდენი მანეთი ღირდა რამდენი ჩაფი (16 ლიტრი) დვინოს ტევადობისაც იყო (83, 35-36).

დღესდღეობით იშვიათი არაა მარნის გაერთიანება სხვა სამეურნეო ნაგებობებთან – ჭურისთავებთან ერთად მარანში, რომელსაც ხშირად „კუხნას“ ეძახიან მოთავსებულია თონქ, კერია (რომლის თავზეც იბოლება შაშხი), ხორგოები ფქვილის შესანახად, აგრეთვე სხვენი რომელზედაც შინაური საქონლისა და ფრინგელის გამოსაკვები სიმინდი ინახება.

ლეჩეუმში მარანი ხშირად სახლზეა მიღგმული და ცალპირადად გადახურული. ასეთ მარანს „ცალმაგს“ ეძახიან. გვხვდება მარნებიც, რომლებიც სახლის პირველ სართულზეა მოთავსებული. იმ ადგილებში კი სადაც ქვა ადგილი მოსაპოვებელი იყო, მარნები ქვისგან შენდებოდა. „ქვამარანს“ ხშირად თავზე ბეღელს ადგამდნენ.

მსხვილფეხა საქონლისთვის, აგრეთვე თხისა და ცხვრისთვის განკუთვნილია ბოსელი. ბოსელი ხშირად ქართაში ანუ საჩიხეში, ძელებით შემოკავებულ ადგილას არის აშენებული. საბძელი უმეტესად მრგვალი ფორმისაა. მას წელით დობავენ. აშენებენ ფიცრით, უფრო ხშირად კი მორებით. ადრე ამ შენობებს ბურული ერქვათ. ალბათ იმიტომ, რომ მათ კოროლით (ზანდურით ან მახის ნამჯით) ხურავდნენ, ბურავდნენ. კოროლი ათ წელს ძლებდა. საბძელს ცალმაგი პქონდა მიღგმული, რომელიც დია იყო კალოსკენ – თუ გაუწვიმდებოდათ კალოში ჩადგმულ პურს ცალმაგში ინახავდნენ. ნალია ოთხ სვეტზე იდგა. მას ან წნელისაგან ან დახვრეტილი ფიცრებისაგან აშენებდნენ. ნალიას სიმინდის შესანახად იყენებდნენ. თორნე იგივე თონქ ცალკე ფარდულშია მოთავსებული, ხანდახან იგი სახაბაზოში დგას. თონქში ცხვება პური, ხაჭაპური, ლობიანი... წვავენ გოჭსა და ცხვარსაც. თონქ თიხისაგან მზადდება და მას გარედან თხელი ფიცრის მჭიდრო დობე აქვს გაკეთებული. დობისმაგვარ კედელსა და თონქს შორის მანძილი თეთრი მიწით ივსებოდა.

სახაბაზოში მოთავსებულია შუაცეცხლი. აქ მზადდება სადილ-ვახშამი. აქვე იბოლება შაშხი. სხვენზე ინახავენ დურდს, დორებისა და ქათმების საჭმელ სიმინდს (1, 134). ეზოშივეა საღორე, რომელსაც ძალიან ხშირად საქათმეს ადგამენ თავზე.

კარ-მიდამოს უკან ბოსტნები და ვენახები აქვთ. ყანები ძირითადად საცხოვრებელი სახლებისაგან მოშორებულია. თუმცა სიმინდისა და ლობიოს ვენახშიც გამოთესავდნენ ხოლმე. ზოგიერთის თქმით, სიმინდის ფოთლები გვალვის დროს ყურძენს დაწვისაგან იცავსო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცენმებით, გლეხის კომლს ერთი დესეტინიდან 10-11 დესეტინამდე მიწაზე უხდებოდა საკუთარი მეურნეობის წარმოება (დესეტინა – 1,09 ჰექტარი). გლეხთა უმრავლესობის მიწების ფართობი ორიდან ექვს დესეტინამდე მერყეობდა. სამეურნეო საგარგულები მიმოფანტული იყო პატარ-პატარა ნაკვეთებად და ხშირად ეს ნაკვეთები ერთმანეთისგან საბაოდ მოშორებული იყო. გლეხის მიწები ძირითადად შემდეგი ნაწილებისგან შეგდებოდა: საკარმიდამო, ვენახი, სახნავ-სათესი, სათიბები და ტყე საკარმიდამო, სადაც მდებარეობდა გლეხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები (ბედელი, ნალია, მარანი, ეზო/ჭინა ეზო, სამზადი, ბოსელი, საღორე, საქათმე/საქათურა, შინაური ცხოველების სადგომი –ქართა) გლეხის კუთვნილი მიწების ოთხ-ხუთ %-ს შეადგენდა. ვენახებს 12-13%-მდე ეკავა. სახნავი მიწები კუთვნილი ფართის თითქმის ნახევარს შეადგენდა. სათიბებით მაინცა და მაინც განებივრებული არ ყოფილან გლეხები – სათიბ საგარგულებს გლეხთა მიწების მხოლოდ 1%-მდე ეკავათ. ტყეები კი 31-32% -მდე მიწის ფართობს მოიცავდა (98, 165).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობებით განსხვებაა გლეხთა კარმიდამოში ნაგებობების განლაგებაში მათი მეპატრონეების ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად. ნახოვიჩის მიერ დაფიქსირებულია შეძლებული, საშუალო და დარიბი გლეხების საკარმიდამო ეზო, ამ გლეხთა უძრავ-მოძრავი ქონების ფასი და საშუალო წლიური შემოსავალი. სოფ. ზოგიშში მცხოვრები შეძლებული გლეხის ოქროპირ თოფაძის ეზოში სამი საცხოვრებელი სახლია: შუაცეცხლიანი სახლი, ყვრით გადახურული, 3X2,5 საჟენი (დირებულება 150 მანეთი); იგივე ზომის ცაცხის მასალით ნაგები ახალი შუაცეცხლიანი სახლი (300 მანეთი); სახლი სტუმრებისთვის, ბუხრით, 2X2 საჟენი (100 მანეთი). საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ფასი მთლიანობაში 775 მანეთია. შეძლებული გლეხი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) 6,75 დესეტინა მიწას ფლობდა – აქედან უმეტესი ნაწილი 3,75 დესეტინა სახნავი იყო, 0,75 ვენახი, საკარმიდამო 0,37, ტყე 1,88 დესეტინა. ოჯახს არენდით აღებული პქონია 2 ქცევა (ქცევა – 0,75 დესეტინა) მიწაც. ოქროპირ თოფაძის დანარჩენი ქონება (მსხვილფეხა და

წვრილფეხა საქონელი, ფრთოსანი) შეფასებულია 259 მანეთად. მისი მეურნეობის საერთო შემოსავალი 632,15 მანეთი იყო. ოჯახი წლის განმავლობაში 524,15 მანეთს ხარჯავდა. ასე რომ ოჯახის წლიური სუფთა შემოსავალი 108 მანეთს შეადგენდა (98, 190-193). იმავე სოფელში მცხოვრები იოსებ ხურციძის, საშუალო შეძლების გლეხს მხოლოდ ერთი, შეაცეცხლიანი სახლი (4X3საჟენი) უდგას ეზოში. მისი სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები 240 მანეთად არის შეფასებული, ხოლო საქონელი და ფრთოსანი 154, 80 რუბლად. ოჯახის შემოსავალი წელიწადში საშუალოდ 43, 86 მანეთია. დარიბი გლეხსაც (ჭყვიშში მცხოვრები მათე ხურციძე) ერთი მომცრო (2.5X2საჟენი) შეაცეცხლიანი სახლი აქვს. სახლი 80 მანეთადაა შეფასებული, ხოლო ოჯახის წლიური შემოსავალი დეფიციტურია 20,98 მანეთით. დეფიციტის შევსება შეძლებული მეზობლებისგან გალის აღებით გზით ან მეზობლების შეძლებისდაგვარი დახმარებით ხდებოდა.

ამჟამად ლეჩეუმში ტიპიურია ორსართულიანი სახლები. ოჯახი საცხოვრებლად ძირითადად პირველ სართულს იყენებს. ზოგიერთ სოფელში პირველი სართულის ოთახებს პალატებსაც უწოდებენ. მეორე სართულს სტუმრებისათვის ან დიდი სუფრის გასაშლელად იყენებენ. ბოლო დროს პრაგმატული მოსაზრებების გამო მოსახლეობამ ერთსართულიანი, ლეჩეუმისათვის ტრადიციული, სახლების მშენებლობას მიჰყო ხელი.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ადრე ლეჩეუმში ხალხი ოდა და კათხა სახლებში ცხოვრობდა. კათხა სახლი ოთახებად არ იყო გაყოფილი. შეაში კერია იყო მოთავსებული. კერის თავზე მოწყობილი იყო ცხვენი, რომელზეც კაკიბერა ანუ კაჩა იყო ჩამოკიდებული. კაკიბერა ოთხკუთხედად შეკრული ფიცრების მოწყობილობაა სადაც დორის ფელიკები პკიდია და ჩხოლში (კვამლში იბოლება). კერის თავზე, ჭერშია დამაგრებული საქაბეც. ცხვენზე იყო მოთავსებული კადო, რომელსაც სველი ტანსაცმლის გასაფენად ხმარობდნენ. ერთი რომელიმე კედლის გასწვრივ, მთელს სიგრძეზე იდგა ხის გრძელი საწოლი. საწოლს სვეტები და მაღალი სახურავი, ყაფარი პქონია.

ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე ან წყვილ-წყვილად ეძინათ. „ლოგინებს“ სკივრები ყოფდა ერთმანეთისაგან. სახლის სივრცე, სხვა კუთხეთა მსგავსად საკაცებო და საქალებო მხარეებად იყოფოდა (5, 93)

ავეჯი შედგებოდა ჯორკოსგან, ჯორკოლისგან (მორისგან გამოთლილი უფეხო სკამი), ბუჯერისგან (თარო) კუთხეში ჩამოკიდებული იყო ჩოჩო, ხის ჭურჭელი, რომელსაც ძირი ტკეჩისგან პქონდა დამზადებული. ჩოჩოს

კარადასაგით კარი პქონდა და მასში საჭმელს ინახავდნენ, რადგანაც ჩოჩოს ძაღლი და კატა ვერანაირად ვერ მიუდგებოდნენ.

კათხა სახლს საძირკველი ხის პქონდა, საძირკველში, შეა ადგილზე ურთიერთმოპირდაპირე მხარეს ორი აფრა იყო ჩამაგრებული. ზემოთ სახლს ხისავე სარტყელი პქონდა შემოვლებული. სარტყლის ზემოთ ორ მოპირდაპირე კედელს, სარტყელს ზემოთ, სამკუთხედები ედგათ, რომლებსაც ლირსებს ეძახოდნენ. ლირსების ფიცრებს სალირსები ერქვათ. აფრა საძირკვლის, კარებს ორი აფრა უნდა პქონოდა. კედლების აფრები ამოღარული იყო და მასში მაგრდებოდა კედლის ფიცრები. კედლის აფრებში ჩამაგრებულ ფიცრებს კვეთდნენ კარების აფრაში წამოსული ფიცრები, რომლებიც გადაკვეთის ადგილზე ერთმანეთში ჯდებოდნენ ჯვარედინად, ზომაზე ამოტეხილი ურთიერთსაპირისპირო პირების მეშვეობით. ლარსებს – კორულის ან ყავრის სახურავს უკეთებდნენ, წვიმისაგან იცავდნენ და ამ ფარდულში ინახავდნენ ურემს, მარხილს, შეშას და ა. შ. სახლს თხელი ყავრით, ლოფორჩინებით ხურავდნენ. გადახურვა ორფერდა იყო (1, 134-136).

კათხა სახლები ბოლო დროს ორსართულიანიც შენდებოდა. ქვედა სართულზე ბუხარი იყო მოთავსებული. პირველ სართულს ერთი კედელი ქვითკირის პქონდა დანარჩენი სამი კი ხისა იყო. ბუხარი ქვითკირის კედელში შენდებოდა. კათხა სახლები ოდა სახლებით შეიცვალა, რომლებიც ძირითადად ორსართულიანი, პირველ სართულზე ქვითკირით, ხოლო მეორეზე ხით ნაშენი იყო.

კათხა სახლების შემოვლებამდე ხალხი ფაქუტებში (ფაქუტა) სახლში ცხოვრობდა. ფაქუტა შედარებით მომცრო და უფრო მარტივი ნაგებობა იყო. ის ისლით ან კოროლით იხურებოდა. კონებს შორის კვამლის გასასვლელად დატოვებულ ადგილს ხანი ერქვა.

### § 3 საქორწინო წეს-ჩვეულებები

ადრინდელ დროში ქორწინების ასაკი ძალიან ახალგაზრდა იყო. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქალების ადრე გათხოვება, მათი საქორწინო ასაკი 13-14 წლიდან იწყებოდა. ქალ-ვაჟის შეუღლებას აუცილებლად წინ უძლოდა მაჭანკლობა. მაჭანკლის ან „მაშუალის“ გარეშე არა საქმე არ იქნებოდა (**მთხ. აღ. უგრეხელიძე**). მაშვალობა ძალიან ხშირად შემოდგომის დადგომისთანავე იწყებოდა. სოფლებში ამ საქმის პროფესიონალებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც ქალის ან ვაჟის ოჯახის სურვილის გამომჟღავნებისთანავე ელჩობას იწყებდნენ. საქმე ერთი ან ორი მისვლით ვერ გადაწყდებოდა. მაშვალს საქმის ბოლომდე გაჩარხვისთვის ქალის ოჯახში ოთხ-ხუთჯერ მაინც სჭირდებოდა მისვლა. მოლაპარაკებები კერასთან, შუაცეცხლთან იმართებოდა. მაშვალი საუბრის დროს ჯოხს ნაცარში უყოფდა და საქმის მოკვარახჭინებას ცდილობდა. მომავალი საქორწილო წყვილი ერთმანეთს ქორწილამდე ნახავდნენ. თუ ოჯახების წინასწარი თანხმობა იქნებოდა იმართებოდა ნიშნობა. ნიშნობამდე ოჯახებს ერთმანეთის სიაგვარგე უპვე გამოკითხული ჰქონდათ. მაშვალმა საპატარძლოს შესახებ ყველაფერი იცოდა, საპატარძლო მაშვალის სტუმრობისას აქტიური უნდა ყოფილიყო, მის გარშემო ეტრიალა და თავისი საუკეთესო თვისებები გამოემჟღავნებინა (**მთხრ. აღ. უგრეხელიძე, სოფელი ოყურეში.**)

ნიშნობის დღეს სასიძო მიდიოდა სასიმამროს ოჯახში. მას მიყვებოდა ძმა ან ბიძაშვილი. ამ დღეს წინ უსწრებდა „გენერალური რეპეტიცია“ – საბოლოო თანხმობა ორივე მხარისა, რაც საპატარძლოს ოჯახის მხრიდან მაშვალისათვის ბოლო ვიზიტად ჩათვლილი სტუმრობის შემდეგ პურმარილის გაშლაში, ხოლო მაშვალის მხრიდან პურმარილზე დარჩენის, ნადიმობის თანხმობით გამოიხატებოდა. ამგვარად, ოთხისუთი „რაუნდიანი“ მოლაპარაკების შემდეგ უპურმარილოდ გამოშვება ქალის ოჯახის მხრიდან უარს ნიშნავდა, თავის მხრივ, მაშვალის მიერ პურმარილზე უარის თქმა, კაცის ოჯახის უარი იყო. ასე „უსიტყვოდ“ ფორმდებოდა ვაჟისა და ქალის ქორწინების ურთიერთსურვილი. ნიშანი უმრავლეს შემთხვევაში ბეჭედი იყო. სასიძო, თუ მას ეკონომიკური შეძლება ჰქონდა სასიმამროს ოჯახში საჩუქრებს არიგებდა (**მთხრ. აღ. უგრეხელიძე, სოფელი ოყურეში.**)

ლეჩხუმის ზოგიერთ სოფელში დანიშვნის ცერემონიალს „შარდვნა“, დანიშნულ ქალს კი დაშარდნილი ერქვა (მთხრ. ა. ახვლედიანი, სოფ. ნასპერი). ქალის დანიშვნისთვის, დაშარდნისათვის უპრიანი დღე შაბათი იყო, ნიშნობა იცოდნენ სამშაბათობითაც. საპატარძლო ნიშნობის დროს ცდილობს პასიური იყოს. ნიშნობის დრო საღამო ხანი იყო, ცდილობდნენ ნიშნობა სავსე მთვარეზე მისი დავახშმების შემდეგ გაეკეთებინათ. სასიმამროს ოჯახში, ნიშნობის აღსანიშნავად, იმართებოდა მცირე პურმარილი (მთხრ. შ. ღურჯუმალიძე, სოფ. ნასპერი).

ნიშნობიდან მალევე ინიშნებოდა ქორწილის დღე. სასიძოს სასიმამროს ოჯახში მიჰყებოდა მაყარი. დღესდღეისობით მაყარი ახალგაზრდებისაგან შედგება, ადრე კი მისი შემადგენლობა შერეული იყო. მაყარში ხვდებოდნენ უფროსი ასაკის, ხანდახან ხანდაზმული მამაკაცები, ვისაც კი შეეძლო დვინის სმა, კარგი სიმღერა და ნადიმის მხიარულების შესაფერი თავდაჭერა და მოლხენა. სასიძო საცოლის დედას ფულს ჩუქნიდა და ეს საჩუქარი „საძუძურის“ სახელით იყო ცნობილი (მთხრ. შ. ღურჯუმალიძე, სოფ. ნასპერი;, რ. მამარდაშვილი, სოფ. ოყურეში).

ქალი სასიძოს ოჯახში საღამო ხანს მიჰყავდათ. მანამდე მცირე ქორწილი იმართებოდა სასიმამროს ოჯახში.

სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ლეჩხუმში დადასტურებული ნიშნობასთან დაკავშირებული ჩვეულებები მაინცადამაინც მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. შესაძლოა, ეს იმითაცაა განპირობებული, რომ სხვა კუთხეთა ანალოგიური ჩვეულებების შესწავლა ქართველ მეცნიერთა მხრივ XIX საუკუნის შუა წლების და XX საუკუნის დასაწყისის ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით ხდებოდა; უამრავი ძველი საქორწილო ჩვეულება, იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სრულდებოდა კიდეც. სამწუხაროდ, ლეჩხუმში არსებული ამგვარი წეს-ჩვეულებების ცოცხლად ფიქსაცია გასულ საუკუნეში ვერ მოხერხდა. თუმცა, ამჟამინდელი სავალე ეთნოგრაფიული მასალის სხვა კუთხეთა მასალასთან შედარება გარკვეული დასკვნების გაკეთების, პარალელების გავლების და ამა თუ იმ წესის უძველესი წარმომავლობის დანახვის საშუალებას გვაძლევს.

საქორწილო ურთიერთობებს ქართული ტრადიციების მიხედვით ახასიათებს მრავალი ტაბუ, რიტუალი, აგრეთვე მექორწილე ოჯახებს შორის ეკონომიკური ურთიერთვალდებულებანი. საერთოკავკასიური ტრადიციისამებრ ქორწინების

სურვილს წყვილებისა და მათი ოჯახების მხრიდან ტაბუ აქვს დაღებული, ანუ წინასაქორწილო ურთიერთობებში მხარეთა ინტერესები, წყვილთა ცოლქმრობისაკენ დატოვა საგულდაგულოდ ინიდება.

ამ ტრადიციის შესაბამისი უნდა იყოს მაშვალის რამოდენიმებზის სტუმრობა საპატარძლოს ოჯახში, რომელიც თავპატიჟს იდებდა და თავისი ოჯახის პრესტიჟს საქმის გაჭიანურებით, თანხმობის დიდი ხნით მიუცემლობით ხაზს უსვამდა. ამავე აზრის უნდა იყოს უსიტყვო თანხმობა, რომელიც მაშვალისთვის პურმარილის გამართვის და მისგან, ე. ი. ვაჟის ოჯახისაგან (მისი წარმომადგენლისაგან) პურმარილის მიღებაში გამოიხატებოდა. მაშვალის გარეშე ქალის დანიშვნა – მოყვანა ქალის ოჯახის დიდი უპატივცემულობა იყო. ლექსუმში დადასტურებულ ამ ჩვეულებას კარგად ეხმიანება აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ხევში არსებული ტრადიცია – რაიმე გმირობის ან თემისადმი გაწეული სამსახურის გამო თემი ამა თუ იმ პირვენებას აჯილდოებდა. გამორჩეული კაცი ჯილდოზე უარს ამბობდა და ძალიან ხშირად ითხოვდა „სიფროს უწევარს და ქალს უთხოვარს“, ე. ი. თემში სუფრაზე დაუპატიჟებლად მისვლას და ქალის უშუამავლოდ თხოვის უფლებას (29, 83) ამ მოთხოვნიდან ჩანს, რომ უშუამავლოდ ქალის მოყვანა ვაჟის და მისი ოჯახის გვარიან პრივილეგიად ითვლებოდა. აქედან ცხადია თუ რატომ არ კეთდება საქმე მაშვალის გარეშე – მაშვალის მიგზავნა, თუგინდ სამაჭანკლო არაფერი ყოფილიყო, ეტიკეტის შემადგენელი ნაწილი გახლდათ და ვაჟის ოჯახისაგან ქალის ოჯახის პატივისცემის დასტური იყო. მაშვალს, ანუ მაჭანკლის წარამარა სიარული საპატარძლოს ოჯახში წესად იყო აჭარაში (12, 33). მაჭანკლის ერთი ვიზიტის შემდეგ თანხმობის თქმა ქალის ღირსებას ამდაბლებდა და ოჯახს შეურაცხესფრდა სამეგრელოშიც. ამბობდნენ „ხათე ეკათხოზუ თე ოსურქ თი კოჩის“ (ეს ქალი უცბად გაეკიდა იმ კაცსო), რაც უდიდესი სირცხვილი და დამცირება იყო (**საველე ეთნოგრაფიული დღიური, წალენჯიხის რაიონი, სოფ. ობუჯი, მთხრობელი გული კალანდია, 80 წლის**). სხვა კუთხეების საქორწილო ჩვეულებებში სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახებს შორის რთული ეკონომიკური ურთიერთვალდებულებების არსებობა დასტურდება. სასიძოს ოჯახი ხშირ შემთხვევაში რძლის წამოყვანისათვის საკმაოდ სოლიდურ სახსარს საჭიროებდა.

სამეგრელოში ნიშნობამდე თანხმდებოდნენ ურვადზე (ვაჟის ოჯახის გადასახადი ქალის ოჯახისადმი); სვანეთში ქალის ოჯახი იხდიდა „ჭიშხი ლიფშდუნებს“ (ფეხის ახსნა), ვაჟისა კი „ნაყდანურს“ (უდელ ხარს); ხევში

სასიმამროს ოჯახში მიჰქონდათ 3-6 ვედრო არაყი, ორი ყოჩი ან ჭედილა, 100-200 ხმიადი პური და ნახევარი ფუთი ყველი (28, 187), ქალებისათვის ტკბილეული და ბურნუთი, კაცებისათვის თამბაქო, სასიდედროსთვის საკაბე და თავშალი. სასიდედრო თავის მხრივ ვალდებული იყო სიძისათვის ერთი ხელი საქორწილო სამოსი შეეკერა; აჭარაში ქალის დასახსნელად ვაჟის ოჯახი იხდიდა ფულად გადასახადს ბაშლუდს, რძის ფარას იგივე ძუძუს ფარას, კარდასამყრელოს რომელიც პატარძლის ძმას ან ბიძაშვილს ეგუთვნოდა, ფულადი ქრთამი ერგებოდათ ოჯახის ბავშვებსაც, საჩუქრდებოდნენ სოფლელებიც კი (12; 62-63, 64); თუშებს სხვა გადასახადებთან ერთად საპატარძლოს სოფლის ქალებისათვის სპეციალური სუფრა „საქალებო“ უნდა ეკისრა (48, 166). ამგვარი „გადასახადებიდან“ ლეჩეუმში მხოლოდ „საძუძური“, სასიძოს მიერ სასიდედროსათვის ფულის ჩუქება დასტურდება (**მთხრ. ქ. ღურჭუმალიძე, რ. მამარდაშვილი**).

ახევვე გამარტივებულია და თანამედროვე ელფერისაა სასიძოს ოჯახში ქალის მიყვანის წესი. სამეგრელოში, XIX საუკუნის შუა წლების გადმოცემების მიხედვით განსაზღვრული ყოფილა მაყრის შემადგენლობა, მისი მეთაურის ვინაობა, განსაზღვრულია საპატარძლოს ადგილიც. პატარძალი მდადესთან (უფროსი ქალი, რომელიც პატარძალს სასიძოს სახლში მიყვება და რჩევა დარიგებას აძლევს) ერთად მაყარს ბოლოში მიჰყვება (სახოკია 1956: 96), მაყრისათვის ქალის ნათესავების გაყოლება არ შეიძლებოდა. სხვაგან ტარდებოდა რიტუალი დასაქორწინებელი წყვილის მოჯადოება-გაჩხიბვის წინააღმდეგ (12, 65). ლეჩეუმში, ქორწილის დღეს თავდაპირველად ქალის ოჯახში მივიღოდა მაყარი. მაყრიონს ენიშნებოდა უფროსი, რომელსაც უნდა ეკონტროლებინა მაყრის წევრები. იგი არ სვამდა და ძირითადად მაყრიონისათვის ყურადღების მიქვევით იყო დაკავებული, ცდილობდა არავინ გადამთვრალიყო, სუფრის წესი არ შეშლოდათ, აგრეთვე თვალს ადევნებდა რამდენად კეთილსინდისიერად სვამდნენ (ბოლომდე თუ არა) მასპინძლები. საპატარძლოს ოჯახში პურმარილი დიდხანს არ გასტანდა. სუფრას ჰყავდა თამადა პატარძლის მხრიდან და მოადგილე ანუ „განიდატი“ სასიძოს მაყრიონიდან. ვაჟის ოჯახში როლები იცვლებოდა – ყოფილი მოადგილე თამადად დგებოდა, მის მოადგილედ კი წინა სუფრის თამადა ინიშნებოდა (**მთხრ. ქ. უურაშვილი**).

საქორწილო სუფრაზე დასაპატიჟებლად გამოყოფილია სპეციალური დამპატიჟებელი. პატარძალი ოჯახში საღამო ხანს მოჰყავდათ. სასიძოს სახლამდე კარგა მანძილის მოშორებით მაყრიონს ბავშვები ხვდებოდნენ და მაშხლებით ხელში ქორწილის სუფრის ადგილამდე აცილებდნენ (მთხრ. კიაზო არჯევანიძე). მაშხალა მზადდებოდა სიმინდის გულისგან, რომელსაც ამოაგლებდნენ ნავთში, ტარს გაუკეთებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. დიდი ქორწილისთვის მაშხალებისთვის ერთი სალასტო (მოწნული მოზრდილი ჭურჭელი) სიმინდიც კი გაირჩეოდა (**მთხრ. ალ. უგრეხელიძე**), როცა სახლს მიუახლოვდებოდნენ, ორი-სამი მახარობელი დაწინაურდებოდა და ოჯახს მაყრის მოსვლას ამცნობდნენ. ბავშვებს „უინჭდილები“ (მაშხლები) ეჭირათ, პირისპირ იყვნენ ჩამწკრივებულები და შუკასა და ეზოს ანათებდნენ (1, 163).

მაყრიონი სახლთან მიახლოვებისას „მაყრულს“ მღეროდა, რომელიც დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერდა:

ქალი მოგვავს ნათელიო  
გაგვინათე სანთელიო  
ქალი მოგვავს ლამაზიო  
გაგვინათეთ დარბაზიო  
ორერი ორერა, ორერა  
ბედითა ბედნიერია  
ლამაზი მშვენიერია  
ორერა რერა, ორერა ორერა  
აქა მშვიდობა  
ქალი მოგვავს ლამაზიო  
დაგვიცალეთ დარბაზიო  
ო-რერა რერა, ორერა, ორერა  
აქა მშვიდობა  
ქალი მოგვავს ნათელიო  
მოგვინათეთ სანთელიო  
ო-რერა, ორერი ორერა  
აქა მშვიდობა  
ბედი, ბედნიერი  
ღმერთო ბედნიერი ქენი  
ღმერთო ბედნიერი ქენი

ჩვენი მეფე დედოფალი  
დედოფალი მეფესა  
ლხინი მექორწილესა  
დმერთო ბედნიერი ქენი  
ჩვენი მეფე-დედოფალი (**მთხოვ. კიაზო არჯევანიძე**).

ჭიშკარში მეფე-დედოფალს (ლეჩეუმური გამოთქმით ნეფე-დედოფალს) თევზე ახვედრებენ გასატეხად. კარების ზღურბლზე მათ ტკბილს შეაჭმევენ. დედოფალს კალთაში პატარა ბიჭს უსვამენ – ბიჭიანობა დაებედოსო. ამის შემდეგ სუფრას მიუსხდებიან. სუფრის თავში საქორწილო წყვილი ზის, სიძე მარჯგნივ ჯდება, პატარაძალი მარცხნივ. მათ გვერდით, დობილ-ძმობილები, მეჯვარეები სხედან. ვაჟისა და ქალის მაყრები მათთან ახლოს ერთმანეთის საპირისპირო ადგილებზე თავსდებიან, შემდეგ დაპატიჟებული სტუმრების ადგილებია.

ქალის მაყრიონს დიდ ყურადღებას აქცევდნენ და მათი რიცხვი, როგორც წესი, ორჯერ აღემატებოდა ვაჟის მაყარს. თამადას ტოლუბაშვაც ეძახდნენ. პირველი სადღეგრძელო საერთო დალოცვა იყო, შემდეგ ნეფე-დედოფალს ადღეგრძელებდნენ. სადღეგრძელოების რიცხვი არაა განსაზღვრული, თუმცა ნორმად თექვსმეტიდან ოც სადღეგრძელომდე ითვლება. სუფრის ბოლოს ყოვლადწმინდის სადღეგრძელო ისმებოდა (**მთხოვ. რ. მამარდაშვილი**). ყოვლადწმინდის სადღეგრძელო, ქორწილებში და სხვა სუფრებზე ხშირად სალოცავების ჩამოთვლით და მათთვის შეწევნის თხოვნაში გამოიხატებოდა: „შეგვეწიოს ყოვლადწმინდა, ხვამლის წმინდა გიორგი, ლაჭეპიტის ოქროს ჯვარი და ჩქუმის მთავარანგელოზი“ – ამგვარად ილოცებიან ცხენისწყლის ხეობის ლეჩეუმში (**მთხოვ. კ. არჯევანიძე**).

საქორწილო სუფრის გამზადებაში ოჯახს ძირითადად კუთხე-მეზობელი ეხმარებოდა. მათ მოქონდათ სურსათი, ზოგიერთი ფულითაც ეხმარებოდა ოჯახს.

ქორწილში იცოდნენ „თავზე გადასაგდები“ გადახდა – ნათესავები და მეზობელები წყვილთან მივიდოდნენ, სათითაოდ ჩამოართმუდნენ ხელს, მიულოცავდნენ და თავზე გადასაგდებს (ფულს, ნივთს ან რაიმე) ქსოვილს აჩუქებდნენ (1, 164). ზოგიერთ სოფელში თავზე გადასაგდებს თამადა იწყებდა – ის წამოდგებოდა და სადღეგრძელოს თქმის დროს ხმამაღლა გამოაცხადებდა, რომ ნეფე-პატარაძალს ამა თუ იმ რაოდენობის თანხით ან საჩუქრით

ასაჩუქრებდა. თამადას სუფრის წევრებიც აყვებოდნენ და თავიანთი სადღეგრძელოს თქმის დროს, ხმამაღლა აცხადებდნენ ახალ შეუდლებულებისადმი მირთმეული ძღვენის რაოდენობას (მთხრ. ა. უგრეხელიძე). თავზე გადასაგდების რაოდენობის ხმამაღლა გამოსაცხადებლად ქორწილში სპეციალურად ნიშნავდნენ კაცს.

ქორწილში აუცილებლად იმართებოდა ლვინის სმაში შეჯიბრი. სასიძოსა და საპატარძლოს მაყრები და ნათესავები ერთმანეთს უჯიბრებოდნენ. დიდი სახელი იყო თუ თამადის მოადგილე თამადაზე მეტს დალევდა, მას საჩუქრად გოჭის თავს აძლევდნენ. თუ ძალიან გადათვრებოდნენ, მარანში, ჭურის თავზე მიდიოდნენ და პირდაპირ ქვეყრებიდან, პირქვე დამხმბილები სცამდნენ. უჯიბრებოდნენ ვინ რამდენს მოაკლებდა. რაღა თქმა უნდა, ეს შეჯიბრი სახუმარო ხასიათს ატარებდა და გართობის მიზნით იყო მოწყობილი (მთხრ. ალ. უგრეხელიძე).

ქალისა და ვაჟის ურთიერთკავშირი ჯვრისწერამდე არ შეიძლებოდა. ჯვრისწერა უფრო ხშირად ვაჟის ოჯახში მისვლის მეორე დღესვე ხდებოდა (მთხრ. ალ. უგრეხელიძე). პატარძალს ქორწილის დამთავრებამდე მდადი იცავდა, გვერდითაც ეწვა, პატარძალი რასაც ინებებდა, უსრულებდა. მექორწილები, ვაჟის მაყრები ასეც მდეროდნენ ხოლმე: „დედოფალი მეფესაო, მდადი მექორწილესაო“ (1, 164). ეს ალბათ ხუმრობით ნათქვამი იყო: მდადი დედოფლის ოჯახიდან გამოცდილი, ზრდასრული ქალი იყო, მისი ჩამოშორება დედოფლისაგან კი ნეფის სურვილი გახლდათ. სწორედ ეს იყო სახუმაროდ ქცეული, მაყრები ნეფეს სულსწრაფობას სწამებდნენ და ამით ამასხარავებდნენ.

ქორწილი ადრე ორდენიანი იცოდნენ, ეხლა კი ერთი ინჯრააო (მთხრ. ალ. უგრეხელიძე). ხანდახან ქორწილი მესამე დღესაც გრძელდებოდა (1, 164). პირველ დღეს ქორწილს არ ესწრებოდნენ პატარძლის მშობლები. ისინი სიძის ოჯახში მეორე დღეს მიჰყავდათ (მთხრ. რ. მამარდაშვილი). ქალის მაყრებისა და ნათესავების გაცილებისას ჭიშკართან სახელდახელო ხონჩებზე იშლებოდა სუფრა, იმართებოდა სმა. ამას „სირის კუდს“ ეძახოდნენ. ნამთრალევები კვლავ სმაში უჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულს ხონჩა, შემწვარი გოჭი, ერგებოდა. თუმცა სტუმრებს არც დამარცხების შემთხვევაში წყვეტდნენ გულს და ხონჩას მაინც ატანდნენ (მთხ. რ. მამარდაშვილი).

ლეჩხუმურ საქორწილო ჩვეულებებში საქართველოს სხვა კუთხეების საქორწილო ტრადიციებთან მსგავსება შეიმჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ

ლეჩხუმში მოპოვებული მასალა გაცილებით გვიანდელია – პატარძლის მიყვანა ოჯახში საღამო ხანს მახასიათებელია სხვა კუთხეთა საქორწილო ეტიკეტისათვის (12, 59; 65, 87). ო. სახოკიას მოსაზრებით, ეს ჩვეულება ქალის მოტაცების უძველესი ტრადიციის არსებობით უნდა აიხსნას (65, 87). შესაძლოა, საქორწილო რიტუალების საღამოსა და ღამით შესრულება მთვარის კულტს უკავშირდებოდეს – სვანეთში ზღურბლზე ფეხშედგმულ პატარძალს ასე ესალმებოდნენ: „ბედნიერი ფეხი შემოგეტანოს, კარგ მთვარეზე შემოგედგას ფეხი ამ სახლში“, მთვარის კულტის მნიშვნელობა საქორწილო ტრადიციებში ლეჩხუმში დადასტურებული მასალითაც მტკიცდება – ნიშნობისათვის განსაკუთრებულად ბედნიერების მომტან საგსე მთვარის დაგახშმების საღამოებს არჩევდნენ.

საქორწილო წყვილის გაჩხიბვა-მოჯადოების წინააღმდეგ მიმართული დონისძიება უნდა იყოს მაშხლების კორიდორის მოწყობა, რაც მეფე-პატარძლის გადაჯვარედინებულ ხანჯლებს ქვეშ გატარების ანალოგიური უნდა იყოს.

მსგავსება მოეძებნება მაშვალის ანაზღაურების ფორმასაც. მაშვალს გასამრჯელოდ ქორწილში დაკლული საქონლის ტყავი და ფეხები ეკუთვნოდა. ერთ წუდას ან ქალამანს ან მის ლირებულების გასამრჯელოს იღებდა მაშვალი სხვა კუთხეებშიც (12, 33).

დანიშნულ ქალზე უარის თქმა ხშირად უსიამოვნებით მთავრდებოდა. ნიშნად მირთმეულ ნივთს ქალის ოჯახი იტოვებდა. დანიშნული ქალის დაწუნების ფაქტები ლეჩხუმში ქალზე იშვიათია. საწინააღმდეგო შემთხვევები, დანიშნული ქალის სხვა კაცზე გათხოვება უფრო მეტად ხდებოდა. ასეთ მოვლენას მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ქალს თვითონ არ მოსწონდა ოჯახისაგან მისთვის შერჩეული საქმრო, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ნიშანი მიღებული ჰქონდა, შეყვარებულის მეგობრების ხელშეწყობით ის სახლიდან იპარებოდა და სხვაზე თხოვდებოდა (**მთხო. აღ. უგრებელიერები**).

ქალის მაყრების უპირატესი უფლებები ლეჩხუმურ საქორწილო ჩვეულებებში კარგად ჩანს. ქალის მაყარი უფრო პატივცემულია, მათი რიცხოვნობა ორჯერ აჭარბებს ვაჟის მაყარს. ქორწილის მომთავრების შემდეგ მათ ხონჩით აცილებენ. შესაძლო ანალოგი შეიძლება დავინახოთ მ. ბექაიას მიერ აჭარაში და ო. სახოკიას მიერ სამეგრელოში დაფიქსირებულ ჩვეულებებთან. აჭარაში ქალის მაყარს სუფრაზე გაცილებით დიდი უფლებები აქვს ვიდრე ვაჟის მაყარს, მათი პრეტენზიები აუცილებლად უნდა

დაკმაყოფილებულიყო, ქორწილის მეორე დღეს გამართული დოლი ან რაიმე შეჯიბრი მათივე გამარჯვებით თუ დასრულდებოდა, ისინი აგრძელებდნენ ჭირვეულობას, ითხოვდნენ ნაირ-ნაირ კერძებს და სასმელებს. ქორწილის ბოლოს, ქალის მაყარი ვაჟის ოჯახს და მის სოფელს ყიუინითა და თოფის სროლით ტოვებდა. ამ დროს ვაჟის მხარე ჩუმად უნდა ყოფილიყო და თუ მათგან ვინმე თოფს გაისროდა, ქალის მაყარს უფლება ჰქონდა ოჯახი დაესაჯა, ტყვიები დაეშინა კერიის ჯაჭვისათვის, ზიანი მიეყენებინა სოფლისთვის, რაც შემდეგში ვაჟის ოჯახს უნდა გამოესწორებინა. ქალის მაყრის ასეთი „თავგასულობა“ თითქოს ერთგვარი კომპენსაციაა იმ წყენისა, რაც ვაჟის ოჯახმა მათ ქალის წაგრით მიაყენა. სამეგრელოში, ამგვარი „წყენა“ გამოიხატებოდა ინსცენირებულ მოტაცება-დევნასა და პატარძლისათვის ვაჟის ოჯახში პირველად მიყვანის დროს ნათესავების არგაყოლებაში. ამ თრი მაგალითის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლეჩხუმში არსებული ერთგვარი მორიდება ქალის ნათესავებსა და მაყრიონისა, აჭარულ და მეგრულ ტრადიციებთან ერთად მსგავსი უძველესი ჩვეულებიდანაა შემორჩენილი (12, 68-69; 65; 91, 96).

საქორწილო ჩვეულების რიტუალები, თევზის გატეხვა და „თავზე გადასაგდები“ მეგრული „სენიშ ტახუასა“ და „დუდიშ განაყოთამალის“ პირდაპირი ანალოგია. „დუდიშ განაყოთამალი“ ითარგმნება როგორც „თავზე გადასაგდები“. ეს ტერმინი საჩუქრის ერთი ხელის მოქნევით, მოსმით, ე. ი. უშურველად გადებულების არსეს უნდა გამოხატავდეს. თევზის გატეხვის, სამეგრელოშიც არსებული ამ ჩვეულების ახსნა თ. სახოკიას მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შემდეგია – თევზის მთლიანობა პატარძლის მთლიანობას, ქალიშვილობას განასახიერებს, მეგრულად ამას ტერიმნი „უტახუ“ შეეფერება (65, 100). თევზის გატეხვა საბოლოო თანხმობაა წყვილს მხრიდან საქორწილო ურთიერთობისა.

ქორწილის თრი კვირის შემდეგ, სიძე მიდიოდა პატარძლის ოჯახში. იცოდნენ მოყვრობაც – ოჯახების ურთიერთპატიუი, სადაც სუფრაზე მხოლოდ ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები იყვნენ. თრობა და სმაში გაჯიბრება მოყვრობის სუფრის დროს არ იყო მიღებული. ღვინოს განსხვავებულებით არ სვამდნენ „წვრილი სტაქნებით“ შეაქცეოდნენ და „ჭუპჭუპობდნენ“ (**მთხრ. ალ. უგრეხელიძე**).

ლეჩეუმში ქალის მზითევის რაოდენობა ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. მდიდარი ოჯახი მზითევში მიწის ნაკვეთს ატანდა ქალს. სოფელი დეხვირის მახლობლად დღესაცაა სამეურნეო სავარგული, რომელსაც ხალხი „ანას ნამზითვს“ ეძახის (**მთხრ. ა. ახვლედიანი**). ზოგჯერ საკუთარ ვენახს ან ყანას „ჩამოუჭრიდნენ“ ხოლმე დედ-მამა გათხოვილ ქალს. ხშირად ატანდნენ ძროხას. შეძლებულები ექვს პირ ლოგინსა და თეთრეულს ატანდნენ მზითვად. ხელმოკლე ოჯახებიდან მზითვი უმნიშვნელო იყო, ხანდახან კი მზითვი საერთოდ არ კეთდებოდა (**მთხრ. ალ. უგრეხელიძე**) ძალიან საპატიო იყო ქალისათვის „ვეფხისტყაოსნის“ გატანება, სამზითვო წიგნში პირველს სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ წერდნენ (1, 163).

პატარძალს მეორე დღეს სახლი უნდა დაეგავა. მამამთილ-დედამთილთან და ოჯახის სხვა წევრებთან უმძრახობა ლეჩეუმში დღესდღეობით მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით არ დასტურდება. ის ჩვეულებრივად ესაუბრებოდა მათ და დედამთილ-მამამთილს დედასა და მამას ეძახდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელით არ მიმართავდა (**მთხრ. ალ. უგრეხელიძე**).

ქალ-ვაჟის დაქორწინების დროს დიდი ყურადღება ექცეოდა მათ წარმომავლობას. წყვილის ნათესაური კავშირები მეცხრე თაობამდე, დგმამდე არ უნდა გადაკვეთილიყო. უფრო შორს მიდიოდა ნათლი-მირონობა – ნათლულ ნათლიის შთამომავლებს წესით მეთორმეტე დგმამდე არ ერგებოდათ ურთიერთქორწინება (**მთხრ. ქ. ყურაშვილი**). ეს აკრძალვები მტკიცე იყო, თუმცა მისი გადევნება ცხრა ან თორმეტი თაობის მანძილზე ძნელი სავარაუდებელია. ნათელ-მირონის დამრდვევი საზოგადოდ იკიცხებოდა. ასეთი შემთხვევა მომხდარა სოფ. აღვში – ნათლიამ ცოლად შეირთო ნათლიდედა, რის გამოც ის ოჯახმაც მოიკვეთა და საზოგადოებამაც. კანონის დამრდვევი წყვილი შვიდი წლის განმავლობაში მარნად განკუთვნილ სათავსოში ცხოვრობდა და სოფლებისაგან ფაქტიურად გარიყული იყო (**მთხრ. გ. ჩარკვიანი, სოფ. ოყერები**).

ცოლის მოყვანა და გათხოვება სოფლის შიგნით მაინც და მაინც სასურველი არ ყოფილა. უფრო მეტად ერიდებოდა საქორწილო ურთიერთობას ერთი უბნის მოსახლეობა. ეს ჩვეულება, მიუხედავად იმისა, რომ უბნებში უკვე არაერთგვაროვანი მოსახლეობაა დღემდე ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

ლეჩეუმის სოფლებს ერთმანეთში ტრადიციული საქორწილო ურთიერთობები ჰქონიათ. მაგალითებს დღესაც ვხვდებით – ოყურებში ძალიან

ბევრი რძალია აღვიდან. ამ ფაქტის, ოყურეშის მცხოვრებთაგან აღველი ქალების ცოლად მოყვანის ტრადიციას ოყურეშში ჩაწერილი ერთი გამონათქვამიც მოწმობს: „აღვში ბოვში რომ ატირდება, მშობელი მიუაღერსებს: რა გატირებს ბოშო, გეზრდები და ოყურეშს გაგათხოვებო“.

საინტერესოა ლეჩეუმში არსებული წეს-ჩვეულებანი რომელიც უკავშირდება მშობიარობას: მშობიარეს ცეცხლის პირას აწვენდნენ და სახლის დირეზე ბაწარს ჩამოუკიდებდნენ, რათა მელოგინე ქალს ტკივილების დროს ბაწრისთვის წავლო ხელი. მშობიარობას სამი ქალი (ბებია და ორი ქალი სხვა ოჯახიდან) ესწრებოდა. თუ სიტუაცია რთული იყო, ქალს თავზე სანთელს ან ცხვარს შემოავლებდნენ. ვაჟის გაჩენის შემთხვევაში აუცილებლად თოფს ისროდნენ. ბიჭის მამა თოფის სროლას ერიდებოდა – შვილი ურჩი გამოვაო. მესამე დღეს უნდა გაშლილიყო „სალოგინო ტაბლა“. მოიწვევდნენ ბებია ქალს და მის დამხმარეებს, რომლებიც ჭიქით დვინოს და საკმეველს თავზე შემოავლებდნენ ჯერ ქალს, შემდეგ კი ბავშვს და დაილოცებოდნენ, დედა დვთისას კარგად მორჩენისთვის მადლობას სწირავდნენ და შემდგომ ბედნიერებას სთხოვდნენ. ტაბლა ისე უნდა ეჭამათ რომ მიწაზე ნამცეციც არ დავარდნილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი მიწის მჭამელი გამოვაო. სადილობის შემდეგ ბებია ქალს ასაჩუქრებდნენ (17, 52).

მეოთხე-მეხუთე დღეს იწყებოდა მნახველების მოსვლა. პირვეულისა ქალი „თავის სახლს“, დედ-მამას უნდა მოენახულებინა. შემდეგ მოდიოდნენ ნათესავები, მოკეთები და კუთხე-მეზობლები (მთხ. **ჟყურაშვილი**). თავის სახლის შემდეგ მისვლა სავალდებულო იყო მულისთვის, დობილისთვის, ნათლიდედასთვის (17, 53) თავის სახლს მოსაკითხად მოჰქონდა ცხვარი ან ღორი, შესაძლოა ინდაურიც, მელოგინისთვის ორი ხმელა პური, სამი ცხრაკოტოტა პური, ორი თუნგი დვინო და სხვა სურსათ-სანოვაგე (17, 53).

მიუხედავად ნათესაობის ხანგრძლივი და მკაცრი ეგზოგამიურობის ტრადიციისა, ლეჩეუმში გვარგატეხილობის ფაქტებიც გვხვდება. გვარგატეხილებს იმ გვარებს უწოდებენ, რომლებშიც მოგვარეთა ქორწინება არ იკრძალებოდა. ასეთი გვარებია: კოპალიანები, ახვლედიანები, ყურაშვილები. თუმცა მათ შორის ქორწინებები ერთი შტოს შიგნით მკაცრად იყო აკრძალული. სამივე ამ გვარს ეგზოგამიური შტოები გააჩნიათ. გვარის შიგნით არის წარმომავლობის და სოციალური სახის განსხვავებებიც – ახვლედიანები, სავარაუდოდ გვიანშუასაუკუნეებიდან იყოფიან თავად, აზნაურ და გლეხ

ახვლედიანებად (მთხრ. ა. ახვლედიანი). კოპალიანების ნაწილი ლებეუმში სვანეთიდან გაღმოსახლებულებად ითვლება, ნაწილი კი გურიიდან წამოსული კოპალეიშვილების შთამომავლებად (27, 21). ყურაშვილის გვარი ადრინდელი საბუთებით ყრუაშვილებადაც იწოდებოდა. ამჟამად ყურაშვილის გვარი ორივე გვარს აერთიანებს.

ლებეუმში გვარგატეხილობის აღსანიშნავად ადრე ტერმინი „ძვალგატეხილობაც“ უნდა ყოფილიყო. „ძვალგატეხილი“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევში) და სვანეთში გავრცელებული ტერმინია. ლებეუმში ამ განსაზღვრებას ვერ ვხვდებით, მაგრამ „ძვალის გატეხვის“ მცნება დღემდე შემოინახა ლებეუმურმა ლექსიკონმა. „ძვალი არ გამიტეხო“ ქ. ი. არ დამაღალატოო ეტყვიან კაცს, ხშირად ახლო ნათესავს, როდესაც მისგან რაიმე დიდად საჭირო საჭმის შესრულებას ითხოვენ. ეს ერთგვარი დაფიცების ფორმაა (გორგი მამარდაშვილი, საველე ეთნოგრაფიული დღიური).

ლებეუმში არსებობდა ნათესაობის ფორმა რომელსაც შვილობილობას, ძუძუს თანაზიარობას ეძახდნენ. ძუძუს თანამოზიარეები, ერთი დედის რძით გამოკვებილი არამონათესავე ბავშვები დედმამიშვილებად ითვლებოდნენ და მათ შთამომავლებს შორის ქორწინება აკრძალული იყო.

#### § 4. მიცვალებულის პულტი

ლეჩხეუმში, მიცვალებულის პულტთან დაკავშირებული ძველი წეს-ჩვეულებანი და რიტუალები დღემდე მრავლადაა შემორჩენილი. მიცვალებულის დატირების, დაკრძალვის, სულის მოსახსენიებელი დღეების, რიგების წესები სხვა პულტთა წესების მსგავსია. მიცვალებულის პულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანული და წინარეკრისტიანული რელიგიების რწმენა-წარმოდგენების ნაზავია.

ლეჩხეუმში გავრცელებული აზრის მიხედვით სიკვდილის ანგელოზი კაცთა თვალისოფის შეუმჩნეველია. მის სიახლოეს ცხოველები და ფრინველები გრძნობენ. ამიტომაცაა, რომ ლეჩხეუმში და მთელ საქართველოში ძაღლის ყმუილი, ბუსა და ჭოტის კივილი, მამლის უდროო დროს (დღის განმავლობაში) ყივილი სიკვდილის მომასწავებელ ნიშნებად ითვლებოდა.

მძიმე სენით შეპყრობილ ადამიანს ხატს შეავედრებდნენ. ზოგან ხარსაც შემოავლებდნენ თავს. თუ იმედი გადარჩენისა ადარ ჰქონდათ, მღვდელს მოუყვანდნენ და აზიარებდნენ (73, 182). ავადმყოფის მონახულება მეზობლების ვალდებულება იყო. წესად იყო მიღებული მძიმე ავადმყოფისთვის დამის თევაც, რაც კეთდებოდა იმისათვის რომ ჭირისუფალს დასვენების საშუალება მისცემოდა (მთხ. ალ. უგრეხელიძე). სულთმობრძავისთვის დამის თევას მართლაც ექნებოდა ჭირისუფლისათვის დახმარების პრაქტიკული ფუნქცია, თუმცა ამ ტრადიციას უფრო ძველი, შესაძლოა ანიმისტური წარმოდგენაც უდევს საფუძვლად – თ. სახოკიას მიერ XIX საუკუნის შუა წლებში დაფიქსირებული ტრადიციისამებრ სამეგრელოში ჩვევად ჰქონდათ ავადმყოფის მონახულება. თვლიდნენ, რომ ავადმყოფის მონახულება, მისთვის მოსაკითხის მიზანა, ხშირად მნახველის მიერ ავადმყოფის საწოლზე ვერცხლის ფულის დაყრა, იმ სპეციალურ სულს, რომელმაც დააძაბუნა ესა თუ ის ადამიანი, გულს მოულბობდა. ლამ-ლამობით ორივე სქესის ახალგაზრდები ავადმყოფის სახლში იკრიბებოდნენ. იწყებდნენ სხვადასხვა თამაშობებს. ჭირისუფალი ამ დროს ისვენებდა. ღამისმთევლები კი ყურს უგდებდნენ ავადმყოფს, თითქოს ხელს უშლიდნენ სიკვდილის მასთან მიახლოვებას. არ შეიძლებოდა საუბრისას სიკვდილის ხსენება, გულხელის დაკრეფა. თვლიდნენ, რომ სიკვდილის ხსენება და გულხელის დაკრეფა სიკვდილის მოპატიუებას ნიშნავდა (65, 118). მოკლედ, ღამისმთევლები ისეთ გარემოს ქმნიდნენ, რომ სიკვდილს სახლში შესვლა არ

მონდომებოდა. სავარაუდოდ, ასეთივე მოსაზრება უნდა იყოს ლემაუმში ავადმყოფისათვის დამის თევის ტრადიციის საფუძველი.

ხარის სამჯერ ავადმყოფის საწოლის გარშემო შემოტარების ტრადიციის ანალოგიური რიტუალი სამეგრელოშიც სრულდებოდა (65, 116). განსხვავება ის იყო, რომ სამეგრელოში, ავადმყოფს თავზე ძროხას ავლებდნენ. აზრი ამ რიტუალისა იყო ოხვამერის მომადლიერება, რომელმაც „ტიბინი“-სიობო მოაკლო ავადმყოფს. საქონელი ოხვამერისათვის – სალოცავისთვის შეწირულად ითვლება. „თავის შემოვლება“ ანუ „გოლუაფა“ მეგრელების წარმოდგენით თავს შემოვლებულის ნაცვლად სიკვდილისთვის მზადებას ნიშნავდა (65, 95). თავსშემოვლებულ ძროხას სამეგრელოში არ წველიდნენ. მისი ნაშიერი თუ მოზევერი იქნებოდა ოხვამერს დაუკლავდნენ. თუმცა ლეჩეუმში არ დასტურდება რომ თავშემოვლებულ ხარს არ ამჟმავებდნენ, მაგრამ თვით ავადმყოფის გარშემო ხარის სამჯერ შემოტარება მეგრული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ავხსნათ და ამ ორი მსგავსი რიტუალის საფუძვლად ერთიდაიგივე რწმენა-წარმოდგენები მივიჩნიოთ.

მიცვალებულს დაუბანლად არ დამარხავდნენ. ნაბან წყალს სხვის ეზოში არ გადაასხამდნენ - „მისდღემში ვერ გაიხარებსო“. ტანზე თავისავე ნახმარ ტანსაცმელს ჩააცმევდნენ, უხმარ ტანსაცმელს, არ აცმევდნენ – სულეთში გაუქრება და ვერ იცნობენო“. მიცვალებულს, როგორც წესი, დამარხვის წინ ბანდნენ (73, 182).

ძველად მიცვალებულს ტილოს სუდარაში შიშვლად გახვეულს მარხავდნენ, შემდეგ „პირკლის ნიფხავ-პერანგსაც უკერავდნენ, რომელიც გვერდებზე ჩახსნილი ყოფილა. ლეჩეუმელთა რწმენით მიცვალებულის ტანისამოსში შავი არ უნდა ერიოს. მიცვალებული ამბობსო: „თუ რაიმე გააკეთე მატყლისაბურტყლის ნაირი მისტი-მოსტიე და მომეწიე“, „შალი პირზე ებუწება და აწუხებსო“ - ასეც ხსნიან ლეჩეუმში მიცვალებულისკენ შალის ტანსაცმელის „დაწუნებას“. მიცვალებულის სუდარა ცდილობდნენ ტილოსაგან შეეკერათ (65, 183).

მიცვალებულს 5-6 დღის შემდეგ მარხავდნენ. ეს ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ ყველა ნათესავს და მოკეთეს მოესწრო მისი დატირება – პარალელს ისევ თ.სახოციას მიერ მოწოდებულ მასალასთან გავავლებთ, რომლის მიხედვითაც სული მანამ არ დატოვებდა ამქვეყნიურობას სანამ ყველა ნათესავი მის ცხედარზე ცრემლს არ დაღვრიდა (65, 121). ადრე,

მიცვალებულისათვის ეზოში კეთდებოდა სეფა, რომელშიც მას დამარხვამდე ერთი დღით ადრე ასვენებდნენ (მთხო. ქ. ყურაშვილი). ამ წესის მერმინდელი სახეცვლილება უნდა იყოს სახლიდან გამოსვენების შემდეგ ცოტა ხნით ეზოში დასვენების ჩვევა. მიცვალებულის ხრწისაგან დასაცავად ხვამლის სოფლებში, ამ მთაზე არსებული ბუნებრივი ჭა-საყინულებან, ეზიდებოდნენ ყინულს. ზაფხულის პაპანაქებაში ამ ხერხს დღესაც მიმართავენ ხოლმე.

დაკრძალვის დღეს ჭირისუფალი ნათესავებს და მეზობლებს „მაწვიერის“ მეშვეობით ატყობინებდა. ჭირისუფლის ოჯახი ახლო ნათესავების წრიდან ირჩევდა „თავი კაცს“, რომელთანაც ერთად წყვეტდა დაკრძალვის ხარჯებთან, ქელებთან თუ სარიტუალო მხარესთან დაკაგშირებულ საკითხებს. „თავი კაცს“ ყოველნაირად უნდა მოენდომებინა და ჭირისუფალი მაქსიმალურად გაენთავისუფლებინა საქმისაგან. „თავი კაცი“ აუცილებელი არ იყო ყოფილიყო ოჯახის ნათესავი, შეიძლება ის ყოფილიყო მეზობელი, უბნელი ან თანასოფლელი, რომელსაც კარგი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა.

შორეული სოფლებიდან მოსულ მოტირლებს მიყავდათ ხალხი მიცვალებულის დასატირებლად. მოტირალს მის მიერ მიყვანილი ხალხის საკმარისი სურსათი თან უნდა წაედო. საქელებო სურსათს შემდეგნაირად ანგარიშობდნენ: ასი კაცისათვის ორმოცი ლავაში, ლობიო, გუბთა, ხახვი ფხალად გაკეთებული, დვინო (არაყი არ შეიძლებოდა), ფული ერთი მანეთი. ნათლულს დიდი სანთელი მიჰქონდა. კუთხე-მეზობელი ჭირისუფალს ეხმარებოდა და თითო ოჯახს ჭირის დღის ხარჯის გასასტუმრებლად 1 კგ კაპალი, სამი-ოთხი კილო ლობიო, თხუთმეტ ბოთლამდე დვინო და ერთი ვედრო ფქვილი მიჰქონდათ ჭირისუფლის ოჯახში (73, 184). ამგვარ დახმარებას შენაწევარი ერქვა. ჭირისუფლისადმი დახმარება ფულითაც ხდებოდა. ხშირად დახმარება შერეული – ფულადი და ნატურალური იყო. ზოგჯერ ჭირისუფალი ფულად დახმარებაზე უარს ამბობდა და მას მხოლოდ სურსათით ეხმარებოდნენ. ფულად გადასახადს „გარასაფენს“ უძახდნენ. ადრე მისი რაოდენობა 30 მანეთამდე ყოფილა (მთხო. ალ. უგრეხელიძე).

ლეჩეუმში უაზრო ტირილი იშვიათი მოვლენა ყოფილა. გლოვა გარდაცვალებისთანავე შეცხადებით იწყებოდა. ხმამაღალი კივილი უბედურების ნიშანი იყო და მეზობლებიც უმაღ მიაშურებდნენ გარდაცვლილის სახლს. ძველად, შესაცხადებლად მისული მეზობლები მიცვალებულს იმავე საწოლთან დაიტირებდნენ რომელზეც იგი გარდაიცვლებოდა. საწოლს ოდნავ სწევდნენ

კედლიდან. თუ მიცვალებული რაიმე საშიში სენით იყო დაავადებული, საწოლს წვავდნენ (73, 182). შემდეგი დღეებისათვის მიცვალებულს ტახტე გადმოასვენებდნენ. ტახტს მოათავსებდნენ ოთახის ცენტრში და თავთან სანოელ-საკეცელს, ჰიქა წყალსა და დვინოს, პურის მარცვალს და სულის პვერს უწყობდნენ (73, 182). ხშირად მოკივარი და მოზარეები ჭირისუფალს თვითონვე მოჰყავდა. შორი სოფლიდან მისულ მოტირალს სამი მოკივარი ქალი მაინც უნდა მიყოლოდა, რომლებსაც ტირილის გათავებამდე უნდა ეკივლათ, რაც ჭირისუფლის ოჯახისათვის დიდი პატივისცემა იყო (73, 182).

ვიდრე მიცვალებულს არ დაასაფლავებდნენ ნათესავები და მოგვარეები ხორცს არ შეჭამდნენ. იკრძალებოდა მიწაზე მუშაობა, ქალის ხელსაქმე (73, 183).

მიცვალებულის პანაშვიდებისა და ტირილის დროს კუბოსთან „საფეხს“ თმაგაშლილი ცოლი ჯდებოდა, დედა თავთან უნდა მჯდარიყო. მომსვლელები კუბოსთან იჩოქებოდნენ. კუბოსთან იჩოქებენ კაცებიც და ორი ხელზე შუბლზე მირტყმით გამოხატავენ თავიანთ მწუხარებას (17, 49). ხშირად კაცები ხმითაც ტირიან მიცვალებულს.

გადმოცემებით, ლეჩეუმში სცოდნიათ მიცვალებულის ცხედართან შავად შესუდრული ცხენების დაყენება, რომელსაც შემდეგ საიქიოსკენ მიმავალ გზაზე“ წინ წაუმდლვარებდნენ. XX საუკუნის მეორე ნახევარში მიცვალებულის თავთან შავად შესუდრული მანქანასაც აყენებდნენ (73, 184).

მიცვალებულის სახლიდან გამოყვანის წინ ცხედართან მხოლოდ ახლობლები რჩებოდნენ. შემდეგ ისინი გაჲყავდათ. კუბოს წაღმა დაატრიალებდნენ სამჯერ, შემდეგ დახურულ კარებს სამჯერ მიარტყამდნენ და მიცვალებულს ეზოში დაასვენებდნენ. მიცვალებულს საფლავში ატანდნენ პირველადი მოხმარების საგნებს, ფულსაც კი - „ბნელ სავალ გზაზე დასჭირდებაო“ (73, 185). ჭიშკართან მიყვანილ მიცვალებულს ჩატანიებული ნივთიდან რომელიმეს ამოაცლიდნენ, რასაც ხელისბრუნებას ეძახდნენ.

მიცვალებულს მარხავდნენ საგვარულო სასაფლოზე, რომელიც სოფლის სასაფლაოს ნაწილი იყო. სასაფლაოზე მიწა „პერანგებად“ იყო დაყოფილი. ყოველ მიცვალებულს თავის „პარანგში“ უჭრიდნენ საფლავს. მესაფლავები მორიგეობით იყვნენ სოფლებები. მესაფლავების სადღეგრძელო, მეგუბოვესთან ერთად გამოცალებებით ითქმებოდა მიცვალებულის ქელებზე, ორმოცზე და სხვა მოსახსენებელ დღეებში. „იმათ გაუმარჯოს ვინც (მიცვალებულის სახელი) სამუდამო სახლი აუშენა. ამის შემდეგ საფლავის გამჭრელს სახლის ბალავერი

გაეჭრას, მექუბოვეს, კუბოს შემპერავს აპვნები ეკეთებინოს“ - დაახლოებით ასე უდერს მათი სადღეგრძელო. სადღეგრძელოს თქმის დროს მესაფლავისა და მექუბოვის სახელების დაკონკრეტება აუცილებელი არ არის. მესაფლავისა და მექუბოვის გამოცალკევებით დალოცვასაც უნდა პქნონდეს თავისი ფეხვები ქრისტიანობმდელ რწმენა-წარმოდგენებში - საკმარისია გავიხსენოთ, რომ მიცვალებულის ცხედარი აღმოსავლეთ საქართველოში მავნე მუხტის მატარებლად ითვლებოდა, მასთან შეხების მქონე კაცი ნარევად იწოდებოდა. ნარევები და მესაფლავები მარხავენ მიცვალებულს, რის შემდეგაც სოფელში ბრუნდებიან, მაგრამ სახლში შესვლა ექვსი დღის მანძილზე ეკრძალებათ (49, 199). მათ მავნე აურა მხოლოდ სპეციალური განათვლის შემდეგ შორდებათ. ამ მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლეჩეუმში არსებული ტრადიცია მესაფლავისა და მექუბოვის სადღეგრძელოს გამოცალკევებისა მათი „ნარევობის“ ძველი წარმოდგენიდან უნდა მოდიოდეს. თვით სადღეგრძელო კი ერთგვარი ანალოგია ხევსურული „განათვლისა“, რის შემდეგაც მათ მავნე აურა ეხსნებოდათ.

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ იმართებოდა ქელები. ლეჩეუმში ქელები სამარხოა. დაკრძალვის დღეს ჭირისუფალი იცვამდა შავი ფერის ტანისამოსს. ადრე ჭირის ტანსაცმელი იკერებოდა ტილოსაგან და ბოლოებში მოუთავებელი იყო. თავსაბურავიც შავი იცოდნენ. შავებს წლამდე ატარებდნენ. წლისთავის მერე ამ ტანისამოსს თონეში წვავდნენ. გარდაცვლილს თუ დედა ცოცხალი ჰყავდა ის ისევ შავს შეიკერავდა, მაგრამ ამჯერად მოთავებულს.

ლეჩეუმში, გადმოცემით დასტურდება, რომ ადრე მგლოვიარეები ნაბდის ფორმის, კისერთან ზორტით შესაკვრელ შავ ტანსაცმელს იცვამდნენ. ის მთლიანად ფარავდა ადამიანს და ტილოს ნაჭრისგან იკერებოდა. მსგავსი ფორმის სამგლოვიარო ჩასაცმელის არსებობა სამეგრელოში დასტურდება, იქ ასეთ ტანისამოსს „ქოხს“ უძახდნენ (73, 185).

მიცვალებულის პატრონი გლოვის ნიშნად თმასა და წვერს არ გაიპარსავდა. ხალხური რწმენა-წარმოდგენებით შავების ტარება ორმოცი დღის შემდეგ წესი არ იყო. თუმცა ძალზე ახლობლები შავ ტანისამოსს წლისთავამდე ატარებდნენ, ხოლო შვილმკვდარი დედა შავს ათი წელიც ატარებდა (73, 185).

დაკრძალვის დღეებად ლეჩეუმში სამშაბათსა და შაბათს თვლიდნენ. ზოგან ხუთშაბათსაც შეიძლებოდა მიცვალებულის დასაფლავება, თუმცა ორშაბათს და ხუთშაბათს დაკრძალვის აკრძალვა უფრო ადრინდელი ჩანს. ეს დღეები

ლეჩხუმელთა წარმოდგენით „ბრძნილობის“ ლოცვის დღეებად ყოფილა მიჩნეული. ამ დღეებში ხელ-პირს და ფეხებს არ იბანდნენ, ბანალს არ დაივარცხნიდნენ, ოჯახიდან რაიმეს არ გასცემდნენ – ბარაქა და ოჯახის წევრების სიცოცხლე გაჰყვებაო (73, 185). ამ დღეების „სიწმინდე“ სამეგრელოში დაფიქსირებული ჩვეულებითაც ნათლად ჩანს – ორშაბათს მგზავრობისა და რაიმე ახალი საქმის დაწყება არ შეიძლებოდა. ორშაბათი, მეგრულად თუთაშხა მთვარის დღეს ნიშნავს. მთვარე კი ძველი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაებაა. ცაშხა ხუთშაბათი, ე. ი. ცის დღეა და ამიტომაც ბუნებრივია რომ ეს დღეც ლეჩხუმში ბრძნილობისთვის, ლოცვისთვის იყო განკუთვნილი. შემდგომი ტრადიციები ზოგიერთ სოფელში დასაფლავებისათვის ტაბუდადებული დღეები იყო ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი (მთხრ. ალ. უგრებელიძე). ოთხშაბათსა და პარასკევს დასაფლავების აკრძალვა ალბათ ქრისტიანული რწმენის გავლენაა – შესაძლოა სავალდებულო მარხულობამ ამ დღეებს ლეჩხუმელთა წარმოდგენაში წმინდა დღეების ელფერი შესძინა.

მიცვალებულს დღის მეორე ნახევარში მარხავდნენ, რადგანაც სჯეროდათ რომ მისი სული საიქიოს (სასულეთში) ჩამავალ მზეს მიყვებოდა. პროცესიას მდვდელი უძღვდა წინ, ეკლესიასთან მიცვალებულს წესს აუგიანებდნენ და თავიანთი მოგვარეების გვერდით დაასაფლავებდნენ (73, 186). თუ ვინმე მიცვალებულის ჩასვენებამდე საფლავის თხრილში ჩაიხედავდა აუცილებლად პეშვით მიწა უნდა ჩაეყარა თხრილში (მთხრ. კ. არჯევანიძე). მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ მას ახლობლები რამოდენიმე პეშვს მიწას მიაყრიდნენ. ამის შემდეგ ჭირისუფალი გაჰყავდათ სასაფლაოდან. ჭირისუფალისათვის უკან მიბრუნება, უკან მოხედვაც კი მკაცრად აკრძალული იყო.

ადრე, შესუდრული მიცვალებულს ჯალავრით ასაფლავებდნენ. ჯალავარი ორი ფიცრისგან და მათ შორის გადახლართული თოკების ხლართებით მზადდებოდა. ლეჩხუმელს ახალ წელს კიბისთვის არ უნდა შეეხდა, რადგან ის ჯალავრის მსგავსია და მათში სიკვდილის ასოციაციას იწვევდა.

მიცვალებულის სული, ლეჩხუმელის რწმენით ორმოცი დღე სახლშია, შემდეგ იმერში, ზეცაში მიდის. ის ნიავია, ხანდახან ოჯახს პეპლის ან ჩიტის სახით მოევლინება, ხან სიზმარში გამოეცხადება. მიცვალებულის სული შეიძლება გზაშიც შეგხვდეს და მეგზურობა გაგიწიოს. სულის ამგვარ სახეს, რომელიც ცოცხალ ადამიანს ემსგავსება „აგაგა“ ქვია (73, 186).

მიცვალებულის სული კეთილია. თუმცა დავიწყების, მისოვის მზრუნველობის მოკლების შემთხვევაში, შესაძლოა ოჯახი დაზარალდეს, სულმა ოჯახს აგნოს რაიმე. ლეჩეუმში მიცვალებულის სულს ამიტომაც არ აკლდება მზრუნველობა.

ლეჩეუმში მიცვალებულის სულისათვის, გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში, სამი რიგის წალგმა ხდება. იციან ხელის გახსნა, ორმოცი და წლისთავი.

ხელის გახსნა გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს სცოდნიათ (73, 187). ზოგიერთ სოფლებში ხელის გახსნას გასვენებიდან მესამე დღეს, გარდაცვალებიდან კი მეცხრედღეს ამთხვევენ. ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა თუ მეორე დღეს მარხვა იწყებოდა. იმავე დღეს გახსნილების შემთხვევაში სტუმრებს სამარხვო სუფრას უშლიდნენ, ხოლო ნათესავები სადამოს ხორცით იხსნილებდნენ. მიცვალებულს თუ დროზე არ გაუხსნილე, ცოდოა, ხელები შეკრული აქვს და უგვიანდებაო – ამბობენ ლეჩეუმელები. სულის გახსნამდე ჭირისუფალს ეკრძალებოდა ხორცის ჭამა. ხელის გახსნას ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. უნდა დაიკლას ცხვარი. ცდილობენ ხელის გახსნის სუფრაზე რაც შეიძლება მეტი კერძი იყოს. ცხვარს მეზობელი კლავდა. მიცვალებული თუ მამაკაცი იყო მას ვერძს დაუკლავდნენ, ქალს კი დედალ ცხვარს უკლავდნენ. საკურთხის მაგიდის ქვეშ ცხვრის ტყავში გამოხვეულ ცხვრის თავებს დადებდნენ, რომელიც თოკით პალოზე იყო გამობმული. საკურთხის მაგიდაზე შვიდი სულის კვერი უნდა დადებულიყო. სულის კვერებს გულში ყველი პქონდა ჩართული. საკურთხის სუფრაზე უნდა ყოფილიყო სამი პატარა კოკორი (განატეხი), სამი სანთელი, ჭანტილი, გოჭი, ქათამი, ხაჭაპური, ღვინო, წყალი. საკურთხის მაგიდაზე ყოველაფერს კენტს დგამდნენ (73, 187).

ზოგჯერ გახსნილება, ხელის გახსნა ცხვრის მაგივრად კვატითაც (იხვი) სრულდებოდა. კვატი ლეჩეუმელთა წარმოდგენით წმინდა ფრინველია, დგომისგანაა გაჩენილი. ის მიცვალებულს ეხმარება არ დაიხრჩოს იმ ცრემლში, რაც მას ედვრება. კვატის ჩაჩეხვა იცოდნენ მდინარის იმ ნაწილშიც სადაც ადამიანი დაიხრჩებოდა. გარდა იმისა, რომ ეს დამხრჩალის სულს წაადგებოდა, უპატრონი მიცვალებულის სულის საოხიც იქნებაო (73, 188).

მიცვალებულისთვის განკუთვნილი შემდეგი სუფრა, მისი გარდაცვალების მეორმოცე დღეს იშლებოდა. ზოგიერთი გადმოცემით ორმოცი ადრე არ სცოდნიათ. თუმცა ახლანდელი მდგომარეობით ორმოცის გადახდა

საცალდებულო და აუცილებელია. მეორმოცე დღეს მიცვალებულის სულის ბოლო დღეა ამქვეყნად, რის შემდეგაც იგი საიქიოში მიემგზავრება. სოფ. ოყურეშში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ორმოცის სუფრის ქვეშ უნდა დაედოთ დაკლული ცხვრის ტყავში შეხვეული თავფეხი. ზოგიერთის თქმით ცხვრის ტყავში გახვეული უნდა ყოფილიყო დგიძლიც ან მისი მარჯვენა ნაწილი. ორმოცი სახსნილო კერძებით კეთდებოდა. ორმოცამდე შავის ტარების ტრადიცია, პირისგახსნის მაგივრად ცხვრის თავფეხის მაგიდის ქვეშ დადება, ორმოცის სუფრის ხორციანი კერძებით გაკეთება იმ წარმოდგენით უნდა იყოს განპირობებული, რომ ორმოცი დღე მიცვალებულის სული სახლში ტრიალებს – სულის წინაშე პატივისცემის ნიშნად შავებს იცვამდნენ. სამეგრელოში არსებული რწმენა, რომ მიცვალებულის სული ყველაფერს ხედავს, ხედავს ვინ როგორ დარდობს მის გარდაცვალებას, ალბათ ლენსუმშიც გავრცელებული იყო და სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ორმოცი დღის განმავლობაში შავების ჩაცმის აუცილებლობის საფუძველი. ორმოცის სუფრის ქვეშ ტყავში გახვეული ცხვრის თავფეხის დადება ხელისგახსნის მსგავსად, ორმოცის შემდგომ ხორცის მიღებაზე კიდევ ერთი საბოლოო დასტური უნდა იყოს.

ექვსი თვის შემდეგაც იდგმებოდა საკურთხი და იმართებოდა მცირე პურმარილი საკურთხი ისეთივე წესით მზადდებოდა, როგორც ხელისგახსნაზე. სულის კვერი ექვსი თვის თავზე, საკურთხად სამი იდება. მაგიდაზე არის გოჭი, კვატა, ქათამი, იკვლება ცხვარი. ცხვრის თავფეხს აუცილებლად ჯოხზე მიბმულ ბაწარს წააბამდნენ – ასე იტყოდნენ – მიცვალებულს არ შეაწუხებს, არ არბენინებსო. ექვსი თვის თავზე სასაფლაოზე გასვლაც იცოდნენ.

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე იმართებოდა წლისთავი ანუ მეორენაირად „სუფრის აღება“. კლავდნენ ცხვარს, კვატს, გოჭს და ა. შ. მიცვალებულის ნიშანზე ტიროდნენ და საფლავზეც გადიოდნენ. ადრე სცოდნიათ სამგლოვიაროდ მოზრდილი თმის შეჭრევინება იმ ადამიანის მიერ ვისაც ჭირისუფალი გარდაცვლილი ადამიანის ნაცვლად აყვანას უპირებდა. ეს წესი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში (65, 135).

წლამდე ყოველ შაბათს საკურთხი მზადდებოდა. მისი დამზადების დროს დიასახლისს ცრემლი არ უნდა გადმოვარდნოდა და საკურთხს არ უნდა დასცემოდა, თორემ მიცვალებულს საჭმელი დაუსველდებოდა და ვეღარ

შეჭამდა. საკურთხი კეთდებოდა ცხვრით, ბატით, იხვით ან ქათმით. თხის ხორცი არ შეიძლებოდა, რადგან თხა ეშმაკის ცხოველად ითვლებოდა.

მიცვალებულთათვის საკურთხის დადგმის დღე იყო სულთაშაბათად წოდებული ნოემბრის ბოლო, დიდმარხვის პირველი შაბათი დღეები. სულშაბათზე საკურთხის სუფრა მრავალფეროვანი იყო. მაგიდაზე დებდნენ სამ სულისკერს და შვიდ-ცხრა სანთელს აანთებდნენ. ეზოსა და სახლის კარები ღია ჰქონდათ, სულები თავისუფლად შემოვლენო. სინათლე სახლებში ჩამქრალი იყო. სულებს ფეხზედამდგარნი, ჩუმად ელოდებოდნენ ოჯახის წევრები (73, 188-189).

სულის დღეები იწყებოდა ნათლისლებიდან და მის შემდგომ ხუთშაბათამდე გრძელდებოდა. ამ დღეებში მიცვალებულს იმას წაუდგამდნენ სადილად, რაც ოჯახში სადილად ჰქონდათ. მიცვალებულისთვის განკუთვნილ ტაბლაზე დადებდნენ სამ სულის კვერს, რომლებშიც თითო-თითო სანთელი იყო ჩარჭობილი. სადილობისას (დღის პირველ ნახევარში) იმიტომ ხდებოდა მიცვალებულის საკურთხის წადგმა, რომ მათ გზაში არ შემოღამებოდათ (17, 17).

სულის დღეებს მეორენაირად „მიდგმაც“ ჰქვია. მას „სულის გადაბრძანების კვირესაც“ უწოდებენ. ამ კვირეს მიცვალებულთა სულები თავიანთ სახლებს სტუმრობდნენ. ხუთშაბათ დღეს მიცვალებულების სულები ისევ საიქიოში ბრუნდებოდნენ. ამ დღისთვის საკალანდო ლორის ჭიდვი (ბეჭის ან თემოს სახსანიანი ხორცი) და სამი ნეკნი უნდა შეენახათ გადრა ამისა სუფრაზე უნდა ყოფილიყო სამი ყველიანი ან ლობიანი ტაბლა, სამი სულის პური (შუაში სამი თითის ანაბეჭდით), ლვინო და ერთი ჩხირი სანთელი (17, 17). ამ დღეს არც კერვა შეიძლებოდა და არც ქსოვა.

წადგმა ვახშმობის ხანს ხდებოდა. შემდეგ სანთელს ანთებდნენ. სანთლის ჩაქრობამდე ყველანი ჩუმად იყვნენ. მამაკაცები ქუდმოხდილები იდგნენ. სანთელი რომ ჩაიწვებოდა ოჯახის უფროსი ქალი ჭიქას სამჯერ წაუქცევდა და მიცვალებულების განათლებას სოხოვდა ლმერთს. ამის შემდეგ ოჯახის რომელიმე წევრი (ან უფროსი ქალი) ერთ სულის პურს, სამ ნეკნს, ჭიქით ღვინოს და ანთებულ სანთელს აიღებდა და ჭიშკრისკენ აცილებდა სულებს. გზადაგზა ღვინოს ასხამდა მიწაზე. აქ ის ინახავდა საჭმელს (უფრო ხშირად კი ნალიაში). დილით ამ საჭმელს ოჯახის რომელიმე ბავშვი შეჭამდა და ღვინოსაც დალევდა (17, 17-18).

მიცვალებულის საკურთხის წადგმა იცოდნენ შობას, მარიამობაზე, პეტრე-პავლობაზე, აღდგომის დღესასწაულზე, ხვამლიობას, ფერისცვალებას... თითქმის ყველა „კაი დღეს“, რელიგიურ დღესასწაულებზე. საკურთხის წადგმა იციან მაშინაც, როცა მიცვალებული დაესიზმრებათ.

ლეჩეუმელის წარმოდგენით მიცვალებულის სული, „აგაგა“ ხშირად ეცხადება ადამიანებს. მიცვალებულის „აგაგა“ პეტილია, თუმცა ის უყურადღებობით შეიძლება გაწბილდეს და რაიმე ავნოს საკუთარი ოჯახის წევრებს, რომლებმაც მისი სსოფნა დაივიწყეს. სხვაგან გარდაცვლილი ადამიანის სული წითელი ძაფით მოჰყავდათ. მიცვალებული, ლეჩეუმელის რწმენით საკურთხის სუნით, მისი ოხშიგარით იკვებება.

## § 5. რწმენა-წარმოდგენები და საოჯახო რიტუალები

მნიშვნელოვანი ადგილი ლენსუმელთა წარმოდგენებში წყლის კულტს უქირავს. წყლის კულტი მჭიდრო კავშირშია მიცვალებულთა სულების რწმენასთან და აგრეთვე ამინდის განმსაზღვრელ ძალებთან.

ხვამლის მთას, ლენსუმელთა ყველაზე დიდ სალოცავს, მრავალი რელიგიური წარმოდგენა უკავშირდება. ის უპირველესად ამინდის მბრძანებლად უნდა მივიჩნიოთ. „ფეხგასულზე ხვამლი თუ დეირასუნებს იმ წელს კარგი ამინდი იქნება, თუ სვანეთის მთებმა მოასწრო დარუხუნება, მაშინ ცუდი ამინდია მოსალოდნელი (**მთხრ. შ. ღურჯუმალიძე**) - იტყვიან ლენსუმში. „ასხმა თუ დეირუხუნა და ხვამლმა დაუმოწმა“ - მაშინაც გაუმართლებდა გლეხებს, კარგი ამინდი იყო მოსალოდნელი.

ხვამლის მთაზევე დადიოდნენ მლოცველები, როდესაც უამინდობა შეაწუხებდათ. ძირითადად ხვამლზე ამინდის სათხოვნელად ახლომახლო სოფლის მცხოვრებლები დადიოდნენ. მთის ძირში მდებარე სოფ. ოყურეშიდან ხვამლზე წმინდა გიორგის თრი ხატი მიჰქონდათ. პროცესიას, რომელიც ფეხშიშველა ქალებისაგან შედგებოდა, წინ მდვდელი მიუძღვოდა. ქალები ტირილითა და ხვნება მუდარით მიმართავდნენ ღმერთს: ღმერთო ნუ დაწვავ ქვეყანას, ნუ გაგვიწყრები, ნუ გაგვიწყვეტ პირში ლუკმას... მოგვეცი ნების წვიმა, არ გვინდა კოხის წვიმაო. ხატებს სალოცავის გვერდზე მდებარე წმ. გიორგის ტბაში განბანდნენ. შესაძლო იყო წვიმის გამოთხოვნის მიზნით ტბაში მოზვერი ან ძალი ჩაეხრჩოთ. ბოლო დროს ცხოველს აღარ კლავდნენ და ისე აგდებდნენ ტბაში. ორბელში ძუღურის ტბაში კატის ჩაგდებაც სცოდნიათ, რის შემდეგაც აუცილებლად უნდა გაწვიმებულიყო. ლენსუმის სხვა სოფლებშიც იცოდნენ ხატის განბანა, ეკლესიიდან გამოტანილი ნაგვის წყალში ჩაყრა. ქულბაქელები, „ტობა ვარჩხილად“ წოდებულ ტბაში „ჯდარკს“ ძველ ფეხსაცმელს აგდებდნენ. ნასპერში ჩაწერილი გადმოცემით ხატი ან წმინდა გიორგის უნდა ყოფილიყო ან მარიამ დვთისმშობლის და გამდინარე წყალში ხატი უნდა განებანათ. უმეტესად, ქალ მლოცველთა პროცესია ცხენისწყლისკენ მიემართებოდა. მათი რწმენით, ტახის ნაბანი წყალი როცა ზღვაში ჩააღწევდა, აუცილებლად გაწვიმდებოდა. გადმოცემები იმასაც მოწმობდნენ, რომ ხატის განბანვის შემდეგ შინ დაბრუნებული ქალები აუცილებლად გაიწუწებოდნენ, წვიმა გზაში მოუსწრებდათ (**მთხრ. შ. ღურჯუმალიძე**).

საინტერესოა, რომ წვიმის გამოსაწვევად ორი, თითქოს აზრობრივად დაპირისპირებული, ხატის განბანვა და ძაღლის ჩაჩეხვა (ჯღარკის ჩაგდება) – წესი წვიმის გამოწვევისა, რატომ იყო გამოყენებული. ხატის განბანვა ერთგვარ ანიმისტურ წარმოდგენას უნდა უკაშირდებოდეს – ხატის „წილს“ ნაბან წყალს ზღვაში (ზღვას მიეწერება წვიმის გამგებლის ფუნქცია) აგზავნიდნენ და თავიანთ საველრებელი ხატის მეშვეობით ეველრებოდნენ ამინდის მეუფეს. ხვამლის წმინდა გიორგისა და „ტობა ვარჩხილის“ ტბები მართალია გამავალი არ არის, მაგრამ მათ, ხალხის წარმოდგენით, ეტყობა განსაკუთრებული მდებარეობის გამო პირდაპირი კავშირები აქვთ ზებუნებრივ ძალებთან და წმინდა ტბებად ითვლებოდნენ.

ხარის ჩაჩეხვა წმინდა გიორგის ტბაში, ამინდის მბრძანებლისადმი მსხვერპლშეწირვა უნდა იყოს. ძაღლის ჩაჩეხვა, ჯღარკისა და კატის ჩაგდება წყალში კი ალბათ ამინდის მბრძანებლის გაბრაზების და მისგან სასჯელის მიღების, წვიმით დასჯის მიზნით ხდებოდა. ძაღლის ჩაჩეხვა მეორენაირად შეგვიძლია გავიაზროთ: ძაღლი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღმერთის კვირიას წმინდა ცხოველია. ძაღლების მეშვეობით კვირია ურჩებს სჯის. თვით კვირია კი კეთილი ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი ღმერთია და მორიგე ღმერთთან თავისი სიტყვა ეთქმის. შესაძლოა, ძაღლის ჩაჩეხვა სწორედ ძაღლის სულის გაგზავნასა და მისი მეშვეობით კვირიასაგან მისთვის წვიმის გამოტანების შესაძლებლობის ოწმენის გამოხატულება იყოს.

ხვამლის მთის მიხედვით მომავალი დღისთვის ამინდის პროგნოზირებაც შეიძლება – თუ ჩამავალი მზის სხივებისაგან ხვამლს ვარდისფერი – მოწითალო ფერი ადევს მომდევნო დღე მოწმენდილი და მზიანი იქნება, თუ არა და მოღრუბლული ან წვიმიანი დღეა მოსალოდნელი.

ხვამლის მთაშივე ცხოვრობს წყლის სამყაროს მითიური წარმომადგენელი გველეშაპი, რომელსაც ასევე მიეწერება წყლის ერთ-ერთი ბატონის ფუნქცია. ხვამლის მთაში მცხოვრები გველეშაპი უკვდავია, ის კლდის ნაჟურს ლოკავს, როდესაც მარცხენა მხარეს გადაბრუნდება მდინარე ვერძის თავა ხვამლის აღმოსავლეთით სოფ. ტვიშისკენ მიედინება, როდესაც მარჯვნივ გადაბრუნდება მდინარე, რომელსაც რაჩხას უწოდებენ, უკვე დასავლეთით, სოფ. ოყურეშის განაპირას ჩამოედინება. გადმოცემის თანახმად გველეშაპთან მებრძოლი გმირები არიან ჟივეია და ვაჟინა. ამ მონადირეებს მიეწერებათ გველეშაპისგან წყლის გათავისუფლება. გმირები აკუწული გველეშაპის შხამს დაუხოცავს. ჟივეია და

ვაჟინას ხსენების დღედ შავი ოშაბათი დაუწესებიათ, რომელიც დიდი მარხვის პირველ დღეს ემთხვევა. ამ დღეს რკინის ხმარება აკრძალული იყო. კვირა საღამოს რკინის იარაღებს საგულდაგულოდ მალავდნენ. რკინის გარევა ამ დროს ნადირისგან საქონლის ვნებას გამოიწვევდა. მეორე დღეს ჸივეიასა და ვაჟინას ლოცვა საღამო ხანს ითქმებოდა. სასურველი იყო ოჯახში არაფერი ეჭამათ, თუ ამას ვერ მოახერხებდნენ უნდა ემარხულათ. ჸივეიასა და ვაჟინას ასე დალოცავდნენ:

„რამაცა მხეცი გოუშვა, მხეცისა მტერი ჸივეია,

ჸივეიასა და მის შვილ ვაჟინას შეუნდოს“. (**მთხრ. შ.დურჭუმალიძე**)

ამ ლოცვის შემდეგ რკინა „აშობილი“ იყო და მისი გამოყენება შეიძლებოდა. ჸივეიასა და ვაჟინას ლოცვის შესრულების დროს ოჯახის უფროსს ფეხი რკინის ნაკეთობაზე ედგა და მასზე დანას აკაკუნებდა. ზოგან ლოცვის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახს იდებდა და ეზოში ხეხილს ან ახლომდებარე ტექში ხეებს შემოუკავუნებდა.

ჸივეია და ვაჟინას სახელები მჯიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული წყლის სტიქიასთან. ამ სახელების ძირი რომ წყალთანაა დაკავშირებული, წყლის ან წყლით გაჯერებული, წყლიანი ადგილების აღმნიშვნელი ქართული სიტყვებიც მიგანიშნებს. მაგალითად: ქანტი – მცირე სისველე, ქლერი – ძლიერი წვიმა, ჟღვიპინი, ჟიდო, ჟინქვლა და სხვა (46, 129). მათ კავშირი აქვთ ასევე რკინასთან და მათდამი მიძღვნილ დღეს რკინის იარაღების გამოყენების აკრძალვა, შესაძლოა, ფოლადის ამ სახეობის იარაღის თავდაპირველი გამოყენების, მისი დაუფლების შესახებ მითოლოგიური გადმოცემის შედეგია. სავარაუდოდ, კვირა საღამოდან ორშაბათ საღამომდე დრო ასახავს იმ პერიოდს, როცა რკინა ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში. შემდეგ ჸივეიასა და ვაჟინას, ცნობილი და წარმატებული (გველეშაპის მკვლელი) მონადირეების მადლით ხდება რკინის იარაღის დაუფლება და რკინის „აშობა“. ჸივეიასა და ვაჟინას შესანდობარის თქმა მიუთითებს იმაზე, რომ მათ რაღაც ცოდვა ადევთ კისერზე. შესაძლოა ეს თავად გველეშაპის, მითოლოგიური გადმოცემით ქაოსის ძალების განსახიერების, მაგრამ მაინც საკულტო არსების მკვლელობის ცოდვაა. შეიძლება, ჸივეიასა და ვაჟინას ცოდვა ამირანისა და პრომეთეს ცოდვებს ჰგავს – ცეცხლისა და სიკეთის მომტანი გმირები ისჯებიან, ასევე შეიძლება დასჯილივნენ (ცოდვა დასდებოდათ) ჸივეია და ვაჟინა ადამიანისათვის რკინის იარაღის მიტანისთვის. ამ მხრივ საინტერესოა მ. მაკალათიას მიერ ჩაწერილი

ცნობა – ერთ-ერთ სვანურ გადმოცემაში ვაჟინას დად მოიხსენიება ყამარი, რომელიც ამავე დროს ამირანის მითოსის გმირიცაა (46, 128).

წყლის კულტთანაა დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები წმინდა მაქსიმეს შესახებ. ხალხში არსებული ტრადიციით წმინდა მაქსიმე მურის მახლობლადაა დასაფლავებული. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი, VII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ვახუშტის ცნობითაც და ბიზანტიური წყაროების მიხედვითაც, მართლაც ცაგერის მიდამოებში უნდა იყოს დაკრძალული. მაქსიმესადმი მიკუთვნებული ფუნქციები, მისადმი მიძღვნილი რიტუალები ამ მოღვაწის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. მაქსიმემ, როგორც ჩანს რომელიდაც წარმართული დვთაების ფუნქცია შეიძინა და ამინდის განმკარგულებლის როლიც შეითვისა. რაც უნდა ყოფილიყო, თუ დაღმა იზამდა ხელს (მაქსიმე), წვიმას დაუშენდა, თუ აღმა იზამდა – ისევ დარი იყო (46, 143). მაქსიმე ათასწლოვანი ცაცხვის ფუდუროში ცხოვრობდა. ის დადიოდა სოფელ-სოფელ და სიკეთეს თესდა. მისი მკვლელობა მიეწერება ვინმე ჭაბუკიანს, რომლის მეორე გვარი ქარეიშვილია. გარდაცვალების შემდეგ მაქსიმე, ჭაბუკიანის მიერ მიჩენილ საფლავში არ გაჩერებულა, სიზმარში გამოცხადებია ერთ ქალს, რომლისთვისაც თავისი ნება გაუცხადებია, რის შემდეგაც მაქსიმეს ცხედარი მარხილზე დაუსვენებიათ, მასში უდლად დაუწმენდავი ხარები შეუბამთ და სადაც ეს მარხილი გაჩერდა, მაქსიმეც იქვე დაუკრძალავთ. მაქსიმესავე მითითებით, ეს ხარები დაკლეს და იმავე მარხილის შეშით მოხარშეს და იქვე შეჭამეს.

მაქსიმე, ჭაბუკიანს, რომელიც ხშირად ჩადიოდა სიავეს, წვიმით სჯიდა. მას ღრუბლის, ნისლის სახის მიღებაც ან მათში დაბურვა შეეძლო (ჭაბუკიანმა ესროლა თოფი ღრუბელს და მაქსიმე ჩამოვარდა. ცხადია მაქსიმე, ამ მაგალითის საფუძველზე წვიმის მომყვანი, წყლის საიდუმლოებებთან დაკავშირებული დვთაებაა. „წმინდა მაქსიმე და ღმერთო! შენი გაჩენილია ცა და ქვეყანა, გამოგვიდარე“ - ასე ლოცულობდა მაქსიმეს საფლავზე წამსვლელი დიდ ცაცხვთან შეკრებილი ხალხი. შემდეგ ეს ხალხი, კისერზე ღვლეჭებს წაიჭერდნენ და ჩქარი სირბილით იმ გზას გაუყვებოდა რომლითაც გადმოცემის მიხედვით წმინდა მაქსიმეს ცხედრის მზიდავმა ხარებმა იარეს. ამ საქციელით ალბათ მაქსიმესთან დაკავშირებული ბოლო სასწაულის გამეორება უნდოდათ – კისერზე ღვლეჭებშემობმული ხალხი განასახიერებდა ხარებს, რომელმაც მაქსიმეს ცხედარი დაკრძალვის ადგილამდე ზიდა. ცდილობდნენ ეს სცენა

ზედმიწევნით სრულად შეესრულებინათ და ამ მიზნის აღსრულებისათვის არანაირ ხერხს არ ერიდებოდნენ – მარშრუტს არ გადაუხვევდნენ თუგინდ წინ დობე ან ბოსტანი შეხვედროდათ არ ჩერდებოდნენ, გადაუვლიდნენ და გაივლიდნენ. ასე ჩავიდოდნენ მურში. (17, 53-54)

საყურადღებოა, რომ მაქსიმეს ხანგრძლივი წვიმების დროს მიმართავდნენ. გვალვის დროს მაქსიმესადმი ვეღრება არ იცოდნენ. ავდრის შეწვეტის ეს რიტუალი ორშაბათს ან ხუთშაბათს, ლეჩხუმში „ბრძნილობის“ დღეებად წოდებულ დღეებში უნდა ჩატარებულიყო. ძირითადად პროცესიაში დეხვირელები იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ამ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად ერთი კვირის განმავლობაში მარხულობდნენ და თავს წმინდად ინახავდნენ ქალს არ ეკარებოდნენ (17, 143).

ავი ტაროსის მბრძანებლად ლეჩხუმლებს ელია მიაჩნდათ. ელია მათი წარმოდგენით ბრძა იყო (ზოგიერთი გადმოცემით იგი ცალთვალა). ის ჭექა ქუხილს დაუძლვება ცაზე და რადგან მხედველობა არ უვარგა ეშმაკს დაჰყავს. ეშმაკი ხშირად ატყუებს მას და სოფლის თავზე ჭექა-ქუხილს დაატეხინებს, სეტყვას აგზავნინებს. ზოგიერთის თქმით, ის ჭექა-ქუხილის დროს ეშმაკს ესროდა მეხს. ხალხი როცა შეამჩნევდა რომ მოსალოდნელი იყო ჭექა-ქუხილი და სეტყვა, უმაღლ ზარის რეკვასა და ცაში თოფის სროლას ატეხდა. ამით ისინი თითქოსდა ელიას გააგებინებდნენ, რომ სოფლის თავზეა და ისიც გადაიფიქრებდა ჭექა-ქუხილის გამოშვებას დედამიწაზე.

ამინდის სიავგარეზე ზღაპრული არსებები, ჭინკებიც ახდენდნენ გავლენას. ჭინკობა 14 ნოემბერს იწყება. ჭინკები სამი დღე ბარში, სამი დღე მთაში, სამი დღე წყალში არიან. მეცხრე დღეს თუ წყალში გადაიჩენენ წვიმიანი წელიწადი იქნება, თუ კლდეზე გადაიყარნენ მაშინ მშრალი ამინდებია მოსალოდნელი (მთხრ. შ. ღურჭუმალიძე). ჭინკების მოვლის დროს ყველაფერს რკინავდნენ. მჭრელ პირიან რგინის იარაღებს დააწყობდნენ ნალიაში, ბეღელში, ჭურის თავზე და ა. შ. (46, 147).

ლეჩხუმელთა წარმოდგენით საპულტო ხედ ითვლება ნიგბზის ხე. ადრე თურმე ყველა ოჯახს ჰქონია სახვამლო ნიგბზის ხე, რომლის ძირში ხვამლობა დღეს აუცილებლად უნდა შეესრულებინათ ამ დღისადმი მიძღვნილი რიტუალი. ზოგან უბანში ერთი კაპლის ხე იდგა, რომელსაც განაცარი ოჯახები საერთო სალოცავად თვლიდნენ. სახვამლობო ნიგოზი იბერტყებოდა შემდგომით და

მომავალი ხვამლობის დღესასწაულამდე მისი დახარჯვა-გამოყენება აკრძალული ყოფილა (46, 137).

ხვამლობას დღესასწაულობდნენ მაისის თვეში. აღდგომიდან მე-8-კვირის შაბათ დღეს. ის საეკლესიო კალენდრის სულთა შაბათს ემთხვევა. ზოგიერთი გადმოცემით ხვამლობა დღეს ხვამლზე ლეჩეუმლების გარდა სვანებიც დადიოდნენ. ხვამლობის მეორე დღეს ფაქობაა, ქვემო სვანეთში. ფაქობის დღესასწაულზე ფაქში მლოცველები ლეჩეუმის ზოგიერთი სოფლიდანაც დადიოდნენ.

ხვამლობა დღეს უფროსი ქალი ადგებოდა, მოზელდა პურს, სახვამლობო ნიგოზისაგან დაამზადებდა ნიგგზიანებს – სახომლობო სამი ტაბლის გარდა უნდა გამოეცხო ჯვრის ფორმის კვერი, უნდა გაეკეთებინა სამი ჯვრისსახიანი სანთელი და მოემზადებინა კაკლის სამი ნაჭუჭი. ყველაფერი ეს, ერთ ბოთლ დვინოსთან ერთად სახვამლებო ნიგგზის ქვეშ მიჰქონდა ოჯახის უფროს ქალს, მას უკან გაჰყვებოდნენ ოჯახის წევრებიც. ნიგგზის ქვეშ სახვამლებო ტაბლებს წალმა შემოატრიალებდნენ. უფროსი ქალი დაილოცებოდა: „ხვამლობის გამჩენო, ლებანის გამჩენო ძალო და მადლო გამიბედნიერე ჩემი ქმარ-შვილი, დაიფარე ხველისგან, სნებისგან; სანამ ცოცხალი ვიქნე, მე შენ ძირში მომკლა და შეხვეწილი არ დავაგდო“. შემდეგ ნიგგზის ნაჭუჭში ასხამდა დვინოს, მასზე ჯვარედინ კვერს ადგებდა და კვერზე სანთელს აანთებდა. ამ სახის სამ მღირე ტაბლას ნიგგზის ქვეშ მოპიდაპირე მხარეზე დააწყობდა. შემდეგ ოჯახი სადილობდა ნიგგზის ქვეშ. ნასადილევს ოჯახის უფროსი ნიგგზის ქვეშ სამჯერ თავს დახრიდა და თაყვანს სცემდა, თან იტყოდა: „ღმერთო დაიფარე ხველისგან, სნებისგან ჩემი ოჯახი“. წალმა დატრიალდებოდა და შინ შევიდოდა (17, 41).

ზოგიერთი გადმოცემით ხვამლობა დღეს ლოცვისას ღმერთს ხვავსა და ბარაქსაც თხოვდნენ. მთავარი კი ხველის ბატონებისგან დაცვის თხოვნა იყო, ხვამლობა დღე ყვავილის ბატონების „ბარობაზე“ გახლდათ შეწირული. გარდა ნიგგზიანი ტაბლებისა, სახვამლობო ნიგოზის ძირას შეეცვლოდნენ ბავშვისთვის თავშემონავლებ ყვინჩილას ან ქათამს (46, 136). სადილის შემდეგ სადილის ნარჩენებსა და ჭურჭელს იქვე ტოვებდნენ, რადგანაც სჯეროდათ, რომ ამით ჭირსა და უბედურებას სახლის გარეთ დატოვებდნენ.

სახვამლო კაკლები პქონიათ კალებზეც. ხვამლობა დღეს კალოზე, სახვამებო ნიგგზის ქვეშ ქალები შლიდნენ სუფრას და ლოცულობდნენ. კაცებს ამ რიტუალზე დასწრების უფლება არ ქონდათ.

არ შეიძლებოდა სახვამლიო კაპლის მოჭრა. კაპალს მაშინ მოჭრიდნენ, თუ მისი ფეხი სახლის საძირკველში შევიდოდა, რაც გარეგანი ანგელოზის შემოჩვევას იწვევდა. გარეგანი ანგელოზის შემოჩვევა ცუდის ნიშანი იყო. ის კაპალთან მოდიოდა და ოჯახის უფროსის სახელს იძახდა. თუ სახვამლიო კაპალს სიბერის ან ამ მიზეზის გამო მოჭრიდნენ, მის ნაცვლად ახალი უნდა დაერგოთ.

სახვამლებო კაპლის ხის გამოყენება ოჯახს არ შეეძლო. ამიტომ მოჭრილ ხეს ისინი მეზობელს აძლევდნენ, რომელსაც ის თავის შეხედულებისამებრ იყენებდა (**მთხრ. კ. არჯევანიძე**). სახვამლებო ნიგოზის არსებობა ახსოვთ ლენქუმის მოსაზღვრე ქვემო რაჭის სოფლებში, ასევე ქვემო სვანეთის ზოგიერთ სოფელში (46, 137).

ლენქუმში მაგიური ძალის მქონედ ითვლება მწარე ბლის ხეც. მას ავი თვალის დათრგუნვის ძალა მიეწერება. ადრე მარანში, რომელიც ერთ-ერთ წმინდა და საკულტო ადგილად ითვლებოდა, წესად ჰქონდათ მწარე ბლის დირექტის გადება. პირველი დირე კანგაცლილი იყო. ეს დირე კარებში შემსვლელის თვალთახედვაში უმაღლ ექცეოდა. ცუდი თვალი მას თუ აჯობებდა, მისი მომდევნო დირე, რომელიც უკვე გაუთლელი მწარე ბალის ხისგან იყო დამზადებული ავი თვალის მავნე გავლენას ნამდვილად გააუვნებელყოფდა (**მთხრ. კ. არჯევანიძე**). ამგვარი დირები დღესაც არის შემონახული სოფელ ოყურეშში, კიაზო არჯევანიძის ასწლოვან მარანში. გადმოცემით ხარს თუ ბლის ხისგან დამზადებული ტაბიკი უკეთია, ავი თვალი ვერაფერს დააკლებს. მწარე ხის ჯვარი იდგმებოდა ეზოში დიდ ხუთშაბათსაც, ჭიაკოკონას ცეცხლის დანორების შემდეგ. მწარე ბლის ხე ოჯახის უფროსს უნდა მოეტანა, ჯვარსაც ის ამზადებდა და ისევ დგამდა. დიდი ხუთშაბათი კუდიანების დღედ იყო მიჩნეული და მწარე ბალის ჯვარი ალბათ მათი ავი ქმედებების გასანეიტრალებლად იდგმებოდა. აღსანიშნავია რომ სვანეთში ბლის ხის მასალა მხოლოდ ხატების დასამზადებლად გამოიყენებოდა.

დიდ ხუთშაბათს გარკვეული რიტუალის შემსრულებელს კუდიანების ნახვაც შეეძლო. ამისათვის საჭირო იყო უბრად ყოფილიყო, ატმის ხის ძირისათვის ფეხი მიედგა თხილის წკნელისგან დაეწნა ცხრილი და მასში გაეხედა. მიუხედავად ხერხის ცოდნისა არავის ახსოვს ადამიანი, რომელსაც კუდიანი ჰყავს ნანახი. მთელი დღე უბრად ყოფნა, თხილის წკნელების მოჭრა და შემდეგ მისგან საცერის დამზადება ერთ დღის განმავლობაში საძნელო საქმე

იყო და ამიტომაც არავინ ეშურებოდა მის გაკეთებასო (მთხრ. შ. ღურჯუმალიძე). ლეჩხეუმში ბლის ხეს შეშად არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდნენ – სანამ მისი ნაცარი არ გამოილევაო, ოჯახში დარდიც არ დაილევაო.

ლეჩხეუმის ეთნოგრაფიული მასალა მდიდარია იმ რწმენა წარმოდგენებით, რომლებიც თავისი არსით მაგიურ ქმედებებთანაა კავშირში. ამ მხრივ საინტერესოა გადმოცემები და შელოცვის რიტუალები, რომლებიც ავი თვალისგან, ან გარეშე, არაადამიანური ძალებისგან ვნების საწინააღმდეგოდაა მიმართული. მლოცველი, რომელიც თავისი ლოცვით გათვალისწილ ადამიანს ვნებას აშორებდა, ძირითადად ქალი იყო. ზოგიერთ ლოცვას მაშინ პქონდა ძალა თუ მას სამი სხვადასხვა გგარის ქალი შეასრულებდა. კაცის მლოცველობა იშვიათი იყო, თუმცა კაცის ლოცვას გაცილებით დიდი ძალა პქონდა ვიდრე ქალისას (მთხრ. შ. ღურჯუმალიძე).

ლეჩხეუმში დღესაც ახსოვთ როგორ უკრავდნენ პირს ნადირს, რათა შინაური საქონელი მათგან დაცული ყოფილიყო. საქონლის დამე გარეთ დარჩენის შემთხვევაში ასეთ მაგიურ ქმედებას მიმართავდნენ: იღებდნენ სკამს, რომელსაც ამოტრიალების შემდეგ ფეხებს თოკით უბორკავდნენ. ამოტრიალებულ სკამში დებდნენ პირშეკრულ მაკრატელს და მას ზემოდან ქვასანაჟს ადებდნენ. ეს ქმედებები ნადირს ფეხებს უბორკავდა, პირს უკრავდა და ქვას ადებდა პირზე (მთხრ. რ. მამარდაშვილი). ზოგიერთი გადმოცემით შებორკილ სკამში დებდნენ სავარცხელსაც (46, 131), რაც ალბათ უღრანი ტყის აღმნიშვნელი და განმასახიერებლი საგანია.

ნადირისგან დასაცავად ასრულებდნენ ლოცვებს: „ღმერთო, შენ აშორე ჩემ საქონელს დანა დაუსობელი, სუფთა აუღებელი, ურწყავუხარშავის მჭამელი“, სკამის შებორკვის შემდეგ იტყოდნენ: ღმერთო, ასე შეუბორკე ჩვენი საქონლისკენ მომავალ ნადირს პირი, რავარც ეს შეიბორკა, ისე შეუბორკე უწვავუხარშავის მჭამელს კბილები (46, 131).

არსებობდა სხვა ხერხი ნადირის პირის შესაკრავად – ნაჯახს „დაამცობენ“ ხოლმე ხეზე და დალოცებიან: ღმერთო შეუკარი პირი ნადირს, რომ ჩემი საქონელი არ შეჭამოს. ამავე დროს იციან ისკელიტას ლოცვა:

ეკენია, მეკენია, მეკენს ხატი არსენია

ღმერთო ნუ შეაჭმევ ჩემს საქონელს ნადირს (მთხრ. შ. ღურჯუმელიძე).

როგორც ირკვევა ისკელიტა სალოცავი ყოფილა, რომელსაც საქონლის მფარველობა ეკისრა. მ. ალავიძის ცნობით სოფელ ნაკურალეშში მაისში

ისკელიტობას იხდიდნენ. ამ დღისათვის გამოაცხობდნენ მახისა და ზანდურის განატეხებს (კვერებს). მივიდოდნენ ბოსელთან და საღორესთან და საქონელს ულოცავდნენ. ამის შემდეგ კვერს შეჭამდნენ. საუზმობის შემდეგ ისკელიტასკენ გასწევდნენ. ისკელიტა ნაკურალეშში ადგილს ერქვა, სადაც დიდი წიფლის ხე იდგა. ხესთან დაილოცებოდნენ: „დმერთო გაგვიმრავლე საქონელი, ასად აქციე ჩვენი ძროხა, ღორი, ცხვარი, მშვიდობით გვიმყოფეთ“. ამის შემდეგ იქვე სადილობდნენ (1, 162).

ისკელიტას სალოცავი სოფელ ნასპერში დღემდე არსებობს. აქ ისკელიტობა ხვამლობის ორშაბათს სცოდნიათ. ადრე ნასპერში ისკელიტობის დღესასწაულზე მოდიოდნენ რიონის ხეობის ლენტუმის სოფლებიდან. სცოდნიათ ხაჭაპურების გამოცხობა ისკელიტას სახელზე. ისკელიტობას ძირითადად ქალები ესწრებოდნენ (მთხრ. შ. დურჭუმალიძე).

საქონელის გათვალისაგან დასაცავად ადრე ხმარობდნენ თევზის თვალს – საქონელს რქას უხვრებდნენ, გახვრებილ რქაში თევზის თვალს დებდნენ და რქას ამ ადგილზე შეახვევდნენ.

ოჯახის ავი თვალისაგან დაცვის მიზნით ლენტუმში ღობის სარებზე ცხენის თავის ჩამოცმა იცოდნენ ხოლმე.

შელოცვის ტექსტები, თავისი შინაარსითა და წარმოშობით ბუნდოვანია. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანათ შელოცვის ტექსტების იმ მაგალითებს, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა.

გათვალულ საქონელს ან ადამიანს შემდეგნაირად ულოცავდნენ:

ალისასა მალისასა შენ გილოცავ თვალისასა  
შინაურმა გაგთვალა მაინც გათვალული ხარ  
გარეულმა გაგთვალა მაინც გათვალული ხარ (ეს ტექსტი მეორდება ორჯერ-სამჯერ).

ავაყუდე ფიცარი შენს გამთვალავს დაეცა ღვთისძალი  
იჯდა დედაო მარიამი საბძელსა, ქსოვდა ძოწეულსა,  
ჩამოიარა ურია ქეთელმა თმა შეაღლიტა გიშრისა  
შეიკიზილურა, მერე რა არის წამალი  
ანსაღა მანსაღა შავი გველი სანსაღა

ვინც შენ გაგთვალა მის სულს, მის გულს, მის მუცელს.

ეს ლოცვა მლოცველს უბრად უნდა დაეწყო, ლოცვამდე ხმა არავისთვის არ უნდა ჰქონოდა განაცემი. ლოცვის დროს იგი საქონელს ნახშირს ამცვრევდა

თავზე და ნახშირითვე თემოზე და რქებზე ჯვარს დაუსვამდა (მთხრ. რ. მამარდაშვილი).

არსებობდა ნათვალავის მეორენაირი ლოცვა:  
სახელისა ღვთისა, სულისა წმინდისა ამინ!  
წინ შემხვდომისას, უკან მომწევისას,  
თეთრლაჩაქიანისა და შავლაჩაქიანისას,  
გამევიარე გზა შავი, წინ დამხვდა ტბა შავი,  
ჩავკარ ხელი შავი, ამევიდე გველი შავი,  
გადავგარი სიპსა ქვასა რულისასა,  
ასად სკდება, ასად გრჯება, ასად გული გაუსკდება.  
შენს ავ თვალზე და ავ გულზე შემომხედავს  
თვალში ნაცარი, გულში ლახვარი  
ასკელ ბაძგარი, გულითა ლახვარი  
შენს ავ თვალზე და ავ გულზე შემომხედვარს!  
არური კუდიანებს, არური კუდიანებს, არური კუდიანებს!

(მთხრ. შ. ღურჭუმალიძე).

ამ ლოცვაში მლოცველი თვალის ვნებას ბოროტ ძალებს მიაწერს, რომლის განსახიერებაა შავი გველი. შავი გზა უნდა გაიაროს მლოცველმა, რომ შავი გველის სამყოფელამდე, შავ ტბაზე მივიდეს. ამ გზაში, მლოცველით შავი ძალების ნაწილი ხდება მათ საკუთარივე იარაღით, შავი ხელით ებრძის. გველის დაჭერის შემდეგ, ვნების მიზეზი უნდა განადგურდეს. გველის გადაკვრა რულის სიპისქაზე სავარაუდოდ მაგიურ შინაარსს შეიცავს. სიპის ქვაზე გადაკვრა გველისა, სხვა ლოცვაშიც ფიქსირდება: „გამოსკდა წითელი კლდე, გამოჰყვა წითელი გველი, გადაუკრავთ სიპის ქვასა...“ (17, 56). ამ ორ შემთხვევაში რულის ქვა არ არის ნახსენები. შესაძლოა რული ნახევრადმინარე ან ლეთარგიული, ჯადოსნური არსის გამოხატულებაა, რისი გადალახვა (მასზე გველის გადაჭიმვა) და შემდეგ გათვალვის მიზეზის (გველის და როგორც ლოცვის ბოლოში იხსენიება კუდიანების, ვისი ძალითაც ხდება ვნების მიყენება) განადგურება ადამიანს ნორმალურ მდგომარეობას უბრუნებს. რულთან (მიღლთან, მოჯადოვებულ მდგომარეობასთან) გათვალულის კავშირი ნათლად ჩანს იმ წარმოდგენიდან, რომ თუ ლოცვის დროს ის ვისაც ულოცავენ დაამთქნარებს ნამდვილად გათვალულად ჩაითვლება (მთხრ. შ. ღურჭუმელიძე).

შეშინებულის ლოცვა შემდეგნაირია:

გულო ადექი დადექი, თავის ბუდეში ჩადექი  
თეთრი ქორი ქანდარასო, ქათამი საბუდარასაო.  
გულო ჩადექ საგულესა, შეგიკრავენ საფულესა  
გულო ადექი დადექი, თავის ბუდეში ჩადექი (ეს ტექსტი მეორდება  
სამჯერ).

ამ ტექსტის წარმოთქმის დროს მლოცველი ვერცხლისბალთებიან ქამარს  
აიღებდა და „შეშინებულს“ გულზე ოვალურად გაპეცილად (ნახევარწრედ)  
მიადებდა. ხელებში ბალთები ეჭირა. თუ რომელიმე მხარეს დამოკლდება,  
შეშინების უტყუარ ნიშნად ითვლებოდა (**მთხრ. შ. ღურჯუმალიძე**).

არსებობდა ლოცვები, რომლის შესრულება ნებისმიერ ადამიანს შეეძლო  
როცა გასაჭირები იყო. ასეთია იმ მგზავრის ლოცვა, რომელსაც გზაში უეცრად  
შიში ეწვევა:

არსევანიას ვიყავი ვიტყოდი ადსარებასა  
ეშმაკო ჩამომეთხოვე არა ვარ შენი ნებისა  
მე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემია  
ქრისტე ნეკით მოწერილი, ქრისტე ნეკით მობეჭდილი  
იოვანე ნათლული მყავს, ნათლილებას დამხდური მყავს  
ჯვარი მწყალობს ჯვარსაცმელი, ვერას მიზამს მაცდური.  
მემუმური ქალის ან ძროხის გაშრობის საშიშროების დროს იცოდნენ  
წყლისის ლოცვა:

ანი იყო, ბანი იყო  
ორ წყალს შუა ნავი იყო  
ნავის წინ საყდარი გაშენდა  
საყდრის წინ ქალი გაჩერდა,  
ადე ქალო მოიტანე  
კალამი და კალმის ძირი.  
ავალ ზეცას გპითხავ დედას  
ჩამოვიტან ჩანგალსა  
ჩაგპრავ წყალში, გასაქრობად წყლისევისა,  
გუბ-გუბ ჭუჭუმელა  
ამ ძუძუში წყლის ამარა  
გოუწყრა წმინდა გიორგი  
გეიპარა დილასაო (**მთხრ. შ. ღურჯუმალიძე**).

ლოცვის ამ და ფ. გარდაფხაძე-ქიქოძის მიერ გამოქვეყნებული ნიმუშებით შეგვიძლია კოქვათ, რომ ლოცვები მაგიური ქმედებებია, რომელიც ადამიანსა და მათი საქონლის ავი ძალებისაგან დასაცავად გამოიყენება. საინტერესოა მათში დაფიქსირებული სიმბოლო-ხატების (შავი გზა, შავი გველი, შავი ხელი, რულის ქვა, ორ წყალს შუა ნავი, ნავის წინ ქალი და საყდარი, არსევანია და სხვა). შემდგომი კვლევა, რადგანაც უკველივე მათგანი კონკრეტული არსის მატარებელი უნდა იყოს და მათი ამოხსნა მნიშვნელოვნად გაგვიადვილებდა ძველად არსებული რწმენა-წარმოდგენების გაგებას.

საინტერესოა, ფ. გარდაფხაძე-ქიქოძის მიერ, ნაშრომში „ქართული ხალხური დღეობები“, დაფიქსირებული ცეცხლის ლოცვა, რომელსაც დამე ცეცხლის შეხვევის დროს ქალი ასრულებს, რათა დილით ცეცხლი ისევ აანთოს (დაუხვდეს):

ციცინასა, მანასა, მთა ჩხირი გათენებასა,  
მე მელოდე, მზეს ელოდე, მთვარეს  
ეღაღიდებოდე, დილას ადრე ავდგებოდე  
ვაჟაცურად დამხვდებოდე, ბაბუს სძინავს  
ბაბუს ღვიძავს, ბაბუს წვერი მიწაშია (17, 54-55).

ცეცხლის ლოცვაში ჩანს კერიის საკრალურობა, მასზე დანთებული ცეცხლის ფუძე (ბაბუს წვერი) მიწაშია. ცეცხლი ისევე, როგორც კერია ოჯახის საკრალური ღერძია, რომელიც აერთიანებს სამ სკნელს – ქვესკნელს (ცეცხლის წვერი მიწაშია), შეასკნელს (ცეცხლის დასანთებ ადგილს) და ზესკნელს (ცეცხლის ალი ზეცაში ადის). საყურადღებოა, რომ ამ საკრალური ადგილის მოვლა-პატრონობა ოჯახში ქალს აკისრია, მის მუყაითობაზეა დამოკიდებული ცეცხლის ჩაუქრობლობა, ოჯახის კერის ანგელოზის მუდმივი სიწმინდის შენახვა. გარდა ამისა, ლეჩხუმში ქალები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ მემინდვრეობაში – პურის ისეთი ჯიშების მოვლა, როგორიცაა მახა და ზანდური, თითქმის მთლიანად მათ ხელში იყო. მახისა და ზანდურის კრეფის დროს ისინი ხმარობდნენ ერთგვარ გაპეცილ ჯოხებს, შნაკვებს. ხორბლის ამ ჯიშების აღებაში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. შესაძლოა ქალის ამგვარი როლი მემინდვრეობაში იმ პერიოდიდან მოდის, როდესაც მიწაზე მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო ქცეული მამაკაცის მთავარ საქმედ. ამ მოსაზრების დასტურად თესვის დროს მიწის განოფიერების განსხვავებული ხერხების გამოყენების შემთხვევაში ქალისა და კაცის ფუნქციათა სხვადასხვაობაც

გამოდგება – თესვის დროს მიწა თუ კავით (სახვნელი) იხვნებოდა მთესველი კაცი, ხოლო მიწის თოხით დამუშავების დროს მთესველი ხშირ შემთხვევაში ქალი იყო. როგორც ცნობილია, მიწათმოქმედების განვითარების ადრეულ ეტაპზე თოხი მთავარი სამიწათმოქმედო იარაღია, სახვნელი კი მიწათმოქმედების შემდგომ ეტაპზე ჩნდება. ცხადია, ეს ტრადიცია მიწათმოქმედების ადრეულ ეტაპზე მემინდვრეობაში ქალის აქტიურ როლზე მეტყველებს. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ხორბლის ის ჯიშები რომლებსაც ლეჩხუმში ძირითადად ქალები უვლიდნენ, ნახევრადველურ ჯიშებად ითვლება, რაც მათ მიწათმოქმედების საწყის ეტაპთან კავშირზე მეტყველებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლეჩხუმში მახა და ზანდური გაცილებით დიდ ფართობზე იყო დათესილი ვიდრე მის მომიჯნავე პუთხეებში, თუმცი ზემო და ქვემო რაჭაში. მახა მაინცადამაინც ნოყიერ მიწას არ მოითხოვს, მწიფება სხვა ხორბლეულზე ერთი ან ორი კვირით ადრე და სწორედ ამიტომ მოსავლის აღებისას მოილოცავდნენ და ჭამდნენ მახას. მახის პური მაღალი ხარისხისაა, თეთრი და არომატულია. მახა ისევე როგორც ზანდური კილიან ფხიან ხორბლეულთა ჯიშს მიეკუთვნება და ეს თრივე მოსავლის რაოდენობის მიხედვით ჩამოუგარდება შიშველთესლიანებს (იფქლი, ხულუგო), მაგრამ საუკეთესო ხარისხისაა და მახისა და ზანდურის პური დიდხანს რბილად ინახება. დიდხანს ვარგისიანობა შესაძლოა ერთ-ერთი მიზეზიც იყოს მახისა და ზანდურის პოპულარობისა ლეჩხუმში – ნ. ბრეგაძე ვარაუდობს რომ განსაკუთრებით გვიანშაჟასაუკუნეებში ლეჩხუმელი მეომრებისთვის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთ საქართველოს სამხედრო ბატალიებში და მუდმივად გზაში მყოფი უბრალო ლეჩხუმელისთვის (ბარში სავაჭროდ მოსიარულე გლეხი, ცნობილი ლეჩხუმელი გამცილებელი/ტვირთმზიდავი ჩალვადრები) დიდად ფასეული იქნებოდა მახისა და ზანდურის დიდხანს ვარგისიანი პური (14, 180).

მახისა და ზანდურის პოპულარობას ალბათ ზემოთ უკვე აღნიშნული მათი შედარებით „უპრეტენზიულობაც“ განსაზღვრავდა. გარდა ამისა, ზანდურს არასასურსათო დანიშნულებაც ჰქონია – ზანდურის საკრეფი სპეციალური ხელსაწყოთი, შნაკვით მოსავლის აღების შემდეგ ჩალას არ აბზევებდნენ, საქონლის საკვებად არ იყენებდნენ. თავთავებგადამტვრეულ კოროლს მკიდნენ ან ხელით თხრიდნენ, და კოროლს სახლების გადასახურად იყენებდნენ. მთხოველთა გადმოცემით არც თუ ისე დიდი ხნის წინ ყავარი შედარებით

ნაკლებად ყოფილა გავრცელებული და სახლები ლეჩეუმში ძირითადად კოროლისგან იხურებოდა. შესაძლოა მახისა და ზანდურის ლეჩეუმში უფრო მეტად გავრცელება იმ ფაქტორსაც მივაწეროთ, რომ რაჭაში ყავარი უფრო ხელმისაწვდომია, რადგან საყავრე მასალა, წიწვოვანი და განსაკუთრებით ნაძვი რაჭაში გაცილებით ბევრია ვიდრე ლეჩეუმში.

ქალების აქტიური მონაწილეობა მემინდევრეობაში მარგვლასთან და მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ სხვა რიტუალებშიც ჩანს – აღდგომის კვირის ოთხშაბათი ლეჩეუმში შეწირულია „სამარგილო პურის ბარაზე“. რაჭაში ეს ოთხშაბათი პურის ლოცვის დღეა (14, 128). ლეჩეუმში პურის პირველი მარგვლა (გათოხენა) აუცილებლად ამ დღეს უნდა დაწყებულიყო. ოჯახის უფროსი ქალი ამ დღისთვის აცხობდა ყველიან და ლობიან ტაბლებს, წაიღებდა პურის ყანაში, წაღმა შემოატრიალებდა და დაილოცებოდა. ამავე დღეს, მარგვლის დაწყებამდე სარეველა გლიხორხას გავრცელების აღკვეთად სრულდებოდა ერთი უცნაური რიტუალი – ქალი ქვედა საცვალს იხდიდა და ყანაში მიწაზე მიატარ-მოატარებდა, თანაც გლიხორხას მისამართით ხმამაღლა იგინებოდა. გადმოცემით სარეველა ქალის გინების შიშით ბოლო დროს ძველებურად ვეღარ მრავლდებაო (17, 33). ამ დღეს ლეჩეუმში ჭაბუკობას უძახიან. ლეჩეუმშივე არსებობდა სარიტუალო დღე „მახიკრევის ჭაბუკობა“, რომელშიც კვლავ მარტო ქალები მონაწილეობდნენ – კვირიკობის თვის პირველ ორშაბათს ლეჩეუმში მახის ნათესების აღებას იწყებდნენ. ქალები ყანებში დილაადრიან მიღიოდნენ, ადრევე ბრუნდებოდნენ შინ, ტაბლასა და შემწვარ მამლის ხორცს წაღმა შემოატრიალებდნენ და ილოცებოდნენ: „დმერთო, გაგიკეთე ჩვენი ნათესი, მოგვაწევინე მახა, პური, ნუ დაგვიბნევ და ბედნიერებაში მოგვახმარე“. ტაბლასა და მამლის ხორცს მთელი ოჯახი შეექცეოდა. მახის გარდა სხვა პურეულის აღებას წინ ამგვარი რიტუალი არ უძღვოდა – უბრალოდ მკის დაწყებისთვის შეარჩევდნენ სავსე მთვარიან დღეს, მოწყვეტდნენ რამოდენიმე თავთავ პურს, კონად შეკრავდნენ და ბეღლეში ჩამოკიდებდნენ. დამთვარების (მთვარის ერთი ციკლის დამთავრების შემდეგ) შემდეგ შეიძლებოდა მკის დაწყება (14, 128). აღოს ჩაგდმის დროსაც რიტუალის შემსრულებელი ქალი იყო – აცხობდა მარილიან ტაბლას, რომელიც ჭიქა წყალთან და სანთელთან ერთად მიქონდა კალოზე. კალოზე ამ ყველაფერს სამჯერ წაღმა შემოაბრუნებდა და შემდეგნაირად ილოცებოდა: „დმერთო, გამჩენო ძალა, ჩემ პურს მიუცი კაი ხვავი, ბარაქა, კაი ნიავი მომიყვანე“. შემდეგ

წყალს გადააქცევდა და ტაბლას სადილობისას მიირთმევდა. ასეთივე მოკლე რიტუალი უძლოდა ახალი მოსავლის პურის ხმარების დაწყებასაც, ცხვებოდა ნიგვზიანი ან მარილიანი საბარაქო ტაბლები, ოჯახის უფროსი ქალი კერიის ძირში ლოცულობდა. ქალების ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე მოსავლის ჩიტებისგან და სხვა მავნებლისგან დაცვა – 24 ივნისი ლეჩეუმში უქმე იყო და ღომის ლოცვის დღედ იყო მიწნეული. ამ დღეს ისიც უქმობდა, ვისაც ღომის ნათესები არ ჰქონდა. რაჭაში ამ დღეს არ უქმობდნენ. ლეჩეუმში 24 ივნისს ქალს ღომის ყანაში გაქონდა ნიგვზიანი ან ყველიანი ტაბლა, ტაბლას წადმა ატრიალებდა და ლოცულობდა: „ღომის გამჩენო ძალა, შენ დაიფარე ჩემი ღომი ჩიტის დაჩიჩქნისგან, ჭიისაგან“: ტაბლას იქვე შეჭამდნენ. ამ ტაბლის ჭამა მამაკაცს ეკრძალებოდა (17, 41). ასევე მავნებლის საწინააღმდეგოდ იყო მიწნეული წითელი პარასკევის დღე, როდესაც „ჭრის ბარაზე“ ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა მარილიან ტაბლას, კერიასთან ლოცულობდა და ღმერთს მჰრელისგან, თაგვისგან და ყოველგვარი მავნისგან დაცვას თხოვდა. ტაბლას ოჯახის წევრები მიირთმევდნენ, არ ჭამდა მხოლოდ ოჯახის უფროსი ქალი (17, 30).

მამაკაცი გარდა ვენახთან დაკავშირებული რიტუალებისა მონაწილეობს და მთავარი ფიგურაა ამინდთან დაკავშირებულ რიტუალებში. ლეჩეუმში კოხის (სეტყვის) საწინააღმდეგო დღესასწაულს კვირტობა ეწოდება და აპრილის შუა რიცხვებში იმართება. კვირტობისთვის მთელი სოფელი შეიძენდა საკლავს, რომელსაც საჯვაროზე აიყვანდნენ. უფროსი კაცი სახოლით მარჯვენა ბეჭედი შეურუჯავდა, წაღმა შემოატრიალებდა, ხელში აიყვანდა, მაღლა აწევდა და დაილოცებოდა. სოფლის ყველა მეკომურს ურიგდებოდა თითო შამფური, რომელზედაც საკლავის ყველა ნაწილიდან პატარ-პატარა ნაჭრები იყო წამოცმული. მის შემდეგ უფროსი კაცი კვლავ დაილოცებოდა. ქეიფის დაწყების შემდეგაც პირველი სადღეგრძელო ავდრისაგან მოსავლის დაცვას ეძღვნებოდა 17, 37-38). ასევე კოხის საწინააღმდეგოდ იმართებოდა კოხინჯრობა 7 მაისს ქვემო რაჭასა და ლეჩეუმში, 9 მაისს ზემო რაჭაში. ლეჩეუმში, დიდ ხუთშაბათს სრულდებოდა ავი თვალისგან დასცავი რიტუალი, რომელსაც უფროსი მამაკაცი ასრულებდა. იგი დილაადრიან უბრად მიდიოდა ტყეში, საიდანაც მოქონდა ვერხვის ან მწარე ბლის ტოტი. ტოტზე პორიზონტალურად ჩაარჭობდა ასკილს და კალოზე დადგამდა. დიდ ხუთშაბათს რკინის რკინაზე დარტყმით, მავნებლებისგან და სიავისგან თავდაცვის მიზნით, კარმიდამოს შემოვლაც

ცოდნიათ (14, 136) უქმე დიდი ხუთშაბათიდან კვირის დასრულებამდე გრძელდებოდა. ლექსუმისგან განსხვავებით, რაჭაში დიდ ხუთშაბათ დღეს ავი თვალისგან დასაცავად ტყიდან მწარე ბლისა და ასკილის ტოტი ოჯახის უფროსი კაცის ნაცვლად ოჯახის უფროს ქალს მოქონდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლექსუმში საკულტო რიტუალების დროს ქალს საქმაოდ დიდი ფუნქცია აქვს. ქალს, გარდა იმისა, რომ კერიას უვლის, საოჯახო რიტუალების დროს უმთავრესი მლოცველიცაა. ქალი ოჯახისათვის, საქონლისათვის, მიცვალებულთა სულებისათვის ლოცულობს ისეთ მნიშვნელოვან „დიახწველებზე“ როგორებიცაა: ბარბარობა, ჭანტილობა, შობა, კალანდა, ახალიწელი, სულის გადაბრძანების დღე, კაი პარასკევი, ბოსლობა დღე, თევდორობა, დიდი ხუთშაბათი, გიორგობა, ხვამლობა, ამაღლება, მახიკრეფის ჭაბუკობა, ლვთისმშობლობა, სულთა შაბათი. დღესასწაულების დროს უმეტესად ქალები უქმობენ. საერთოდ, ლექსუმური დღესასწაულების მიხედვით ქალს განსაკუთრებული, ოჯახში დიდად დაფასებული ადგილი უჭირავს. ქალის პატივისცემის და ოჯახის უფროსობაში კაცზე არანაკლები როლის დასტურია ახალკვირის დღესასწაული: ამ დღეს ოჯახის უფროსი ქალი წმ. გიორგის, მთავარანგელოზის, მაცხოვრის და კიდევ რამოდენიმე ხატისაგან ცდილობდა წყლიანი თევზითა და ბამბის ძაფით შეეტყო რომელი ხატი უწყრებოდა მათ ოჯახს და აავადებდა ოჯახის წევრებს. ამ რიტუალის შემდეგ ეპლესიაში მიჰქონდათ შესაწირი. ეკლესიიდან ხალხი ოჯახებში ბრუნდებოდა, სადაც მრავალსტუმრიანი წვეულება იმართებოდა. პირველი კათხით იტყოდნენ: „ღმერთი, ვახსენოთ და პური ვჭამოთო“. ამ კათხას ქალიცა და კაციც ბოლომდე სკამდა. ქალები და კაცები მაგიდის მოპირდაპირედ, მწკრივში ისხდნენ. თამადის არჩევა მეორე ჭიქით ხდებოდა. თამადის პირველი სადღეგრძელო კი აუცილებლად ოჯახის უფროსი ქალისა იყო: „ოჯახის უფროსო ქალო ნუ მოგშალოს ღმერთმა ამ ოჯახში უფროსად – შენიანობის საპატივცემოდ, შენი ქმარ-შვილისთვის გამყოფოს უფალმა ღმერთმა კარგად, სულ სახელი ნუ მოგშლოდეს მტერსა და მოყვარეში, როგორც დღეს ხარ პატიოსანი, ისე ბრძანებულიყო სიკვდილის დღემდი“. შემდეგი სადღეგრძელო ოჯახის უფროსი მამაკაცისა იყო (17, 36).

ვენახი და მასთან დაკავშირებული რიტუალები ოჯახში მამაკაცის პრეროგატივა იყო. ახალწელს „მკვლოვიარის“ (მეკვლე) მოსვლამდე ზოგიერთ ოჯახში უფროსი კაცი დილადრიან ჩავიდოდა მამულში და ხმამაღლა

დაიძახებდა: „ანგურამ ჩამეიარა, ჩვენი მამული ჩამეიარაო, წვივი მეიტეხაო, ღვინის ღვარი ააყენაო: ისხა, ისხა, ისხა... გამოღმა კვირის თავი გაღმა კირის თავი, გამოღმა ყურძენი – გაღმა ფურცელი. ასეთი შეძახილით შემოივლიდა მთელს ვენახს და შინ ბრუნდებოდა (17, 12).

ზოგიერთ ოჯახში ახალწელს, ნაშუადღევისთვის უფროსი კაცი ზურგზე შეისვამდა (მოიკოტრებდა) ოჯახის წევრს – კაცს. ხელში დაიჭერდა ტაბლას, რომელზედაც ეწყო ბადეგადაცმული ღორის შემწვარი გული, ჭიქით ღვინო, საკმევლის სანთელი, ზანდურის თავთავების კონა. ვენახში შესვლისთანავე იტყოდა: ღუზ, ღუზ, ღუზ (სიუხვის აღმნიშვნელი შეძახილი). ზურგიდან კაცს ჩამოსვამდა, ნაკვერჩხალზე სანთელს დააკმედა, ტაბლას წადმა შემოატრიალებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, მოგვეცი უხვად საზრდო და ულუფა, გაუმარჯვე ჩვენს ვენახს, აცილე კოხი, შფოთი, მოგვიყვანე ბევრი მოსაწური. შემდეგ ზანდურის კონას მიიტანდა ხარდნის (ჭიგო) თავზე და ღუზ ღუზს გაიძახოდა. ამის შემდეგ ღვინოს დალევდნენ, საჭმელს შეჭამდნენ და შინისკენ გამოსწევდნენ. ამგვარ რიტუალს ზოგიერთი ახალიწლის მეორე დღეს „ფეხისდაპწნის“ დღეს ასრულებდა. შინ დაბრუნებისას კაცი კარშივე დაიძახებდა ღუზ, ღუზ, ღუზ და შინაურებიც პასუხობდნენ: ღუზ, ღუზ – ჩვენ მამულს ბვერი მოუბამს. ვახშმობისას უფროს კაცს უკნიდან ბავშვი მიეპარებოდა (სასურველია ბიჭი ყოფილიყო) მასაც ბავშვისთვის ჯერ მარჯვნიდან უნდა მიეწოდებინა ჭიქით ღვინო, მერე მარცხნიდან. ღვინის მიწოდებისას ბავშვს ეტყოდნენ „ღორცვა მამულისა“, ის კი უპასუხებდა: „ბევრი მოაბმევინე ჩემს მამულს“. ბავშვს ორივე ჭიქა უნდა დაეცალა (17, 14-15).

ოჯახის უფროსი კაცი ლოცულობდა ცხრა მარტსაც, „თვეთ ბატონისადმი“ მიძღვნილ დღესაც. ამ დღეს ოჯახის უფროსი „თვეთ ბატონს“ (მარტის თვეს) ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მოწყალებას სოხოვდა და სადილობაზე აუცილებლად 9 კულა ღვინოს სვამდა. „ნაცხრამარტევს“ ხვნა-თესვის დაწყება შეიძლებოდა, ცხრა მარტამდე კი სამიწათმოქმედო საქმებიდან არაფერს არ დაიწყებდნენ. ამ დღემდე საზოდგადოდ ყოველგვარი საქმის დაწყებისგანაც იკავებდნენ თავს – მარტი თვეთ ბატონია, ანჩხლი თვეა, ფერება უნდაო და მის განაწყენებას ერიდებოდნენ თურმე. ოჯახის უფროსი კაცი ჯვარსახიანი ტაბლით (ნიგზიან-მარტიანი ნამცხვარი) და ღვინიანი კულით ხელში კერიის მარჯვენა მხარეს ჯდებოდა და განატეხის წაღმა შემოტრიალების შემდეგ თვეთ ბატონს ბედნიერებას და კარგად ყოფნას შესთხოვდა, სანაცვლოდ 9 მარტამდე საქმეების

დაუწყებლობას და ამ გაგებით უქმობას პირდებოდა (17, 27-28). მარტის პატივსაცემი ამგვარი დღესასწაული არსებობდა რაჭაშიც და იქაც როგორც ლეჩხუმში ნაცხამარტევს შეიძლებოდა მიწის სამუშაოების დაწყება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 9 მარტი ახალი სტილით 21 მარტია, ეს დღე კი გაზაფხულის ბუნიობის დღეა. საფიქრალია, რომ დღე-დამის სწორობის მითოლოგიური გააზრების შედეგად ხალხური წარმოდგენებით ამ დღის შემდეგ ზამთარი დამარცხებულია და გაზაფხული მოდის, ე.ი. ხვნა თესვის დრო დგება. საინტერესოა ასევე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რიტუალი, რომელიც ლეჩხუმში და მის მეზობელ ქვემო რაჭაში აუცილებლად ცხრა მარტამდე სრულდებოდა – ხვნა-თესვის დაწყებამდე თითქმის ერთი თვით ადრე არჩევდნენ დღეს და ასრულებდნენ „თესლის გადების“ რიტუალს. ეს დღე ორშაბათი ან ოთხშაბათი უნდა ყოფილიყო, ხანდახან თესლის გადებისთვის თედორობა დღესაც ირჩევდნენ, ანდაც თედორობის კვირაში დაიმთვარებდნენ და ძველი სტილით კენტ – 7-9-11 რიცხვში, სავსე მთვარეზე, მაშინ როდესაც მთვარე მატებაში შედიოდა გაიღებდნენ თესლს. ამ დღისათვისაც ცხვებოდა ტაბლები. ვახშმობის შემდეგ, მოსალამოებულზე, როცა ხალხის მოძრაობა წყდებოდა ოჯახის უფროსი ქალი სახლიდან გამოდიოდა ტაბლებით, თოხითა და ერთი მუჭა სათესლე მარცვლით ხელში. იგი დაილოცებოდა, დმერთს მშვიდობას და უხვ მოსავალს შესთხოვდა, თოვლიც რომ ყოფილიყო ერთ-ორ კვალ მიწას მოთოხნიდა და მარცვალს დათესავდა. ლეჩხუმში ეს რიტუალი ხშირად მარანში სრულდებოდა აღსანიშნავია რომ ქვემო რაჭაში ანალოგიურ რიტუალს ოჯახის უფროსი კაცი ასრულებდა (14, 125).

ნათლიდების დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი ჭურის თავზე ილოცებდა. იგი სისხამ დილით, „ჩიტის აზვრამდე“ საკალანდოდ დაკლულ დორის თავს ჩამოხსნიდა სხვენიდან, კერის მარჯვენა მხარეს ტუჩით დაუჩაჩქუნებდა, გაასუფთავებდა და თავისი ხელით ხარშავდა. ქალის მიერ გამზადებულ სამ ტაბლასთან ერთად დორის თავი მიპქონდა მარანში, დაგოზილ ჭურთან. ჭურს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა (გობს სადაც ტაბლები ეწყო, ცალ მუხლზე დაჩოქილი წაღმა შემოატრიალებდა) „დმერთო, დეიფარე ჩემი ჭურის თავი უწმინდურისაგან, სლივანეისაგან (ერთგვარი მატლია), ყინვის გატეხისაგან“. შემდეგ დვინოს დალევდა, ტაბლას შეჭამდა, დორის თავს ნაჭერს ჩამოათლდა და შეჭამდა. ჭურს ისევ დაგოზავს და ტაბლებიანად შინ დაბრუნდება (17, 16). ნათლისდების დღეს ქალის გავლა ჭურებთან აკრძალული ყოფილა.

„յաս პարասկեցե՞ս“ პորովոտ ხდებოდა – ქალո մամաკաცեბու շինմრած ჯვարսաեն յոնցեն ტածլաս, სանտյալսագմեցել ნաշաբին ხալսա და յრտ ჭոქա շաբա დროს საღორესთան მიուტანდა, ტაծლաս წაღმა შემოატრიალებდა და დაილուցებოდა: „Մոնճա ბասոლա, გამიმრავლე ჩემი დორებიო.“ ქალու საღორესთան ლოცვის დროს მამաკաცი საღორესთან არ გაივლიდა.

დღესასწაულებთან დაკავშირებულ რიტუალებში თავისი ადგილი უჭირავთ ბავშვებსაც. ისინი თითქმის ყველა რიტუალის წევრები არიან. ზოგიერთ დღესასწაულში ისინი აქტიურადაც მონაწილეობდნენ. მაგალითად სულთა გადაბრძანების დროს სულებისათვის დამე ნალიაში ან ეზოში დამალულ საჭმელს ადრე ამდგარი ბავშვი ჭამდა, ახალიწლის მეორე დღეს ბავშვის მიერ უნდა შესმულიყო „მამულის (ვენახის) ლოცვის“ სადღეგრძელო (17, 15), შავ ორშაბათს ბავშვები ქათმის გასამრავლებლად შეძახილებს ასრულებდნენ. ამადლობა დღეს ბავშვები წვრილფეხა საქონელს მიდენიდნენ საძოვარზე. შინ დაბრუნებულებს დაჭრელებული თხილისა და ასკილის ორ-ორი ჯოხი მოჰკონდათ. ნასადილევს შინ მორეკილ საქონელს წინ ერთი ბავშვი გაუსწრებდა, ჭიშკართან სიგრძეზე დააწყობდა ასკილის ჯოხებს, სხვა ბავშვები კი საქონელს ამ ჯოხებზე გადაარბენინებდნენ. შემდეგ ამ ჯოხებს ჭიშკრის აქეთ-იქით ჩაარჭობდნენ და ხმამადლა ამბობდნენ „ამაღლების გამჩენო ძალა, ჩვენი საქონელი დაიფარე ნადირისაგან და ყოველ მავნებლისაგან.“ ბავშვებისთვის ჭიშკართან ტაծლაც გამოჰკონდათ, ერთი მათგანი დაილოւცებოდა და დვინოსაც დალევდა (17, 15).

მსხვილფეხა რქოსანზე, მუშა ხარზე ოჯახის უფროსი მამაკაცი ბოსლობა დღეს დაილოւცებოდა. ეს დღე ხარების ჯანმრთელობისთვისაა მიძღვნილი და ამ დღის რიტუალებში თითქმის თანაბარია ქალისა და მამაკაცის როლი. ბოსლობა დღე უქმე იყო და მისი გატეხვა არაფრით არ შეიძლებოდა. ამ დღის მნიშვნელობას ლეჩხუმში შემორჩენილი ეს ფრაზაც მოწმობს : „ბოსლო-კოტრო ბრძანდებაო – ქალო, ნე სტავ ჩერიასა, ზე შეგახმობ ხელიასა, ზე დაგაკლავ კერიასა“ (5, 95) მთავარი რიტუალი კერასთან, ადგილთან რომელიც საცხოვრებლის და საერთოდ ოჯახის მისტიურ ცენტრს წარმოადგენდა, სრულდებოდა. რიტუალის მაგიურობას ხაზს უსვამს ისიც რომ მისი შესრულების დროს აბსოლუტური სიჩუმე უნდა ყოფილიყო. „აკვნის ბავშვსაც კი არ უნდა ეტირა“ (5, 93). ოჯახის უფროსი კაცი და ქალი შესაბამისად საკაცებო და საქალებო მხარეებზე დგებოდნენ. დაიოთხებდნენ. ქალი დაიწყებდა ძალის:

„კოტ-მოზერა, კოტ-მოზერაო“ დაოთხილი მამაკაცი ქალისკენ მიდიოდა შეძახილით: მე ვარ შენი მოზერიო“. ქალს კაცი ზურგიდან უჩერდებოდა და ფალოსამოღებული ირხეოდა, რითაც სექსუალური აქტის იმიტაციას აკეთებდა. შემდეგ, დაოთხილები (წინ ქალი და უკან კაცი) კერიას „წალმა“ (მარჯვნიდან მარცხნივ) სამჯერ შემოუვლიდნენ გარს. სექსუალური აქტის იმიტაცია ხდებოდა უველ წრეზე, საქალებო ნაწილში. შემდეგ ისინი ფეხზე დგებოდნენ და საქონლის ბარაქაზე ლოცულობდნენ. ლოცვის დროს კაცს ღვინის დოქი ეჭირა, ხოლო ქალს ლობიოსგულიანი განატეხი, რომელზედაც ორი ტაბიკი იყო გამოსახული. რიტუალს ოჯახის ყველა წევრი ესწრებოდა და ისინიც საქონლის ბარაქაზე ოჯახის უფროსებთან ერთად ლოცულობდნენ.

ბოსლობა დღის რიტუალური მხარის მეორე ვარიანტი იდეურად ზემოთადწერილის იდენტურია, თუმცა შესრულების თვალსაზრისით განსხვავებულია – ბოსლობისთვის მზადებას შუადღეზე იწყებდნენ. დიასახლისი ცომს მოზელდა და ცერცვის ხარშვას იწყებდა. ცომის აფუების შემდეგ პატარა სართავიან ტაბლას გამოაცხობდა, რომელიც ოჯახის სალოცავი იყო. სარიტუალო ქმედებები კერიაზე საკმევლის ნაკვერჩხალზე დაკმევით იწყებოდა. შემდეგ ქალი ილოცებოდა : „ღმერთო დეიფარე ჩემი ოჯახი ცეცხლისგან, დეიფარე ჩემი ქმარ-შვილი უველი მავნებელისგან. ამ დროს კაცი მიდის მასთან და ეუბნება „ბოსლა-კოტრა მომეკოტრეო“, ზურგზე მოიკოტრებს და სამჯერ შემოუვლიან კერას. ცოლ-ქმარი ამის შემდეგ ტაბლას შეჭამდნენ. ვახშამისთვის უნდა გამოეცხოთ საოჯახო სალოცავი, სამი ცერცვიანი ტაბლა და ხარის სალოცავი, სამი შედარებით პატარა ცერცვიანი ტაბლა. შებინდებისას, ოჯახის წევრი, ჯანდონით სავსე მამაკაცი (ვახშმამდე) სანთლით ხელში ხარის სალოცავი ტაბლებს, ერთ ჭიქა ღვინოსა და იმდენ უმ კვერცხს, რამდენი ხარიც იყო ოჯახში, წაიღებდა ბოსელში. ტაბლების, სანთელის, კვერცხებისა და ღვინის ყველა ხარის თავზე შემოვლების შემდეგ ასრულებდა ხარის ლოცვას. ლოცვას რომ დაასრულებდა დაიძახებდა: „მამა ჩემი რომელს ურქინო?“ სახლიდან მამა ან სხვა მამაკაცი პასუხობდა: ნიკორას ურქინეო. რიტუალის შემსრულებელი მარჯვენა მუხლს წაკრავდა დასახელებულ ხარს და ეტყოდა: ჩემი ნიკორა ჯანიერად მეყოლეო. ბოლოს მამაკაცი წალმა შემობრუნდებოდა და პვერცხებს ბაგის კუთხეში მალავდა. მეორე დღეს ამ კვერცხებს ოჯახის ვაჟიშვილი ჭამდა. ოჯახის ქალიშვილს ამ კვერცხების ჭამის უფლება არ ქონდა. ქალი იმ დროს როცა მამაკაცი ხარებს ულოცავდა, კერასთან მიდიოდა გობით,

რომელზეც ეწყო საოჯახო ტაბლები და ერთი ჭიქა ღვინო, ანთებდა სანთელს და კვლავ ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას შესთხოვდა დმერთს. ტაბლები ოჯახის ყველა წევრს უნდა შეეჭამა. ხარის თავზე შემონავლებ ღვინის დალევის უფლება მხოლოდ ხარის შელოცვის რიტუალის შემსრულებელს პქონდა. გადმოცემით კერის სამჯერ შემოვლის დროს ცოლ-ქმარი შიშველი უნდა უფილიყო (17, 19-21).

ბოსლობა დღის სარიტუალო მხარის ნიუანსები ჩანს მამაკაცსა და ქალის სამეურნეო და საოჯახო ფუნქციების დანაწილება – ქალის მთავარი საზრუნავი პერა და ოჯახის წევრთა მოვლაა, კაცი კი მიწათმოქმედებას და საერთოდ მატერიალური დოვლათის შექმნას აქცევს ყურადღებას. ბოსლობა დღის მერთერთი მთავარი რიტუალი, სექსუალური აქტის იმიტაცია (რიტუალის ორივე ვარიანტში) ვბარდაველიძის აზრით მაგიური ქმედებაა: ოჯახის უფროსი მამაკაცისა და ქალის იმიტირებულ აქტს ზემოქმედება უნდა მოეხდინა საქონლის გამრავლებაზე (5, 97). შემთხვევითი არაა ბოსლობა დამის შესახებ შემონახული ცნობაც – ამ დამეს რაც უფრო მეტჯერ შეეუდლებოდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარი მით უფრო მეტი საქონელი ეყოლებოდათო (5, 93). თვით რიტუალის დროს, მამაკაცისა და ქალის დაოთხილი მდგომარეობა, მეორე შემთხვევაში კი ზურგზე მოკოტრება, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის დიალოგი ეჭვგარეშედ ადასტურებს რომ ისინი ცხოველურ (საქონლის) სექსუალურ აქტის იმიტაციას ახდენდნენ. სავარაუდოა, რომ ძველად რიტუალის შესრულების დროს, კერასთან ქალისა და მამაკაცის შეუდლება (5, 97).

ლეჩეუმში არსებული რწმენა-წარმოდგენები, მრავალწლიანი დაკვირვება ბუნებრივ მოვლენებზე განსაზღვრავდა ზოგიერთ სამეურნეო ტრადიციას. სამეურნეო თვალსაზრისით მთვარეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საერთოდ მთვარე და მისი ფაზები, ლეჩეუმელთა წარმოდგენით, გასათვალისწინებელია ყველა დიდი და მნიშვნელოვანი საქმის დაწყების წინ. ახალ მთვარეზე ლეჩეუმში ხის მოჭრას ერიდებოდნენ, დაჭიანდებაო. აგრეთვე არ სხლავდნენ ვაზს, რადგანაც ახალ მთვარეზე გასხლული ვაზი კარგად გაიფოთლება, ტანსაც აიყრის, მაგრამ ნაკლებს მოისხამსო. მარცვლეულისა თუ ბოსტნეულის თესვასაც მთვარეს ურჩევდნენ: ის რაც ფოთლად უნდათ ახალ მთვარეზე ითესება, ხოლო რამაც თავი უნდა გაიკეთოს – ძველზე. თესვა კარგია დიდ ხუთშაბათს და თედორობა დღესაც (მთვარე თუ არ უშლის ხელს). ახალ მთვარეზე კარგია ღვინის გადაღებაც.

ლეჩეუმელთა წარმოდგენით კვირის დღეებს თავიანთი თვისებები გააჩნიათ: ორშაბათი ხარბი დღეა, სამშაბათს კარგია თესლის გაღება და მგზავრობის დაწყება, ოთხშაბათი ნაკიანია, ხუთშაბათი – კიდევ სხვა ჯობიაო იტყვიან, პარასკევს დაბადებულ ადამიანს ცეცხლი, ხოლო საქონელს მგელი ერჩისო, კვირა კარგი დღეაო, ხვნა-თესვის დაწყებას სამშაბათს ან შაბათს ამჯობინებდნენ (17, 52).

ორშაბათი და ხუთშაბათი განსაკუთრებული დღეები იყო. ორშაბათს მგზავრობას ან საქმეს არ დაიწყებდნენ. ორშაბათს და ხუთშაბათს საკუთარი თავის მოვლაც კი აკრძალული იყო. თუ მაინცა და მაინც ვინმე ამ დღეს დაიბანდა, ფეხის ნაბან წყალს გარეთ არ ასხამდა. იმ დღეს სახლში ინახავდნენ და მეორე დღეს გადაასხამდნენ. მიცვალებულის დაკრძალვა ორშაბათს სასტიკად იკრძალებოდა. ხუთშაბათიც დასაფლავებისათვის ტაბუდადებული დღე იყო. თუ ვინმე დაასაფლავებდა მიცვალებულს ხუთშაბათ დღეს იტყვიან „ხუთშაბათოულე გახადეს კაციო“, ე. ი. არ დააფასეს არად ჩააგდესო. აქედანვე უნდა იყოს თქმა „მიახუთშაბათა“, ანუ საქმე ისე გააკეთა, როგორც არ უნდა გაეკეთებინა, მიჩქმალა თუმცა საქმეს გარეგნულად შესრულებულის იერი აქვსო.

ორშაბათსა და ხუთშაბათს, ლეჩეუმელი არაფერს გაყიდდა, არც გაანათხოვრებდა – ხელს გადაყვება და ოჯახში ბარაქას გამოულევსო (**მთხოვანი**, ალ. უგრეხელიძე).

## დასკვნა

ლეჩეუმის საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა, როგორც ეს ლეჩეუმის ეთნოგრაფიული მასალისა და ისტორიული წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეთა საზოგადოებრივი და საოჯახო ურთიერთობებისა. თუმცა ლეჩეუმს, როგორც ცალკე ეთნოგრაფიულ კუთხეს ახასიათებს თავისებურებებიც.

ლეჩეუმის საზოგადოებრივ ყოფას, სოციალურ სტრუქტურას, დასახლების ტიპს ისტორიული, გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების თავისებურება განაპირობებდა. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და საგაჭრო ცენტრებთან სიახლოვე, თანაც მთის ადგილისთვის დამახასიათებელი რთული რელიეფი, რაც ამ კუთხეში მტრის შემოსევებს ამნელებდა, ლეჩეუმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა. გარდა ამისა ლეჩეუმი მდებარეობდა სატრანზიტო გზებზე – დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოკავკასიული მთიელების გზა კოლხეთის დაბლობისკენ ლეჩეუმზე გავლით მიდიოდა. სხვადასხვა დროს დაღაქალაქებთან სიახლოვე, თან ბუნებრივი პირობებით დაცულობა მისდამი განსაკუთრებული ყურადღების მიზეზი ხდებოდა. ამიტომაც, ლეჩეუმი იმერეთის მეფის სახასო მამულად, შემდგა კი სამეგრელოს მთავრის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტად იქცა. ორივე ხელისუფალი ცდილობდა ლეჩეუმში მყარი პოზიციები პქონოდა, ამიტომაც თავადთა განდიდებას ყოველგვარი საშუალებებით ებრძოდნენ და მათ საპირისპირო სასულიერო და წვრილი აზნაურების ფენას აძლიერებდნენ. სწორედ ეს უკანასკნელი გახდნენ ლეჩეუმის მფლობელი იმერეთის მეფეებისა და სამეგრელოს მთავრების დასაყრდენი. მათგან და მსახური გლეხებისგან შედგებოდა საუკეთესო რაზმები, რომლებიც ერთგულად მსახურობდნენ თავიანთ ბატონებს. ლეჩეუმის ზედა ფენის მკვეთრად გამოხატული საომარი ფუნქციები ლეჩეუმელ წარჩინებულთ სხვა კუთხის ზედა ფენისგან გამოარჩევს – ისინი სახასო, სამეფო აზნაურები და მეფის პირადი გვარდიის წევრები, „ტალანნი მეფისანი“ არიან.

ლეჩეუმის გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები ამ კუთხის ეკონომიკის თავისებურებასაც განსაზღვრავდა – ნაყოფიერი, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობა გარკვეული დოკლათის დაგროვების საშუალებას იძლეოდა. თუმცა, სამეურნეო საგარეულების უკმარისობა ზღუდავდა ამ პროცესებს და ამ მხრივ უფრო

დაწინაურებული კუთხეებისგან (იმერეთი, სამეგრელო) დამოკიდებულების ფაქტორი უნდა ყოფილიყო.

გლეხთა კატეგორიები სხვა კუთხეებში არსებული გლეხთა კატეგორიების ანალოგიურია. თუმცა ლეჩეუმელთა სალაშქრო ვალდებულებების ტრადიციულობას, მსახურთა ფენის სიჭარბე უნდა გამოეწვია. არის განსხვავებანი გლეხთა უმდაბლესი ფენის, მოჯალაბისა და ბატონის დამოკიდებულებაში. ლეჩეუმელი მოჯალაბე ბატონის კარ-მიდამოში ცხოვრობდა. სხვა კუთხეთაგან განსხვავებით აქ ადგილი არ პქონდა მოჯალაბის მებეგრე გლეხად ქცევის ფაქტებს, ბატონი არც მოჯალაბეთა რიცხვის ზრდას (თუგინდ მათი დაოჯახების გზით) ეშურებოდა, რისი მიზეზიც ლეჩეუმის მცირემიწიანობა უნდა იყოს.

გლეხთა კატეგორიაში მებეგრე გლეხები ყველაზე მრავლად არიან. მათი გადასახადებიდან, ჩანს რომ ლეჩეუმის მეურნეობის წამყვანი დარგები მევენახეობა და მემინდვრეობა ყოფილა, მესაქონლეობასა და განსაკუთრებით მეფრინველეობას დამხმარე მეურნეობის ფუნქცია ეკისრა.

საზოგადოებრივი ყოფის დამახასიათებელი ნიშანი ურთიერთდახმარების ტრადიცია გახლდათ. თანასოფლელთა ურთიერთდახმარება საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის ერთგვარი მექანიზმი იყო, მასში გათვალისწინებული იყო საზოგადოების ნებისმიერი შეძლებისა თუ რანგისწევრის ინტერესები. ურთიერთდახმარების ეს ფორმები არაქაულია და იმ დროის იდეის გამოხატულებაა, როდესაც ხალხი დიდ გაერთინებებად, საგვარეულო, შემდეგ კი სასოფლო თემებად ცხოვრობდნენ და ერთმანეთზე ზრუნვა თითოეული მეთემის მოვალეობა იყო. თითქმის დღევანდელობამდე შემორჩენილი მიწის საერთო მფობელობისა და თვითმმართველობის ფორმებიც საზოგადოებრივი ყოფის იმ ეტაპის გამოძახილია როდესაც ხალხი სასოფლო თუ საგვარეულო თემებად სახლობდა.

ლეჩეუმის საზოგადოების მთავარი შემადგენელი ნაწილის ოჯახის შესწავლა უმეტესწილად ეთნოგრაფიული მასალაზე დაყრდნობით მოხდა. ლეჩეუმში ისევე, როგორც სხვა კუთხეებში, ოჯახის თავდაპირველ ფორმად დიდი გაუყოფელი ოჯახი იქნა მიჩნეული. ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებული ცნობების მიხედვით განისაზღვრა ოჯახთა ტიპების შესაძლო ტერმინოლოგია „სულმამიშვილები”, ჩვენის აზრით უნდა გამოხატავდეს ერთი ფუძის რამოდენიმე კომლად (ოჯახად) მცხოვრებ ნათესავთა გაერთიანებას. „ცოლქმარა” კაცი,

მხოლოდ ერთწევილიანი ოჯახის აღმნიშვნელია, ხოლო „დერქაცი“ ცალკე ინდივიდს, ოჯახის გარეშე კაცის სინონიმი.

ლეჩეუმის საოჯახო ყოფის ამსახველმა მასალამ გვიჩვენა, რომ ლეჩეუმში ადრე (გვიანშეუასაუკუნეებში) ხალხი დიდ ოჯახებად ცხოვრობდა. დიდ ოჯახები ტიპიურია XIX საუკუნისთვის და იშვიათი სახით XX საუკუნის ორმოციან წლებამდეც აღწევს. სავარაუდოდ, დიდ ოჯახებად ცხოვრებას, კლიმატური და გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ლეჩეუმელთა მეურნეობის ხასიათი განსაზღვრავდა: ნატურალური მეურნეობის პირობებში ოჯახი რამოდენიმე სამეურნეო მიმართულებას მისდევდა, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართო ადგილი ეყავა მეგენახეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას. ჩვენს მიერ მიმოხილული მასალის მიხედვით ლეჩეუმური ოჯახის სამეურნეო საქმიანობა შემდეგნაირად ნაწილდება ვენახის მოვლა, მუშა საქონლის პატრონობა ზრდასრული მამაკაცის საქმეა; ქალს ოჯახის მოვლა, მეწველ საქონელზე ზრუნვა, ევალება. ბავშვები კი ძირითადად წვრილფეხა საქონლისა და ფრთოსნების მოვლით იყვნენ დაკავებული. წინათ, როდესაც ხალხის ყოველდღიურობაში ძველი რწმენა-წარმოდგენები ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ოჯახში ქალის სტატუსი საკმაოდ მყარი იყო, რაც შემდგომში, პატივისცემისა და დაფასების საფუძველი უნდა ყოფილიყო.

ლეჩეუმური მასალის მიხედვით საქორწილო წეს-ჩვეულებებს, ცრუ რწმენებთან თუ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალებს გააჩნია მრავალ პარალელი საქართველოს სხვა კუთხეებში არსებულ ანალოგიურ წეს-ჩვეულებებთან. ლეჩეუმში, ისევე როგორც სხვა კუთხეებში ოჯახისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს (ქორწილი, გლოვა, ხვნა-თესვა, მოსავლის აღება) თავისებური ეტაპები და რიტუალები ახასიათებდა, რაც განპირობებული იყო ოჯახების სამეურნეო-ეკონომიკური პირობებით, აგრეთვე ძველი, პირველყოფილ რელიგიური რწმენა წარმოდგენებით.

ლეჩეუმის საოჯახო მეურნეობის თავისებურება აისახება ლეჩეუმელი გლეხის კარ-მიდამოსა და სახლის ტიპზე. ადრეულ ხანაში სახლის შიდა მოწყობილობა დიდი გაუყოფელი ოჯახის ყოფას ერგებოდა – დიდი კათხა სახლები ოთახებად არ იტიხრებოდა; შემდგომი დროის რამოდენიმე ოთახიანი ოდა სახლები უმეტესად ინდივიდუალური ოჯახების საცხოვრებელი გახლდა. ლეჩეუმში, ისევე როგორც ყველგან დიდ და პატარა ოჯახებად ცხოვრების პერიოდს სხვადასხვა საცხოვრებელი სახლის ტიპები მიესადაგება. დიდი

ოჯახები სადაც მრავალი სული სახლობდა და მათ შორის კერძო მესაქუთრული მისწრაფებები მეურნეობის ერთიანობის გამო ნაკლებად იყო, დიდ, ერთიან, გაუტიხრავ კათხა სახლებში ცხოვრობდნენ. შემდგომი დროის ოდა სახლებში, ოჯახის წევრთათვის სახლში ცალკეული ადგილები, ოთახები ჩნდება და სახლის ასეთი ტიპი დამახასიათებელია ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრებისთვის.

მსგავსია ლეჩხუმისა და საქართველოს სხვა კუთხეების სხვა საოჯახო წესჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები. ზოგიერთი ჩვეულება ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს და ერთი და იმავე რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობს.

ლეჩხუმის საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხები, მეურნეობის ტრადიციული ფორმები, რწმენა-წარმოდგენები შემდგომში კვლევის გადრმავებას მოითხოვს. ლეჩხუმური მასალა განხილული უნდა იქნას სხვა კუთხეების ანალოგიური მასალების ფონზე, რაც ლეჩხუმის ყოფაში და ხალხის მახსოვრობიდან ამოვარდნილი და დავიწყებული ყოფის ნიუანსების აღდგენის საშუალებას მოგვცემს და ამ კუთხის საზოგადოებრივი ურთიერთობის უკეთ ადქმას, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის წარსულის და მისგან გამომავალი დღევანდელობის საკითხების გააზრებასა და ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნის სამომავლოდ გამოყენებას გაგვიადვილებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ალავიძე მ., ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX ტ., 1949 წ.
- 2) ალავიძე მ., გოორგი ინასარიძის ვინაობისთვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX ტ., 1949 წ.
- 3) ალავიძე მ., ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., საბჭოთა მწერალი, 1951 წ.
- 4) ანთაძე კ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, გეოგრაფიული ინსტიტუტის ნაშრომები, XV ტ., 1961 წ.
- 5) ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) ხალხური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953 წ.
- 6) ბაგრატიონი იოანე, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., „დიალ“, 1997 წ.
- 7) ბერაძე თ., ლეჩხუმისისტორიული გეოგრაფიიდან, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების „მაცნე“, №3, 1976 წ.
- 8) ბერაძე თ., რაჭა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1983 წ.
  
- 9) ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურლულია ლ., კრებული „ლეჩხუმი“, თბ., მეცნიერება, 1983წ.
  
- 10) ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., მეცნიერება, 1990 წ.
  
- 11) ბენდიანიშვილი ალ.. აგრალური ურთიერთობანი საქართველოში 1890 – 1917წ.., ო .., 1965 წ.
- 12) ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწილო ტრადიციები აჭარაში, ბთ., საბჭოთა აჭარა, 1979 წ.
- 13) ბორობდინი კ., ერისთავი, მურიე, ბატონიშვილის სამეგრელოში, თბ., 1927წ.
  
- 14) ბრეგაძე ნ., რაჭა-ლეჩხუმის მარცვლეული კულტურის შესახებ, მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა მოამბე, 1960 წ.
- 15) ბრეგაძე ნ., ხალხური აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, № 5, 1965

- 16) გაგოშიძე ი., ადრე ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., მეცნიერება, 1964 წ.
- 17) გარდაფხაძე-ქიქოძე ფ., ქართული ხალხური დღეობები, თბ., მეცნიერება, 1955 წ.
- 18) გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური კითარება და რესეთთან შეერთება XVI-XIX სს., თბ., საბჭოთა საქართველო, 1988 წ.
- 19) გასვიანი გ., ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., მეცნიერება, 1991 წ.
- 20) გელაძე თ., კოლექტიური შრომის ფორმები ლენსუმში, კრებული „ლენსუმი“, მეცნიერება, 1985 წ.
- 21) გიგინეშვილი ი., თოფურიძე ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1961 წ.
- 22) დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962 წ.
- 23) დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, III ტ., თბ., მეცნიერება 1970 წ.
- 24) გახუშტი ბატონიშვილი, ალწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV ტ., საბჭოთა საქართველო თბ., 1973 წ.
- 25) თაყაიშვილი ე., ემიგრანტული ნაშრომები, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენსუმ-სვანეთში 1910 წელს, თბ., მეცნიერება, 1991 წ.
- 26) თეოდოსი განგრელი, გეორგიკა IV ტ., თბ., ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტი, 1941 წ.
- 27) თოფხიშვილი რ., ლენსუმური გვარსახელები, თბ., საქართველო, 1993 წ.
- 28) იოონიშვილი ვალ., კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., მეცნიერება, 1977 წ.
- 29) იოონიშვილი ვალ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960 წ.
- 30) ინგოროვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი I: სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941 წ.

- 31) ისტორიანი და აზმანი ..... ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II ტ., სახელგამი, ობ., 1959
- 32) იუსტინიანე, გეორგიკა II ტ., ობ., 1965
- 33) ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I ტ., ობ., უნივერსიტეტის გამ-ბა 1925 წ.
- 34) კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II ტ., ობ., უნივერსიტეტის გამ-ბა 1925 წ.
- 35) კაკაბაძე ს., მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, 1925 წ.
- 36) კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის, წიგნი I, ობ., ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914 წ.
- 37) კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია ახალი საუკუნეების ეპოქისა, ობ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამ-ბა 1922 წ.
- 38) კაკაბაძე ს., სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II ტ., 1924 წ.
- 39) კაკაბაძე ს., მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიისთვის, საისტორიო კრებული, I, ობ., 1928 წ.
- 40) კაკაბაძე ს., კვლევა ძიებანი, ობ., საქ-ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამ-ბა, 1920 წ.
- 41) კაკაბაძე ს., საცაგერლოს გამოსავალი დავთარი, ობ., ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914 წ.
- 42) კაკაბაძე ს., საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ პირველის დროს, ტფილისი, ბ.ა. კოლაძის სტამბა, 1913 წ.
- 43) ლეთოდიანი დ., ლეჩეუმი ადრეფეოდალურ ხანაში, ობილისის უნივერსიტეტის შრომები, 1982 წ.
- 44) ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I ტ., სახელგამი, ობ., 1955

- 45) ლამბერტი დონ არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ., ენგური, 1991 წ.
- 46) მაკალათია მ., წყლის კულტის გადმონაშთები ლეჩეუმში, ლეჩეუმი, თბ., მეცნიერება 1985 წ.
- 47) მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941 წ.
- 48) მაკალათია ს., თუშეთი, თბ., ნაკადული, 1983 წ.
- 49) მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., ნაკადული, 1984 წ.
- 50) მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოსქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., უნივერსიტეტის გამბა, 1989 წ.
- 51) მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1974 წ
- 52) მუსხელიშვილი ლ., დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები, ენიმკის მოამბე, 1940 წ
- 53) მუშკუდიანი ქ., გვიანფეოდალური ლეჩეუმის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ. ნეტიტუტის შრომები, XXXIV ტ., 1971 წ.
- 54) მუშკუდიანი ქ., ლეჩეუმის ისტორიიდან, ქუთ., მოწამეთა, 2001 წ.
- 55) ნადირაძე ე., ქვითხუროობა ლეჩეუმში, მასალები ლეჩეუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, მეცნიერება, 1985 წ.
- 56) სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ტ., მერანი 1991 წ.
- 57) პროკოპი კესარიელი, გეორგიკა II ტ., თბ., მეცნიერება 1964 წ
- 58) ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II ტ., თბ., 1958 წ.
- 59) ჟორდანია თ., ქრონიკები II ტ., 1897 წ.
- 60) რეხვიაშვილი ს., ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა ისტორიიდან, თბ., საბჭოთა საქართველო, 1977 წ.
- 61) საქართველოს ისტორია, ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, შ. მესხია, პ. რატიანი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1959 წ.
- 62) საქართველოს რესპ. ცხია. საქ, 58, ფურ. 21
- 63) საქართველოს რესპ. ცხია. 13, ნაწ. I; საქმე 8977 ბ., ფურ. 77
- 64) სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩეუმიდან, თბ., მეცნიერება, 1976 წ.
- 65) სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., სამეცნიერო-მეთოდოლოგიური კაბინეტის გამბა, 1956 წ.

- 66) სვანეთის წერილობითი ძეგლები, I ტ., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., მეცნიერება, 1986 წ.
- 67) სოსელია ო., ნარკვევები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, II ტ., თბ., მეცნიერება, 1981 წ.
- 68) სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I ტ., მეცნიერება, თბ., 1973 წ.
- 69) საქართველოს სიძელენი, I ტ., თბ., საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ.-ის გამ-მა, 1920 წ.
- 70) სულავა ნ., მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბ., მეცნიერება, 1996 წ.
- 71) ქალდანი ა., ძეგლის მეგობარი, 1987 წ.
- 72) ქალდანი მ., ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ სუფიქსის საკითხისთვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III ტ., თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1963
- 73) ქაჯაია ნ., მიცვალებულის კულტი ლეჩხუმში, ლეჩხუმი, მეცნიერება, 1985 წ.
- 74) შარაშენიძე ჯ., ძეგლის მეგობარი, მე-40-ე გამოცემა, 1976 წ.
- 75) შარდენის მოგზაურობა, 1974 წ.
- 76) ჩიტაია გ., ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, 12ბ., თბ., 1944
- 77) ჩიქოვანი მ., ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VII; 1949 წ.
- 78) ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან, თბ., მეცნიერება, 1979 წ.
- 79) ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, I ტ., თბ., სახელგამი, 1955 წ.

- 80) ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., განათლება, 1970 წ.
- 81) ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის გამომცემლობა თბ., 1939 წ.
- 82) ხეცურიანი მ., საქართველოს აგრალური ჭარბმოსახლეობა და მისი დასაქმება, სადისერტაციო ნაშრომი, 1994 წ.
- 83) ჯალაბაძე გ., მევენახეობა-მეღვინეობა ლეჩხუმში, ლეჩხუმი, თბ., მეცნიერება, 1985 წ.
- 84) ჯანაშია ს., შრომები, II ტ., თბ., მეცნიერებათა აკადემის გამ-ბა, 1952 წ.
- 85) ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I ტ., თბ., საბჭოთა საქართველო, 1951 წ.
- 86) ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II ტ., თბ., საბჭოთა საქართველო, 1965 წ.
- 87) ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, VI ტ., თბ., მეცნიერებათა აკადემის გამ-ბა, 1982
- 88) ჯავახიშვილი ივ., ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში, მთამბე, II განყოფილება, 1901 წ.
- 89) ჯაოშვილი ვ., რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა, გეოგრაფიული ინსტიტუტის შრომები, XV, 1961
- 90) ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბ., მეცნიერება, 1996 წ.
- 91) ჯუანშერი, ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხიშვილის მიერ, I ტ., სახელგამი, თბ., 1955
- 92) Акаკ, II т
- 93) Грамоты и другие исторические документы XVIII века, I т, 1891 г.
- 94) Гнилосаров П, О Царе Соломоне II, Кавказский календарь, 1859 г.
- 95) Документы по истории Грузии, I т. I ч. приложение №1
- 96) Литвинов - Краткое обозрение Имертии Мингрелии и Лечгума
- 97) Моисеев И – Уголок Лечхуми СМОМПК 1900г

- 98) Насович Д - Экономический быт государственных крестьян в Лечхумском уезде Кутаисской губернии МИЕБГКЗК Іт 1885 г
- 99) Радде Г - Путешествие в Мингрельских Алпах
- 100) Патканов К., Армянская география VII века
- 101) Сборник сведений о Кавказе Вт Тиография Главного управления Наместника Кавказского 1879 г
- 102) Харадзе Р. Грузинская семейная община, Тб., Заря востока 1960 Г

მთხოვბლები:

- |    |  |    |  |  |      |
|----|--|----|--|--|------|
| 1) | კიაზმა არჯევანიძე, სოფ. ოყურეში, 70 წლის     |    |  |  |      |
| 2) | არჩილ ახვლედიანი, სოფ. ნასპერი, 52 წლის      |    |  |  |      |
| 3) | გული კალანდია, სოფ. ობუჯი, 81 წლის           |    |  |  |      |
| 4) | რომან მამარდაშვილი, სოფ. ოყურეში, 51 წლის    |    |  |  |      |
| 5) | ალექსანდრე უგრეხელიძე, სოფ. ოყურეში, 84 წლის |    |  |  |      |
| 6) | შურა ღურჯუმალიძე, სოფ. ნასპერი, 76 წლის      |    |  |  |      |
| 7) | გიგი ჩარგვიანი, სოფ. ოყურეში,                | 72 |  |  | წლის |